

# სვანური ენა

(გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)

შემდგენლები:

ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე

ზ. ჭუმბურიძის რედაქციით

გამომცემლობა „პეტიტი“

2007

თბილისი



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

**Embassy of Switzerland In Georgia**

მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ შვეიცარიის საელჩოს საქართველოში და შვეიცარიის ელჩს ბატონ ლორენცო ამბერგს.

We express our profound appreciation to the Embassy of Switzerland and Ambassador **Lorenzo Amberg** for support and financial assistance

**The Svan Language  
(Grammar, texts, glossary)**

**Compiled by Z. Chumburidze,  
L. Nizharadze, R. Kurdadze**

**Editor – Z. Chumburidze**

ISBN 978-99940-944-6-2

**ყველა უფლება დაცულია**

© ზ.ჭუმბურიძე, ლ.ნიჟარაძე, რ.ქურდაძე,

## რედაქტორისაგან

სვანური ენა კოლხურთან (მეგრულ-ლაზურთან) და ქართულთან ერთად მიეკუთვნება სამხრეთ-კავკასიურ ენათა ჯგუფს, რომელსაც მკვლევართა დიდი ნაწილი კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთ შტოდ მიიჩნევს, ნაწილი კი დამოუკიდებელ ენათა ოჯახად თვლის. ეს ჯგუფი საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქართველური (იბერიული) ენების სახელით.

მეგრულ-ლაზურისა და სვანურის აღიარება დამოუკიდებელ ენებად, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეგრელები, ლაზები და სვანები ცალ-ცალკე ერებს წარმოადგენენ. ესენი არიან უძველესი ქართველი ტომები, რომელთა მეტყველებაც ათასწლეულების განმავლობაში იმდენად დაშორდა ფუძე-ენას, რომ დამოუკიდებელი ენის სახე მიიღო, მაგრამ ფუნქციურად არ ასცილებია იმ დონეს, რა დონეზეც ოდითგანვე იდგნენ და დღესაც დგანან ქართული ენის დიალექტები.

ავბედობის გამო ყველა ქართველ ტომს ყოველთვის არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ერთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ერთეულად, ერთ სახელმწიფოდ ყოფილიყვნენ შეკავშირებულნი, მაგრამ მაშინაც კი, როცა ეს ტომები ცალ-ცალკე სამეფო-სამთავროებად იყვნენ დაყოფილნი, მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ერთიანობის შეგნება და სულისკვეთება. ამის დამადასტურებელია ის უდავო ფაქტი, რომ ერთმანეთთან საურთიერთოდ ისინი იყენებდნენ მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ანბანს და არასოდეს არცერთ მათგანს არ უცდია შეექმნა საკუთარი ანბანი, საკუთარი სალიტერატურო ენა და მწერლობა.

ყველა ქართველი ტომისათვის საერთო ეროვნული სალიტერატურო ენა ოდითგანვე იყო და არის უძველესი დამწერლობისა და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქართული ენა.

უთუოდ საყურადღებო და ღირსსახსოვარი ფაქტია, რომ ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებში, რომლებიც III ს. I ნახევრით თარიღდება, იბერიული (ქართული) ენა იხსენიება უძველესი დამწერლობის მქონე 15 ცივილიზებული ხალხის ენათა შორის. ამავე წყაროში უმწერლობო ენათა შორის ნახსენებია კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენებიც.

ყოველი ქართველისათვის საამაყოა იმის განცდა, რომ ჩვენმა ენა-კილოებმა სასწაულებრივად გაუძლეს წარსულის ბურუსიანი გზების სიძნელეს და დღემდე შემოინახეს შორეული წინაპრების სუნთქვა. რაკი ასეა, რაკი ქართველი ხალხი გადარჩა და შესაძლებლობა მიეცა ცხოვრობდეს მსოფლიოს ხალხთა ერთიან ოჯახში, იმედია, მის არსებობას საფრთხე არც მომავალში ემუქრება, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ ჩვენც წინაპართა კვალდაკვალ ვიწვლით როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ღირსეული პარტნიორები, დავიცავთ ჩვენს სულიერ სიმდიდრეს და ვეცდებით შევისწავლოთ და ღირსეულად დავაფასოთ იგი.

სვანური ენის მეცნიერული შესწავლა ქართულთან და მეგრულ-ლაზურთან შედარებით გვიან დაიწყო. რაც უფრო ღრმად შევდივართ მისი კვლევის სფეროში, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ სვანურს დღემდე ცოცხლად შემოუნახავს არაერთი ძველი ენობრივი თავისებურება, რაც სხვა ქართველურ ენებში უკვე გამქრალია. ასეთია, მაგალითად, უ და ჯ ბგერები, ხ პრეფიქსი II სუბ. და III ობ. პირის ნიშნად, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, ძვ.ქართ. მცა ნაწილაკის ბადალი უ ნაწილაკი, რომელიც ზმნას კავშირებითის გაგებას აძლევს და სხვანი.

მრავალმხრივ საინტერესოა უმლაუტიან ხმოვანთა არსებობა სვანურში. ამ ხმოვანთა ბუნების ახსნამ ბევრ ბუნდოვან საკითხს მოჰფინა ნათელი ქართველურ ენებში.

ჩვენი ენების ისტორიისათვის ასევე მნიშვნელოვანია სვანეთში დაცული ისტორიული ძეგლების წარწერები და

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, სადაც არაერთი ლექსი-კურად თუ გრამატიკულად საინტერესო ფორმა არის ფიქსირებული. სახელდობრ, უმლაუტთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ორი ქტიტორული წარწერა: კალის წმინდა კვირიკეს ეკლესიისა (1111 წ.) და იფარის წმინდა გიორგის ეკლესიისა (1130 წ.). ორივე ეკლესია, რომლებიც სულ რამდენიმე კილომეტრით არიან დაშორებული ერთმანეთისგან, მოხატულია და წარწერებით დამშვენებულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ დავით აღმაშენებლისა და მისი ძის – დემეტრეს მეფობაში. პირველი წარწერა ასე იკითხება:

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ წმიდისა კვრიკესი სადიდებულდ და სალოცველდ ამის ჴევისა აზნაურთა და ყოველთა, რომელნი აშენებენ ამა წმიდასა ეკლესიასა. წმიდაო კვრიკე, ადიდენ და შეინყალენ ყოველნი. ამენ. მოიხატა დასაბამითგანთა ნელთა ხლიე, ქრონიკონსა ტლა, ჴელითა თევდორე მეფისა მხატვრისაჲთა“.

მეფის მხატვარი თევდორე, ჩვენი აზრით, სვანი უნდა იყოს, რომელიც სრულად არის დაუფლებული სალიტერატურო ენის ნორმებს, მაგრამ მის წარწერაში ზოგჯერ სვანური ენის სპეციფიკა იჩენს თავს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ზემოთ მოყვანილ წარწერაში ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები: სადიდებულდ, სალოცველდ, აზნაურთა.

მეფის მხატვარ თევდორეს ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შეცდომა კი არ მოსვლია, ის შეგნებულად ხმარობს ამ ფორმებს, რათა მათი დანერილობა სვანურ გამოთქმას დაუახლოოს. ასეთია, სახელდობრ, მიმღეობათა ვითარებითი ბრუნვის ფორმები მარტო დ თანხმოვნით, უხმოვნოდ, როგორც სვანურშია.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს სიტყვები მხატვარს დაქარაგმებული აქვსო, მაგრამ ქარაგმის ნიშანი არ ჩანს.

უფრო მნიშვნელოვანია მესამე სიტყვის (სოციალური ტერმინის) დაწერილობა: **აზნაურთა**. ტერმინი წარმოდგენილია ნათ. ბრუნვის მრ. რიცხვის ფორმით, სადაც სიტყვის ბოლო მარცვალში უ ხმოვანი სვანურში უმლაუტიანია და უოდ გამოითქმის, რომელსაც ძველ ქართულში სწორედ ვ ასო შეესაბამება (იმ განსხვავებით, რომ ვ ძველ ქართულში გვხვდება მხოლოდ თანხმოვნის შემდეგ, უმლაუტიანი უ კი სვანურში ყოველგვარ პოზიციაში დასტურდება).

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, ეს ნიშნავს, რომ ზემოთ მოყვანილი წარწერის სახით საქმე გვაქვს სვანური უმლაუტის ფიქსირების უძველეს შემთხვევასთან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველური ენების და კერძოდ სვანურის მკვლევართა წინაშე ფართო ასპარეზია გადაშლილი და დიდი წარმატებებია მოსალოდნელი. ჯერჯერობით ჩვენ არამც თუ მთლიანი გრამატიკული მიმოხილვა, სვანური ენის სასწავლო სახელმძღვანელოც კი არ მოგვეპოვება, თუმცა სვანური ენა ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსების პირველივე წლებიდან ისწავლება.

წინამდებარე წიგნის მიზანია ერთგვარად შეამზადოს ნიადაგი ამგვარი სახელმძღვანელოს შესაქმნელად. წიგნის არაერთ ნაკლს მისი ავტორებიც კარგად ხედავენ. კეთილი რჩევა და სურვილები მადლობით იქნება მიღებული და გათვალისწინებული.

## ზურაბ ჭუმბურიძე

# სვანური ენის გრამატიკული ანალიზი

### ზოგადი ცნობები

სვანეთი, სადაც სახლობს სვანურ ენაზე მოლაპარაკეთა ძირითადი ნაწილი, საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონია. ის მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთებზე (ფასის მთიდან დაღარის უღელტეხილამდე) და სვანეთის ქედის ორივე მხარეს. სვანეთის ქედი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, მის პარალელურად არის გადაჭიმული და ერთმანეთისაგან მიჯნავს ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებს მათი შენაკადებიანად. ამასთანავე ის ორ ნაწილად ყოფს მთელ სვანეთს: ერთი – ენგურის ხეობა – ცნობილია ზემო სვანეთის სახელით, მეორე – ცხენისწყლის ხეობა – ქვემო სვანეთის სახელით. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ზემო სვანეთს ეწოდება მესტიის რაიონი (ცენტრი – დაბა მესტია), ქვემო სვანეთს – ლენტეხის რაიონი (ცენტრი – დაბა ლენტეხი).

ზემო სვანეთი ზღვის დონიდან 700-2200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მისი ფართობი შეადგენს 3320 კვ. კილომეტრს; ქვემო სვანეთი ზღვის დონიდან 600-1500 მ. სიმაღლეზეა, ფართობი – 1521 კვ.კმ. ამრიგად, ზემო და ქვემო სვანეთი, ერთად აღებული, მოიცავს 4841 კვ. კილომეტრ ფართობს, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის 7%-ს შეადგენს. ამ ფართობის სიგანე საშუალოდ 90 კილომეტრია, სიგრძე – 170 კმ.

აღსანიშნავია, რომ ზემო სვანეთის სოფელი უშგული, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია ევროპაში.

სვანეთს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმი, დასავლეთიდან – სამეგრელო და აფხაზეთი,

სამხრეთიდან – იმერეთი და სამეგრელო, ხოლო ჩრდილოეთით სვანეთის და მთლიანად საქართველოს საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ ქედზე, რომლის გადაღმაც მდებარეობს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები – ყაბარდო-ბალყარეთი და ყარაჩაი-ჩერქეზეთი.

სვანები შედარებით მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე კოდორის ხეობაში (ე.წ. აფხაზეთის სვანეთში ანუ დაღში). გარდა ამისა, რამდენიმე სვანური დასახლება (სოფელი, უბანი) გაჩნდა ბოლო დროს საქართველოს სხვა კუთხეებშიც, სადაც სვანები სტიქიურ უბედურებათა გამო გადასახლდნენ.

დღეისათვის მესტიის რაიონში ცხოვრობს 20000-მდე სული, ლენტეხის რაიონში – 15000 სული, აფხაზეთის სვანეთში – 5000 სულზე მეტი. მათი აბსოლუტური უმეტესობა სვანია და თავისუფლად ფლობს სვანურ ენას. სულ სვანურად მოლაპარაკეთა რიცხვი დღეისათვის დაახლოებით 45000 კაცით განისაზღვრება.

### **დიალექტები**

ასეთი მცირერიცხოვნობისა და ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, სვანური ენა მდიდარია კილოებით და კილოკავებით. გამოიყოფა ოთხი კილო: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური. პირველი ორი ზემო სვანეთშია, ენგურის ხეობაში, დანარჩენი ორი – ქვემო სვანეთში, ცხენისწყლის ხეობაში. პირველი ცნობები მათ შესახებ წარმოდგენილია ნ.მარის ნაშრომებში, მაგრამ კილოების გამოყოფა, მათი დამახასიათებელი არსებითი ნიშნების დადგენა და თვით სახელების შერჩევაც ა.შანიძის დამსახურებაა.

ყოველივე ამის შესახებ ა.შანიძის ცნობილ ნაშრომში „უმლაუტი სვანურში“ დასაწყისშივე ნათქვამია: „გრძელი ხმოვნები და უმლაუტები – აი ორი რამ, რაც არსებითად განასხვავებს სვანური ენის ბგერით შედგენილობას როგორც ქართულისაგან, ისე ჭანურ-მეგრულისაგან. მაგრამ ამ ორ რამეში არა თუ სვანური უპირისპირდება ქართულ-



სა და ჭანურ-მეგრულს, არამედ თვით სვანური კილოები – ერთმანეთს; სწორედ ეს ორი ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც საფუძვლად უძევს სვანური ენის კილოებად დაყოფას: სვანურის ოთხ კილოთაგან (ბალსზემოურისა, ბალსქვემოურისა, ლაშხურისა და ლენტეხურისა) მხოლოდ ორმა იცის ხმოვანთა ხმარება გრძლად და მოკლედ: ბალსზემოურმა და ლაშხურმა. უმლაუტების ჩვეულებრივი სახე კი არ იცის ლაშხურმა, რომელიც ამის გამო გამოყოფილი და გამოცალკევებული იქნებოდა დანარჩენ კილოთაგან და, სხვათა შორის, ლენტეხურისაგანაც, რომელიც გრძელი ხმოვნების უქონლობის გამო ერთს ჯგუფში მოექცეოდა ბალსქვემოურთან ერთად, რომ ლენტეხურს კიდევ ერთი დიდი ფონეტიკური მოვლენა არ ახასიათებდეს, რომელიც მას, უეჭველია, დამოუკიდებელი კილოს უფლებას ანიჭებს: ეს არის ხმოვანთა რედუქციის მოდუნება, რომელიც მას ყველა დანარჩენი სვანური კილოსაგან გამოჰყოფს და განასხვავებს“ (ა.შანიძე, 1981, 321-322).

ამრიგად, ა.შანიძის დახასიათებით, სვანური ენის კილოებად დაყოფის საფუძველს ქმნის სამი დიდი ფონეტიკური მოვლენა: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია. რომელიმე ამ ნიშნით (ან ნიშნებით) ნებისმიერი კილო უთუოდ განსხვავდება დანარჩენებისაგან, როგორც ამას გვიჩვენებს ქვემოთმოყვანილი ცხრილი:

დიალექტები	ხმოვანთა სიგრძე	უმლაუტი	რედუქცია
ბალსზემოური	+	+	+
ბალსქვემოური	-	+	+
ლაშხური	+	-	+
ლენტეხური	-	+	-

როგორც ვხედავთ, დიალექტთაგან ლენტეხურს აკლია ორი ნიშანი, ბალსქვემოურსა და ლაშხურს კი – თითო-თითო, მაგრამ სხვადასხვა ნიშანი. ერთადერთი ბალსზე-მოურია, რომელსაც სამივე ნიშანი მოეპოვება. ამიტომ, ბუნებრივია, სვანურში ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის განხილვისას სპეციალისტები პირველ რიგში ბალსზე-მოურის მონაცემებს იშველიებენ. წინამდებარე წიგნშიც ეს წესია დაცული და ძირითადად ბალსზემოური ფორმებია დამონმებული (ამაზე საგანგებო მინიშნების გარეშე), საჭიროების შემთხვევაში კი მოყვანილია სხვა დიალექტური ფორმებიც (სათანადო მითითებით).

ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტები, როგორც ვთქვით, გავრცელებულია ენგურის ხეობაში ანუ ზემო სვანეთში, რომელიც ისტორიულად ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ ნაწილს შეადგენდა ე.წ. უბატონო ანუ თავისუფალი სვანეთი, მეორეს – სადადეშქელიანო სვანეთი. მათ შორის ბუნებრივ საზღვარს ქმნის ბალის მთა და უღელტეხილი. ამის მიხედვით ამჟამად ენგურის ხეობას ბალის მთის აღმოსავლეთით ეწოდება ბალსზემო სვანეთი, დასავლეთით – ბალსქვემო სვანეთი. აქედანვეა მიღებული კილოთა სახელწოდებანი: ბალსზემოური და ბალსქვემოური.

ზემო სვანეთი შედგება 15 საზოგადოებისაგან ანუ ისტორიული თემისაგან. ესენია: უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ეცერი, ცხუმარი, ფარი, ჩუბეხევი, ჭუბერი, ლენხერა და ლახამულა. ამათგან პირველი შვიდი ეკუთვნის ბალსზემო სვანეთს, დანარჩენი – ბალსქვემო სვანეთს. ბალსზემო სოფლებიდან უშგულისა და ლატალის მეტყველება გამოიყოფა კილოკავების სახით. ბალსქვემოთ კილოკავების რაოდენობა მეტია (ბეჩოური, ეცერული, ცხუმარული, ჩუბეხეური, ლახამულური).

ქვემო სვანეთში შედის სულ სამი თემი: ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი. ამათგან ლაშხური და ლენტეხური

დამოუკიდებელ კილოებს წარმოადგენენ, ჩოლურული კი, ა.შანიძის აზრით, კილოკავია და არა დამოუკიდებელი კილო. მის შესახებ ა.შანიძე შენიშნავდა: „ჩოლურული ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად განიყოფება: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოკავია, ქვემო ნაწილი კი (სოფ. საყდარი, ბულეში, მუნდი) – ლენტეხურისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემო ჩოლურულში უმლაუტებიც არის, რომლებიც მას ლენტეხურთან აახლოვებს, ხოლო ქვემო ჩოლურულში გრძელი ხმოვნებიც მოიპოვება, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს“ (ა.შანიძე, იქვე).

ზოგი მკვლევარი არ იზიარებს ა.შანიძის ამ მოსაზრებას და ჩოლურულს ცალკე კილოდ მიიჩნევს. საკითხი თეორიული ასპექტით პირველად განიხილა ალ.ონიანმა. მისი აზრით, „ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან. ეს კი, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ჩოლურული დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად მივიჩნიოთ და მას სვანური ენის ჩოლურული დიალექტი ვუწოდოთ“ (ა.ონიანი, 1998, გვ. 8). მაგრამ ამასთანავე მკვლევარი იქვე შენიშნავს: „და მაინც, სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოო განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი სპეციალური შესწავლა“, მანამდე კი მკვლევარი საბოლოო დასკვნისაგან თავს იკავებს.

### **სვანურის შესწავლის ისტორიიდან**

სვანეთი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით და სხვადასხვა სახის ხელოვნების ნიმუშებით, რომლებსაც ხშირად წარწერებიც ამშვენებს. ეს წარწერები ძირითადად ქართულ ენაზე და ქართული ანბანითაა შესრულებული, მაგრამ შიგურევია სვანურისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, ე.წ. სვანიზმები (ს.ჟღენტი, 1947,

გვ. 429-436). ენობრივად საინტერესოა აგრეთვე სვანური გვარები, პირთა სახელები და ტოპონიმები, რომლებიც იხსენიება ისტორიულ საბუთებში და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მაგრამ ყოველივე ეს მეტად მცირე მასალას წარმოადგენს სვანური ენის ისტორიისათვის.

საკუთრივ სვანური ლექსიკა ფიქსირებულია პირველად მხოლოდ XVIII საუკუნეში აკად. ა. გიულდენშტედტის მიერ. ეს წარმოშობით გერმანელი ნატურალისტი რუსეთის საიმპერატორო აკადემიაში მოღვაწეობდა და 1768-1775 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. თავისი მოგზაურობის აღწერასთან ერთად მან დაგვიტოვა აგრეთვე ქართული, მეგრული, სვანური, ჩერქეზული და ზოგი სხვა კავკასიური ენის ლექსიკის ჩანაწერები. მისი მოგზაურობის დღიურები და ჩანაწერები გამოქვეყნდა ორ ტომად ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1787 და 1791 წლებში, პალასის რედაქციით. ამ შრომის ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხება, ხელახლა გამოსცა ი. კლაპროთმა თავისი შენიშვნებით. კლაპროთმა აღწერა აგრეთვე თავისი მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807-1808 წლებში და დაურთო მას მცირე ლექსიკური მასალა. როგორც გიულდენშტედტის, ისე კლაპროთის ჩანაწერებში ბევრია შეცდომები, მაგრამ ეს არ ამცირებს მათ ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას. სახელდობრ, უდავო ფაქტია, რომ ამ პირველივე უცხოელმა მკვლევრებმა შენიშნეს ქართველურ (იბერიულ) ენათა ნათესაობა (და არა იგივეობა). ა. გიულდენშტედტი აღნიშნავს იმასაც, რომ სვანური უფრო დაშორებულია ქართულისაგან, ვიდრე მეგრული, ი. კლაპროთს კი მოჰყავს საბუთები ლაზურის ნათესაობისა სხვა ქართველურ ენებთან.

სვანური ენის პირველი გრამატიკული მიმოხილვა მეგრულთან და აფხაზურთან ერთად მოცემულია გ. როზენის ნაშრომში, რომელიც წაკითხული იყო მოხსენებად 1845 წელს, ხოლო გამოქვეყნდა ორი წლის შემდეგ ბერლინში.

უფრო ადრე, 1843 წელს, გ.როზენს ნაუკითხავს მოხსენება ლაზური ენის შესახებ, რომელიც 1845 წელს დაიბეჭდა. უკვე ამ ნაშრომებშიც მოცემულია მთელი რიგი საინტიერესო შეპირისპირებანი სხვა ქართველურ ენებთან, მათ შორის სვანურთან. ასეთია, სახელდობრ, რიცხვითი სახელების შეპირისპირებითი ანალიზი (ორიდან ათამდე და ასი). გ.როზენს განხილული აქვს აგრეთვე ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილი ისეთი სვანური სიტყვები, როგორცაა დაჩუირ („და“), დეც („ცა“), ლერბეთ („ლმერთი“), ყელ („ძალი“). ამავე ნაშრომებში განხილულია სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების არსებითი საკითხები. გამომდინარე ყოველივე აქედან, გასაზიარებელია დასკვნა: „გ.როზენმა ფაქტობრივად ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებითი მეთოდით შესწავლას“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ.8).

მომდევნო ხანის მკვლევარნი (ფ.ბოპი, ფ.მიულერი, ალ.ცაგარელი) ძირითადად ეყრდნობოდნენ გ.როზენს, მაგრამ მიუთითებდნენ მის შეცდომებზეც. საქმე ის არის, რომ გ.როზენის ინფორმატორი ლაშხელი სვანი ყოფილა და ამის გამო, ცხადია, მისი მიმოხილვა ლაშხურ კილოს ემყარება.

შემდეგი მკვლევარი, რომელიც სვანურს სწავლობდა, მაგრამ არა ლაშხელის, არამედ ბალსზემოელი სვანისაგან, იყო პ.უსლარი. ბუნებრივია, მას შეუმჩნეველი არ დარჩენია განსხვავება თავის მასალებსა და გ.როზენის ჩანაწერებს შორის, მაგრამ აქედან მას გამოუტანია არასწორი დასკვნა: ალბათ გ.როზენის ინფორმატორი სვანი კი არ იყო, არამედ სვანურის მცოდნე მეგრელი ან ლეჩხუმელიო. ამის გამო უსლარს ხელი აუღია გ.როზენის ნაშრომის რუსულად თარგმნის განზრახვაზე და გადაუწყვეტია თვითონ დაენერა სვანური ენის გრამატიკა. რომ დასცლოდა, ეჭვი არაა, ეს თვალსაჩინო რუსი კავკასიოლოგი სვანურის შესახებაც ისეთივე საყურადღებო ნაშრომს შექმნიდა, როგორიც მან რამდენიმე კავკა-

სიურ ენას მიუძღვნა, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა უსწრო და განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. პ.უსლარმა 1861 წელს დაწერა მხოლოდ მოკლე გრამატიკა სვანური ენისა, რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა მისივე „აფხაზური ენის“ დამატების სახით.

ინტერესი სვანური ენის მიმართ თანდათანობით იზრდება XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში. 1890 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ჟურნალში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ გამოქვეყნდა სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები, ჩანერილი და რუსულად თარგმნილი ბესარიონ ნიჟარაძის მიერ. ტექსტებს ახლავს სვანური ენის მიმოხილვა, დაწერილი მ.ზავადსკის მიერ. ამავე ტომში დაბეჭდილია აგრეთვე ა.გრენის გრამატიკული შენიშვნები თავის მიერვე შეკრებილ სვანურ ტექსტებზე. ეს უკანასკნელი საგრძნობლად მოისუსტებს წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებთან შედარებით, მაგრამ მაინც ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მასში პირველად იხსენიება ჩოლურული.

სვანური ტექსტები და ლექსიკური მასალები დაბეჭდილია აგრეთვე იმავე ორგანოს სხვა ტომებში. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ივანე ნიჟარაძის რუსულ-სვანური ლექსიკონი (СМОНПК, вып.7, 41, 1910).

უცხოელ მკვლევართა შრომებიდან აღსანიშნავია ოლივერ უორდროპის მიერ შედგენილი ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, რომელიც დაიბეჭდა ინგლისის საჰეფო აზიური საზოგადოების ჟურნალში 1911 წელს. მასში 1500-მდე სალექსიკონო ერთეული შედის, მაგრამ სიტყვათა რაოდენობა მეტია, რადგან ზოგ სალექსიკონო ერთეულთან წარმოდგენილია მონათესავე სემანტიკის სხვა სიტყვებიც.

სვანური ენის გრამატიკის ცალკეული საკითხები სხვა კავკასიურ ენებთან მიმართებით განხილული აქვს რ.ერკერტს. სვანური ენის სტრუქტურა, ძირითადად მ.ზავადსკის შრომის საფუძველზე, მიმოიხილა ა.დირმა.

სვანურის მოკლე გრამატიკა, დაწერილი ქართულად, ეკუთვნის თავისუფალ სვანს – ბ.ნიჟარაძეს (1852-1919). მასვე ეკუთვნის საკმაოდ ვრცელი ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც 1888 წელს უკვე დასრულებული ყოფილა, მაგრამ ავტორის სიცოცხლეში გამოუცემელი დარჩა და მხოლოდ ახლახანს დაიბეჭდა.

ასეთია საერთო სურათი სვანური ენის მეცნიერული კვლევის პირველი ეტაპისა, რაც ძირითადად ტექსტებისა და ლექსიკური მასალის შეგროვებასა და პუბლიკაციაში გამოიხატა. ამასთან დაკავშირებით აკად. ვ.თოფურია დაასკვნის: „ამგვარად, სვანური დიალექტებიდან ყველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უშგულურს, ნაკლებად – ლაშხურს, ბალსზემოურს, იშვიათად – ბალსქვემოურსა და ჩოლურულს. სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექტად ლენტეხური. ესა თუ ის დიალექტი გამოცხადებული იყო მთელ სვანურ ენად. დავსძენთ, რომ არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილებელი არ არის“ (თოფურია, 2002; გვ. 151).

სვანური ენის მეცნიერული კვლევის საქმე დიდად წინ წასწია აკადემიკოსმა ნიკო მარმა, რომელიც 1911 წლიდან შეუდგა სვანურის შესწავლას და ზედიზედ გამოაქვეყნა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი: ნ.მარმა პირველმა გამოყო სვანური ენის დიალექტები, დაადგინა ბგერათმესატყვისობანი და გამოიკვლია მორფოლოგიური სტრუქტურის საკითხები. მანვე შეადგინა ვრცელი სვანურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც, სამწუხაროდ, გამოუცემელი დარჩა. გამოქვეყნდა მისი მხოლოდ მცირე მონაკვეთი (ნ.მარი, 1922). ნ.მარის რედაქციითა და მეცნიერული ხელმძღვანელობით გამოიცა აგრეთვე სვანური (ლაშხური) ტექსტები, ჩაწერილი არსენ ონიანის მიერ, და მისივე შედგენილი ბოტანიკური ლექსიკონი. ეს ტექსტები დაბეჭდილია ქართული შრიფტით, სათანადო ნიშნების გამოყენებით და სავსებით სანდოა სიზუსტის მხრივ.

სვანურის, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის საქმეში ახალი ეტაპის დასაწყისი დაკავშირებულია თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან და აქ ძლიერი ქართველოლოგიური ცენტრის შექმნასთან. ამ ცენტრში ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებას სათავეში ედგნენ პროფესორები გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე, რომელთაც მალე მხარში ამოუდგნენ მათივე აღზრდილები, ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია.

აკაკი შანიძემ დაადგინა სვანურის ორი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენის – ხმოვანთა რედუქციისა და უმლაუტის – თავისებურებანი და ამ მოვლენებთან დაკავშირებით განიხილა მორფოლოგიისა და სიტყვათნარმოების რიგი საკითხები (ა.შანიძე, 1981).

ვ.თოფურიას მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია წერილები სახელთა დაბოლოების ისტორიისა და უმლაუტის შესახებ სვანურში (თოფურია, 2002), მომდევნო ხანის ნაშრომთა შორის კი საგანგებოდ უნდა გამოიყოს მონოგრაფია „სვანური ზმნა“ (თოფურია, 1967), აგრეთვე სვანური ენის მთლიანი გრამატიკული მიმოხილვა ქართულ და რუსულ ენებზე (თოფურია, 2002).

ა.შანიძემ და ვ.თოფურიამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს აგრეთვე სვანური ტექსტების ჩაწერის, თავმოყრისა და გამოცემის საქმეში. მათ შეიმუშავეს ამ ტექსტების გამოცემის გეგმა, ზოგადი პრინციპები და ორთოგრაფიული ნორმები, შეკრიბეს და რამდენიმე ტომად გამოსცეს სვანური ხალხური პოეტური და პროზაული თხზულებანი, რომელთა ტექსტი აბსოლუტურად სანდოა სიზუსტის მხრივ და უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც დიალექტოლოგიური, ისე ფოლკლორული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით (სვანური პოეზია, I, 1939; სვანური პროზაული ტექსტები, I, 1939; II, 1957; III, 1967; IV, 1979; სვანური ენის ქრესტომათია, 1978).



ამ კრებულების შედგენისა და გამოცემის საქმეში ა.შანიძესა და ვ.თოფურიასთან ერთად მონაწილეობდნენ მათი მოწაფეები: მ.გუჯეჯიანი, ა.დავითიანი, მ.ქალღანი, ალ.ონიანი, ზ.ჭუმბურიძე.

სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა რედაქტორ-გამომცემელთა ჩანაფიქრი, რომ ტექსტებს დართვოდა ვარიანტები და ქართული თარგმანი, რაც ხელმისაწვდომს გახდიდა მათ სვანურის არმცოდნე პირებისათვის.

ზემოხსენებული გამოცემებიდან ქართული თარგმანი ახლავს მხოლოდ „სვანური პოეზიის“ ტომს, რაც დიდად ზრდის მის მეცნიერულ ღირებულებას.

იგივე ითქმის ანდაზების კრებულებზე: ალექსი დავითიანის „სვანური ანდაზები“ (ბალსქვემოურ კილოზე, ა.შანიძისა და მ.ქალღანის რედაქციით, გამოიცა 1973 წ.) და არსენ კორძაიას „ლაჰრჷკდ არი“ (ანდაზების კრებული ბალსზემოურ კილოზე, 1997 წ.), რომელთაც აგრეთვე ახლავს ქართული თარგმანი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სვანური ენის მეცნიერული კვლევა ლექსიკის შესწავლით დაიწყო (ა.გიულდენშტედტი, ი.კლაპროთი). შემდეგ ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს უმგულელმა ივანე და ბესარიონ ნიჟარაძეებმა ვრცელი რუსულ-სვანური და ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონებით, ოლივერ უორდროპმა ინგლისურ-სვანური ლექსიკონით, ჩათო გუჯეჯიანმა და ლეტას პალმაიტისმა სვანურ-ინგლისური ლექსიკონით.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ამ ლექსიკონებს შეემატა კიდევ რამდენიმე დიალექტური ლექსიკონი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პროფ. კარპევ დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი)“, რომელიც შედგენილია შვიდი ათეული წლის წინათ, მაგრამ უყურადღებოდ იყო დარჩენილი და მხოლოდ ახლახანს (2001 წ.) გამოიცა პროფ. ალ.ონიანის რედაქციით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ასლან ლიპარტელია-

ნის „სვანურ-ქართული ლექსიკონი“ (ჩოლურული კილო), გამოცემული 1994 წელს, და იზა ჩანტლაძის, რუსუდან ბაბლუანისა და ჰაინც ფენრიხის „სვანურ(ჩოლურული)-გერმანული ზმნათა საძიებელი“, სადაც სვანური ზმნის ფორმები ჩოლურულ კილოზეა წარმოდგენილი (გამოსცა იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტმა 2003 წელს).

როგორც ვხედავთ, სვანური ლექსიკის შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში ბოლო დროს გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვარლამ თოფურიასა და მაქსიმე ქალდანის ვრცელი „სვანური ლექსიკონი“, რომელიც 2000 წლის ბოლოს მიიღო მკითხველმა.

ეს ლექსიკონი ქართველ ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობის თავდადებული შრომის ნაყოფია. მასზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1936 წლიდან, როცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში დაარსდა აკად. ნ.მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სპეციალისტთა ჯგუფი სვანურ ლექსიკონზე სამუშაოდ ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით და არსენ ონიანის, მერი გუჯეჯიანისა და ალექსი დავითიანის შემადგენლობით.

სამწუხაროდ, მსოფლიო ომმა კარგა ხნით შეაფერხა სვანურ ლექსიკონზე მუშაობა და სპეციალისტთა უფროს თაობას არ დასცალდა სრულად გამოევილინებინა თავისი შესაძლებლობანი ამ საქმეში. საქმის ბოლომდე მიყვანა წილად არ ხვდა არც ამ ლექსიკონის მესვეურს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას და არც მისი საქმის გამგრძელებელს და ერთგულ მოწაფეს პროფესორ მაქსიმე ქალდანს. მათივე სიცოცხლეში სვანურ ლექსიკონზე მუშაობის ტვირთი გაინაწილეს მომდევნო თაობის მეცნიერ-მუშაკებმა: იზა ჩანტლაძემ, ელისაბედ გაზდელიანმა, კლარა გაგუამ, როენა ქკადუამ, რუსუდან ბაბლუანმა, ლამარა ბაბლუან-

მა და სხვებმა, რომელთა წვლილი სვანური ლექსიკონის შედგენის საქმეში შორს სცილდება სარედაქციო კოლეგიის რიგითი წევრების საქმიანობის ფარგლებს.

თავდადებულმა შრომამ საბოლოოდ კეთილი ნაყოფი გამოიყო და მკითხველმა მიიღო ეს დიდად საჭირო და დიდი ხნის ნანატრი წიგნი, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს ქართველ ენათმეცნიერთა თვალსაჩინო წარმატებების სერიას XX საუკუნეში.

მისი სახით მკითხველს ხელთა აქვს 900-გვერდიანი წიგნი, რომელიც მოიცავს სვანური ენის ყველა კილოს ლექსიკას (16000-მდე ლექსიკურ ერთეულს) ზუსტი განმარტებებით, საილუსტრაციო მასალით, ძირითადი გრამატიკული ფორმებით, მოკლე ენათმეცნიერული დახასიათებით.

სვანური ლექსიკის შესწავლასა და სვანურ ლექსიკონებზე საუბრისას ცალკე უნდა აღინიშნოს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები. უნდა ითქვას, რომ ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მესაძირკვლეებს – მ.ბროსეს, გ.როზენს, ალ.ცაგარელს ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ სვანურზე და ამის გამო სვანური მასალა მათ ნაშრომებში შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. შემდგომში მ.ჯანაშვილის, პ.ჭარაიას, ნ.მარის, ა.შანიძის, ვ.თოფურიას და სხვათა დაუღალავი მეცადინეობით ეს ხარვეზი შეივსო და სვანურმა მასალამ თანდათან დაიკავა კუთვნილი ღირსეული ადგილი.

ქართველურ ენათმეცნიერებაში კარგა ხანია დამკვიდრდა გ.დეეტერსის მოსაზრება ქართველურ ენათა დიფერენციაციის ეტაპების შესახებ, რომლის თანახმად სვანური ყველაზე ადრე გამოიყო წინარექართველურ პრა-ენას. ამის შედეგად სვანურის მონაცემების ხვედრითი წონა ქართველური ისტორიულ-შედარებითი კვლევის პროცესში ერთბაშად გაიზარდა და კუთვნილ ადგილზე დამკვიდრდა არნ.ჩიქობავას, კ.შმიდტის,

გ.კლიმოვის, ჰ.ფენრიხისა და ზ. სარჯველადის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში.

### ისტორიული ცნობები ქართველურ ენათა შესახებ

ქართველურ ენათა შესახებ ქართული თუ უცხოური წყაროების ანალიზისას პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ცნობები, რომელთაც იძლევა ენათა და ხალხთა განყოფილების კატალოგები, ე.წ. დიამერიზმები, სადაც ბიბლიური ნოეს შთამომავალი ხალხები და მათი ენები არის დახასიათებული და დახარისხებული (კეკელიძე, 1956, გვ. 168-182). ამ წყაროთა შორის უძველესია იპოლიტე რომაელის ქრონიკა (234/5 წ.) და იულიუს აფრიკანუსის ქრონიკა (218-235 წწ.). ორივე ამ წყაროს მიხედვით, ბაბილონის გოდოლის დაქცევის შემდეგ დარჩა 72 ხალხი და ენა, რომელთა შორის 15 იყო სამწერლობო-სალიტერატურო ტრადიციების მქონე, ცივილიზებული ენა. იქვე ჩამოთვლილია ყველა ეს ხალხი და მათი ენები.

სახელდობრ, იპოლიტე რომაელის ქრონიკაში ნათქვამია: „ხალხები, რომლებიც გაყო უფალმა ღმერთმა საკუთარი ენების მიხედვით მთელი ქვეყნიერების პირზე ორი ძმის – ვალეკისა და იეკტანის დროს, ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას, როცა აღრეული იქნა მათი ენები, ესენი არიან [... ჩამოთვლილია ეს ენები]. ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ, არიან: იბერიელები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები, ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები, იუდეველები, სპარსელები, მედიელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები“ (დობორჯგინიძე, 2007, გვ. 254-255).

სიაში მედიელები რატომღაც ორჯერ იხსენიებიან, ასე რომ, საკუთარი დამწერლობის მქონე ხალხთა რიცხვი 15-ით განისაზღვრება. როგორც ვხედავთ, ეს სია იბერიელებით ანუ ქართველებით იწყება.

იულიუს აფრიკანუსიც ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობით ჩამოთვლის დამწერლობის მქონე და არმქონე ენებს და ხალხებს. ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ წყაროებში დამწერლობის მქონე იბერიელებთან ანუ ქართველებთან ერთად იხსენიებიან დამწერლობის არმქონე ქართველი ტომები – კოლხები (ე.ი. მეგრელები და ლაზები) და სვანები. აქვე წარმოდგენილია ამ ტომების ადგილსამყოფელის განმარტება-დახასიათებაც. სახელდობრ, იულიუს აფრიკანუსის ქრონიკაში ვკითხულობთ:

„კაბადოკიელთა გადაღმა ცხოვრობენ სომხები, იბერიელები, ბებრანები, სკვითები, კოლხები, ბოსფორიელები, სანებად ნოდებული ხალხი, იგივე სანიგმები, რომლებიც განსახლებული არიან პონტომდე, სადამდეც არის აფსაროსი, სებასტოპოლისი, ისუსის ნავსადგური/ქალაქი და მდინარე ფაზისი. ეს ხალხები განსახლებული არიან ტრაპეზონამდე“ (იქვე, გვ. 262).

ეხებოდა რა ქართველი ტომების აღმნიშვნელ ტერმინებს, როგორცაა ქართვები, მეგრელები, ჭანები, სვანები, აკად. სიმონ ჯანაშია წერდა: „ეს სატომო სახელები ყველა ერთი ისტორიული ხანის პროდუქტი არ არის, ისევე, როგორც ისინი არც ერთგვარი აღნაგობისა და წარმოშობისა არ არიან. – მათი მორფოლოგიის თვალსაზრისით (და არა ფუძის ისტორიის მიხედვით) უძველესი, ზემოთ ჩამოთვლილ სახელთა შორის, არის, უეჭველად, სვანი და ჭანი“ (ჯანაშია, 1959, გვ. 1-2).

შემდეგ იქვე აღნიშნულია, რომ ტერმინი სვანი ასეთივე ფორმით (Σιάνα) ცნობილია უკვე ანტიკური მწერლობისათვის – ჩვენს ერამდე (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, §14, §19). ბერძნულმა და რომაულმა მწერლობამ იცის ამ სახელის სხვა დაწერილობანიც, რომლებიც კიდევ უფრო ახლოს დგანან ქართულთან. Σοιανσκόιλχοι (პტოლემე, გეოგრაფია, V, თ. VIII, SC, 239), Suani (პლინიუსი, Nat. hist. SC, II, 178, VI,

14), Σουάυαν (პრისკე პანიონელი, გუთების ისტორია, 41, SC, 845; გეორგიკა, I, 1961) და სხვა.

როგორც ს.ჯანაშია აღნიშნავს, ამავე სახელით იცნობენ სვანებს მეზობელი ტომებიც (ქართ. სვან-ი, მეგრ. შონ-ი, აფხ. ა-შან-უა და სხვა). ასევე უწოდებენ თავიანთ თავს თვით სვანებიც. ძვ. ქართული სუან და სვანური შუან ფონემატურად ზუსტად შეესატყვისებიან ერთმანეთს: ს და შ სისინა და შიშინა სპირანტთა შესატყვისობის ნიმუშია; ძველ ქართულში თანხმოვნის მომდევნო უ წყვილბაგისმიერ თანხმოვანს (უ-ბრჯგუს) გადმოგვცემს, რომელიც ახალ ქართულში კბილბაგისმიერმა ვ-მ შეცვალა, სვანურში კი უ უცვლელი დარჩა; ფუძისეული ა ხმოვნის უმლაუტი ა სვანურში ბოლოში მოკვეცილი ი-ს გავლენის შედეგია. კოლხურში ა-ს კანონზომიერი შესატყვისია ო, რომლის წინაც უ/ვ დაიკარგა (შუონი → შონი).

შუან ფუძე თანამედროვე სვანურში ნიშნავს სვანთა მინა-წყალს, სვანეთის მხარეს, და არა ამ მხარის აბორიგენ მცხოვრებს, ე.ი. ის ტოპონიმი და არა ეთნონიმი. ეთნონიმად იქცევა იგი მგ პრეფიქსის დართვით, სადაც გ ბაგისმიერებთან ასიმილაციით უ-ს იძლევა: მგ-შუან-ი → მუშუან (ბქ. მუშნი). მრ. რიცხვში პრეფიქსი უკვე აღარ არის საჭირო: შუან-არ („სვანები“).

ამასთან დაკავშირებით ს.ჯანაშია მართებულად შენიშნავს: „სიტყვა „შუან“ ამჟამად როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში თვით ქვეყანას, სვანეთს აღნიშნავს, მაგრამ ეს, უეჭველია, მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად იგი სატომო სახელი იყო. რა თქმა უნდა, ამის საბუთია მოცემული ფუძის სხვა წარმოებანი და ანალოგიური მოვლენები სატომო სახელების სფეროდან. ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრებაც ამასვე უჭერს მხარს“ (ჯანაშია, 1959, გვ. 2).

ქართველი ტომების, მათი ენა-კილოებისა და საცხოვრებელი ტერიტორიის აღმნიშვნელი ეთნონიმები და ტო-

პონიშები, რომლებიც საკუთრივ ქართულ წყაროებშია დაცული, ზემოხსენებულ ბერძნულ-რომაულ წყაროებთან შედარებით გვიანდელია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს „შედარებით გვიანდელი“ ათ საუკუნეზე მეტი ხნისაა და თანაც, რა დროინდელიც არ უნდა იყოს ეს ცნობები, ისინი მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩვენთვის, როგორც საკუთარი თავის წარდგენა და შეფასება ჩვენი წინაპრების მიერ.

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ცნობებს ქართველი ტომების შესახებ სპეციალური ნაშრომი უძღვნა პროფ. ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე, 2000, გვ. 21-28). რომლის დაკვირვებითაც ძველ ქართულ წყაროებში ქართველური ტომების აღმნიშვნელი ეთნონიმებიდან ყველაზე ადრე გვხვდება **მეგრელი**. სახელდობრ, ატენის წარწერაში, რომელიც 835 წლით თარიღდება, იკითხება:

„აღესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და **მეგრელთა** ერისთავთ-ერისთავთა უფალი“.

მეგრული ენისა და მეგრელთა ქვეყნის შესახებ საგულისხმო ცნობები არის წარმოდგენილი „დავით და კონსტანტინეს მარტილობაში“, სადაც მურვან ყრუს მიერ არგვეთის მთავართა წამებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ესე განაჩინა მძლავრმან წმიდათა მათოვს და თვთ აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი, და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე, და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და ალაოხრნა და უვალ და უკაცურყო ქუეყანამე მეგრელთა და აფხაზთაჲ“ (აგიოგრაფიული ძეგლები, 1971, 258).

ეს ცნობები არაბთა მეორე შემოსევის დროინდელია (737-741 წწ.), ჩვენამდე კი მოღწეულია შედარებით გვიანდელი რედაქციით, რომელიც, აკად. კ.კეკელიძის ვარაუ-

დით, დაწერილია არა უადრეს XII ს. I ნახევრისა (კეკელიძე, 1980, 538-539).

როგორც ვხედავთ, ციტირებულ თხზულებაში საუბარია მეგრულთა ქვეყანაში მდებარე ქალაქ ჯიხანქუჯზე და ჭყონდიდის სანახებზე: „რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი“. ამრიგად, აქ მოცემულია ერთი მეგრული წარმომავლობის ტოპონიმის ზუსტი ეტიმოლოგია (ჭყონდიდი – „მუხა დიდი“), მეორეს კი განმარტება არ ახლავს, მაგრამ უდავოა, რომ ისიც მეგრულია (ჯიხან-ნ-ქუჯ-ი) და „ქუჯის ციხეს“ ნიშნავს.

მეგრულ-ლაზური ლექსიკის ნიადაგზე პოულობს დამაჯერებელ ახსნას აგრეთვე ძველ ქართულ წყაროებში არაერთგზის დადასტურებული ისეთი საყურადღებო ტოპონიმი, როგორიცაა კლარჯეთის ციხე-ქალაქის სახელწოდება **არტანუჯი**. ა.შანიძის ეტიმოლოგიით, ეს სახელწოდებაც კოლხურია და „არტაანის ყურს“ ნიშნავს: არტა(ჰ)ან(იმ) (ქ)უჯი → არტანუჯი. (შანიძე, 1981, გვ. 492-493).

რაც შეეხება სვანს, სვანეთს და სვანურ ენას, ზემოთ უკვე დავიმონმეთ აკად. ს.ჯანაშიას მოსაზრება, რომ მათი ამოსავალი ფუძეა ერთ-ერთი უძველესი ქართველური ეთნონიმი **სვანი**. ეს ფუძე, ზ.სარჯველაძის გამოკვლევით, ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება XI საუკუნიდან: ნარიყვანეს ხუცესი ანასტასიოს ციხესა სუანთა სოფლისასა (დიდი სვინაქსარი, 526, 10-11, ანდერძი).

დავიმონმებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს ხსენებული ნაშრომიდან:

მე ცოდვილმან გრიგოლ **სუანმან** შემოვსწირე ყოვლადწმიდასა პორტისა ღმრთისშობელსა (Ier. – 130, 259 რ, ანდერძი);

მოსცა ქუჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი (ქართლის ცხ. I, 24);

საურმაგ... სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან



ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი (ქართლის ცხ. I, 27) და სხვა.

ამრიგად, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები ერთხმად მოწმობენ, რომ იბერიელი, კოლხი და სვანი ტომების მეტყველება შორეულ წარსულშივე ცალკე ენებად ყოფილა აღიარებული. წერილობითი წყაროებიდან ჩანს აგრეთვე, რომ იმ დროს სვანები გაცილებით მრავალრიცხოვანნი ყოფილან. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის (დაახლ. ძვ.წ.ა. 64 – ახ.წ.ა. 24 წწ.) ცნობები. ამ ცნობების მიხედვით, სვანები (Σιάνας) ყველაზე ძლიერი ტომი ჩანს დიოსკურიის მახლობელ მთიანეთში მცხოვრებ ტომთაგან (Strabo, XI, 2, 19). სტრაბონის გადმოცემით, ისინი გამოირჩევიან სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. მათ ჰყავთ „ბასილევსი“ და 300 მამაკაცისაგან შემდგარი საბჭო. საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ 200000-იანი ლაშქრის გამოყვანა, რადგან მთელი ხალხი მეომარია.

ეს ცნობა სვანების გვაროვნულ წყობილებაზე მიგვითითებს, როცა იარაღის მატარებელი ყველა მამაკაცი გამოდის სალაშქროდ და არ არსებობს განსხვავება ხალხსა და ჯარს შორისო, – ფიქრობენ ჩვენი ისტორიკოსები. (მელიქიშვილი, 1965, გვ. 50-68; საქ. ისტ. ნარკვევები, 1970, გვ. 341). მაგრამ მაინც, თუ ეს ცნობა ახლოსაა სინამდვილესთან, ეს იმას ნიშნავს, რომ სვანების რიცხვი იმ დროს სულ ცოტა ნახევარ მილიონს მაინც შეადგენდა.

### **სვანური ტოპონიმია**

ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმოკური მასალის ანალიზი. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა -**იშ(-შ)**

სუფიქსიანი ტოპონიმები, რომელთა სიმრავლითაც განსაკუთრებით გამოირჩევა სვანეთი და ლეჩხუმი.

ამ ფაქტს პირველად საგანგებო ყურადღება მიაქცია აკად. ი.ჯავახიშვილმა, რომელმაც -იმ(-შ) სუფიქსიანი სახელების სიმრავლე ლეჩხუმის ტოპონიმიაში იმით ახსნა, რომ წინათ მთელი ეს მინა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს ტომებს ეკუთვნოდაო (ჯავახიშვილი, 1951, 421). ამ დებულების სისწორეში პირველად ეჭვი შეიტანა პროფ. მ.ქალდანიამ, რომლის აზრითაც „-იმ(-შ) სუფიქსიანი ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელების შემოქმედია არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა“ (ქალდანი, 1963, 67-79).

მკვლევარს ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას აძლევს, ჯერ ერთი, -იმ(-შ) სუფიქსიან ტოპონიმთა განსაკუთრებული სიმრავლე სვანეთისა და ლეჩხუმის ტერიტორიაზე; მეორეც – ამ სახელების ლექსიკურ-სემანტიკური და მორფოლოგიური ანალიზი. სახელდობრ, ბევრი -იმ(-შ) სუფიქსიანი ლეჩხუმური ტოპონიმის ფუძეში გამოიყოფა სვანური ენის დამახასიათებელი აფიქსები: დანიშნულების სახელთა და მიმღეობის მანარმოებელი ლა-ა (ლა-ილ-აშ-ი, ლა-სური-ა-შ-ი, ლა-ბად-ა-შ-ი...), ლე-ა/ე (ლე-შკ-ა-შ-ი, ლე-ბალი-ა-შ-ი, ლე-ბარ-ე-შ-ი, ლე-მუ-შ-ი...), სახელთა მრ. რიცხვის -არ (ალ) სუფიქსი (ნაკ-არ-ეშ-ი, კარვ-ალ-ეშ-ი, ხამ-არ-ეშ-ი, გუმ-არ-ეშ-ი...) და სხვა.

საგულისხმოა, რომ ლეჩხუმის ბევრ ასეთ გეოგრაფიულ სახელს უშუალო ორეულები (ტყუპისცალები) მოეპოვება სვანეთის სხვადასხვა კუთხეში. ასეთებია, მაგალითად, ბარჯაში, ლაყოილაში, მახაში, მუაში და სხვა.

დასასრულ, საინტერესოა ნაშრომში წარმოდგენილი კონკრეტული ეტიმოლოგიური ძიებანი, რაც კვლავ ლეჩხუმური და სვანური ტოპონიმის საერთო ფესვების წარმოჩენას ისახავს მიზნად. ერთ-ერთი ასეთი სახელია ლეჩხუმური ტოპონიმი **ლახამეილაში**, სადაც მ.ქალდანი გამო-

ყოფს ხამ („ლორი“) ძირს, ლა-ა/ე დანიშნულების ფორმანტს და კნინობითის ილ სუფიქსს. სამივე ეს მორფემა სვანურია და დღესაც ფუნქციონირებს ყოველდღიურ მეტყველებაში. ამასთანავე ეს ლექსუმური ტოპონიმი თითქმის უცვლელად მეორდება მესტიის რაიონში ერთ-ერთი სოფლის (სახელად: ლა-ხამ-ულ-ა (შეადარეთ ქუთაისის გარეუბნისა და ტყის სახელწოდება სა-ლორ-ია). მესტიის რაიონშივე ცნობილია სოფელი ლახამი და ამავე სახელწოდების მდინარე. ცხადია, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა.

ანალოგიურად არის ნაწარმოები აგრეთვე ლექსუმური ჰიდრონიმი ნუდილაში, რომელიც წყაროს სახელია სოფელ საირმეში (ცაგერის რ.). მისი ფუძეა ნუდ (ნუიდ), რომელიც, მ.ქალდანისვე ცნობით, „მცირე დებიტის წყაროს“ ნიშნავს და სვანურში, როგორც წესი, მუდამ კნინობითის ფორმით იხმარება. ამრიგად, ამ ლექსუმურ ჰიდრონიმსაც შენარჩუნებული აქვს როგორც სვანური ფუძე, ისე კნინობითის სუფიქსი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და მთლიანად მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ლექსუმური გეოგრაფიული სახელის ქალდანისეული ეტიმოლოგია ძნელი გასაზიარებელია. განვიხილოთ ერთი ასეთი მაგალითი. ლექსუმში ცნობილია სოფელი ლაჯანა, რომელიც მდინარე ლაჯანურის პირას, ლაჯანურის ხეობაში მდებარეობს. აქვეა ლაჯანურჰესი და მისი წყალსაცავი. მ.ქალდანი სოფლის სახელს ასე ანაწევრებს: ლა-ჯან-ა, თუმცა ჯან ფუძის მნიშვნელობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მდინარის სახელს კი მკვლევარი ასე ანაწევრებს: ლა-ჯანურ-ი (ქალდანი, 1963, გვ. 74). სხვა თუ არაფერი, აქ ურ ბოლოსართის გამოყოფა მაინც იყო საჭირო (ლაჯანა-სთან მიმართებით), მაგრამ ჯან ფუძის მნიშვნელობის დაუდგენლად ამგვარი ანალიზიც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, ლაჯანა სულ სხვა წარმომავლობის ტო-

პონიშია. მისი ფუძეა მეგრულ-სვანური ლაჯ, რომელიც მნიშვნელოვით უდრის ქართულ „იფანს“, დასავლური დიალექტების „კოპიტს“ (მაყაშვილი, 1961, გვ. 36). ლაჯ-ის პარალელურად მეგრულში გვხვდება ლანჯ-ი, სადაც ნ ფონეტიკურ ნიადაგზე არის გაჩენილი, სვანურში კი დასტურდება - რა სუფიქსიანი ფორმა ლაჯრა („იფნარი“). ამ ფუძიდან იწარმოება მცენარეთა კრებულის სახელი, ერთი მხრივ - ლაჯ-ან-ა, მეორე მხრივ - ლანჯ-ონ-ა („იფნარი“, „კოპიტნარი“).

ონ სუფიქსს, როგორც მცენარეთა კრებულის მანარ-მოებელ ფორმანტს მეგრულში, პირველად ყურადღება მიქცია არნ.ჩიქობავამ (ქვალ-ონ-ი, ქვიშ-ონ-ი, ჭუბურ-ონ-ა, ჭველეთ-ონ-ა, ტირიფ-ონ-ა). შემდეგ გამოიკვია, რომ ამ სუფიქსის ხმოვანი ფუძისეულ ხმოვანთან ასიმილაციით სხვადასხვა სახეს იღებს: ან-ა (ლაჯ-ან-ა, ჯაპ-ან-ა...), უნ-ა (სუჯ-უნ-ა... (ჭუმბურიძე, 1975). ენ-ა (მექვ-ენ-ა... (ჭუმბურიძე, 1988, გვ. 20-22). ამ სუფიქსებით ნანარმოები ტოპონიმები გვხვდება სამივე ქართველურ ენაში. ამიტომ სესხებაზე საუბარი ამ სუფიქსების მიხედვით შეუძლებელია.

სხვაგვარი სურათია - ერ სუფიქსიან ტოპონიმებში. ნარმოშობით ესეც საერთო ქართველური სუფიქსია (იერ→იერ→ერ||ერ), მაგრამ ის როგორც ტოპოფორმანტი დამახასიათებელია მხოლოდ სვანურისათვის. ქართულ-მეგრული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე მსგავსი ნარმოების ტოპონიმები გვხვდება მხოლოდ იქ, სადაც ისტორიულად სვანი მოსახლეობის არსებობა ივარაუდება.

ერ(||ერ), დისიმილაციით ელ(||ელ), სპეციფიკური სვანური ტოპოფორმანტია, რომელიც საზოგადო სახელებში ამ სახით არ დასტურდება, მაგრამ მას უთუოდ კავშირი აქვს საზოგადო სახელთა წრ||წრ სუფიქსთან, რომელიც სვანურში ქონების სახელთა ერთ-ერთ პროდუქტიულ მანარმოებლად გვევლინება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული **ერ(||ერ)** (resp. **წრ(||არ)**) სუფიქსი წარმოშობით იგივეა, რაც ქართულში კარგად ცნობილი ქონების სუფიქსი **-იერ**. სვანურში ორი ხმოვნის შეხვედრისას ერთის დაკარგვა და მეორის დაგრძელება ჩვეულებრივი მოვლენაა.

**-ერ** ტოპოფორმანტი გამოიყოფა არაერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაში სვანეთის ტერიტორიაზე. ამ სახელებს ამჟღერად წარმოვადგენთ ქართულში გავრცელებული ფორმით.

**გვალდერი** სოფელია ზემო სვანეთში (მესტიის რ., შედის ეცერის საკრებულოში). **გვალდა** მთის სახელია მესტიისა და მულახს შორის. ამ მთიდან იღებს სათავეს პატარა მდინარე **გვალდირი**. ყველა ამ ტოპონიმის ფუძედ გამოიყოფა **გვალ**, რაც სვანურად „ბოსელს“ ნიშნავს. მისი კნინობითია **გვალდა**, საიდანაც **ერ** ალომორფის დართვით წარმოქმნილია სოფლის სახელი **გვალდერი**, ირ ალომორფის მეშვეობით კი – მდინარის სახელი **გვალდირი**.

**ტვიბერი** სოფლის სახელია მესტიის რაიონშივე (ცხუმარის საკრებულო). **ტვიბ** სვანურად „ღელეს“, „ხევს“ ნიშნავს. აქედან **-ერ** სუფიქსით წარმოიქმნება **ტვიბ-ერ**, ე.ი. „ღელიანი“, „ღელეეთი“.

**მაზერი** სოფელია ზემო სვანეთშივე, მდინარე დოღრის ხეობაში (ბეჩოს საკრებულო). ამ სახელწოდების ფუძე წარმოშობით აფხაზურ-ადიღურ ენებს უკავშირდება: ადიღურად **მაზერ** „ტყეს“ ნიშნავს, სადაც რ სახელობითი ბრუნვის ნიშანია. აღსანიშნავია, რომ სვანეთშივე სოფლის სახელად გვხვდება **მაზაშ** (ლენტეხის რ.), სადაც გამოიყოფა **აშ** ტოპოფორმანტი, ფუძე კი იგივეა, რაც **მაზერ**-ში. ამრიგად, **მაზ-ერ** ნიშნავს „ტყიანს“, **მაზ-აშ** – „ტყისას“.

**ერ** სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე ადგილის სახელებში: **კა-ერ** („ფიქალიანი“), **შდაჭლ-ერ** („მერცხლიანი“) და სხვ. ამავე სუფიქსს შეიცავს ეცერის საკრებულოში შემავალი რამდენიმე სოფლის სახელი: **ლადრერი**, **ლაშხრერი**, **ფხუ-**

**ტრერი.** ორი რაეს შეხვედრისას მოსალოდნელ დისიმილაციას აქ ადგილი არა აქვს, რადგან ასეთი რამ ბალსქვემოურს არ ახასიათებს.

**ლადრ-ერ** ნიშნავს „დედულეთს“. მისი ფუძეა **ლადჲარ** ან **ლადჲერ** – „დედული (დედის სახლი, დედის ნათესაობა)“. ეს ფუძეც წარმოქმნილი სახელია, ნაწარმოები დი („დედა“) სახელის ფუძეზე **ლა** და **ერ** (არ) აფიქსების დართვით, შემდეგ კი ამ წარმოქმნილ ფუძეზე **ერ** სუფიქსის ხელახლა დართვით მიღებულია ტოპონიმი **ლადრერი**. სხვაგვარი განმარტებით, ლადრერი ნიშნავს ადგილს, სადაც დირეებს ჭრიან (ეგნ.გაბლიანი, 23).

**ლაშხრა** ჰქვია ადგილს, სადაც რამეს აპობენ (მყოფადის მიმღობაა, წარმოქმნილი **ლა-ა** კონფიქსით). აქედან **-ერ** სუფიქსის დართვით მიღებულია სოფლის სახელი **ლაშხრერი** („საჩეხი“).

**ფხუტრერ** ტოპონიმის ძირეული მნიშვნელობა ნათელი არ არის, მაგრამ აგებულების მიხედვით აშკარაა, რომ აქაც **ერ** სუფიქსი გამოიყოფა. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ ტოპონიმებზე, როგორიცაა **დავბერი** (სოფელი კალის საკრებულოში), **შყალერი** (ლატალის საკრებულო), **ლამხერი**, **ლეშდერი** (ფარის საკრ.), **ცალერი** (ნაკის საკრ.) და იქნებ თვით **ეცერი**.

**-ერ** სუფიქსს შეიცავს აგრეთვე სოფლის სახელი **ლაშთხვერი** (ლენჯერის საკრებულო), მაგრამ აქ **-ერ** დამოუკიდებელი მატოპონიმებელი სუფიქსი კი არაა, არამედ **ლა-** პრეფიქსთან ერთად აწარმოებს საზოგადო სახელს (წარმოშობით მიმღობას: **ლა-შთხჷ-ერ** – „სამარხი“, „სასაფლაო“), რომელიც შემდეგ პირდაპირ ამ ფორმით ქცეულა ტოპონიმად. ასეთივე ვითარებაა ჭუბერის საკრებულოში შემავალი ერთ-ერთი სოფლის სახელში: **ლენფერ** (ნიფ||ნიფრა – „ნიფელი“, **ლე-ნფ-ერ** – „ნიფლნარი“). შესაძლოა ასეთივე აღნაგობისა იყოს სოფლის სახელი **ლეუშერი** (ლენტეხის რ.).

-**წრ (წრ)** სუფიქსი **ლე-** პრეფიქსთან ერთად არის წარმოდგენილი აგრეთვე ზემო სვანეთის ერთ-ერთი თემის სახელწოდებაში – **ლენჯერ**, რომლის ადგილობრივი (ბალსზემოური) ფორმაა **ლენჯწრ**. როგორც ვთქვით, აქ **ლე-** პრეფიქსია, **-წრ**, კი სუფიქსი, ხოლო ფუძე წარმოდგენილია შეკუმშული ფორმით, სადაც **წ** ფონეტიკური ჩანართია: **ლენ-წ-ჯიპ-წრ** → **ლენჯპწრ** → **ლენჯწრ**. **ჯიპ||ჯიპრა** სვანურად „მუხას“ ნიშნავს, ასე რომ, **ლენჯერი** იგივეა, რაც „სამუხეთი“, „მუხათი“ ან „მუხიანი“.

მცენარის სახელი **ჟახუ||ჟახურა** („არყი“) -ერ სუფიქსით წარმოდგენილია კიდევ ერთი სვანური სოფლის სახელში **ჟახუნდერ** (ლენტეხის რ.), ოღონდ აქ -ერ სუფიქსის წინ გამოსაყოფია აგრეთვე კნინობითის **უნდ (ცნდ): ჟახ-უნდერ** („ნორჩი არყნარი“).

ფუძისეულ **რ-**სთან შეხვედრისას სუფიქსისეული **რ** სვანურში ჩვეულებრივ (ბალსქვემოურის გამოკლებით) დისიმილაციას განიცდის, რის შედეგადაც **წრ(ერ)-ის** ნაცვლად გვაქვს **წლ(ელ)**. ამის ნიმუშებია სოფლის სახელები: **მურყმელი** (უშგულის თემი), **მურშკელი** (მულახის თემი), **არცხელი** (მულახის თემი), **მაგარდელი** (ცხუმარის თემი) და **ჭველიერი** (ჩოლურის თემი). ამათგან ეტიმოლოგიურად ნათელი აგებულებისაა **მურყმ-ელ** („კოშკიანი“; შდრ. მურყჟამ „კოშკი“) და **მურშკ-ელ** („ჭიანჭველიანი“ „ჭიანჭველეთი“; შდრ. მურშკ – „ჭიანჭველა“).

**ჭველიერ-**ში დისიმილაცია განუცდია ფუძისეულ **რ-**ს (**ჭჟერ** – „ყვავი“) და არა სუფიქსისეულს, რომელიც პირველადი სახით არის წარმოდგენილი: **ჭჟერ-იერ** → **ჭჟელ-იერ** („ყვავიანი“, „ყვავეთი“).

-**იერ** სუფიქსი ასევე სრული სახით არის დაცული მულახის თემის სოფლის სახელში: **მაჯჟდ-იერ** („შორეული“; შდრ. **ჯრდი** – „შორი“, „გრძელი“).

როგორც ვთქვით, **-წრ/-ერ** სუფიქსის ნაცვლად ზოგ ტოპონიმში წარმოდგენილია **-წრ/-ირ**, რომელიც ე ხმოვნის

დაკარგვითა და ი-ს დაგრძელებით უნდა იყოს მიღებული იმავე -იერ სუფიქსისაგან. -ირ გამოიყოფა ისეთ ტოპონიმებში, როგორიცაა შდბ-ირ („თხილიანი“, შდრ. შდბ - „თხილი“), უსგუ-ირ („ვაშლოვანი“, შდრ. უსგუ||უისგუ - „ვაშლი“), ქელ-ირ („ყვავიანი“, შდრ. ქუერ||ქერ - „ყვავი“).

ყველა ზემოხსენებული ტოპონიმი დღევანდელი სვანეთის ტერიტორიაზეა. მსგავსი აგეულების სახელწოდებანი გვხვდება სვანეთის ფარგლებს გარეთაც, იმ არეალში, სადაც სვანური სუბსტრატის არსებობა უდავო ფაქტია. სახელდობრ, -ერ სუფიქსს შეიცავს ლეჩხუმის რაიონული ცენტრის სახელწოდება ცაგერი. ცაგ სვანურად ნიშნავს „ეკალს“, ცაგ-ერ კი იგივეა, რაც „ეკლნარი“, „ეკლარა“. ლეჩხუმშივე სოფლის სახელია ცაგერა (შედის ალპანის საკრებულოში).

-ერ სუფიქსით არის წარმოდგენილი აგრეთვე სოფლის სახელი ლაჯანურის ხეობაში (ღვირიშის საკრებულოში) - უცხერი, რომლის ფუძეა უცხ||უიცხ („მსხალი“). შეადარეთ სოფლის სახელები: სხლოვანი (თიანეთის რ.) და სხლითი (ზნაურისა და ხარაგაულის რ-ები).

-ერ სუფიქსით არის წარმოქმნილი ლეჩხუმის კიდევე ერთი სოფლის სახელი ისუნდერი (ცაგერის რ. ზუბის საკრებულო), რომლის ფუძეა მცენარის სახელი ისლ-ი||ისრ-ი (მეგრ. ისირ-ი) სვანურ კნინობითის - უნდ სუფიქსითურთ: ისრ-უნდ-ერ → ისუნდერ (შდრ. ზემოთ განხილული უახუნდ-ერ). მართალია, ეს სიტყვა დღეს სვანურში არ დასტურდება არცერთი ფონეტიკური ვარიანტის სახით (ისლ||ისრ||ისირ), მაგრამ ადრე რომ უნდა არსებულებო, ამას მოწმობს სწორედ ტოპონიმისეული კნინობითის -უნდ და მატოპონიმებელი -ერ ფორმანტები.

დასავლეთ საქართველოს არაერთ გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა მატოპონიმებელი პრეფიქსები ლა- და ლე-სხვადასხვა სუფიქსთან ერთად ან უსუფიქსოდ. ზოგადად თუ ავიღებთ, ასეთი ტოპონიმი, წარმოშობით შეიძლება



კოლხური იყოს, შეიძლება – სვანური. ასეთ შემთხვევაში მათი წარმომავლობის საკითხი ძირეული მორფემის მიხედვით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, ბუნებრივია **ლან-ჩხუთ**-ის ფუძედ მივიჩნიოთ კოლხური **ჩხოუ** („ძროხა“, ე.ი. **ლა-ნ-ჩხუ-თ-ი**=„ბოსელი“) და არა სვანური **ჩხგტ** („კენჭი“: **ლა-ნ-ჩხგტ** – „საკენჭი“, „კენჭებიანი“, „ქვიანი ადგილი“). სამეგრელოს მთიანი კურორტის სახელი **ლებარდე** კი წარმოშობით სვანური ჩანს: ბარდ – „სურო“, ლე-ბარდე – „სუროიანი“ (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ სამეგრელოს სოფლის სახელი – **სუჯ-უნ-ა** – „სუროიანი“). მსგავსი აგებულებისაა სოფლის სახელი **ლე-შკედ-ა** (ცაგერის რ.) – „ჩრდილიანი“ (**შკედ|შკედ** სვანურად „ჩრდილს“ ნიშნავს).

კიდევ უფრო საინტერესოა თვით იმ კუთხის სახელწოდება, სადაც ზემოთ განხილული ტოპონიმების უმეტესობა მდებარეობს: **ლე-ჩხუმ**-ში გამოიყოფა **ლე**- ტოპოფორმანტი და **ჩხუმ** ძირი, რომელსაც სპეციალისტები სხვადასხვაგვარად ხსნიან: ზოგის აზრით აქ ჩვენ გვაქვს კოლხური სიტყვა **ჩხომი** – „თევზი“, ე.ი. ლეჩხუმი ნიშნავს „სათევზაო ადგილს“. სხვები ფიქრობენ, რომ **ჩხუმ** იგივეა, რაც სვანური **ცხუმ** – „რცხილა“. მაშასადამე, ლეჩხუმი „რცხილნარს“ ნიშნავს. მესამე შეხედულების მიხედვით, იგი უკავშირდება ძველ სატომო სახელწოდებას (ეთნონიმს), რომელიც დაცულია აგრეთვე სოხუმის ადრინდელ სახელწოდებაში – **ცხომი|ცხუმი**. რომელია ამათგან სწორი, ან შეიძლება თუ არა, რომ ლეჩხუმს სრულიად სხვაგვარი ახსნა მოეძებნოს, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული, მაგრამ ის კი ნათელია, რომ თავსართი **ლე** ამ ეთნონიმის სვანურობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

დასასრულს დავასახელებთ კიდევ რამდენიმე სახელს დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიიდან, რომელთა ეტიმოლოგიაც მხოლოდ სვანური ენის მონაცემთა გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

**კაცხი** სოფელია ზემო იმერეთში, ჭიათურის მახ-

ლობლად. მისი აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: „დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე. ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი“. ეს უცნაური კლდე, როგორც ვახუშტი აღწერს, სვეტივით არის აღმართული. სოფლის სახელწოდება სწორედ ამ კლდეს უკავშირდება. კაცხ სვანურად ნიშნავს „წვეროს“, „თხემს“. ეს სახელი სვანეთშიც ჰქვია ერთ სოფელს.

ლები ჰქვია სოფელს ზემო რაჭაში (ონის რ.) ღუებ||ლებ სვანურად ფუტკრის ბინას, სკას აღნიშნავს. ამ ფუძიდან არის ნაწარმოები სვანეთის სოფლების სახელწოდებანი: **ღვებალდი**, **ღვებრა** (მესტიის რ.) და **ლობი** (ლენტეხის რ.).

სკოდორი ჰქვია მდინარე რიონის ერთ მონაკვეთს ონსა და ამბროლაურს შუა, სადაც ხეობა განსაკუთრებით ვიწროა და მდინარის კალაპოტი ღრმაა. სკოდი სვანურად სწორედ „ღრმას“ ნიშნავს, ორ კი მატოპონიმებელი სუფიქსია, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. ასე რომ, სკოდორი აშკარად სვანური წარმოშობის ტოპონიმია და ნიშნავს „ღრმა ადგილს, / „ღრმულს“.

საფიქრებელია, რომ იგივე ფუძეა შემონახული მდინარის სახელწოდებაში კოდორი, რომელსაც თავკიდური ს თანხმოვანი მოკვეცილი აქვს (შდრ. მტკუარი → კურა).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთის და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში აშკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ. ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც, მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: **ხუმარი** (შდრ. ცხუმარი), **უშკალანი** (შდრ. უშკულ), **ლაშკუტა** და სხვა (ლავროვი, 1956, გვ.78).

აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ტოპონიმიკუ-

რი ძიებით გატაცებული ზოგი მკვლევარი მეტიმეტად აფართოებს სვანთა ისტორიული განსახლების სავარაუდო ტერიტორიას და შესაძლებლად მიაჩნია მის ფარგლებში მოაქციოს არა მარტო დასავლეთ საქართველოს ბარი, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიც არაგვისა და დარიალის ხეობების, ალაზნის აუზის, გარდაბნისა და ლაგოდეხის მიდამოების ჩათვლით.

ასეთი საკითხების გარკვევისათვის არ კმარა მხოლოდ ცალკეული ტოპონიმების ეტიმოლოგიური კვლევა, ისიც ბგერათა შემთხვევითი მსგავსების დონეზე.

# ფონეტიკა

მსოფლიოს სხვა ენების მსგავსად ქართველურ ენებში ბგერითი სისტემა იყოფა ორ ძირითად კლასად – ხმოვნებად და თანხმოვნებად. ამათგან ხმოვნები ქართულსა და კოლხურში (მეგრულ-ლაზურში) შედარებით მარტივი და მცირერიცხოვანია, თანხმოვნები კი – გაცილებით რთული და მრავალრიცხოვანი. ამ ფონზე სვანური გამოირჩევა როგორც თანხმოვნების, ისე ხმოვნების სიმრავლითა და ნაირფეროვნებით. ამ ძმრივ სვანური დიალექტებიც თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათ შორის მიჯნების დადგენისათვის ძირითადია სწორედ ხმოვანთა შორის არსებული განსხვავებანი.

როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა სისტემა სვანური დიალექტებიდან ყველაზე სრულად და მკაფიოდ წარმოდგენილია ბალსზემოურში. ამიტომ მკვლევარნი ამ სისტემის დახასიათებისას საყრდენად სწორედ ბალსზემოურ კილოს ირჩევენ. (მანიძე, 1981, გვ. 322; თოფურია, 2002, გვ. 156; ულენტი, 1949, გვ. 7; მაჭავარიანი, 1963, გვ. 143-144).

## ხმოვანთა კლასიფიკაცია

ბალსზემოური კილოს მიხედვით სვანური ვოკალიზმის შემადგენელი ნაწილებია:

6 მარტივი (სადა) ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, ვ;

6 გრძელი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, ვ;

3 უმლაუტიანი ხმოვანი: ა, ო, უ;

3 უმლაუტიანი გრძელი ხმოვანი: ა, ო, უ.

დამატებით გამოყოფენ კიდევ იოტირებულ (პალატალიზებულ) ხმოვნებს: **ჲე** (ჲერუჲე – „ვინც“, ჲემდ – „ათი“...) და **ჲგ** (ჲგრუი – „მწვანე“, ჲგრთხილ – „ციდა“, ჲგგემ – „აგებს“....) (ულენტი, 1949, გვ. 11-12; 17-19). მაგრამ ისინი მოკლებული არიან დამოუკიდებელ ფონემურ ღირებულებას, მათი ხმარება სპორადულია და ამიტომ მკვლევართა უმეტესობას არც შეაქვს სვანურ ფონემათა სათვალავში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, ბალსზემოური კილოს მიხედვით სვანურში 18 ხმოვანია. ლაშხურში ეს რიცხვი 12-მდე მცირდება (6 მარტივი და 6 გრძელი ხმოვანი), ბალსქვემოურსა და ლენტეხურში კი 9-9 ხმოვანი გვაქვს (6 მარტივი და 3 უმლაუტიანი).

6 მარტივი ხმოვნიდან, რომლებიც საერთოა სვანურის ყველა კილოსათვის, 5 ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ) სხვა ქართველურ ენებშიც გვხვდება და ამასთანავე დამახასიათებელია მათი ყველა კილოსათვის. ამის მიხედვით ჩანს, რომ ისინი საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე ხმოვნებია. ამასვე ვერ ვიტყვით მეექვსე ხმოვანზე (ჟ), რომელსაც ნეიტრალურ („ირაციონალურ“) ხმოვანს უწოდებენ. ეს ხმოვანი, გარდა სვანურისა, გვხვდება მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყანულ მეგრულში. ის არ ახასიათებს არც სენაკურ-მარტვილურ მეგრულს, არც ლაზურს და, რაც მთავარია, უცხოა როგორც სალიტერატურო ქართულისათვის, ისე ქართული დიალექტებისათვის. ამის მიხედვით ივარაუდება, რომ 6 ხმოვანი საერთო-ქართველური ფუძე-ენის კუთვნილება არ უნდა ყოფილიყო. მის შესახებ აკად. ა.შანიძე წერდა: „სვანურში მოიპოვება აგრეთვე 6 ხმოვანიც, მაგრამ მისი ძირითადად მიჩნევა საცილობელია: როგორც გვიჩვენებს დაკვირვება ზოგიერთ ენებზე, რომელთაც იგი მოეპოვებათ (აფხაზური, სომხური, თვით სვანური), იგი მრავალ შემთხვევაში სხვა ხმოვანთა რედუქციის შედეგია და ხშირად აგრეთვე ერთად თავმოყრილ თანხმოვანთა გამოთქმის გასაადვილებლად განვითარებული მეორეული ხმოვანი“. (შანიძე, 1981, გვ. 321-323).

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სვანურში 6, რასაკვირველია, მკაფიოდ გამოკვეთილი დამოუკიდებელი ხმოვანია, რომელიც თავისი არაპალატალურობით უპირისპირდება ი ხმოვანს, არალაბიალურობით – უ ხმოვანს, ხოლო მინიმალური ღიაობით – ა ხმოვანს. 6 გვხვდება სიტყვის თავშიც, შუაშიც, ბოლოშიც: გგემ||ჯგემ („აშენებს“), გრმი||ირმი („იჭერს“), ბღღე („ღვრის“), ბგგი („მა-

გარი“), ზემოთ („ოდნავ“, „ცოტათი“), მეხარ („ხვალ“), წერნი („წითელი“), ბგლდგ („ჩაჩანაკი“) და ა.შ.


გ გვხვდება როგორც ფუძეში, ისე პრეფიქსსა და სუფიქსში: მგ-ქვრთუელ („ქართველი“), მგ-მლახ („მულახელი“), ლგ-ჩრეე („ცოლიანი“), ლგ-ჩაჟ („ცხენოსანი“), . ჩაჟ-გლდ („ცხენუკა“) და სხვა.

გრძელხმოვნთან დიალექტებში გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელი გ (გ): ბგდნი („იღვრება“), ლიზგლწლ („ამაყოფა, ზვიადობა“), ძღგლ („ბავშვის ტირილი – ღნავილი“) და სხვა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გ ხმოვანი სვანურში (და ასევე მეგრულში) განცალკევებით დგას და სხვა მარტივ ხმოვნებთან შედარებით გვიან გაჩენილი უნდა იყოს.

სვანურ ხმოვანთა სისტემას ახასიათებს ოთხი არტიკულაციური დიფერენციალური ნიშანი: 1. ლოკალური რიგი; 2. ენის ანეულობა; 3. ბაგისმიერობა – არაბაგისმიერობა; 4. სიგრძე-სიმოკლე. პირველი სამი ნიშნის მიხედვით ხმოვანთა ოპოზიციას ადგილი აქვს სვანური ენის ოთხივე დიალექტში, სიგრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირება კი დამახასიათებელია მხოლოდ გრძელხმოვნის დიალექტებისათვის – ბალსზემოურისა და ლაშხურისათვის (ონიანი, 1998, გვ. 16).

ბალსზემოური დიალექტის ხმოვანთა დაპირისპირებას ასახავს გ.მაჭავარიანის მიერ აგებული სქემა, რომელიც კუბის სახეს ატარებს:



შემდგენელი ამ სქემას ასეთ განმარტებას ურთავს: „თითოეული ფერდის კუთხეებში მოთავსებული ფონემები მოპირდაპირე ფერდის კუთხეებში მოთავსებულ ფონემებს უპირისპირდებიან ერთი და მხოლოდ ერთი დისტინქციური ნიშან-თვისებით. მარცხენა ფერდის კუთხეებში განლაგებული ხმოვნები უპირისპირდებიან მარჯვენა ფერდის კუთხეებში განლაგებულ ხმოვნებს ლაბიალურობის ნიშნის მიხედვით: ო-ა, ო-ა, უ-ი, უ-ე; წინა ფერდის კუთხეებში მოთავსებული ხმოვანი ფონემები უპირისპირდებიან უკანა ფერდის კუთხეებში მოთავსებულთ პალატალურობის ნიშნის მიხედვით: ო-ო, უ-უ, ა-ა, ი-ე; ბოლოს, ქვედა კუთხეებთან გამოსახული ფონემები უპირისპირდებიან ზედა კუთხეებთან გამოსახულ ფონემებს ლიაობის ნიშნის მიხედვით: ო-უ, ო-უ, ა-ი, ა-ე“ (მაჭავარიანი, 1963, 143-144).

იქვე ნათქვამია, რომ სქემა ასახავს აგრეთვე სისტემის ასიმეტრიულობასაც: /ე/ ხმოვანი ფონეტიკურად წინა რიგისაა (პალატალურია), მაგრამ ეს მისი თვისება ფონოლოგიურად არაარსებითია: „ფონოლოგიური თვალსაზრისით /ე/ ხმოვანი შეიძლება დავახასიათოთ როგორც არალაბიალური ხმოვანი ფონემა, რომელსაც ლიაობის ნიშნის მიხედვით საშუალო ადგილი უჭირავს /ა/ და /ი/ ხმოვნებს შორის“.

## უმლაუტი

უმლაუტი ანუ ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია სვანურში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. „ეს ასიმილაცია სვანურში არ არის ოლონდ ისეთი, როგორც მოიპოვება თურქულ ენებში, სადაც ხმოვანთა დამსგავსება პროგრესიულია და ხმოვანთა ჰარმონიის სახელით არის ცნობილი, არამედ თავისი ბუნებითა და თვისებით უფრო გერმანულს მოგვაგონებს, სადაც, ისე როგორც სვანურში, ასიმილაცია რეგრესულია“ (შანიძე, 1981, 323).

როგორც უკვე ვთქვით, სვანურში უმლაუტი მოუდის

სამ მარტივ ხმოვანს ( ა, ო, უ ) და სამივე ამ ხმოვნის გრძელ სახეობას ( აა, ოო, უუ ). გრძელი უმლაუტიანი ხმოვნები ახასიათებს მხოლოდ ბალსზემოურ კილოს, მარტივი უმლაუტიანი ხმოვნები კი გვხვდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში; ლაშხურისათვის უმლაუტიანი ხმოვნები საერთოდ უცხოა.

უმლაუტიების მიხედვით მეტ-ნაკლები თავისებურებანი ყველა კილოშია, მაგრამ მათი დეტალური ანალიზი ამჟამად ჩვენს მიზანს სცილდება და მხოლოდ ზოგად სურათს წარმოვადგენთ.

უმლაუტი სვანურში შედარებით გვიან იქნა შენიშნული. ეს, ერთი შეხედვით, გასაკვირია, რადგან სვანური ენის პირველი მკვლევრები გერმანელი მეცნიერები იყვნენ (ი.გიულდენშტედტი, გ.როზენი), რომელთათვისაც უმლაუტი მშობლიური ენის დამახასიათებელი მოვლენა იყო. მიზეზი გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მკვლევართა სვანი ინფორმატორები ლაშხური კილოს წარმომადგენლები ყოფილან, კილოსი, რომელსაც უმლაუტიანი ხმოვნები არ მოეპოვება.

აღსანიშნავია, რომ უმლაუტიანი ხმოვნების არსებობა სვანურში შეუმჩნეველი არ დარჩენია სვანური ენის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის თვალსაჩინო მკვლევარს ბესარიონ ნიჟარაძეს.

ბ.ნიჟარაძის ლექსიკონში (ავტოგრაფში) უმლაუტიან ა ხმოვანს მარტივი ა-საგან გასარჩევად თავზე ერთი ნერტილი აზის; მაგ.: „არშიყი ლელაჲт ВЛЮБЛЕННЫИ; „არჩვი ერსკანь серна“; „ასაკი ჰასაკ ლიცხემ рост, возраст“...

გრძელ ხმოვნებს ბ.ნიჟარაძე თავის ლექსიკონში გადმოგვცემს ასოს გამეორებით; უმლაუტიანი გრძელი ა გადმოცემულია აა დაწერილობით: „ამობერა ჟილიბაალე ВЗДУТЬСЯ“; „ცხენი ჩააჲ конь, лошады“.

რაც შეეხება უმლაუტიან ო-სა და უ-ს, ისინი ბ.ნიჟარაძის ლექსიკონში გადმოცემულია ვე (=ჟე) და ვი(=ჟი) ასოებით,



ასეთ შემთხვევაში კი რაიმე სპეციფიკური ნიშანი უმლაუტიისთვის საჭირო არ არის.

ერთი სიტყვით, ა და ზ უმლაუტიანი ხმოვნებისათვის სვანურში პირველთაგანს ბ.ნიჟარაძეს მიუქცევია ყურადღება, თუმცა უმლაუტი როგორც გარკვეული ფონეტიკური მოვლენა მას არ შეუსწავლია.

შემდგომში სვანურ უმლაუტიან ხმოვნებზე ყურადღება გაამახვილა ნ.მარმა, რომელიც ამ ხმოვნებს უმლაუტის ნიშნად თავზე ორ წერტილს უსვამდა (მსგავსად გერმანული ალფაბეტისა) და უფროს კოლეგასაც (ბ.ნიჟარაძეს) ურჩევდა ასევე მოქცეულიყო, მაგრამ, რაც მთავარია, სვანური უმლაუტის ბუნების ახსნა ვერც ნ.მარმა შეძლო. ეს პატივი წილად ხვდა იმ დროს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელოვან მეცნიერს აკაკი შანიძეს.

ა.შანიძის ნაშრომი „უმლაუტი სვანურში“ წაკითხული იქნა მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1925 წლის ივნისში, შემდეგ კი იმავე წელს დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „არილი“.

ა.შანიძემ დაადგინა, რომ უმლაუტი სვანურში ე და ი ხმოვანთა გავლენის შედეგია. ისინი როგორც ვიწრო ხმოვნები ნანილობრივ იმსგავსებენ და ავიწროებენ წინამავალ ხმოვნებს – ა-ს, ო-სა და უ-ს (ბალსზემოურში აგრეთვე ა-ს, ო-სა და უ-საც). გავლენისათვის აუცილებელია, რომ ამ ხმოვნების შემცველ მარცვალს უშუალოდ მოსდევდეს ე-ს ანდა ი-ს შემცველი მარცვალი, სადაც ეს ე ან ი შესაძლოა არც კი ჩანდეს – დაკარგული იყოს რედუქციის გზით.

როგორც ე-სა და ი-ს მაუმლაუტებელი ძალა, ისე ა, ო და უ ხმოვანთა ასიმილაციის ხარისხი სხვადასხვაა: მეტი მაუმლაუტებელი ძალა აქვს ი-ს, რომელიც – გრძელია თუ მოკლე, ძირისეულია, პრეფიქსული თუ სუფიქსური, რედუქცირებულია თუ არა, – მაინც აუმლაუტებს წინამავალ

ხმოვანს, ა იქნება ის, ო თუ უ (resp. ზ, რ, ზ; ე კი მხოლოდ მაშინ იწვევს უმლაუტს, როცა გრძელი არ არის, მისი გავლენა უპირატესად ა-ზე ვრცელდება და ისიც მაშინ, თუ თვითონ დაკარგულია რედუქციის ძალით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს.

სვანურად მარე („კაცი“) ამ ფორმით გვხვდება გრძელხმოვნიან დიალექტებში – ბალსზემოურსა და ლაშხურში. რატომ არის აქ ზ უმლაუტოდ? ლაშხურის უმლაუტობა თავისთავად გასაგებია, ბალსზემოურში კი ზ ხმოვანი უმლატოა იმიტომ, რომ მისი გაუმლაუტება მომდევნო ე-ს მხოლოდ რედუქციის შემთხვევაში შეუძლია, უამისოდ კი – არა (იშვიათი შემთხვევის გარდა). ამავე მიზეზით აიხსნება ა-ს უმლაუტობა ბალსქვემოურში (მარე). რაც შეეხება ლენტეხურს, სადაც იგივე უმლაუტო ფორმა გვაქვს, აქ ე, ჩვეულებრივ, ურედუქციოდაც იწვევს წინამავალი ხმოვნის უმლაუტს, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს ხმოვანი წარმოშობით გრძელი არ არის (ე.ი. გრძელი არ არის ბალსზემოურსა და ლაშხურში). მარე-ში, როგორც ვხედავთ, ეს პირობა დაცული არაა და ამიტომ უმლაუტიც არ იყო მოსალოდნელი.

ფონემური სტრუქტურით მსგავსი სიტყვაა ბალე („ფოთოლი“), არაგრძელი ხმოვნით, რაც განაპირობებს ა-ს უმლაუტიანობას ლენტეხურში (ბალე).

ლადელ („დღე“) სიტყვას კილოთა უმეტესობა სახელობით ბრუნვაში უმლაუტოდ წარმოგვიდგენს, ნათესაობითში კი – უმლაუტით (ლადელ-იმ). ლენტეხურში ორივე ფორმა უმლაუტიანია (სახ. ლადელ, ნათ. ლადელ-იმ). ეს იმიტომ, რომ ლენტეხურში ე ურედუქციოდაც იწვევს უმლაუტს.

ლადელ არსებითი სახელისაგან წარმოებულია ზმნისართი ლადი (← ლნტ. ლადელი -- „დღეს“), რომელიც ყველა კილოში უმლაუტიანია, გარდა ლაშხურისა. ეს ი-ს მეტი მაუმლაუტებელი ძალის მაჩვენებელია, მაგრამ ო და უ ხმო-

ვნებს ურედუქციოდ ვერც ი აუმლაუტებს, როგორც ეს ჩანს ასეთი მაგალითებიდან: ტული („იძახის“, „ამბობს“) – ტულდა (← ტული-და – „იძახოდა“, „ამბობდა“); ხაყლუნი („ეშინია“) – ხაყლუნდა (← ხაყლუნი-და – „ეშინოდა“) და სხვა.

გვხვდება სანინაალმდეგო შემთხვევებიც, როცა ი ურედუქციოდაც იწვევს წინა ო და უ ხმოვნების უმლაუტს: ქორნილ → ქურნილ, ურია → უირიამ, ბზ. უდილ („და ძმი ათვის“) – ბქ. უიდილ და სხვა.

ასევე გვხვდება შემთხვევები, როცა ო და უ ხმოვანთა უმლაუტი გამონვეულია მოკვეცილი ე ხმოვნის გავლენით: ღონე → ღუნე, მონმე → მენუმ, სამოთხე → სამეთხ, მლორე → ღორ... უქმე → უქიმ, ბუდე → ბიდ, მომსახურე – მომსახურ...

ა.შანიძეს ეკუთვნის საგულისხმო დაკვირვება უმლაუტიან ა-ნთან (ან) დაკავშირებით: „როცა მას წინ უძღვის ერთ-ერთი ამ გუტურალთაგანი: კ გ ქ (კან, გან, ქან, კან, გან, ქან), მათ უთუოდ იოტაციას უჩენს: კან, გან, ქან, კან, გან, ქან (შანიძე, 1981, 324). მანვე დაამკვიდრა წესი, რომ სვანური ტექსტების ჩანერისა თუ დაბეჭდვის დროს იოტაცია ასეთ შემთხვევაში არ გამოიხატოს არავითარი ნიშნით, რადგანაც იგი ხსენებულ გუტურალთა შემდეგ პალატალი ა-ნის წინ ყველგან და ყოველთვის უთუოდ იგულისხმება.

მაშასადამე, სადაც კი გ, ქ ან კ თანხმოვნის შემდეგ ა გვხვდება, მათ შორის უთუოდ იგულისხმება ა: განზ („განძი“), განჭუ („ანწი“), გარგლა („ლაპარაკი“), გან („დანა“), კამბერ, კაჭ („კაჟი“), ქარჩ („ქერტილი“), ქაჯ და სხვა ამგვარ სიტყვებში ა დაახლოებით ისე ნაიკითხება, როგორც რუსული Я: განჭუ, გარგლა და ა.შ.

ა.შანიძის ნაშრომს სვანურ უმლაუტზე სულ მალე მოჰყვა ვ.თოფურიას ფრიად საყურადღებო გამოკვლევები: „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ და „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“.

პირველ ნაშრომში ავტორმა, ა.შანიძის მიერ დადგინლ

კანონზომიერებებზე დაყრდნობით, ახსნა, თუ რით იყო გამონკვეული ზოგი ფუძის უმლაუტიანობა და ზოგის უუმლატობა სახელთა ბოლო დახურულ მარცვალში, რის მიხედვითაც ხდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -იშ და -აშ ალომორფთა განაწილება სვანურში (-იშ – უმლაუტიანებში, -აშ – უუმლაუტოებში). გაირკვა, რომ ბოლო დახურულ მარცვალში უმლაუტის არმქონე სახელები წარმოშობით ხმოვანფუძიანები იყვნენ და სწორედ ამ ბოლოკიდურმა ხმოვანმა დაიცვა ფუძის წინა ნაწილი უმლაუტისაგან.

მეორე ნაშრომი აზუსტებს ა.შანიძის მიერ დადგენილ კანონს, რომ უმლაუტი სვანურში ი და ე ხმოვანთა გავლენის ნაყოფია. ვ.თოფურიას დაკვირვებით, მეორეულ ე და ი ხმოვნებს, რომლებიც ო და უ ხმოვანთა უმლაუტის გზით არიან მიღებული ( ო>უე>ე; უ>უი>ი), თავის მხრივ უმლაუტის გაჩენა არ შეუძლიათ (საპრნ>საპენ, ჭაბუკ>ჭაბიგუ ).

ზოგ შემთხვევაში უმლაუტი სვანურში სულ სხვა გზითაა მიღებული. სახელდობრ, ვ.თოფურიამ გაამახვილა ყურადღება ისეთ შემთხვევებზე, როცა უმლაუტიანი ა ე-საგან არის მიღებული და მას უმლაუტისაგან გასარჩევად აბლაუტი ეწოდა.

ფაქტი სწორად იყო შენიშნული, მაგრამ მისი ახსნა დიდხანს ვერავინ შეძლო, თუმცა ამ საკითხით არაერთი მკვლევარი დაინტერესდა (გ.ახვლედიანი, ს.ჟლენტი, თ.შარაძენიძე, თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, გ.კლიმოვი, კ.შმიდტი და სხვა).

საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა და მეტად მნიშვნელოვანი, დამაჯერებელი შედეგები მოიპოვა პროფ. ნაქსიმე ქალდანმა, რომელმაც დაადგინა, რომ სვანურ უმლაუტებში შეინიშნება ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული ორი სახე: 1. უმლაუტი, რომელსაც მომდევნო მარცვლისეული ე და ი ხმოვნები იწვევდნენ და 2. უმლაუტი, რომელსაც მომდევნო პოზიციისეული ა და უ განაპირობებდნენ. პირველს

მკვლევარმა უწოდა წინა მიმართულების უმლაუტი, მეორეს – უკანა მიმართულების უმლაუტი, რაკი პირველ შემთხვევაში უმლაუტს განიცდიან უკანა წარმოების ა, ო, უ ხმოვნები წიგნა რიგის ი და ე ხმოვნების გავლენით, ე.ი. საუმლაუტო ხმოვნების არტიკულაცია წინ მოინევეს მეუმლაუტე ხმოვნების არტიკულაციის მიმართულებით. ამისგან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში უმლაუტი მოსდით წინა რიგის ე და ი ხმოვნებს უკანა რიგის ა ხმოვნისა და ჟ სონანტის გავლენით, ე.ი. საუმლაუტო ე და ი ხმოვნების არტიკულაცია უკან მოინევეს მეუმლაუტე ბგერების არტიკულაციის მიმართულებით (ქალდანი, 1969, გვ.160).

ა.შანიძის, ვ.თოფურიას და მკვლევართა უფროსი თაობის დაკვირვების ობიექტი იყო უმლაუტის პირველი სახეობა, ანუ წინა მიმართულების უმლაუტი. მათთვის ცნობილი იყო მეორე სახის უმლაუტის ცალკეული შემთხვევები, მაგრამ უმლაუტად არ მიიჩნევენ მას. მეორე სახის, ე.ი. უკანა მიმართულების უმლაუტის გამოვლენა სვანურში და მისი დეტალური ანალიზი ძირითადად მ.ქალდანის დამსახურებაა.

უკანა მიმართულების უმლაუტის თვალსაჩინო მაგალითებია სვანურში ქართულიდან ნასესხები ებ-ა დაბოლოებიანი სიტყვები, რომელთა ნიმუშებიც ბევრია მ.ქალდანის წიგნში: დიდაბ (<დიდება), განცხდაბ (<გამოცხადება=„ნათლისღება“), ანლდაბ (<ამალღება), ხარაბ (<ხარება), ქონაბ (<ქონება), გონაბ (<გონება=„დარდი“), მოგაბ (<მოგება), ნაბ (<ნება), ზირაბ (<ზიარება) და ა.შ.

დასახელებული სიტყვები ამ ფორმით გვხვდება ბალს-ზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებში, ლაშხურში ისინი დაცულია ებ დაბოლოებით (უმლაუტიანი ხმოვნების უქონლობის გამო), ლენტეხურში კი აბ დაბოლოებით (რითაც ე-ს გაფართოების პროცესი ბოლომდეა მიყვანილი).

ო დაბოლოებიანი ქართული სახელი სვანურში სესხებისას ამ დაბოლოებას ჟ-დ იცვლის (რედუქცია), ჟ კი წინა მარცვლის ე ხმოვანს ა-დ აქცევს (უკანა მიმართულების

უმლაუტი): აზუ (ბზ. ჰაზუ, ლმზ. ჟეზუ). ანალოგიური მაგალითია: გემო → გამ (უ იკარგება ბაგისმიერი მ-ს მეზობლად). ანალოგიური ფონეტიკური მოვლენები ხდება აგრეთვე ნა-სესხებ სიტყვაში სათითურ-ი: სათითურ (ლმზ.) > სათეთურ (ბქ.) > სათათურ || სათათურ (ბზ.) > სათათ (უშგ.).

წინა და უკანა მიმართულების უმლაუტის ბუნების ახსნა საშუალებას იძლევა ღრმად ჩავიხედოთ სვანური ენის ისტორიაში.

### გრძელი ხმოვნები

სვანურს, ქართულისა და მეგრულ-ლაზურისაგან განსხვავებით, მოეპოვება გრძელი ხმოვნები. დღეისათვის, როგორც უკვე ითქვა, გრძელი ხმოვნები გვხვდება სვანურის ორ კილოში – ბალსზემოურსა და ლაშხურში, დანარჩენი ორი კილოსათვის – ბალსქვემოურსა და ლენტეხურისათვის კი გრძელი ხმოვნები ამჟამად უცნობია. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: „განვითარებულია სიგრძე სვანურის ორ კილოში, თუ დაკარგულია იგი ორ სხვაში?“ (შანიძე, 1981, გვ. 367).

როგორც ა.შანიძე შენიშნავს, „ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ იმ კილოებს, რომელთაც ამჟამად სიგრძე არ მოეპოვებათ (ე.ი. ბალსქვემოურსა და ლენტეხურს) და ვნახოთ, როგორ ეპყრობიან ისინი იმ ხმოვნებს, რომლებიც სხვა კილოებში მოკლედ და გრძლად არის წარმოდგენილი“. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, მოპყრობა სხვადასხვანაირია. სახელდობრ, ა.შანიძის დაკვირვებით, ლენტეხურში უმლაუტი ფუძისეულ ა-ნს მაშინ მოსდის, თუ იგი ბალსზემოურსა და ლაშხურშიც მოკლეა, და თუ იქ გრძელია, მაშინ – არა“. მაგალითად, ერთი მხრით გვაქვს: ადგარი (კლავს), აშტრანი (გრეხს), მეორე მხრივ: ალაში, ბზ. ალაში (თესავს), აშკადი, ბზ. აშკადი (ჭედს) და სხვანი (შანიძე, 1981, გვ. 366-367).

ამ დაკვირვების საფუძველზე გრძელი ხმოვნების არ-

სებობის საკითხი ლენტეხურ კილოში ისტორიულ ჭრილში დადებითად წყდება, რაც შეეხება ბალსქვემოურს, იგი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენს წარმოშობით გრძელი და მოკლე ხმოვნების მიმართ რედუქციის პროცესში: „ბალსქვემოურში რედუქცია იმ ხმოვნებს მოსდის, რომლებიც ბალსზემოურსა და ლაშხურში მოკლედ გამოითქმის, ხოლო რომლებიც გრძლად, იმათ კი – არა; მაგალითად, აკრე (აღებს), აწყე (აცხობს), ატყბე (წვავს ხორცს) და მისთ., სადაც ა-ნები ამოღებულია, რადგანაც ისინი ბალსზემოურსა და ლაშხურშიც ამოღებულია სიმოკლის გამო. მაგრამ ამის პირისპირ დგანან: ამარე (ამზადებს), ატაბე (თლის) და მისთანანი (და არა ამრე, ატბე, რადგანაც აქ ის ბალსზემოთ და ლაშხეთში გრძლად გამოითქმის). აქ ა-ნიანი ფუძეებია დასახელებული; იგივეა ო-ნიანსა და უ-ნიან ფუძეებშიც“ (შანიძე, 1981, გვ. 367-368).

ყოველივე აქედან გამომდინარეობს შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: „ხმოვნების სიგრძე ლენტეხურსაც და ბალსქვემოურსაც ჰქონიათ ძველად, მაგრამ მათ იგი დაუკარგავთ დროთა განმავლობაში (ალბათ ქართულისა და მეგრულის გავლენით)“ (შანიძე, 1981, გვ. 368).

ა.შანიძის ეს დასკვნა შემდეგდროინდელ მკვლევართა მიერ ერთხმად გაზიარებულია, მაგრამ გაჩნდა კითხვა: რა ბუნებისაა ის სიგრძე, რომელიც ამჟამად ბალსზემოურსა და ლაშხურს ახასიათებს? აქვს თუ არა მას ფონემური ღირებულება? ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიებისათვის.

პროფ. ს.ულენტი, რომელმაც ვრცელი ექსპერიმენტული გამოკვლევა უძღვნა სვანური ენის ფონეტიკის საკითხებს, ფიქრობდა, რომ ხმოვანთა სიგრძე სვანურში არა ფონოლოგიურია, არამედ ფონეტიკური (ულენტი, 1949, გვ. 73). სრულიად საწინააღმდეგო დასკვნა გააკეთა პროფ. ალ.ონიანმა, რომელმაც დამაჯერებელი მაგალითები მოი-

ყვანა იმის საილუსტრაციოდ, რომ ხმოვნის სიგრძე სვანურში ფონოლოგიური ღირებულებისაა (ღწარ ბზ, ღწარ ლმზ, ღწარ ბქ, ლნტ. „არავინ“ – შდრ. დარ, ბზ, ლნტ ღწარ ლმზ „დარი“; ლწითი ბზ., ლმზ., ლეთი ბქ, ლნტ. „წუხელ“ – ლეთი ბზ, ლნტ. „სამკალი“; ქწმ ბზ, ქწმ ლმზ., ქწმ ბქ, ლნტ. „გარეთ“ – ქამ ზს, ლმზ. „ფერფლი“ და სხვ.) (ონიანი, 1962, გვ. 209-227; ონიანი, 1998, გვ. 13-16).

სვანური გრძელი ხმოვნების გენეზისთან დაკავშირებით ალ.ონიანი სვამს კითხვას: „გრძელი ხმოვანი ქართველურ ენათა დიფერენციაციამდელი მოვლენაა, თუ შემდეგ გაჩნდა სვანურში? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთოქართველურია ის თუ საკუთრივ სვანური?“ ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ქართულში ერთნაირი აგებულების სიტყვებიდან ერთი და იგივე ხმოვანი ზოგში რედუცირდება, ზოგში კი – არა (ბალი – ბლის, მაგრამ ქალი – ქალის; წელი – წლის, მაგრამ ხელი – ხელის; გაჭერი – გაჭრა, მაგრამ გაბერე – გაბერა და სხვა).

ამის საფუძველზე დასმულია კითხვა: „ხომ არ არის ეს თავისებურება ქართულში გრძელი და მოკლე ხმოვნების არსებობის ნაშთი? ე.ი. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ უძველეს ქართულში, ერთი მხრივ, გრძელი ხმოვნების არსებობა, რომლებიც, სვანურის მსგავსად, არ რედუცირდებოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მოკლე ხმოვნებისა, რომლებსაც რედუქცია მოსდიოდათ? თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, მაშინ ქართულში ბალსქვემოურის ანალოგიური მდგომარეობა აღმოგვაჩნდება“ (ონიანი, 1962, გვ. 225).

თუ საკითხს ასე დავაყენებთ და დავუშვებთ, რომ გრძელი და მოკლე ხმოვნები ქართულში ისტორიულად ისევე ფუნქციონირებდნენ, როგორც სვანურში და მათ შორის განსხვავება აისახებოდა რედუქციის პროცესში, მაშინ, ცხადია, უნდა მოველოდეთ, რომ საერთო-ქართველურ ფუძეებში, სადაც სვანურში (ბალსზემოურსა და ლამხურში) გრძელი ხმოვანია დაცული, ქართულში რედუქცია არ



უნდა ხდებოდეს, ხოლო სადაც ქართულში რედუქცია ხდება, იქ სვანურში გრძელი ხმოვანი არ უნდა გვექონდეს.

რეალური ვითარება ამგვარ ვარაუდს არ ადასტურებს. სახელდობრ, საკმაოდ გვხვდება ისეთი საერთო ფუძეები, რომლებიც ქართულში უკუმშველია, სვანურში კი გრძელ ხმოვანს არ შეიცავს და რედუქციის წესებსაც ჩვეულებრივ ექვემდებარება. ასეთია მაგალითად, თვით ეთნონიმი სვანი, რომელიც ქართულში უკუმშველია, სვანურში კი შესაბამისი ფუძე შუან გრძელ ხმოვანს არ შეიცავს და სათანადო პირობებში, ბუნებრივია, იკუმშება კიდევ: ბზ. შუ-შუან, ბქ. მუ-შუნ-ი | მუ-შნ-ი, მრ.რ.: შუან-არ. ასეთივე სურათია ისეთ ფუძეებში, როგორიცაა ქართ. ტან-ი და სვან. ტან, გვარ-ი და გუარ, ფერ-ი და ფერ, კაც-ი და კაშ („ქმარი“), ცოლ-ი და ჩოშ (ლი-ჩშ-ი – „სქესობრივი კავშირი“) და სხვანი.

ამ ფუძეებში ხმოვნის სიგრძე სვანურის მონაცემების მიხედვით არ დასტურდება და, მაშასადამე, ქართულში მათი ურედუქციობა ისტორიულად გრძელი ხმოვნის არსებობით ვერ აიხსნება.

ამგვარი მაგალითების საპირისპიროდ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა საზიარო ფუძე სვანურში გრძელ ხმოვანს შეიცავს, რომელიც რედუქციას არ განიცდის, ქართულში კი შესაბამისი ფუძე, ჩვეულებრივ, კუმშვადია. ასეთებია, მაგალითად, ქართული ღმერთი და სვანური ღურბეთ | ღურბეთ, მესერი და მასერ, კვამლი, კუმ-ევ-ა და ლი-კუშამ-ე („აკვამლება“, „აბოლება“) და სხვა.

ზოგ ფუძეში, რომელიც სვანურში გრძელ ხმოვანს შეიცავს, ხმოვნის სიგრძე მეორეულია, მიღებულია ხმოვანთა შერწყმით ან დაკარგული ბგერისა თუ მარცვლის საკომპენსაციო დაგრძელების შედეგად. ამგვარი მეორეული, პოზიციით განპირობებული სიგრძის ნიმუშია, მაგალითად, ყარ („ყვარი“, „სახურავი“), სადაც ხმოვნებს შორის დაკარგულია ჟ, ხოლო მის წინ და უკან მყოფი ა-ნების შერწყმით წარმოქმნილია გრძელი ხმოვანი ჟ.

ხმოვანთა შერწყმით გრძელი ხმოვნის გაჩენის საინტერესო მაგალითია აგრეთვე სნმაქ („ყმანვილი ქალი, ქალიშვილი“). ლენტეხურში ეს სიტყვა დაცულია ფორმით – სიამაქ, საიდანაც კარგად ჩანს გრძელი ხმოვნის მიღების გზა: ია→ი (შდრ. დიაკონი → დიკუნ, ჭიანური → ლშხ. ჭინურ, დიარ „პური“ – დირობ „პურობა“). ჩანს, სნმაქ-ის ამოსავალი ფორმაა სიამ-იაქ (სიამე+სვანური დანიშნულების სუფიქსი იაქ||აქ) და მნიშვნელობით ის უდრის „საამოს“, „სასიამოვნოს“.

გრძელი ხმოვანი შეიძლება მივიღოთ თანხმოვნის დაკარგვის გზითაც (ე.წ. საკომპენსაციო სიგრძე). ამგვარი გრძელი ხმოვნების ნიმუშია, მაგალითად, სვანური ჟურე (<ნურ-ი), მერ (<მნერ-ი), ლიყელ-ე („ყველის ამოყვანა“, შდრ. ყველ-ი) ჯირა (<ჯიჰრა -- „მუხა“) და სხვა.

გრძელ ხმოვნებს უკავშირდება აგრეთვე მახვილის საკითხი ქართველურ ენებში. პროფ. ს.ჟლენტი, რომელმაც ექსპერიმენტულად შეისწავლა ეს საკითხი, აღნიშნავს, რომ მახვილი სვანურში უფრო ძლიერია, ვიდრე ქართულსა და მეგრულში. ამ ფაქტს მკვლევარი სვანურში გრძელი ხმოვნების არსებობით ხსნის (ჟლენტი, 1949, გვ. 90-95).

ამრიგად, საერთო-ქართველურ ენაში გრძელი ხმოვნების არსებობის საკითხი რთულია და მასზე გადაჭრილი პასუხის გაცემა ნაადრევია. ჯერჯერობით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ხმოვანთა რედუქცია-ურედუქციობა ქართულში არ გამოდგება საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში გრძელ ხმოვანთა არსებობის დამამტკიცებელ არგუმენტად.

### თანხმოვანთა კლასიფიკაცია

სვანურ თანხმოვანთა სისტემა 30 ერთეულისაგან შედგება. ესენია (ანბანის რიგზე): ბ გ დ (ვ) ზ თ კ ლ მ ნ ძ პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ხ ჯ ჳ ჴ.

ამათგან კბილბაგისმიერი ვ როგორც ფონემა სვანურში

მხოლოდ ლენტეხურ კილოში გვხვდება, სხვა კილოებში კი (და ხშირად ლენტეხურშიც) ის შეცვლილია წყვილბაგისმიერი უ თანხმოვნით. ნ.მარის რედაქციით გამოცემულ არს.ონიანის ლაშხურ ტექსტებში უ ფონემა გადმოცემულია ვ (ვიე) ასოთი, ა.შანიძისა და ვ.თოფურიას მიერ გამოცემულ სვანურ ტექსტებში კი ამავე ბგერისათვის გამოყენებულია ვ ასო, რაც ტექნიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. წინამდებარე გამოცემაში უმარცვლო უ ყველგან დაცულია და იმ სახით არის დაბეჭდილი, როგორც იწერებოდა იგი ქართულად XVII-XVIII საუკუნეებში (თჟალი, ძჟალი, ძჟელი და ა.შ.).

უმარცვლო უ ანუ უ-ბრჯგუ (უ) სვანურში ხშირად მიღებულია უ და ო ხმოვანთა რედაქციით. მის წინ ზოგჯერ განვითარებულია უკანაენისმიერი მჟღერები გ და ლ, რაც იმით აიხსნება, რომ არტიკულაცია სვანურში უკანაა გადაწეული და უფრო დახურულია, ვიდრე ქართულში (თოფურია, 2002, გვ. 158).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მჟღერობის ხარისხი სვანურის მჟღერ ხშულებში მეტია, ვიდრე მეგრულ-ლაზურის მჟღერ ხშულებში: “სვანურს ახასიათებს მჟღერ ხშულ თანხმოვანთა ძლიერი დანყება და ძლიერი დამთავრება. ამიტომ სვანური მჟღერი ხშულების წარმოთქმა მეტი ინტენსივობითა და ენერგიულობით ხასიათდება” (ყლენტი, 1949, გვ. 151).

ფარინგალური ფშვინვიერი ჯ ბგერა, რომელიც ქართულში მხოლოდ რამდენიმე დიალექტმა შემოინახა, ხოლო კოლხურში სავსებით გამქრალია, დღემდე მტკიცედ და უცვლელად არის დაცული სვანურის ყველა დიალექტში.

აქვე აღსანიშნავია, რომ სვანურში დადასტურდა ფარინგალურ ხშულთა მეექვსე სამეულის მჟღერი წევრის არსებობაც (ყლენტი, 1949, გვ. 141-148), მაგრამ მას ფონოლოგიური ფუნქცია დაკარგული აქვს და ამიტომ თანხმოვანთა ცხრილში ცალკე ერთეულად არ არის შეტანილი.

გავეცნოთ სვანურ თანხმოვანთა ცხრილს (თოფურია, 2002, გვ. 157).



## ფონეტიკური პროცესები

რედუქცია ენოდება ხმოვნის დაკარგვას ან თანხმონად ქცევას მეზობელი ხმოვნების გავლენით. ეს მოვლენა ქართველურ ენებში პირველად საგანგებო დაკვირვების საგნად აქცია აკად. ა.შანიძემ (შანიძე, 1981, გვ. 310-317). მან დაადგინა, რომ სახელი ფუძისეულ ხმოვანს კარგავს იმ ბრუნვებში, რომელთაც სუფიქსი ხმოვნით ეწყებათ; როცა ბრუნვის ნიშანი თანხმოვნით იწყება, ფუძისეული ხმოვანი დაცულია. ასეთივე სურათია სხვა მეტყველების ნაწილებშიც. თვითონ პრეფიქსისა და სუფიქსის ხმოვნებიც თავის მხრივ ასევე ემორჩილებიან რედუქციის წესებს.

აკაკი შანიძის აზრით, პრეფიქს-სუფიქსების გავლენა ფუძის ხმოვნებზე განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქართველურ ენათა ერთობის ხანაში, შემდგომში კი ამ მხრივ თვალსაჩინო ცვლილებები მომხდარა: ეს კანონი ძველებური სახით დღეს უმთავრესად სვანური ენის სამ კილოშია დაცული (ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში), შესუსტებულია სვანურის ერთ კილოში (ლენტეხურში) და ქართულში, ხოლო სულ მთლად მოშლილია მეგრულში" (შანიძე, 1981, გვ. 314).

რედუქციას ქართველურ ენებში მნიშვნელოვანი ნაშრომი უძღვნა აგრეთვე აკად. ვ.თოფურიამ. სახელდობრ, მან ჩამოაყალიბა რედუქციის ოთხი ძირითადი წესი, რომელიც მოქმედებს სვანურის სამ კილოში (ლენტეხურის გამოკლებით): „1. რედუცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი; 2. რედუქციას არ ემორჩილება ერთმარცვლიანი გაორმარცვლიანებისას; 3. რედუქციას იწვევს პრეფიქსიც და სუფიქსიც და 4. რედუცირდება ერთი ხმოვანი" (თოფურია, 1979, გვ. 152).

ამ წესებისაგან განსხვავებით, ქართულისათვის დადგენილია შემდეგი წესები: ა) კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ბ) რედუცირდება მარტო სამი ხმოვანი (ა, ე, ო), გ) იკუმშება ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანების შემთხვევაში და დ) ერთდროულად ამოიღება ორი ხმოვანი" (იქვე, გვ. 170).

მიუხედავად ასეთი სხვაობისა, მკვლევარი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ რედუქციის წესები თავის დროზე საერთო უნდა ყოფილიყო ქართველური ენებისათვის.

შემდგომში ხმოვანთა რედუქციის სტრუქტურული ანალიზი სვანურში (ბალსზემოური კილოს მასალაზე) მოგვცა მერი ნიკოლაიშვილმა სპეციალურ ნაშრომში, სადაც დაზუსტებულია რედუქციის ზოგიერთი წესი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ერთდროულად რედუცირდება ორი ხმოვანი (ნიკოლაიშვილი, 1984).

ზემოსხენებული წესების საილუსტრაციოდ ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით. მსგავსი მაგალითები აქამდეც შეგვხვედრია და შემდგომშიც ხშირად შეგვხვდება ბრუნებისა თუ უღლების საკითხების განხილვისას.

როგორც ითქვა, ერთმარცვლიანთა გაორმარცვლიანებისას სვანურში რედუქცია არ ხდება: **ჟელ** ("ძალლი") - ნათ. ბრ.: **ჟელ-იმ**, მრ.რ.: **ჟელ-არ**; მაგრამ მრ.რ. ნათესაობითში სიტყვას უკვე მესამე მარცვალზე ემატება, რაც რედუქციის პირობას ქმნის და შედეგად მაშინვე იჩენს თავს: **ჟელ-რ-ემ** ("ძალლებისა", შდრ. **ლნტ. ჟელ-არ-ემ**).

ასეთივე სურათია ზმნის უღლების დროსაც: მარტივი ერთმარცვლიანი ფუძე წარმოდგენილია სტატიკური ზმნის ფორმაში **სგურ** ("ზის"), რომელიც გაორმარცვლიანებისას უკუმშველი რჩება: **ხ-ა-სგურ** ("აზის"), **ხ-ო-სგურ** ("უზის"); გასამმარცვლიანებისას კი მაშინვე ამოქმედდება რედუქციის მექანიზმი და ძირისეული ხმოვანი უ უ-ბრგჯუდ იქცევა: **ლა-სგურ-ა** ("დასაჯდომი", "სკამი"). აქ რედუქცია ხდება ლენტეხურშიც: **ლა-სკურ-ა**.

ასეთივე სურათი გვაქვს ორმარცვლიან ფუძეებში: **გეზალ** ("შვილი") - ნათ: **გეზალ-აშ**, მრ.რ.: **გეზალ-არ** (შდრ. **ლნტ.: გეზალ-აშ, გეზელ-ილ**);

**სოფელ** - ნათ.: **სოფელ-იმ**, მრ.რ.: **სოფელ-არ** (შდრ. **ლნტ. სოფელ-იმ, სოფელ-ალ**);

ნაბოზ ბზ., ნებოზ ბქ.,ქს. ("სალამო") - ნათ. ნაბზჷ-აშ (შდრ. ლნტ. ნებოზ-აშ).

აღსანიშნავია, რომ სამმარცვლიანი სიტყვების სესხე-ბისას სვანურში ყოველგვარი აფიქსის დაურთველად ამო-ქმედდება რედუქციის იგივე კანონზომიერება და ქრება შუათანა ხმოვანი (დეეტერსი, 1930, გვ. 17; ჟღენტი, 1949, გვ. 111-112).

ანგელოზი - ანგლოზ (ლშხ.), ანგლოზ || ანგჷლეზ (ბზ.), ანგლეზ (ბქ.). ამ შემთხვევაში რედუქცირებული ფუძეა ლენტეხურშიც: ანგჷლეზ.

ასეთივე სურათია სხვა სამმარცვლიან ნასესხებ სიტყვე-ბშიც, სადაც შუა ხმოვანი რედუქცირებულია: დედოფალი - დედფალ, მეზობელი - მეზჷბელი, ნათესავი - ნათსაჷ, ანგარიში - ანგრიშ და სხვა.

ოთხმარცვლიანებში რედუქცირებულია მეორე ხმოვანი (თავიდან) და ამავე დროს მოკვეცილია ბოლო ხმოვანიც: ამალღება - ანლღაბ; \*გარგალობა - გარგლობ (ბზ.), გარგ-ლობ (ლშხ.), გარგალობ (ლნტ.) - "მოლაპარაკება", "შელა-პარაკება"; მოლალატი - მოლლატი.

მეტათეზისი ანუ ბგერათა გადასმა სვანურში გავრცელებული ფონეტიკური პროცესია. ყველაზე ხშირია ჯ-ს მეტათეზისი (თოფურია, 2002, გვ. 162). სახელდობრ, I სუბ. პირის ნიშანი ჯ (პრეფიქსი) II ტიპის ზმნებში გადასმულია თავ-კიდური თანხმოვნის შემდეგ, ე.ი. ინფიქსად არის ქცეული: \*ჯტიხ-ე -> ტჷხე ("ვაბრუნებ"). დანვრილებით ამის შესახებ ზმნის უღლებასთან დაკავშირებით ვისაუბრებთ.

საკმაოდ ხშირია ჯ-ს გამოყოფა უმლაუტიანი ო და ჯ ხმოვნებიდან მიღებულ ჯე და ჯი დიფთონგებში და მისი გადასმა წინ ან უკან (ბაგისმიერთაგან დასაშორებლად). ამის რამდენიმე ნიმუში წინა პარაგრაფშიც იყო დასახე-ლებული: ნაბზჷაშ (← ნაბჷაშ - "სალამოსა", ნაბოზ - "სა-ლამო"), ანგჷლეზ (← || ანგლოზ - "ანგელოზი"), პასიხჷ (← პასჷხ - "პასუხი").

აი კიდევ მეტათეზისის ორიოდ ნიმუში: კალხმარ (← \*კალმხარ, შდრ. კალმახ - "თევზი"); კიბდენ (კიდობან-ს რედუქციით უნდა მოეცა კიდუბან||კიდუბენ, მაგრამ აქ ბ-ს წინ უ სულ დაკარგულია, რასაც ღ და ბ ბგერათა მეტათეზისიც დართვია).

**ასიმილაცია-დისიმილაცია.** ბგერათა დამსგავსება და განმსგავსება მსოფლიოს სხვადასხვა სისტემის ენებში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესებია. არსებობს წინა და უკანა მიმართულების, კონტაქტური და დისტანციური, ნაწილობრივი და სრული ასიმილაცია და დისიმილაცია. მაგალითად, უმლაუტი სვანურში, როგორც ვნახეთ, ხმოვანთა ნაწილობრივი, რეგრესული, უმეტესად დისტანციური ასიმილაციის ნიმუშია. სვანურისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ზმნისწინის ხმოვანთა ასიმილაცია, რასაც ჩვენ უღლების საკითხებთან დაკავშირებით განვიხილავთ.

დისიმილაციის შემთხვევებიდან ხშირია განმსგავსება ერთ ფუძეში ორი რ-აეს შეხვედრისას: რ-რ→რ-ლ. მაგალითად, სახელთა მრ. რიცხვის ნიშანი არ იცვლება პლ-ით, როცა საწარმოებელი ფუძე თვითონაც შეიცავს რ სონანტს: ფურ||ფირუ ("ფური", "ძროხა") - მრ.რ.: ფურ-პლ (შდრ. ჳან "ხარი" - მრ.რ.: ჳან-პრ). უფრო დაწვრილებით ამის შესახებ საუბარი იქნება სახელთა მრ. რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით.



# მორფოლოგია

## სახელები

სვანურში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, შინაარსის მიხედვით გამოიყოფა სახელთა ოთხი სხვადასხვა ჯგუფი: არსებითი სახელები, ზედსართავები, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები. მათი საერთო მორფოლოგიური კატეგორიებია ბრუნება და რიცხვი.

სახელთა ოთხივე ზემოხსენებულ ჯგუფს სვანურში აქვს ორი რიცხვი – მხოლობითი და მრავლობითი – და ექვსი ბრუნვა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ამავე დროს თითოეული მეტყველების ნაწილი შინაარსის მიხედვით იყოფა ქვეჯგუფებად, რომლებიც ცალკე მეტყველების ნაწილებს არ წარმოადგენენ, მაგრამ გარკვეულ გავლენას ახდენენ გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაზე და მოითხოვენ სათანადო ყურადღებას. გავეცნოთ ზოგ მათგანს.

## ჯგუფები შინაარსის მიხედვით

### სულიერთა და უსულოთა სახელები

ქართველურ ენებში და მათ შორის სვანურში გრამატიკული სქესის კატეგორია არ არსებობს. საგანგებო სახელებით აღინიშნება მხოლოდ ცოცხალ არსებათა რეალური სქესი: დი („დედა“), მუ („მამა“), მწრე („კაცი“), ზურაღ („ქალი“), ხეხუ („ცოლი“), ჭაშ („ქმარი“), ჩიჟუ („სიძე“), თელღრა („ძალი“), ღუჟუ („ვაჟი“), ჭყინტ („ბიჭი“), დინა („გოგონა“), ღუჟუმწრე („ვაჟკაცი“), მახელვაჟუ („ახალგაზრდა ვაჟი“), ჭყინტგეზალ („ვაჟიშვილი“), დინაგეზალ („ქალიშვილი“), ღუაშ||მულუშწრ („ხარჯიხვი“), ჳან („ხარი“), ფირუ („ფური“), ყუიჩ („მამალი“), დაღუ („დედალი“) და ა.შ.

ყველა ესენი სულიერ არსებათა აღმნიშვნელი სიტყვებია, რომლებსაც გრამატიკაში არსებითი სახელები ეწოდება.

სულიერთა სახელების გვერდით არსებობს მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი არსებითი სახელებისა, რომლებიც უსულო საგნებს აღნიშნავენ და სქესის მიხედვით განსხვავებას არ გვიჩვენებენ არც ფუძით და არც აფიქსებით, რადგან რეალურად სქესი არ გააჩნიათ. ამგვარ სახელთა ნიმუშებია სვანურში: გიმ („მინა“), დეც („ზეცა“), მიუ („მზე“), დოძდულ („მთვარე“), ლიც („წყალი“), ჭალაჲ („მდინარე“), ქორ („სახლი“), ყორ („კარი“), მურყუჲმ („კოშკი“), ჰაზუ („ეზო“), ბოგ („ხიდი“), დიჲრ („პური“), ლელჲ („ხორცი“), ლჯჯე („რძე“), ბაჩ („ქვა“), გაჩ („დანა“), ცხეკ („ტყე“), მეგამ („ხე“) და მრავალი სხვა.

## ვინ და რა

სულიერ არსებათა სახელები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ადამიანის აღმნიშვნელნი და არაადამიანის აღმნიშვნელნი. პირველი ჯგუფის სახელებს, როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე დაესმის კითხვა – ვინ? მეორეს – რა? ამის მიხედვით პირველებს უწოდებენ „ვინ“ ჯგუფის, მეორეს კი – „რა“ ჯგუფის სახელებს. თუ ამავე საზომს სვანურშიც გამოვიყენებთ, აქაც ისეთივე სურათს მივიღებთ, როგორიც ქართულშია. სახელდობრ, კითხვა **აჩრ** („ვინ“) სვანურში დაესმის მხოლოდ ადამიანთა აღმნიშვნელ სახელებს, როგორიცაა ამსუჲლდ („ადამიანი“), გეზალ („შვილი“), გეზლაგეზალ („შვილიშვილი“), ბეფჲმჲ („ბავშვი“), სიმაქ („ქალიშვილი“), მეზუბელ („მეზობელი“), მახჲში („ოჯახის უფროსი“) და სხვა.

წარმოშობით მიმღეობებია, მაგრამ ზმნასთან კავშირითი თქმის განყვეტილი აქვთ და „აჩრ“ - ჯგუფის არსებით სახელებად არიან ქცეული ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა მეთხუჲარ („მონადირე“), მუთჲრი („მასწავლებელი“, „მოსწავლე“), მალტჲრ („მეყვარებული“) და სხვა.

გაცილებით მრავალრიცხოვანია „მან“-ჯგუფის არსებითი სახელები, რომელთაგანაც აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: ჩაჟ („ცხენი“), ლუნ („ბო“), დაჯლ („თხა“), ნელაშდ („თიკანი“), ლემ („ლომი“), დაშდუ („დათვი“), ჟერბ („ორბი“), შდაჟალ („მერცხალი“), ბუზულ („ბუზი“, „ფუტკარი“) და ა.შ. აქაც გვხვდება გაარსებითებული მიმღეობები: მეპერ („ფრინველი“), ნაპოლ („ჩიტი“, „ფრინველი“), ნათხჟიარ („ნანადირევი“) და სხვა.

მსგავსად ქართულისა, სვანურშიც გვხვდება იშვიათი შემთხვევები, როცა კითხვა მან დაისმის ადამიანის მიმართ. მაგალითად, ქალის მშობიარობისას კითხულობენ: მან ახთაჟან („რა დაებადა, რა ეყოლა“) და არა მარ ახთაჟან („ვინ ეყოლა“). ამავე დროს ზოგჯერ უსულო საგანზეც ამბობენ ჰყავსო, და არა – აქესო; მაგალითად: მან ფერიშ მაშინა ხაყა („რა ფერის მანქანა ჰყავს“).

### სადაურობის სახელები

ადამიანთა სადაურობის მანარმოებელ ძირითად ფორმანტად სვანურში მგ-ი თავსართ-ბოლოსართი წარმოგვიდგება. ბოლოსართი ი ამჟამად კილოთა უმეტესობაში მოკვეცილია, ის დაცულია მხოლოდ ბალსქვემოურში. ამის ნიმუშია თვით ეთნიკური სახელი სვანი, რომელიც ბალსზემოურად და ლენტეხურად გამოითქმის მუშჟან, ლაშხურად – მუშჟან, ბალსქვემოურად კი – მუშნი. სამივე ვარიანტისათვის ამოსავალი ფორმაა შჟან ეთნონიმი, სვანურში ქცეული ტოპონიმად, რომელსაც ერთვის სადაურობის მანარმოებელი თავსართ-ბოლოსართი მგ-ი. ამ გზით უნდა მიგველო მგ-შჟან-ი, მაგრამ ამ თეორიულად მოსალოდნელ ფორმას განუცდია რამდენიმე სახის ფონეტიკური ცვლილება: ასიმილაცია (მგ→მუ ფუძისეული ჟ-ს გავლენით), უმლაუტი (ა→პ ი ბოლოსართის გავლენით) და ბოლოს თვით ი-ს მოკვეცა (მუშჟანი → მუშჟან). ბალსქვემოურმა ი სუფიქსი შეინარჩუნა, მაგრამ სამაგიეროდ

რედუქციის შედეგად დაკარგა ფუძისეული ა ხმოვანი და მისი წინამავალი წყვილბაგისმიერი ჟ (მუშჷნი→მუშნი).

ასეთივე სურათი გვაქვს სადაურობა-წარმომავლობის სხვა სახელებშიც, სადაც ი სუფიქსი ბალსქვემოურში დაცულია, სხვა კილოებში კი დაკარგულია და ამის გამო სადაურობის სახელები სხვადასხვა ფორმით არიან წარმოდგენილი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ სახელები იმ თემებისა, რომელთა მცხოვრებნიც მეტყველებენ ბალსქვემოურ კილოზე: ბერჷი, ცხემწრ, ეცერ, ფარ, ლახმგლდ, ჩუბევეუ. ამ სოფლების მცხოვრებთა სადაურობა თვითონ მათსავე მშობლიურ კილოზე ასე გადმოიცემა: მუბჩჷი, მგცხმწარი, მგაცერი, მგფრი, მგლგხმილ, იგივე სახელები ბალსზემოურ კილოზე ასე გამოითქმის: მუბჩჷ, მგცხმწარ, მგაცერ, მგფარ, მგლგხმგლდ, მუჩბევეუ.

ბალსქვემოურის გამოკლებით, სხვა კილოებში ი სუფიქსი დღეს აღარ გვხვდება. ალბათ ამ კილოთა გავლენით, ი ზოგჯერ ბალსქვემოურშიც მოკვეცილია: მგლმშხ („ლაშხელი“), მგმსტიჷ („მესტიელი“)... წინათ კი მგ (მუ) პრეფიქსთან ერთად ი სუფიქსი ყველა კილოში უნდა გვექნოდა. მისი კვალი ბალსზემოურსა და ლენტეხურში კარგად ჩანს ფუძისეულ ბოლო (ა, ო, უ) ხმოვანზე უმლაუტის სახით: მგრანჭჷ|მგრანჭ („რანჭელი“), მგვწლ („კალელი“), მგნწსგჷინ („ნესგუნელი“) და ა.შ. ამ სადაურობის სახელთა საწარმოებელ ფუძეებში (ტოპონიმებში) უმლაუტი არა გვაქვს (რაჭ, კწლ, ნწსგუნ). ცხადია, გაუმლაუტება უნდა გამოენვია ი სუფიქსს, რომელიც ტოპონიმს მგ (მუ) პრეფიქსთან ერთად ერთვოდა წარმომავლობის (სადაურობის) აღსანიშნავად.

ამჟამად სვანურში (ბალსქვემოურის გამოკლებით) ი სუფიქსი ვინაობის სახელებში მაშინაც კი მოკვეცილია, როცა იგი საწარმოებელი ფუძის კუთვნილებაა. მაგალითად, სოფლის სახელები ბერო და ლატალი ადგილობრივ გამოითქმის ბერჷი და ლატლი, ბეროელი და ლატალელი კი გამოითქმის:

მუბერჷ, მგლტალ. ასევეა ნჷირმი-საგან – მუნჷრემ („წვირ-მელი“), ქართჷწნი-საგან – მქქართჷწ („ქართვანელი“).

სადაურობის სახელებში ასევე მოკვეცილია სანარ-მოებელ ფუძეთა ბოლოკიდური სხვა ხმოვნებიც. მაგალითად, ქვემო სვანეთის რაიონული ცენტრის სახელი ადგილობრივ გამოითქმის ლენტეხა, სხვა კილოებში – ლელტხა, აქედან სადაურობის სახელად გვაქვს ზს. მგლზტეხ||მგლტეხ, ლშხ. მგლზტეხ, ლნტ. მგლენტეხ. როგორც ვხედავთ, ტოპონიმისეული ბოლო ა სადაურობის სახელს ყველა კილოში მოკვეცილი აქვს.

სადაურობის სახელთა წარმოებისას ცვლილებას განიცდის სანარმოებელი ფუძის თავკიდური ხმოვანიც. სახელდობრ, ფუძის თავკიდური ი იქცევა ა-დ: იფწრ-ისაგან გვაქვს მგ-აფწრ, ისკარ-ისაგან -- მგ-ასკარ. ა-დ იქცევა აგრეთვე ფუძის თავკიდური ა ხმოვანი: მგ-აფხაზ („აფხაზი“), მგ-არცხელ („არცხელელი“).

აღსანიშნავია, რომ მგ-(მუ-) პრეფიქსი სვანურში ერთვის არამარტო ტოპონიმებისაგან ნანარმოებ სადაურობის სახელებს, არამედ ეთნონიმებსაც; მაგალითად: მგ-ქგრ-თჷელ („ქართველი“), მგ-მგრელ, ლნტ. მგმეგრელ (||მგზან – მეგრელი“), მგ-ქშაგ („ჩერქეზი“, მუ-გურილ („გურული“), მუ-რჷს||მუ-რისჷ, ლშხ. მუ-რჷს („რუსი“) და ა.შ.

ამათ საპირისპიროდ გვხვდება ეთნონიმები, რომელთაც არავითარი აფიქსი არ ერთვის: ჷირიან („ურია“, „ებრაელი“), თათარ, თურქ/თჷირქ.

თხზულ ტოპონიმთაგან ნანარმოებ სადაურობის სახელებში მგ- პრეფიქსი ერთვის კომპოზიციის მეორე წევრს: ნაკ-იფწრ-ისაგან გვაქვს ნაკ-მგაფწრ, ჩუბე-შჷწან-ისაგან მიღებულია ჩუბე-მუშჷწან („ქვემოსვანი“), ჟიბე-შჷწან-ისაგან – ჟიბე-მუშჷწან („ზემოსვანი“). საპირისპირო მაგალითია ჩუბე-ჯეჷ-ისაგან ნანარმოები მუ-ჩბეჯეჷ („ჩუბეხეველი“).

მრავლობით რიცხვში მგ-(მუ-) პრეფიქსი საჭირო აღარ არის, წარმოშობა აღინიშნება მრავლობითის

ჩვეულებრივი მანარმოებლის - არ სუფიქსის დართვით ტოპონიმის ან ეთნონიმის ფუძეზე. ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ნანარმოებ სახელებში სუფიქსად გვევლინება -წლ(-წლ). წლ მიიღება აგრეთვე არ სუფიქსის დისიმილაციით; მაგალითად: შუან-არ („სვანები“), ზან-არ („მეგრელები“), ქართუელ-არ, რუს-არ||რუს-წლ, რაჭ-არ||რაჭ-წლ („რაჭველები“), ლელტხწლ („ლენტეხლები“) და ა.შ.

მხოლობითში მგ-(მუ-) პრეფიქსი, მრავლობითში კი -არ (-წლ) სუფიქსი სათანადო შემთხვევაში იწვევს ფუძისეული ხმოვნის რედუქციას (გარდა ლენტეხურისა). საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც საკმარისია: უშგულ-ისაგან მხ. რიცხვში გვაქვს მუშუმგუილ||მუშგ-უილ, მრ. რიცხვში - უშგულარ; მგლახ-ისაგან - მემლახ, მგლხარ; ცხემარ - მცხემარ, ცხემარ||ცხემარწლ; ჭუბერ - მუჭუბერ, ჭუბარ||ჭუბარწლ და სხვა.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ სადაურობის სახელი ყველა ტოპონიმისაგან მგ პრეფიქსით ვერ იწარმოება. ასეთ შემთხვევაში მას ენაცვლება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (-იშ||-წშ სუფიქსით); მაგ., ლექუაუიშ („ქვემოთისა“ - „ქვემოური“), ლექუაუიშ („ზემოთისა“ - „ზემოური“), მარლიშ („მარლისა“ - „მარლელი“), ლახმამ („ლახამისა“ - „ლახამელი“) და სხვა. ამგვარი წარმოების დროს ნათესაობითი ბრუნვის -იშ||-წშ ფორმანტი მრავლობითშიც დაცულია: ლექუაუიშარ, ლექუაუიშარ, მარლიშარ, ლახმამარ და ა.შ.

არაადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად სვანურში ძირითადად გამოიყენება ლგ - უ (ასიმილაციით ლუ - უ) პრეფიქს-სუფიქსი, რომელთა დართვას თან ახლავს სათანადო ფონეტიკური ცვლილებები, განსაკუთრებით - რედუქცია. დავკმაყოფილდებით მხოლოდ მცირეოდენი საილუსტრაციო მასალით (უკომენტაროდ): ლუშნუ („სვანური“), ლურსუ („რუსული“), ლგზნუ („მეგრული“),

ლემსტიჟ („მესტიური“), ლელტალუ („ლატალური“), ლეკალუ („კალური“), ლგიფარუ („იფარული“), ლეჰდინჟუ („ჰადინჟური“), ლელენტეხუ („ლენტეხური“), ლელანჰხუ („ლანჰხური“), ლურლურუ („როლურული“), ლუჟუგულუ („უგულური“), ლუნჟრამუ („წვირმული“), ლუბჩუ („ბეჩოური“), ლუჭჟბერუ („ჭჟბერული“) და სხვა.

### ხელობის სახელები

“ვინ” ჯგუფის სახელებში გამოიყოფა ხელობის (საქმიანობის) აღმნიშვნელი სახელები, რომელთაგანაც ბევრი წარმოქმნილია მ-ი კონფიქსით: მგ-კელმანხ-ი “მეთევზე” (კალმანხ - “თევზი”, “კალმანხი”); მგ-ლც-ი “წყლის მზიდავი” (ლიც “წყალი”); მგ-ნწზჟ-ი, “მეგზური”, “გამყოლი” (ნწზჟ “კვალი”, “ნაკვალევი”); მ-ჟჟ-ი, ლნტ. მგ-ქანფ-ი “ტვირთის მზიდავი”, “მტვირთავი მუშა” (ქანფ “ტვირთი”); მგ-ჩაჟ-ი “ცხენოსანი”, “მხედარი” (ჩაჟ “ცხენი”), მგ-ჩფგლწარ-ი, “მენაღე” (ჩაფგლ “ფეხსაცმელი”, მრ.რ.: ჩაფლწარ); მგ-ხმ-გრ-ი “მელორე” (ხმ “ლორი”); მგ-ჰრანყ-ი “არყის მხდელი” (ჰარანყ “არაყი”) და სხვა.

როგორც ვიცით, პრეფიქსული გ ხმოვანი ასიმილაციით უ-ს იძლევა. ამ წესის მოქმედების ნიმუშები გვხვდება ხელობის სახელებშიც: მუ-თჟრ-ი “მასწავლებელი”, “მოსწავლე” (წარმოშობით მიმღეობაა ლი-თჟრ-ი “სწავლა” ზმნისა); მუ-ლგუჟჟრ-ი (ბზ.), მუ-ლგუჟჟრ-ი (ლშხ.), მგ-ლეგჟე-როლ (ლნტ.) “მენისქვილე” (ლეგჟჟრ “ნისქვილი”); მურჭ-ულ-ი “მეკურდღლე” (რჭჟჟ “კურდღელი”).

ზოგ სახელს -ი სუფიქსი მოკვეცილი აქვს და მარტო მგ-პრეფიქსი აღნიშნავს ხელობას: მგ-ლდედ “მწყემსი” (შდრ. ლადედ “დღე”), მგ-შკიდ “მჭედელი”, მუ-ქჟთერ “ქურდი”... ეს ბოლო ორი წარმოშობით მიმღეობაა.

საერთოდ, ხელობის სახელთა წარმოება სახელებისაგან ისევე ხდება, როგორც მოქმედებითი გვარის მიმღეობისა - ზმნებისაგან. მათი გარჩევა მით უფრო ძნელია,

თუ სახელი ზმნის ფუძედაც არის ქცეული. მაგალითად, ჩიტის სახელი **მგ-ჯნ-ირ** ("ბოლოქანქალა", "თოხიტარა") უკავშირდება ხვნას და შეიძლება ორნაირად იქნას გაგებული: "მეხარე ჩიტი" ან "მხვნელი", "მეხვნია" (საინტერესოა, რომ ამ ჩიტს მსგავსი სახელი ჰქვია მთიულურსა და მოხეურშიც: **მოჯნია** | **მოჯნავა**).

### დანიშნულების სახელები

დანიშნულების სახელები სვანურში ნაწარმოებია უმეტესწილად **ლა-ა** პრეფიქს-სუფიქსით, რომელიც ქართულ **სა-ე**, **სა-ო** აფიქსებს შეეფარდება (შანიძე, 1981, გვ. 351). ქართულ **სა-ე** და **სა-ო** აფიქსთა მსგავსად, სვანურში **ლა-ა** გვხვდება სახელებშიც და მიმღეობებშიც, ოღონდ სვანურში მას გვერდით უდგას მეორე კონფიქსი **ლე-ე**, რომელიც მნიშვნელობით ერთგვარად განსხვავდება პირველისაგან: **ლა-ა** აღნიშნავს დანიშნულების საგანს, **ლე-ე** კი გამოხატავს მიზანს, განკუთვნილობას. **ლა-ა** გვაქვს, მაგალითად, სვანეთის განთქმული სალოცავების სახელებში: **ლა-გურკ-ა** (წმინდა კვირიკეს ეკლესია), **ლა-ჯგვრაგ-ა** (წმინდა გიორგის ეკლესია), **ლა-მარია** (წმინდა მარიამის ეკლესია).

**ლა-ა** აფიქსები გამოიყოფა აგრეთვე დანიშნულების სახელებში: **ლა-ჯურ-ა** ("ფანჯარა", შდრ. ჯურუ "ხვრელი"), **ლა-მოჭ-ა** ("გამოსაჩეკი კვერცხი" - შდრ. მოჭ "კრუხი"), **ლა-ნგრ-ა** ("საკვერცხე" ანუ "საბუდარი" - შდრ. ლგრე "კვერცხი"), **ლა-ფშგ-ა** ("სახსარი"). ეს უკანასკნელი გაარსებითებული მიმღეობაა **ლიფშგე** ("გახსნა") ზმნისა. ასეთივე გაარსებითებული მიმღეობებია: **ლა-ყურ-ა** "ლოგინი" (ლიყურე "დანოლა"), **ლა-სგურ-ა** "დასაჯდომი", "სკამი" (ლისგურ-ე "დაჯდომა"), **ლა-რდ-ა** "ბინა" (ლი-რდ-ე "ყოფნა").

ბშირად სუფიქსი მოკვეცილია და სათანადო შინაარსი გადმოიცემა მხოლოდ **ლა-** პრეფიქსით: **ლა-ცგნდაჟ** (ბზ.), **ლა-ცინდაჟ** (ბქ.), **ლა-ცინდოლ-ა** (ლნტ.), **ლა-ცინდულ-ა**



(ლშხ.) "ბუდე" ("საბარტყე", შდრ. ცინდაჟე "ბარტყი"), ლა-ყუნზელ||ლა-ყუნზელ-ა "ვენახი" (შდრ. ძვ. ქართ. საყურძენი). ლა-რტამ "ბოსტანი" (შდრ. ძვ. ქართ. მტილი, სამტილე, მეგრ. ორტივინი||ორტივილი), ლა-შყყ (ბზ.), ლა-შიყ (ლშხ.) "გოდორი" ("ზურგზე მოსაკიდი" - შდრ. შიყ "ზურგი").

ზოგჯერ პრეფიქსი იგივე რჩება, სუფიქსი კი სხვაა (-წრ|წრ, ირ|ირ). ასეთ სურათს გვიჩვენებენ დანიშნულების სახელები: ლა-ჯმ-წრ ("სამარილე"), ლა-შდუგჟ-წრ ("სათაგური"), ლა-ზგნგლაგ-წრ ("სამრეკლო"), ლა-გზელ-იწრ ("საშვილოსნო"), ლა-ცხნ-იწრ ("სავარცხელი"), ლა-ქთალ-იწრ||ლა-ქთალ ("საქათმე") და სხვა.

როგორც ვთქვით, დანიშნულების სახელთა მეორე ჯგუფი ლე- პრეფიქსით იწარმოება. პრეფიქსთან ერთად მიმღეობებში ე სუფიქსიც გვაქვს, ე.ი. მიმღეობის მანარმოებელია ლე-ე პრეფიქს-სუფიქსი. სახელებში პრეფიქსი იგივეა, სუფიქსი კი სხვადასხვაა (-ა, -გრ-ი, -ურ-ი...), ან სულაც მოკვეცილია. სახელებში ამგვარი წარმოება შედარებით იშვიათია. გვხვდება ასეთი მაგალითები: ლე-ლგრტამ ("საბოსტნე ადგილი"), ლე-უჭმ ("სამარხვო საჭმელი"), ლე-ხხ-ურ-ი||ლე-ეხ-ურ-ი ("საცოლე"), ლე-ნზ-ურ-ი ("სანეზვე, სანაშენო გოჭი"), ლე-ტხ-გრ-ი ("სატახე").

დანიშნულების აღმნიშვნელ ფორმანტად სვანურში ცნობილია აგრეთვე ბოლოსართი - ძაქ: ეხზჟ "ცოლი": ეხზჟაქ "საცოლე"; ჭაშ "ქმარი: ჭაშაქ "საქმრო"; დაბ "ყანა": დაბაქ "საყანე" (თოფურია, 1979, გვ. 90).

ვ.თოფურიას განმარტებით, -ძაქ სუფიქსში ორგანული ნაწილი არ არის; ეს მტკიცდება იმით, რომ მას უმლაუტის გამოწვევა არ შეუძლია. ქორ "სახლი", მაგრამ ქორაქ "სასახლე" (მასალა)... აქ არც პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი: ის ნათესაობითში აღიდგენს მოკვეცილ - ა-ს; მაგ.: სახ. ქორაქ "სასახლე" - ნათ. ქორაქაშ "სასახლისა (მასალა)"; დაბაქ "საყანე" - დაბაქაშ "საყანისა"...

ამგვარი ანალიზის საფუძველზე ვ.თოფურია აღნიშ-

ნულ სუფიქსს აღადგენს -აქა სახით და გამოყოფს მას ჩიტის ქართულ სახელწოდებაში **ჭინჭრ-აქა** (შდრ. რუს. крапивник).

### ქონების სახელები

საერთოდ, ქონების აღსანიშნავად სვანურში რამდენიმე მანარმოებელი გვხვდება. მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია **ლგ** პრეფიქსი, რომლის ხმოვანიც ასიმილაციით უ-დ იქცევა ხოლმე. ამ პრეფიქსს ადრე ი სუფიქსიც უნდა ჰხლებოდა, რომლის გავლენის შედეგაც არის ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი, სახელდობრ, გვაქვს ასეთი ფორმები:

**ლგ-კაბ** კაბიანი, **ახალუხიანი**, **ლგ-შელბარ** შარვლიანი. **ლგ-ფტან** პერანგიანი, **ლგ-ირშუილ** ნიფხვიანი, **ლგ-ჩიფილ** ფეხსაცმლიანი, **ლგ-ლჩაქ** ლეჩაქიანი, **ლგ-ფაყუქ**||**ლუ-ფაყუქ** ქუდიანი, **ლუ-ჟსარ** ჩოხიანი, **ლგ-ხენჯარ** ხანჯლიანი, **ლგ-ყაბ** წვეროსანი, **ლგ-ჩაჩ** სამგლოვიარო წვერმოშვებული, **ლგ-ფათუ**||**ლგ-ფათ**||**ლუ-ფათუ** თიანი, **ლუ-გურმაშ** ულვაშიანი, **ლუ-ლსდიგუ** ნანწავიანი, **ლგ-ჯიჯუ** ძვლიანი, **ლგ-ჰკუბდ** კუდიანი, **ლგ-თხუიმ** თავიანი, **ჭკვიანი**, **ლუ-გუიუ** გულიანი, **ლუ-მიჭუ** რქიანი, **ლუ-ფხუილ** თითიანი, **ლუ-ტუეტ** ხელიანი (ეტყვიან ისეთს, ვინც შორს ეწვდება), **ლგ-ლეღუ** ხორციანი (უნოდებენ ხორციან ღვეზელს, სხვანაირად - **კუბდარ-ს**), **ლგ-თაშ** ყველიანი, **ლგ-ჯიმ** მარილიანი, **ლგ-ნუერ**||**ლუ-ნუერ** ნივრიანი, **ლგ-ითქ** მარცვლიანი, **ლგ-შდა** თავთავიანი, **ტაროიანი**, **ლუ-ყუმბინ** კუნწულიანი, **ლუ-ხურჯინ** ხურჯინიანი... **ლგმიუ** მზიანი, **ლგ-დომდულ** მთვარიანი, **ლგ-ანტყუბსგ** ვარსკვლავიანი, **ლუ-მის** თოვლიანი, **ლგ-გზელ** შვილიანი, **ლგ-ჭაშ** ქმრიანი, **ლგ-ხეხუ** ცოლიანი, **ლგ-ჯმილ** ძმიანი, **ლგ-ნათ** ნათესავებიანი, **ლუ-ბეფუ** ბავშვიანი, **ლუ-უდილ** დებიანი, **ლუ-მხუიბ** სახლიკაცებიანი, **ლუ-ჩჩუილ** ჩვილბავშვიანი და ა. შ.

კომპოზიტთაგან ქონების სახელის წარმოებისას **ლგ-** (**ლუ-**) პრეფიქსი დაერთვის კომპოზიტის მეორე წევრს:

ნგრნი ლგფჳყჳ ნითელ-ქუდა, ჩხარა ლუ-თხჳიმ ცხრა-თა-  
ვიანი და სხვა.

თავისი პროდუქტიულობით ლგ- პრეფიქსს ვერ შეე-  
დრება, მაგრამ ქონების სახელთა საწარმოებლად საკ-  
მაოდ ხშირად გვხვდება სუფიქსი -წრ (ლშხ. წრ||-წრ,  
ბქვ. ლნტ. -წრ). სახელდობრ, ამ სუფიქსით იწარმოება:  
ლგჯ-წრ რძიანი, ტგტ-წრ ნაცრიანი, მგტ-წრ მატლიანი,  
ზგსყ-წრ რწყილიანი, ტიშ-წრ ტილიანი, შდგქ-წრ კბი-  
ლებიანი, ხჳარბლ-წრ ხაოიანი, ნატყგრბელ-წრ ჭორ-  
ფლიანი, ჟახ-წრ სახელოვანი. -წრ სუფიქსი გამოიყო-  
ფა აგრეთვე ისეთ სახელებში, როგორიცაა: ლალგმ-წრ  
კარ-მიდამო (ლალგემ სადგომი), ჰაგ-წრ ფეხშიშველი  
(ჰაგჳ ქუსლი, ე.ი. ჰაგ-წრ ნიშნავს "ქუსლიანს", "ვისაც  
ქუსლი უჩანს"), კუბდ-წრ ხორციანი ღვეზელი ("კუპა-  
ტიანი"), მგჯბ-წრ ცერცვიანი პური ("მოხარშულიანი"),  
ფეტჳრ-წლ ფეტვის გულიანი ქადა (ფეტჳრა ფეტვის  
ფქვილი) და სხვა.

რამდენიმე სახელში ქონების სუფიქსის ფუნქციით შეი-  
ძლება გამოიყოს -წრ, რომელიც წრ-ის ვარიანტი ჩანს: ბქვ.  
ტყებ-ერ-წრ ქალამნები ("ტყავიანები"; მეგრ. ტყები ტყავი)  
ყელშერ ღაბაბიანი (შდრ. ყელშგრ||ყელშირ ღაბაბი).

ჩვენი აზრით, წრ სუფიქსი წარმომავლობით რთულია და  
მიღებულია წრ-ა-საგან წრ-ა->წრ ე.წ. უკანა მიმართულე-  
ბის უმლაუტს წარმოადგენს, თანახმად პროფ. მ.ქალდანის  
მიერ დადგენილი კანონზომიერებისა, წრ კი თავის მხრივ  
ქართულ იერ ქონების სუფიქსს შეიძლება დაუკავშირდეს:  
იერ->იერ->წრ.

ქონების სახელთა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი  
წარმომოებია ჳ სუფიქსით.

მგრთენ-ჳჳ||მურთჳენ-ჳჳ ცაცია (მგრთენ||მურთჳენ მარ-  
ცხენა), მურსგჳენ-ჳჳ მემარჯვენე (მურსგჳენ მარჯვენა),  
ყჳარყჳულ-ჳჳ ხუჭუჭა, ყჳირ-ჳჳ ცალთვალა (ყჳილ ცალი,  
ტყუპთაგანი), ჩორთ-ჳჳ ფეხმოქცეული, ფისრ-ჳჳ წყეული,

ფისიანი", გურკ-ზე საკვირიკო ხარი, წმინდა კვირიკესთვის შესანიერი, ბურლუ-ზე ნისლა, მუქი ფერის ხარი, ბალახურ-ზე მოტიტველებული ადგილი ("უბალახოიანი") ზისხორ-ზე სისხლისმოყვარე, სისხლის მსმელი, ჰარყ-ზე არყისმოყვარული, ლოთი, ქიჭ-ზე ყველიპარია (ქიჭ ერთი თავი ყველი, "ერთი წველა"), თაშ-ზე ყველის მოყვარული, ყველიჭამია, ქონ-ზე ქონის მოყვარული, ქონიჭამია, ლელუ-ზე ხორცის მოყვარული, ხორციჭამია. ლედ-ზე ცერცვიჭამია, უუნაძ ძილის მოყვარული, ძილისგუდა და ა.შ.

-ზე სუფიქსში საკუთრივ ქონების მანარმოებლად შეიძლება გამოიყოს ა, რომელიც საერთოა ქართულთან, ი კი წარმოშობით სახ. ბრუნვის ნიშანია. აღსანიშნავია, რომ ა-ზე დაბოლოებული სახელები სვანურში სხვაც ბევრია (სადაც ა ფუძის ბოლოკიდური ხმოვანია და არა ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი); მაგალითად: დაშნა დაშნა, ბამბა ბამბა, კალთა კალთა, მემბა მუშა, კერა კერა, ოჯახი, ქალა მდინარე, კამრა ცის კამრა, ფინა ფინა, უირია ურია, მონა მონა, დორა დოქი, ლულა მუხლი, კაპრა ყბა, ნიკაპი, მულუ ყვავილი, ზა ნელინადი შუენდბა შენდობა...

-ზე დაბოლოება ხშირია პიროვნულ სახელებშიაც, სადაც თითქოს მოსალოდნელი არ იყო სახ. ბრუნვის ნიშნის დართვა, მაგრამ ამგვარი სახელები შეიძლება შედარებით გვიანდელი წარმოშობისა იყოს: მეფსა, ქაჭსა, ჩორლა, ფირელა, შერგელა, ბექა, დათუთა, გუტა, სუმა, ბარბალა, კესარია, გვეგია, ანუსია, ადა, ხოსია, ისმა, ნათელა, ქალა, კუდა, ყემზა, ლუამლა...

ზე დაბოლოება გვაქვს ნაცვალსახელებშიც: მა რა, ნა ჩვენ, სგა თქვენ, ხჭა ბევრი...

დავუბრუნდეთ ისევ -ზე სუფიქსიან ქონების სახელებს, სადაც -ა საკუთრივ რისიმე ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია. ამ სუფიქსს ხშირად ვხვდებით ნაზმნარ სახელებშიაც (მსგავსად ქართულისა), როგორიცაა:

კირცხა მჭრელი (იარალი, ადამიანი...), "ჭრია"; (ლიკვ-რცხე ჭრა, კაფვა); ბერჯ-ა მთხრელი. თხარია" (ლიბგრჯე თხრა), ყვრი-ა რჩოლია (ლიყვრიელ რჩოლა), ჳეფ-ა კბენია (ლიწეფ კბენა), ქჷთორ-ა ქურდი, "პარია" (ლიქჷთერ პარვა), ზობლ-ა ღორმუცელა, "ჭამია" (ლიზბი ჭამა), ზელალ-ა სიარულის მოყვარული, მოსიარულე (ლიზელალ სიარული), ტყვრსგნ-ა ტკაცუნა (ლიტყვრსგენი ტკაცუნი), გეჭ-ა გამძღე, "ძღებია" (ლიგეჭ გამძღება). პეჷჷ-ა „მალვია“ (ლიპეჷჷ დამალვა), შღიმ-ა მათრობელა (ლიშღმე თრობა), ქჷერ-ა ღპობადი, "ღპობია" (ლიქჷერ ღპობა), გჷან-ა მტირალა (ლიგჷნი ტირილი), მამჭირ-ა ზარმაცი (ლიმჭირ დაზარება), ფათქოლ-ა გასახეთქი, "ხეთქია", ფხარკჷ-ა "თხარია", "ქექია", ჩხერიალ-ა ჩხრიალა და ა.შ.

ზოგიერთ კილოკავში (ლახამულურში, ფარულ-ჩუბეხეურში) ი დაკარგულია და მხოლოდ უმლაუტიანი ა გვაქვს (ქალდანი, 1958, გვ. 214). როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ეს ა უნდა მივიჩნიოთ ზემოხსენებული ტიპის სახელებში ქონების აღმნიშვნელ სუფიქსად.

### უქონლობის სახელები

ქონების სახელთა სანინაალმდეგო, ანტონიმური მნიშვნელობით ენაში გვხვდება ე.წ. უქონლობის სახელები, ე.ი. ისეთი სახელები, რომლებიც აფიქსების მეშვეობით გამოხატავენ ძირეული სახელით აღნიშნული საგნის უქონლობას. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორგვარია: უ-ურ და უ-ო აფიქსებიანი, რომლებიც წარმოშობით ერთია (მანიძე, 1980). ანალოგიური წარმოება დამახასიათებელია სვანურისთვისაც: სვანურში პრეფიქსად გვაქვს უ-, სუფიქსად კი -ა (მათი დართვა ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს); გვაქვს ასეთი ფორმები:

უ-ფყჷ-ა უქედო, უ-ღჩაქ-ა უღეჩაქო, უ-ხგნჯარ-ა უხანჯლო, უ-გურმაშ-ა უულვაშო, უ-ღსტუგჷ-ა უნანავო,

უ-ჰკუნად-ა უკუდო, უ-მჭ-ა ურქო, უ-ფხულ-ა უთითო, უ-გზელ-ა უშვილო, უ-ნათ-ა უნათესაო, უ-მხ-ებ-ა უსახლიკაცო, უ-ჯმილ-ა უძმო, უ-წიდილ-ა უდო, უ-ქლუმგენ-ა უსაქონლო, უ-ჯმ-ა უმარილო, უ-ნწერ-ა უნივრო, უ-ათქ-ა უბორბლო, უ-ბჩ-ა უქვო, უ-ცხკ-ა უტყეო, უ-მურყუნამ-ა უკოშკო, უ-მს-ა უთოვლო, უ-მწყერ-ა უმენყრო, უ-ჩულ-ა (ლნტ. უ-ჩულ-ა) უმენყრო ადგილი, უ-ნაშხატ-ა (ლენტ. უ-აშხატ-ა) ულობო, უ-ჰკუნან-ა უაკვნო, უ-დომდულ-ა უმთვარო და მრავალი სხვა.

ამგვარ ფორმათა პარალელურად სვანურის ყველა კილოში გავრცელებულია აგრეთვე უქონლობის სახელთა წარმოება ურ სუფიქსით (შანიძე, 1981, გვ. 364).

ფაყ-ურ||ლაგმ-ურ უქუდო, თავშიშველი, ლაჩქ-ურ ულერაქო, გურმაშ-ურ უულვაშო ლუსდიგ-ურ უნანნავო, ფათ-ურ უთმო, გწი-ურ უგულო. ტეტ-ურ უხელო, ყაბ-ურ უწვერული, ჯიჯ-ურ უძვლო, ლელ-ურ უხორცო, ლგჯა-ურ ურძეო (შდრ. დომეყ ურძეო, ბერნი ძროხა), ფირ-ურ უძროხო, ჩაყ-ურ უცხენო, ჭაშ-ურ უქმრო, ხეხუ-ურ||ხეხ-ურ უცოლო, ნათი-ურ უნათესაო, კაბ-ურ უახალუხო, უკა-ბო, უოსარ-ურ||უოსარ-ულ უჩოხო, ფატან-ურ||ფატნ-ურ უპერანგო, არშტილ-ურ უნიფხო, შალბარ-ულ უშარვლო, შდა-ურ უთავთავო, უტაროო, ცხეკურ უტყეო, ქორ-ულ უსახლკარო, დიარ-ურ||დიარ-ულ უპურო, დომდულ-ურ უმთვარო, ანტყუნასგ-ურ უვარსკვლავო და ა.შ.

ამგვარად ნაწარმოები ზოგიერთი სახელი მრ. რიცხვის ფორმით იხმარება, ან პარალელურად მოეპოვება მრ. რიცხვის ფორმა; მაგალითად:

ბოფშ-არ-ურ||ბოფშ-არ-ულ უბავშვებო, ჩაფლ-არ-ულ ფეხშიშველი ("უფეხსაცმელებო"), შდიქ-არ-ულ უკბილო (ვისაც კბილები საერთოდ არა აქვს; შდრ. შდიქ-ურ ვისაც ერთი კბილი აკლია), ფხულე-ურ||ფხულა-ურ||ფხულ-არ-ულ უთითო, უთითებო, ცხა-ურ||ცხარ-ალ-ურ უფრჩხილო, უფრჩხილებო. ბაჩ-ურ||ბაჩ-არ-ულ უქვო, დაბ-

ურ||დაბარ-ულ უყანო. ჭიშხ-ურ||ჭიშხ-არ-ულ უფეხო, თე-ურ||თერ-ალ-ურ უთვალეხო (შდრ. თაჷ-ირ ბრმა).

ადვილი შესამჩნევია, რომ ზოგი სახელისაგან უქონლობის სახელის წარმოება ორივენაირად შეიძლება; მაგალითად, ფჷყჷ ("ქუდი")-საგან გვაქვს როგორც უ-ფყჷ-ა, ისე ფაყ-ურ, ლაჩაქ-ისაგან უ-ლჩაქ-ა და ლაჩქ-ურ, გურმაშ ("ულვაში")-ისაგან უ-გურმაშა და გურმაშ-ურ და ა.შ. მაგრამ უმეტესად უქონლობის სახელი ამა თუ იმ სახელისაგან მხოლოდ ერთნაირად იწარმოება: პრეფიქს-სუფიქსით ან სუფიქსით. ორივეგვარი წარმოების შემთხვევაში შეინიშნება მნიშვნელობათა დიფერენციაციის ტენდენცია. მაგალითად: თხჷიმ-ურ||თხჷმ-ურ ნიშნავს "უთავოს", უთხჷმ-ა კი "უმეთაუროს". -ურ სუფიქსიანი წარმოება უფრო ხშირად გამოიყენება ზმნისართული მნიშვნელობით (ქართული ვით. ბრუნვაში დასმული სახელის ფუნქციით), რაც არ ახასიათებს პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებას.

უ-ა აფიქსებით ნაწარმოები უქონლობის სახელი ზმნისართული მნიშვნელობით და ისიც ფუძის სახით (ვით. ბრუნვის ნიშნის გარეშე) ნაკლებად იხმარება; მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ უ-ა პრეფიქს-სუფიქსიანი და ურ სუფიქსიანი სახელები ფუნქციურად ახლოს დგანან და თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

### მცენარეთა სახელები

სიტყვათწარმოების თვალსაზრისით სევანურში ძალზე საინტერესოა მცენარეთა კრებულის სახელები, მაგრამ ჯერ თვით მცენარეთა სახელწოდებები განვიხილოთ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს -რა სუფიქსი, რომელიც არაერთი მცენარის სახელში გამოიყოფა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახელწოდებათა დიდი ნაწილი -რა სუფიქსის დაურთველადაც იხმარება, თანაც სუფიქსიან და უსუფიქსო ფორმათა შორის ზოგს თვალსაჩინო სე-

მანტიკური განსხვავება ახლავს, ზოგი კი თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს.

ხშირად -რა სუფიქსიანი ფორმა აღნიშნავს მცენარეს, უსუფიქსო კი მის ნაყოფს; მაგალითად: გაკ („კაკალი“) – გაკ-რა („კაკლის ხე“); ჰებ („ბალი“) – ჰებ-რა („ბლის ხე“); ჟისგჷ (ლშხ. უსგჷ, ლნტ. ჟისკჷ – „ვაშლი“) – ჟისგჷ-რა („ვაშლის ხე“); ჟიცხ („მსხალი“) – ჟიცხრა||იცხრა („მსხლის ხე“). იცხრა ჰქვია აგრეთვე მსხლის გულისაგან გაკეთებულ ტკბილ ნამცხვარს. ასევეა: ფეტჷ და ფუტჷ-რა („ფეტვის ფქვილი“), რომლისგანაც აკეთებენ ფეტჷრალ-ს – ფეტვის გულიან ქაღებს. შდრ. აგრეთვე ჩხეტჷ-რა – ფეტვში არეული ყველის ქადა, რომელიც გამოუცხოვლად იჭმევაო.

-რა სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმებს შორის ამგვარი დაპირისპირება ბოლომდე დაცული არაა და ორივეგვარი ფორმა გვხვდება მცენარის სახელად: გაკ||გაკრა („კაკლის ხე“), ჰებ||ჰებ-რა („ბლის ხე“), ჟისგჷ||ვისგჷ-რა („ვაშლის ხე“) და ა.შ. (მაგრამ -რა სუფიქსიანი ფორმები არასოდეს იხმარება ნაყოფის აღსანიშნავად).

ზოგჯერ უსუფიქსო ფორმა იხმარება საზოგადოდ მცენარის სახელად, -რა სუფიქსიანი კი აღნიშნავს ამ მცენარისაგან დამზადებულ საგანს. მაგალითად, ლენტეხურ კილოზე მუხას ჰქვია ჯი, მუხის მასალას კი – ჯირა. ასევეა: თეკარ („ნეკერჩხალი“) – თეკარლა (ნეკერჩხლის მასალა ან შეშა; შდრ. რაჭული თეკერა), ნიფ („ნიფელა“) – ნიფრა („ნიფლის მასალა“) და სხვ.

### წინავითარების სახელები

მსგავსად ქართულისა, სვანურს მოეპოვება საშუალება, რომ აფიქსების მეშვეობით გამოხატოს საგნის წინანდელი ვითარება, დაახასიათოს საგანი წინანდელთან მიმართებით. სათანადო შინაარსის გამომხატველი მორფემა სვანურშიც და ქართულშიც ერთია, – ესაა პრეფიქსი ნა-, რომელსაც კოლხურში შეესატყვისება ნო-. ამრიგად, ეს



ერთ-ერთი უძველესი, საერთო-ქართველური აფიქსია. ის გვხვდება როგორც არსებითი სახელის, ისე მიმღეობის მანარმოებლის როლში. ნა- პრეფიქსს, როგორც მიმღეობის ნარმოქმნელ ელემენტს, ჩვენ ზმნასთან დაკავშირებით განვიხილავთ, ამჯერად კი გავეცნოთ ამ პრეფიქსით ნანარმოებ წინავითარების სახელებს:

**ნა-თხუმ** („ნათავედი“ – პირველნახადი, მაგარი არაყი. შდრ. თხუმ||თხჳიმ – „თავი“).

**ნა-ლაჭჳამ** („ნაეკლესიარი“, შდრ. ლაჭჳამ – „ეკლესია“, „სამლოცველო“).

**ნა-მჳელორ ბზ., ლშხ., მანჳელორ ბქ., ნამჳელორ ლნტ.** („საშემოდგომო ხორბალი“, შდრ. მჳელორ||მჳეულჳერ – „შემოდგომა“). **ნა-მ-შუკჳ ზს., ნა-შუკჳ ქს.** („ნაბილიკარი“, „ნაგზაური“; „ნამგზავრი“; შდრ. შუკჳ – „გზა“).

**ნა-მ-შღჳშჳ** („მარტო, ცალკე მოხეტიალე ნადირი“; შდრ. შღჳშჳ – „მარტო, ცალკე“).

არაიშვიათად წინავითარების სახელის ნარმოქმნაში ნა-პრეფიქსთან ერთად სუფიქსებიც მონაწილეობენ:

**ნა-ჳ:** ნა-ზომახ-ჳ („ნახალწვეი“, შდრ. ზა-მახე||ზომხა – „ახალი წელი“).

**ნა-ი:** ნა-ნტკც-ი („სიმართლე“, „ნამართლევი“; შდრ. ტკიც – „მართალი“).

**ნა-ურ-ა:** ნა-პილნ-ურ-ა „მხეცი“, „ნადირი“, „ბილწი“ (ევეფემისტურად; შდრ. პილწ „ბილწი“, „უნმინდური“).

**ნა-არ:** ნა-ტყუბ-არ – „ტყუპისცალი“, „ნატყუპარი“; ნა-ჩჳალჳ-არ („ნამეწყრალი“; შდრ. ჩჳაღ – „მეწყერი“);

**ნა-ირ:** ნა-ცხჳდ-ირ („ნაქვაბევი“ – საარყე ქვაბის ნათხოვრობისათვის ქირად დასაცემი არაყი; შდრ. ცხჳად – „ქვაბი“).

**ნა-ელ:** ნა-ტყგრბ-ელ („ჭორფლი“, „ნატყირპალი“, შდრ. ტყლიპ||ტყლიბ – „ტყირპი“);

**ნა-** პრეფიქსი ანარმოებს სვანურში აგრეთვე განყენებულ, აბსტრაქტულ სახელებს, როგორიცაა: **წაერთგული**

(„ერთგულება“), ნაღრიბუ („სიღარიბე“), ნაშდუები („მშვიდობა“), ნაკლათხი („სიმაღლე“), ნაფდია („სიახლოვე“), ნაფშირი („სიმრავლე“), ნასრული („სიდიდე“, „სისრულე“), ნაღჯამში („ძალა, ღონე“), ნაუბადური („უბედურება“), ნაუმეყერი („უვიცობა“), ნაოსტატი („ოსტატობა“), ნაუსყალი („შეურიგებლობა“), ნაუქჟისგი („უთქმელობა“), ნაულჟენი („უქონლობა“), ნაუჩჟემნი („გაუკეთებლობა“), ნაჟნიდი („მოუტანლობა“), ნაუესენი („დაუკვლევლობა“), ნაუზი („ნაუსვლევლობა“) და სხვა.

### კნინობითი სახელები

კნინობითი სახელები შეადგენს წარმოქმნილ სახელთა ერთ-ერთ ფგუფს, რომელიც საინტიერესოა როგორც შინაარსის, ისე წარმოების მხრივ. კნინობითს უწოდებენ სახელის ისეთ ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ძირეული სახელით აღნიშნულ საგანთან შედარებით მცირეა, პატარაა. კნინობითი ფორმა გამოიყენება ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად, მეორე მხრით კი – დამცირების მიზნით (შანიძე, 1980, გვ. 120-122; თოფურია, 1979, გვ. 102). ცალკეულ შემთხვევებში მას შეიძლება ჰქონდეს სხვა ნიუანსებიც.

ქართულში კნინობითის მანარმოებლად გვაქვს სუფიქსები: -ა, -აკ, -იკ, -უკ, -ილ, -ელ, -უნ, -იტ, -უტ. ისინი ცალცალკე ან ორი-სამი ერთად დაერთვიან სახელს და კნინობითის გაგებას აძლევენ მას. როგორც ვხედავთ, კნინობითის მანარმოებლები ქართულში საკმაოდ ბევრია, მაგრამ სალიტერატურო ენაში მათი გამოყენების არე მეტად შეზღუდულია: სახელთა უმეტესობა კნინობითის ფორმებს ვერ აწარმოებს და სათანადო შინაარსი მხოლოდ აღწერილობით გადმოიცემა. შედარებით ფართოდ გამოიყენება კნინობითის ფორმები ზოგ დიალექტში, სახელდობრ, რაჭულში, გურულში, ფშაურში, ხევსურულში.

ქართულისაგან განსხვავებით, კნინობითის ფორმები

ფართოდ არის გავრცელებული სვანურის ყველა კილოში. კნინობითის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელები, ზედსართავები, რიცხვითი სახელები, მიმღებობები... საზოგადო სახელთაგან კნინობითის სუფიქსებით შეიძლება შეგვხვდეს ისეთ ცნებათა სახელებიც, როგორიცაა მზე, მთვარე, წელინადი, თვე, დღე, ხატი, დევი, სიცოცხლე და ა.შ. გვხვდება შემთხვევა, როცა კნინობითის სუფიქსი ერთვის სახელს, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს ხოშა („დიდი“): ხოშა წვადილდ (სვ. პოეზია, I, 322). საკუთარ სახელთაგან კნინობითის სუფიქსები ერთვის პიროვნულ სახელებსაც და გეოგრაფიულსაც. კნინობითის სუფიქსები შეიძლება ერთვოდეს თვით ზმნასა და ზმნისართსაც კი. რასაკვირველია, ამ უკანასკნელთა მაგალითები იშვიათია, ისიც მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება, მაგრამ თავისთავად ძალზე საინტერესოა და კნინობითის ფორმათა ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს. კნინობითი, ჩვეულებრივ, არ გვხვდება ნაცვალსახელებში, აბსტრაქტულ სახელებში, საწყისებში (დეეტერსი, 1930, გვ. 240; ჩანტლაძე, 1967, გვ. 296).

კნინობითი სვანურში იწარმოება სუფიქსებით, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია, მაგრამ მათი სიმრავლე უმთავრესად ხმოვანთა მონაცვლეობით არის გამოწვეული, თანხმოვნები კი სულ ორია: ლ და დ, წარმოდგენილი ერთად ან ცალ-ცალკე. ასე რომ, თანხმოვნების მიხედვით დაჯგუფებისას კნინობითის სუფიქსები შემდეგ სურათს იძლევა:

- ა) -ილდ, -ოლდ, -ულდ, -გლდ;
- ბ) -ილ, -ელ, -ალ, -ოლ, -ულ, -გლ;
- გ) -იდ, -ად, -გდ.

საფიქრებელია, რომ კნინობითის სუფიქსის პირვანდელი სახეა ლდ (წინამავალი ხმოვნითურთ), რომლის გამარტივებითაც მიღებულია ერთი მხრივ ლ თანხმოვნის, მეორე მხრივ კი დ თანხმოვნის ვარიანტები.

კნინობითის სუფიქსებს ბოლოში კიდევ -ა ხმოვანი უნდა ჰქონოდათ, რაზეც მიუთითებს ის გარემოება, რომ კნინობით სახელთა უმეტესობა ნათესაობით ბრუნვაში -აშ სუფიქსიანია. პოეზიის ენაში დაცულია ძველი ფორმები, სადაც კნინობითის სუფიქსებად გამოიყოფა -ილდა, -გლდა, -ილა, -გლა, -ილა და სხვანი (თოფურია, 2002, გვ. 18-19).

კნინობითის ფორმით სვანურში საკმაოდ ხშირად გვხვდება რიცხვითი სახელები. ამ შემთხვევაში კნინობითი გამოხატავს არაზუსტ რაოდენობას, მიახლოებითობას, ე.ი. კნინობითის სუფიქსი დაახლოებით ქართული ოდენაწილის როლში გვევლინება. მაგალითად:

ეშხუ-ლ (ეშხუ – „ერთი“)

ხენსგ-ილ (ხენსგა – „ნახევარი“)

სემი-ლ (სემი – „სამი“)

ოშთხ-ულდ (ოშთხუ – „ოთხი“)

იშგუიდ-ილ (იშგუიდ – „შვიდი“)

არ-ილ (არა – „რვა“)

ჩხარ-ილ (ჩხარა – „ცხრა“)

აეშდ-ილდ (აეშდ – „ათი“)

ეშდორ-ილ (ეშდორი – „თორმეტი“) და ა.შ.

### კომპოზიციები

კომპოზიცია ანუ თხზვა ახალ სიტყვათა წარმოქმნის ერთ-ერთი ცნობილი საშუალებაა, რომელიც მეტწილად თითქმის ყველა სისტემის ენაში გვხვდება. ქართველურ ენებში, კერძოდ – სვანურში, ის ფართოდ არის გავრცელებული. ცნობილია კომპოზიტთა ორი ძირითადი ტიპი: ფუძეგაორკეცებული (რედუპლიკაციური) და ნაირფუძიანი. ერთიცა და მეორეც შეიძლება იყოს კავშირიანი ან უკავშირო. ფუძეგაორკეცებული ამასთანავე შეიძლება იყოს ფუძეუცვლელი ან ფუძეცვლილი. დაწვრილებით ეს საკითხი განხილულია და სათა-

ნადო მაგალითები მოყვანილია ვ.თოფურისას ნაშრომში „ქართველურ ენათა სიტყვანარმოებიდან. VI. კომპოზიტი“ (ქესს, I, 1959). ამიტომ ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი მაგალითების დასახელებით დავკმაყოფილდებით.

ფუძის მარტივი გაორკეცება უფრო ხშირია ზედსართავებსა და ზმნიზედებში:

**ბგვი-ბგვი** („მაგარ-მაგარი“) – **ბგვი-ბგვიდ** („მაგრა-მაგრად“); **მეგრე-მეგრე** („მსხვილ-მსხვილი“) – **მეგრე-მეგრედ** („მსხვილ-მსხვილად“); **ენას-ენასდ** („ჩქარ-ჩქარა“, „ხშირ-ხშირად“); **ლეჟა-ლეჟა** | **კაჩ-კაჩუმ** („ზევით-ზევით“, „აღმართ-აღმართ“); **ლექუა-ლექუა** („ქვევით-ქვევით“, „დაღმართ-დაღმართ“); **ზემ-ზემშუ** („ცოტ-ცოტათი“); **ჟერხი-ჟერხი** („ზოგ-ზოგი“) და სხვა.

ფუძის გაორკეცების დროს ცვლილებათაგან აღსანიშნავია **მა** და **ნა** მარცვლის დართვა მეორე ნაწილის თავში: **კრლ-მაკრლ** („წივილ-კივილი“), **ტულ-მატულ** („ხშირი ძახილი“), **ჟაგ-ნაჟგუნ** („ნამლეულობა“)...

ზემთ ჩამოთვლილ კომპოზიტებში შეერთება უკავშიროა. კავშირიანი შეერთების მაგალითები ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში იშვიათია: **ვედნ-ი-ვედნ** | **ვედდ-ი-ვედდ** („ძლივ-ძლივობით“), **დროუნ-ი-დროუნ** („დროდადრო“, „დროგამოშვებით“), **ზაგნ-ი-ზაგარნ** („ქედ-ქედ“, „მთიდან მთაზე“), **ჟოდ-ი-ჟოდ** („ჯერჯერობით“)...

ორცნებიან კომპოზიტებში წყვილებად გვხვდება როგორც სინონიმები და ანტონიმები, ისე შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვები: **რამ-ბედაჟირ**, **ლიზ-ლიჩედი** („სვლა-ნასვლა“), **ლეთ-ლადედ** („დღედაღამ“), **ლეჟა-ლექუა** („ზევით-ქვევით“), **ენჩაჟ-ამხაჟ** („იქით-აქეთ“), **ხეხჟ-ჭამ** („ცოლ-ქმარი“), **დიგეზალ** („დღედა-შვილი“), **ჭამ-გეზლირ** („ქმარ-შვილი“), **დიმთილ-თელღრა** („რძალ-დედამთილი“), **დინა-ნალჟურ** („ქალ-ვაჟი“), **ლირდე-ლიზგე** („ყოფა-ცხოვრება“), **ლარდა-ლაგნა** | **ლარდა-ლაზგა** („სახლ-კარი“) და ა.შ.

## სახელთა მრავლობითი რიცხვი

სვანურში, მსგავსად მსოფლიოს ენათა აბსოლუტური უმრავლესობისა, როგორც სახელებში, ისე ზმნებში გარჩეულია ორი რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი. ამათგან მხოლობითი რიცხვი ოპოზიციის არამარკირებული წევრია, მრავლობითისათვის კი სახელს მეტად მრავალფეროვანი ალომორფები მოეპოვება. ესენია სუფიქსები: -არ, -პრ, -პრ, -ალ, -პლ, -პლ, -ელ, -ოლ, -ორ, -ერ, -პრუ, -უ, -ედუ, -პდუ და კონფიქსი ლა-ა. მათი განაწილება და ხმარების სიხშირე დამოკიდებულია როგორც სახელის ფუძის აგებულებაზე, ისე შინაარსობრივ ჯგუფებზე.

თანხმოვანფუძიან და ი, ო, უ ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობითი ინარმოება -არ სუფიქსით, რომელიც სუფთა სახით წარმოდგენილია ლაშხურში: ჴან ("ხარი") - ჴან-არ, გოჭ ("გოჭი") - გოჭ-არ, კუწში ("მჭადი") - კუწში-არ, გეგო ("გუგული") - გეგო-ლ-არ, გუ ("გული") - გუ-არ || გუ-ჟ-არ და სხვა.

სხვა კილოებში სუფიქსისეული ა ხმოვანი უმლაუტია-ნია (-პრ), რაც მოკვეცილი სახელობითი ბრუნვის ნიშნის ზემოქმედებით აიხსნება. სამაგიეროდ, უმლაუტს კარგავს ფუძისეული ხმოვანი, რომელიც მხოლობით რიცხვში უშუალოდ განიცდიდა სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენას. სახელდობრ, ბალსზემოურში იგივე სახელები ასე წარმოგვიდგება: ჴან - მრ.რ.: ჴან-პრ, გუეჭ - მრ.რ.: გოჭ-პრ, კუწში - მრ.რ.: კუწში-პრ, გეგო - მრ.რ.: გეგო-პლ, გუი - მრ.რ.: გუ-პრ || გუ-ჟ-პრ და სხვა.

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას თავს იჩენს აგრეთვე სხვა ფონეტიკური მოვლენებიც, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რედუქცია და დისიმილაცია.

რედუქციას, როგორც ვიცით, ადგილი აქვს ორ- და მეტმარცვლიან ფუძეებში, როცა მათ ემატება პრეფიქსის ან სუფიქსისეული მარცვალი. მოცემულ შემთხვე-

ვაში ეს მარცვალა მრ. რიცხვის ნიშანი (-პრ), რომლის ზემოქმედებითაც ფუძეში ხმოვანი იკარგება (რედუქცია ხდება), მაგრამ მარცვალთა საერთო რაოდენობა სიტყვაში უცვლელი რჩება. რედუქციაზე ჩვენ უკვე გვეყონდა საუბარი, ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ საილუსტრაციოდ ბალსზემოური კილოდან: **ამახჷ** ("მტერი") - **ამხჷ-პრ**, მეგამ ("ხე") - **მეგამ-პრ**, **აშხალ** ("ტოტი") - **აშხლ-პრ**, **ბერკილ** ("ბორკილი") - **ბერკლ-პრ** (შეადარეთ ლენტეხური კილოს ურედუქციო ფორმები: **ამახჷპრ**, **მეგამპრ**, **აშხალპრ**, **ბერკილპრ**...).

ფუძისეულ რ-სთან შეხვედრისას დისიმილაციის შედეგად დიალექტთა უმეტესობაში -არ (-პრ) სუფიქსი -ალ (-პლ)-ის სახით წარმოგვიდგება. უდისიმილაციო ფორმები დაცულია ბალსქვემოურში და ნაწილობრივ ბალსზემოურში (უშგულურსა და ლენჯერულში). აი, ამის ორიოდ ნიმუში: **დიარ** ("ჰური") - მრ.რ.: **დირპრ** (უშგ., ლენჯ.), **დირპრ** (ბქ.), **დირპლ** (ბზ.), **დიარალ** (ლშხ.), **დიარპლ** (ლნტ.); **ბარჯ** ("ბეჭი") - მრ.რ.: **ბარჯპრ** (ბქ., უშგ., ლენჯ.), **ბარჯპლ** (ბზ., ლნტ.), **ბარჯალ** (ლშხ).

ა და ე ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობით რიცხვს ბალსზემოურ კილოში აწარმოებს პირველადი (და არა დისიმილირებული) -ალ სუფიქსი, რომლის ხმოვანიც -პრ სუფიქსის მსგავსად უმლაუტიანია და თანაც ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანთან შერწყმის შედეგად გრძელია, ასე რომ, საბოლოოდ მრ. რიცხვის მანარმოებლად წარმოგვიდგება -პლ სუფიქსი: **დინა** ("გოგონა") - **დინპლ**, **კადა** ("ნაჯახი") - **კადაპლ**, **ლარდა** ("ბინა") - **ლარდაპლ**, **მარე** ("კაცი") - **მარპლ**, **თხერე** ("მგელი") - **თხერპლ**, **ლარე** ("სათიბი") - **ლარპლ**, **ყახე** ("სახელი") - **ყახპლ** და ა.შ.

ლენტეხურში სუფიქსისეული ხმოვანი, რაღა თქმა უნდა, გრძელი არაა, მაგრამ საყურადღებოა, რომ მას უმლაუტიც არ ახასიათებს, ეს კი იმით აიხსნება, რომ წარმოშობით გრძელ ხმოვნებს ლენტეხურში უმლაუტი

საერთოდ არ მოუდის (შანიძე, 1981, გვ. 367). ასე რომ, ზემოხსენებული სახელები ლენტეხურში მრავლობით რიცხვში ასეთი ფორმით გვხვდება: **დენალ, კადალ, ლარდალ, მარალ, თხერალ, ლარალ, უახალ...**

სხვა კილოებიდან ლაშხურში მრ. რიცხვის მანარ-მოებლად ა და ე ხმოვანფუძიან სახელებში გვაქვს ელ სუფიქსი (დინელ, კადელ, ლარდელ, მარელ, თხერელ, ლარელ, უახელ), ბალსქვემოურში კი -ოლ (დინოლ, კადოლ||კაჰდოლ, ლარდოლ, მაროლ, თხეროლ, ლაროლ, უახოლ)...

ამ ძირითად ფორმანტთა გარდა მრავლობითი რიცხვის ნიშნად განსაზღვრულ შემთხვევებში გვხვდება აგრეთვე სუფიქსები: -ა, -უ, -ერ, -არ, -ედუ, -იადუ და კონფიქსი ლა-ა. ამათი დართვა ფუძის აგებულებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული და უფრო ცალკეული სემანტიკური ჯგუფებით განისაზღვრება. სახელდობრ, ლა-ა ანარმოებს უმთავრესად ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა მრავლობით რიცხვს. ასეთებია სახელდობრ:

დი ("დედა") - ლადა

მუ ("მამა") - ლამუა

დაჩუირ (ზს, ლნტ.), დაჩურ (ლშხ.) "და(ძმისთვის)" - მრ.რ.: ლადაჩურა (||ლაჯჩურა ბზ., ლაჩჩურა ბზ.)

უდილ "და(დისთვის)" - ლაუდილა

მუხუბე "ძმა(ძმისთვის)" - ლახუბა

ჯგმილ ბზ., ლნტ.:: ჯიმილ ბქ, ჯუმოლ ლშხ. "ძმა(დისთვის)" - ლაჯმილა

ხეხუ ზს., ხეხუ ქს. - ლახხუა ზს., ლაეხუა ქს.

ჭაშ ზს., ლნტ., ჭაშ ლშხ. "ქმარი", "კაცი", - ლაჭაა ზს., ლშხ., ლაჭაა ლნტ.

ბუბა „ბიძია“ - ლაბბავა

გიგა „დეიდა“, „მამიდა“, „ბიცოლა“ - ლა-გგაუა

სრმაქ ბზ., ლშხ., "სიამაქ (ლნტ. "ქალიშვილი") - ლასამქა.

ჰასუიშ ("ასული") - ლასუშა



სემუნ ("ცოლისძმა") - ლასმუნა (||ლასმულა ლმხ., ლასმუნა ლნტ.)

ცალ ("ტოლი", "კბილა") - ლაცლა და სხვა.

ერთადერთი სახელი გეზალ ("შვილი") მრავლობით რიცხვს ანარმოებს -ირ (-ირ) სუფიქსით: გეზლირ (ბზ., ლმხ.), გეზლირ (ბქ.). გეზლარ||გეზლიერ (უშგ.). ეს უკანასკნელი უნდა იყოს ამოსავალი ფორმა გეზლირ-ისათვის.

იმავე -იერ სუფიქსისაგან უნდა იყოს მიღებული -ურ, რომელიც მრავლობით რიცხვს ანარმოებს -შა სუფიქსიანი გვაროვნული სახელებისაგან.

პროფესიის აღმნიშვნელ სახელებში მრ. რიცხვის მანარმოებელ სუფიქსად გვხვდება -ა, მიმღებობებში -უ, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

## ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები

სახელთა ბრუნება სვანურში მორფოლოგიური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი უბანია, რომელიც დიდი ხანია საგანგებო კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1911 წელს აკად. ნ.მარმა გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი სახელთა ბრუნების შესახებ სვანურში საგულისხმო სათაურით: „Где сохранилось сванске склонение?“ ამ ნაშრომში ავტორი კატეგორიულად აცხადებდა: „სვანურში ამჟამად წარმოდგენილი ბრუნება შედგება ნასესხებ ბრუნვათაგან, რომელთაც მთლიანად ან თითქმის მთლიანად გააძევეს ძირეული სვანური ბრუნება“. საკუთრივ სვანური ბრუნების დამახასიათებელ ფორმანტად ნ.მარმა მიიჩნია -ნ მიცემით ბრუნვაში და -ინ ნათესაობითში, რომლებიც სვანურში ნაშთის სახით არის შემორჩენილი.

შემდგომში სვანური ენით და კერძოდ მისი ბრუნების საკითხებით დაინტერესდა აკად. ს.ჯანაშია, რომელმაც საგანგებო გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ თემაზე და ძი-

რითადად გაიზიარა ნ.მარის შეხედულება სვანური ენის ნარეუობის შესახებ: „ვფიქრობთ, სვანურ ენაში, ქართველურ-ადილეური საერთო ელემენტების გარდა, მთელი ჩერქეზული ფენა შეიძლება გამოიყოს“, – აცხადებდა იგი, მაგრამ იქვე დასძენდა: „ამ ფენის მნიშვნელობა სვანურის სტრუქტურის თვალსაზრისით უცილობელია, მაგრამ მისი გათანაბრება ქართველურ კომპონენტთან შეცთომია. სვანური ქართველურ ენად რჩება და ეს დებულება ურყევია“ [ჯანაშია, 1959, გვ. 85-86].

ს.ჯანაშიამ პირველმა სცადა სვანურ ბრუნებათა ტიპების კლასიფიკაცია და გამოყო სამი ტიპი: I. წმინდა ქართველური (ორგანული) ბრუნება; II. წმინდა (ან თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება და III. შერეული ბრუნება.

შემდგომში კიდევ იყო რამდენიმე ცდა სვანურ ბრუნებათა ტიპების (სისტემების) დადგენისა. სახელდობრ, აკად. ვ.თოფურიას შეხედულებით, „სვანურში არის ბრუნების ოთხი სისტემა: 1. ქართველური (ქართულ-ზანური), 2. ადილეური (ჩერქეზულ-დალესტნური), 3. სვანური resp. ქართულ-კავკასიური და 4. ნარევი“ [თოფურია, 2002, გვ. 50].

როგორც ვხედავთ, ს.ჯანაშია და ვ.თოფურია ბრუნების ტიპებს გამოყოფენ წარმომავლობის (გენეზისის) მიხედვით. შემდეგ პროფ. თ.შარაძენიძემ წარმოადგინა ახალი კლასიფიკაცია მიცემითი ბრუნვის ნიშნების მიხედვით, რადგან, მისი მტკიცებით, სწორედ მიცემით ბრუნვას ემყარება ბრუნების ორფუძიანობა სვანურში (ამის გამო მიცემითი ბრუნვათა რიგში მოთხრობითზე წინ არის გადმოტანილი). გამოიყოფა მიცემითი ბრუნვის ხუთი ნიშანი: -ს, -ჟ, -ნჟ, -ა და -ამ. ამის შესაბამისად გვაქვს ბრუნების ხუთი ტიპი.

სვანური ენის ბრუნების სისტემის აღწერის ბოლო ცდა ეკუთვნის პროფ. ალ.ონიანს, რომელიც თანამედროვე სვანურში ბრუნების ორ ძირითად ტიპს გამოყოფს, რომელთაგანაც თითოეული ორ-ორ ქვეტიპს აერთიანებს, რითაც არსებითად ტიპების რაოდენობა ორკეცდება.

რაც შეეხება თვით ბრუნვათა რაოდენობას სვანურში, ის მკვლევართა შორის დავას არ იწვევს. მცირეოდენი აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება მხოლოდ ბრუნვათა სახელდებისა და განლაგების მხრივ, რასაც ამჯერად ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ამ მხრივ ვიცავთ ტრადიციას, რომელიც უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია ჩვენს სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში. ამ ტრადიციის მიხედვით ბრუნვათა სახელები და რიგი ბრუნვის ნიშნებთან ერთად სვანურში ასე წარმოგვიდგება:

- |                |                                   |
|----------------|-----------------------------------|
| 1. სახელობითი  | -∅                                |
| 2. მიცემითი    | -ს, -ჟ, -ნ(ა), -ა, -ამ            |
| 3. მოთხრობითი  | -დ, -ჟ-ემ, -ნ-ნემ, -ა-დ, ემ (ნემ) |
| 4. ნათესაობითი | -იშ, -აშ, -ეშ, ჟ-ემ-იშ, -ინ       |
| 5. მოქმედებითი | -შჟ ჟშ, -ოშ, -ამ-შჟ               |
| 6. ვითარებითი  | -დ, -ჟ-დ, -ნ-არ-(დ), -ა-დ, -ამ-დ  |

ქართულთან შედარებით გვაკლია წოდებითი, რომლისთვისაც სვანურს ცალკე ფორმა არ მოეპოვება. წოდებითი ბრუნვის (ვოკატივის) ფუნქციით იხმარება სახელის ფუძე ანუ იგივე სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც წოდებითის ფუნქციით ხმარებისას შეიძლება წინ უძღოდეს შორისდებული (ო, ჟო, ჰე, ჰო). ასეთივე სურათია კოლხურში.

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი ბრუნვა საერთოა სამივე ქართველური ენისათვის და, რაც მთავარია, საერთოა მათი ძირითადი სინტაქსური ფუნქციებიც. კერძოდ, სახელობითი ბრუნვა ქართულსა და სვანურში სავსებით ერთნაირად აღნიშნავს გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეს სამივე სერიაში, გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს პირველ სერიაში და პირდაპირ დამატებას მეორე და მესამე სერიაში. ასევე ერთნაირად აღნიშნება გარდამავალი ზმნის ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვით მეორე სერიაში და მიცემითით – მესამე სე-

რიაში. მიცემითი ბრუნვის ფუნქციებში შედის აგრეთვე ირი-  
ბი დამატების აღნიშვნა ყოველთვის, როცა ის პირმიმართია  
(I და II სერიის ზმნურ ფორმებთან).

მსოფლიოს მრავალ ენაში ნათესაობითი ბრუნვის მთა-  
ვარი ფუნქციაა კუთვნილების გამოხატვა. ნათესაობით  
ბრუნვაში დასმული სახელი წინადადებაში ძირითადად  
განსაზღვრების როლს ასრულებს. ასეა ქართველურ ენე-  
ბშიც, კერძოდ – სვანურში.

მოქმედებითი ბრუნვის ძირითადი ფუნქცია ქართულ-  
შიც და სვანურშიც არის მოქმედების იარაღის აღნიშვნა,  
ვითარებითი ბრუნვისა – დანიშნულების, მიმართულების,  
ვითარების გადმოცემა.

### **ბრუნვის ნიშნები**

სიტყვის მორფოლოგიური ანალიზი მისი ფუძის გან-  
საზღვრით იწყება და აქ უპირველეს ყოვლისა დაისმის  
კითხვა: ხმოვანფუძიანია თუ თანხმოვანფუძიანია ესა თუ  
ის სახელი? ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელთა  
ბრუნების ტიპების დადგენისათვის ქართველურ ენებში.  
ამგვარი დაყოფის დროს ქართულში ორივე ჯგუფში და-  
ახლოებით თანაბარი რაოდენობის სიტყვები იყრიან თავს,  
კოლხურში ხმოვანფუძიან სახელთა რაოდენობა ჭარბობს,  
სვანურში კი თანხმოვანფუძიანი სახელების რიცხვი დი-  
დად აჭარბებს ხმოვანფუძიანებს. ეს არის შედეგი სვანურ  
ენაში ოდესღაც მოქმედი ტენდენციისა, რომ სიტყვას მო-  
ჰკვეცოდა ბოლოკიდური ხმოვანი, ალბათ ძლიერი დინა-  
მიკური მახვილის გავლენით. თანხმოვანფუძიან სახელე-  
ბში ამ პროცესს შეენირა სახელობითი ბრუნვის ნიშანი,  
ხმოვანფუძიანებში კი დაიკარგა ფუძისეული ბოლო ხმო-  
ვანი, რადგან სახელობითი ბრუნვის ნიშანი მათ უკვე მა-  
ნამდე ჰქონდათ დაკარგული.

ამ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ბევრმა ხმო-  
ვანფუძიანმა სახელმა თანხმოვანფუძიანთა რიგებში გა-

დაინაცვლა, რითაც ამ უკანასკნელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ხმოვანფუძიანებისა კი შესაბამისად შემცირდა.

დინამიკურ მახვილთან არის დაკავშირებული აგრეთვე რედუქცია, რომელიც სხვადასხვა ქართველურ ენაში სხვადასხვა ძალით იჩენს თავს: კოლხურში სუსტია, სვანურში – ძლიერი, ქართული კი მათ შორის შუა საფეხურზე დგას, თუმცა ზოგიერთი მხრივ რედუქციის ძალა ქართულს უფრო ემჩნევა. სახელდობრ, ქართულში ერთმარცვლიანი სახელებიც განიცდიან რედუქციას, სვანურში კი – არა. ყოველივე ეს იწვევს ბრუნების ტიპების სხვადასხვანაირ განლაგებას ქართველურ ენებში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ ბრუნვის ნიშნები და მათი ალომორფები სვანურში.

სახელობით ბრუნვას თანამედროვე სვანურში რაიმე მორფოლოგიური ნიშანი არ გააჩნია, ის ოპოზიციის არამარკირებული წევრია. ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ მხრივ სვანურში დაცულია უძველესი ვითარება, როცა სახელს გარკვეულ შემთხვევაში არავითარი ბრუნვის ნიშანი არ ესაჭიროებოდა და ფუძის სახით იყო წარმოდგენილი (ასეთი იყო წრფელობითი ბრუნვა ძველ ქართულში).

სწორედ ასე უფიქრია აკაკი შანიძეს, როგორც თვითონ გადმოგვცემს, სვანური უმლაუტის ბუნების გარკვევამდე, მაგრამ როცა მან დაადგინა, რომ უმლაუტი სვანურში მომდევნო ი და ე ხმოვანთა გავლენის შედეგია, მაშინ უკვე ცხადი გახდა, რომ სახელთა ბოლო დახურულ მარცვალში უმლაუტი მოკვეცილი სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით იყო გაჩენილი.

ა. შანიძის აზრით, ეს ნიშანი უნდა ყოფილიყო ე, მომდინარე სვანური ეჯი|ეჯა („იგი“) ნაცვალსახელისაგან, მსგავსად ქართული სახელობითი ბრუნვის ი ნიშნისა, რომელიც იგი ნაცვალსახელის (ნანევრის) ნაშთია [შანიძე,

1981, გვ. 363]. აღსანიშნავია, რომ ავტორს ეს მოსაზრება ფრთხილი ვარაუდის სახით აქვს გამოთქმული და არ გამოორიციხავს ამავე ბრუნვის ნიშნად ი-ს მიჩნევის შესაძლებლობასაც.

შემდგომში სახელობითი ბრუნვის წარმომავლობის საკითხს სვანურში არაერთი მკვლევარი შეეხო, რომელთაგანაც უმრავლესობამ მთლიანად გაიზიარა ა.შანიძის მოსაზრება და სახელობითი ბრუნვის ნიშნად სვანურში ე-სთან ერთად ი-ს არსებობაც შესაძლებლად მიიჩნია [თოფურია, 2002, გვ. 5-30; გვ. 45-54; შარაძენიძე, 1955, გვ. 127-133; კლიმოვი, 1962, გვ. 36; ჩანტლაძე, 1998, გვ. 40-50].

განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა პროფ. მ. ქალდანმა, რომლის შეხედულებითაც სვანურში სახელობითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ი არის საგულვებელი და არა ე [ქალდანი, 1974, გვ. 148-164]. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორმა მოიშველია ა.შანიძის მიერ შენიშნული კანონზომიერება, რომ ე-ს ნაკლები ძალა აქვს უმლაუტისა, ვიდრე ი-ს: ე იწვევს მხოლოდ ა ხმოვნის უმლაუტს, ი კი აუმლაუტებს როგორც ა-ს, ისე ო-სა და უ-საც. რაკი სვანური სახელების ბოლო დახურულ მარცვალში სამივე ამ ხმოვნის უმლაუტი დასტურდება, მაშასადამე, მათი გაუმლაუტება მხოლოდ ი ხმოვანს (სახელობითი ბრუნვის ნიშანს) შეიძლება დაუკავშირდესო, – დაასკვნის მ. ქალდანი. მისი აზრით, ე-ს მიჩნევა სახელობითი ბრუნვის ნიშნად სვანურში გამორიცხულია.

თავისთავად ის მოსაზრება, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშნად სვანურში ი უნდა იქნეს აღდგენილი და არა ე, ჩვენი აზრითაც, სავსებით სწორი და გასაზიარებელია, თუმცა ე ხმოვნის ნაკლები მაუმლაუტებელი ძალა (ი-სთან შედარებით) ამგვარი მტკიცებისათვის ურყევ საბუთად არ გამოდგება. ცნობილია არა ერთი უდავო მაგალითი, როცა ო და უ ხმოვანთა უმლაუტს სვანურში იწვევს ბოლოში მოკვეცილი ე ხმოვანი და არა ი:

ლონე → ლუნე, ორჩხე (მეგრ.) → ჟერჩხ („ქარქაში“),  
მონმე → მენუმ, მეჯოგე → მეჯუნეგ, სამოთხე → სამე-  
თხე... უქმე → უქიმ, უმნეო → \*უიმნ → უინნ (ლშხ.  
„თოთო ბავშვი“), მომსახურე → მომსახური, ზღუდე →  
ძღუიდ და სხვა [ჭუმბურიძე, 2001, გვ. 191].

მაშ რა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მოკვეცი-  
ლი სახელობითი ბრუნვის ნიშანი მაინცდამაინც ი უნდა  
ყოფილიყო და არა ე?

ჯერ ერთი, სვანურ დიალექტებში დღემდე დაცულია  
არაერთი ფორმა, სადაც ფუძის ბოლოკიდური ი (resp. ზ)  
წარმოშობით უთუოდ სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ზოგ  
მათგანში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ამჟამადაც მოქ-  
მედია და გამოიყოფა სხვა ბრუნვებთან შეპირისპირებით  
(ჲორ-ი „ორი“, სემ-ი „სამი“, ზა-ჲ „წელინადი“), მეტწილად  
კი ის ფუძესთან არის შეხორცებული (ჭალაჲ „მდინარე“,  
„ჭალა“, დორაჲ „დოქი“, მგშაჲ „მუშა“ და სხვა) [ჩანტლაძე,  
1998, გვ. 42-63].

მეორე და ფრიად მნიშვნელოვანი არგუმენტი ი ხმო-  
ვნის სასარგებლოდ ისაა, რომ წინამავალ ხმოვანთან  
შეხვედრისას იგი ჲ-დ იქცევა და სიტყვის ბოლოში ადვი-  
ლად იკარგება კიდევ, მაშინ როცა ე ასეთსავე პოზიცია-  
ში გრძელ ხმოვნად იქცევა: პაემანი → პემან, სგა ესლრი  
→ სგ'ესლრი (შედის) ქა ესლრი → ქ'ესლრი („გადის“), ალა  
ესერ → ალ'ესერ („ესაო“), ჯა ესერ – ჯ'ესერ („თვითო-  
ნო“)... თუ დავუშვებთ, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშ-  
ანი ე იყო და არა ი, მაშინ მას ხმოვანფუძიან სახელებში  
გრძელი ხმოვანი უნდა მოეცა და აღარ უნდა დაკარგუ-  
ლიყო. ამგვარი დაშვების საწინააღმდეგოდ მეტყველებს  
უამრავი მაგალითი ბოლოკიდურ ხმოვანთა დაკარგვისა  
სვანურში [თოფურია, 2002, გვ. 5-32]. ამიტომ, ცხადია,  
ე სახელობითის ნიშნად ვერ იქნება მიჩნეული. მაშასა-  
დამე, სახელობითი ბრუნვის ნიშანი სვანურში ძველთა-  
განვე ი უნდა ყოფილიყო.

სახელობითი ბრუნვის ი სუფიქსი სვანურ ხმოვანფუძიან სახელებში **ჲ**-დ იქცეოდა, მსგავსად ძველი ქართულისა. შემდგომ ეტაპზე სახელობითი ბრუნვის **ჲ** ალომორფი ქართულში სულ დაიკარგა. ანალოგიურად უნდა დაკარგულიყო ასეთივე ფუნქციის მქონე **ჲ** სვანურშიც, მაგრამ სვანურში დაიკარგა არა მარტო სახელობითი ბრუნვის **ჲ**, არამედ ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვანიც, რომელიც ბრუნვის ნიშნის (**ჲ-ს**) გავლენით უთუოდ უმლაუტიანი იყო: **კაბჲ-ჲ** → **კაბჲ** → **კაბ**, **დაბჲ-ჲ** → **დაბჲ** → **დაბ**, **დიდჲ-ჲ** → **დიდჲ** → **დი** („დედა“) და ა.შ.

ამ ფონეტიკური ცვლილების შედეგად ბევრმა ხმოვანფუძიანმა სახელმა თანხმოვანფუძიანთა რიგებში გადაინაცვლა. ამით ხმოვანფუძიან სახელთა რიცხვი სვანურში საგრძნობლად შემცირდა, თანხმოვანფუძიანთა რიცხვი კი შესაბამისად გაიზარდა. მაგრამ იმთავითვე თანხმოვანფუძიანი და ამ ჯგუფში გვიან გადასული სახელების ერთმანეთისაგან გარჩევის შესაძლებლობა მაინც დარჩა ფუძისეული ხმოვნის უმლაუტის სახით: თავიდანვე თანხმოვანფუძიანი სახელების ბოლო მარცვლის ხმოვანი უმლაუტიანია, ყოფილი ხმოვანფუძიანებისა კი – უუმლაუტო.

პროფ. ვ.თოფურია მ დაადგინა, რომ სახელთა ზემოხსენებული ორი ჯგუფი (უმლაუტიანი და უუმლაუტო ანუ წარმოშობითვე თანხმოვანფუძიანი და ყოფილი ხმოვანფუძიანი) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. უკეთუ სახელი უმლაუტიანია, მას უთუოდ ნათესაობით ბრუნვაში -**იშ** ფორმანტი გაუჩნდება, ხოლო
2. თუ სახელი უუმლაუტოა, მას იმავე ბრუნვაში -**ჰშ** დაბოლოება ევლინება“ [თოფურია, 2002, გვ. 12].

იქვე მოცემულია ამ განსხვავების მიზეზის დამაჯერებელი ახსნა: „ყველა უმლაუტიან სახელს (...) სახელობით ბრუნვაში -**ი** დაბოლოება ექნებოდა, რომელიც დროთა



ვითარებაში მოეკვეცა, მაგრამ შედეგი (უმლაუტი) დავ-  
ვიტოვა; ხოლო ბოლოკიდურ ფუძისეულ ა-ს არავითარი  
გავლენის მოხდენა არ შეეძლო და ამიტომაც მისი დაკარ-  
გვით ფუძის ხმოვნები არ შეცვლილა“ [იქვე, გვ. 12].

შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ ბო-  
ლოკიდურ ფუძისეულ ა-საც შეეძლო გამოენვია უმლაუტი  
(უკანა მიმართულებისა), თუკი მას წინ უძლოდა ე-ხმოვნიანი  
მარცვალნი. ამით გაირკვა უმლაუტიანი ა-ს წარმომავლობა  
მრავალ შემთხვევაში, რომელიც ადრე აბლაუტის სახელით  
იყო ცნობილი [ქალდანი, 1969, გვ. 24-62].

გაირკვა აგრეთვე, რომ ნათესაობითი ბრუნვის -იმ და  
-აშ ფორმანტთა განაწილების ის წესი, რომელიც საზოგადო  
სახელებშია დაცული, საკუთარ სახელებში არ მოქმე-  
დებს [ჭუმბურიძე, 1964, გვ. 151-157].

ცნობილია, რომ როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმო-  
ვანფუძიანი პიროვნული სახელები სვანური ენის ყველა  
დიალექტში მისდევენ ბრუნების მხოლოდ ერთ ტიპს, ე.წ.  
„ქართველურს“ [დონდუა, 1967, გვ. 32-62]. თანხმოვან-  
ფუძიან პიროვნულ სახელთა დიდი უმრავლესობა სვანურ-  
ში ბოლო დახურული მარცვლის ხმოვანს უუმლაუტოდ  
წარმოგვიდგენს, ა იქნება ეს ხმოვანი, ო თუ უ: აბრამ,  
ალმასხან, ამირან, ბეჟან, დარიჯან, თამარ, ლევან, მგრზა-  
ყან, სოზარ, ყამარ, ყანსავ, ყარამან... ანზორ, ბესარიონ,  
იასონ, აკოფ, ნესტორ, როსტომ, ციოყ... აფრასუყ, ნა-  
გჭურ, სანდუხუ, სოსრუყუ, ქოჩულ...

ამ ფაქტის ლოგიკური ახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ  
გარემოების გათვალისწინებით, რომ პიროვნულ სახელს  
სვანურში, მსგავსად ძველი ქართულისა, სახელობითი  
ბრუნვის ნიშანი არ დაერთვოდა და, მაშასადამე, სახელის  
ბოლო მარცვალში უმლაუტის გაჩენის საფუძველიც არ  
არსებობდა [ჭუმბურიძე, 1964, გვ. 154-156].

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელობი-  
თი ბრუნვის ნიშნად სამივე ქართველურ ენაში როგორც

მხოლოდით რიცხვში, ისე მრავლობითში აღდგება ი ხმოვანი, რომელსაც სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია.

ეს ბრუნვის ნიშანი ქართველურ ენებში იგი ნაცვალსახელს (ნანწვარს) უკავშირდება.

ფორმობრივი და ფუნქციური იდენტურობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სახელობითი ბრუნვა ჯერ კიდევ საერთო-ქართველური ფუძეენის ნიაღში გამოეყო წრფელობითს და მოთხრობითზე ადრე ჩამოყალიბდა ცალკე ბრუნვის სახით.

**მიცემითი ბრუნვა.** მიცემითი ბრუნვის ნიშნებიდან -ს ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია ერთი და იმავე სინა სპირანტის სახით და, ცხადია, ამ სახითვე აღდგება იგი რეკონსტრუქციის დროს საერთო-ქართველურ დონეზე.

სვანურში -ს მიცემითის ერთადერთი ნიშანია მრავლობით რიცხვში (ყველა კილოში). ის გაბატონებულია მხოლოდით რიცხვშიც (ქვემოსვანურ კილოებში). მიცემითის სხვა ალომორფები გვხვდება ძირითადად ბალსქვემოურ კილოში და მათ ყველას მოეპოვება პარალელურად ს-ანიანი ფორმებიც.

ე ხმოვანფუძიანთა ბრუნება ზემოსვანურში შეადგენს სწორედ ბრუნების II ტიპს, რომელიც ასეთ სახეს ატარებს:

ბზ.	ბქ.
სახ. მწრე („კაცი“)	მწრე
მიც. მწრ-ა	მარ-ა
მოთხ. მწრა-დ    მწრწმ    მწრწმ-წწმ	მწრემ
ნათ. მწრწმ-იშ	მწრემ-იშ
მოქ. მწროშ	მარო-შჟ
ვით. მწრა-დ	მარა-დ

სინქრონულ დონეზე ა მიცემითის ნიშანია, შემდეგ კი მიცემითის ფორმა არის აღებული მეორე ფუძედ დანარჩენი

ბრუნვებისათვის. დიაქრონიულად, როგორც ვ.თოფურია ფიქრობდა, „თვით ე წარმომდგარია ფუძის ა-ს ასიმილაციით სახ. ი-სთან: -ა+ი → ეი → ე“ [თოფურია, 2002, გვ. 165].

ცალკე III ტიპს შეადგენენ, ჩვენი აზრით, ე- შიგნიხმოვნიანი სახელები, რომელთაც მიცემითის ნიშნად აქვთ უ სუფიქსი. ამ სუფიქსის გავლენით ე იქცევა ა-დ (ველარული უმლაუტი) და ეს ა-ხმოვნიანი ვარიანტი წარმოგვიდგება მეორე ფუძედ [ოსიძე, 1972, გვ. 157-159]. ბრუნვის ნიმუში ბალსქვემოური კილოს მიხედვით ასეთია:

სახ.    ჟელ („ძალღი“)

მიც.    ჟალ-ჟ

მოთხ.  ჟალ-ჟ-ემ

ნათ.    ჟალ-ჟ-ემ

მოქ.    ჟალ-ჟ-შჟ

ვით.    ჟალ-ჟ-დ [თოფურია, 2002, გვ. 165-166].

ამრიგად, უ ამ ტიპის სახელთა ბრუნებისას წარმოშობით მიცემითი ბრუნვის ნიშანია. ის შეიძლება დადგეს ქართულში ნაშთის სახით შემორჩენილი მიცემითის -ავ და ნათესაობითის -ივ სუფიქსების გვერდით.

მიცემითი ბრუნვის სხვა ფორმანტებიდან საერთო-ქართველურ დონეზე გამოყოფენ აგრეთვე -ნ (ნათესაობითში -ინ) ალომორფს. როგორც ავ და ივ, ისე ნ და ინ ალომორფთა გამოყენების ასპარეზი ძალზე შეზღუდულია და ამიტომ ცალკე ტიპად ან ქვეტიპად მათი გამოყოფის შესახებ საუბარიც ძნელია. ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში დასტურდება ასეთი ფორმები: ლეთნ ი ლადალნ („დღედაღამ“), ბაჩნ ი ბაჩნ („ქვიდან ქვაზე“), ჩინ(|ჩიდ) მაჩენე („ყველაზე უკეთესი“) და სხვა [მაჭავარიანი, 1985, გვ. 231-242].

მოთხრობით ბრუნვაში დგას სუბიექტური პირი (ქვემდებარე) გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნების II სერიის ფორმებთან. ამ მხრივ სვანური მთლიანად და ზედმიწევნით იცავს იმავე ნორმებს, რომლებიც დამკვიდრებულია ქართულ სალიტერატურო ენაში.

თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ბრუნების ტიპისა და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის მხრივ მოთხრობითი სვანურში მარტივ სურათს წარმოგვიდგენდა, მაგრამ სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგოა: მოთხრობითი ბრუნვა გამოირჩევა ორფუძიანობით, ალომორფთა სიმრავლით, მათი განაწილების წესების სირთულით...

მოთხრობითი ბრუნვის მორფემის ძირითადი ალომორფებია -დ და -ემ, რომლებიც ბრუნების სხვადასხვა ტიპს განეკუთვნებიან და არაერთი თავისებურება ახასიათებთ. მათ შორის დიდი განსხვავებაა გავრცელების მხრივაც: დონიანი ბრუნება გვხვდება ყველა ტიპის სახელთან და ყველა დიალექტში. ის ერთადერთია საკუთარ სახელებთან, მრავლობითი რიცხვის ფორმებთან. ამ ფონზე ემიანი ბრუნების ხმარების არე ფრიად შეზღუდულია: ის გავრცელებულია ძირითადად ბალსქვემოურ კილოში და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში. ამ ტიპთან არის დაკავშირებული სახელთა ბრუნების ორფუძიანობის საკითხი სვანურში.

ეს ტიპი პირველად საგანგებო შესწავლის საგნად აქცია აკად. ს.ჯანაშიამ, რომელმაც იგი წარმოშობით ადიღურ ენებს დაუკავშირა [ჯანაშია, 1959, გვ. 81-116]. ამ მოსაზრებამ თავის დროზე ფართო აღიარება პოვა და გაზიარებული იქნა ცნობილ სპეციალისტთა მიერ [ჩიქობავა, 1941, გვ. 48-59; თოფურია, 2002, გვ. 44-55; დონდუა, 1946, გვ. 32-62; შარაძენიძე, 1955, გვ. 125-135 და სხვ.].

ამ ტიპის ბრუნების ადიღური წარმომავლობის თეორია არ გაიზიარა და მისი საკუთრივ ქართველური ენების საფუძველზე ახსნა სცადა გ.მაჭავარიანმა [მაჭავარიანი, 1962, გვ. 93-124]. ამ თვალსაზრისის შემდგომი განვითარებისა და დასაბუთების ცდა ეკუთვნის ალ.ონიანს, რომელმაც ჩამოაყალიბა მოთხრობითი ბრუნვის -დ და -ემ ალომორფთა განაწილების წესები [ონიანი, 1998, გვ. 68-71].

ხსენებული წესების მიხედვით ირკვევა, რომ I ტიპის ბრუნებაში ძირითადი მორფოლოგიური ერთეული, რომე-

ლიც ამ ტიპის სახელთაგან აწარმოებს მოთხრობით ბრუნვას, არის -დ, ხოლო -ემ ალომორფი აქ მხოლოდ ფაკულტატიური (თავისუფლად მონაცვლე) ვარიანტის სახით იჩენს თავს და ისიც მხოლოდ ერთმარცვლიან სახელებში:

სახ. ბრ.:	მოთხ.ბრ.:
დაშდჷ („დათვი“)	დაშდჷ-დ  დაშდჷ-ემ
ბეფშჷ („ბავშვი“)	ბეფშჷ-დ  ბეფშჷ-ემ
ჭყინტ („ბიჭი“)	ჭყინტ-დ  ჭყინტ-ემ
დწჷ („დევი“)	დწჷ-დ  დწჷ-ემ
ში („ხელი“)	ში-დ  ში-ემ
დი („დედა“)	დი-დ  დი-ემ
მუ („მამა“)	მუ-დ  მუ-ემ და ა.შ.

ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან არსებით სახელებში მოთხრობითი ბრუნვა მუდამ დ-თი გამოიხატება, -ემ-ით კი – არასდროს: ცხა-დ („ფრჩხილმა“), შდა-დ („თავთავმა“), კა-დ („ფიქალმა“), თე-დ („თვალმა“) და ა.შ.

ერთმარცვლიან სიტყვათა მცირე ნაწილში (ჩვეულებრივ – ნაცვალსახელებში), სადაც -დ და -ემ ალომორფთა ასეთი თავისუფალი მონაცვლეობა შეუძლებელია, წარმოდგენილია ან მხოლოდ ერთი ალომორფი, ან მხოლოდ მეორე: ჩი-ემ („ყველამ“), აწრ-დ („ვინ?“); ჩი-დ ან აწრ-ემ შეუძლებელია.

ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში ყოველთვის -დ ალომორფია წარმოდგენილი, -ემ სუფიქსი დაუშვებელია: გეზალ-დ („შვილმა“), მგშკიდ-დ („მჭედელმა“), ზურალ-დ („ქალმა“), ქათალ-დ („ქათამმა“), სრმაქ-დ („ქალიშვილმა“) და ა.შ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა ჯერჯერობით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საბოლოოდ დასკვნები გაკეთდეს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის წარმომავლობის შესახებ სვანურში. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, მოთხრობითის -ემ სუფიქსის შესაძლო კავშირი ადილურთან.

ნათესაობითი ბრუნვის ძირითად ნიშნად სვანურში წარმოგვიდგება -იმ სუფიქსი, რომელიც საზიაროა მეგრულ-ლაზურთან და ზუსტი შესატყვისია ქართული -ის სუფიქ-

სისა. თანახმად ვ.თოფურიას მიერ დადგენილი წესისა, -იშ-ით აწარმოებენ ნათესაობით ბრუნვას ის სახელები, რომელთაც ბოლო დახურულ მარცვალში უმლაუტი მოუდით: გიცარ („ვერდი“) – გიცრ-იშ; ხამ („ლორი“) – ხამ-იშ; გუეჭ (← გოჭ) – გუეჭ-იშ; შგუიბ (← შგუბ „რკო“) – შგუიბ-იშ... [თოფურია, 2002, გვ. 8-13].

თუ სახელი უმლაუტოა, მას ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად დაერთვის აშ: ნაქამ („სტუმარი“) – ნაქამ-აშ; ლუამ („ჯიხვი“) – ლუამ-აშ, კოჯ („კლდე“) – კოჯ-აშ; ფუსნ („ბატონი“) – ფუსნ-აშ...

გვხვდება შემთხვევები, როცა აღნიშნული წესი ირღვევა და უმლაუტიან სახელს ნათესაობითის ნიშნად აშ ბოლოსართი მოუდის და არა მოსალოდნელი -იშ: ბარ („ქვა“) – ბარ-აშ, გარ („დანა“) – გარ-აშ, დჭუ („დევი“, „ჩერჩეტი“) – დჭუ-აშ...

ამ გამონაკლისებს თავისი ახსნა მოეპოვება: უმლაუტი ამ შემთხვევაში ველარულია და არა პალატალური.

გვხვდება მცირერიცხოვანი მაგალითები, როცა ნათესაობითი ბრუნვა წანარმოებია -ეშ სუფიქსით (-იშ||-აშ სუფიქსების პარალელურად): ლეც||ლიც („წყალი“) – ლეც-ეშ||ლიც-იშ; გიმ („მინა“) – გიმ-ეშ||გიმ-იშ; დეც („ზეცა“) – დეც-ეშ||დეც-იშ; მიუ („მზე“) – მგუ-ეშ||მიუ-იშ||მგუ-ეშ||მგუ-ეშ-იშ...

ამ სიჭრელის მიზეზი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრ სახელს სვანურში ფუძის ბოლო ხმოვანი მოკვეცილი აქვს და თანხმოვანფუძიანად არის ქცეული. დაკარგული ხმოვანი აღდგება ნათესაობით ბრუნვაში. ეს ხმოვანი და ნათესაობითი ბრუნვის შ თანხმოვანი სინქრონულ დონეზე მთლიანად აღიქმება როგორც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, დიაქრონიულად კი აქ ბრუნვის ნიშნისეულია მხოლოდ შ თანხმოვანი, ხმოვანი კი ფუძისეულია.

შესაძლოა ორი სხვადასხვა ბრუნვის (მიცემითისა და ნათესაობითის) ნიშანთა შერწყმის გზით იყოს მიღებული მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტი -შუ|-უშ. ეს ბრუნვა გამოირჩევა სვანურ ბრუნვათა შორის ალომორფთა სიმცი-

რით და ნაკლები ფუნქციური დატვირთვით. (მას ზოგჯერ „მეორე ნათესაობითის“ სახელითაც იხსენიებენ), მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

ვითარებითი ბრუნვის მორფემის ძირითადი წარმომადგენელი თანამედროვე სვანურში არის -დ სუფიქსი, რომელიც გვხვდება როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში: დინა-დ („ქალიშვილად“), ტუნუ-დ („ქონად“), ბეფშუ-დ („ბავშვად“), გეზალ-დ („შვილად“)... ზოგ შემთხვევაში გამოყოფენ აგრეთვე ამ-დ ალომორფსაც: ხოჩამდ („კარგად“), ხოშამდ („უფროსად“), ჟოშამდ („რამდენად“) და სხვა.

ასევე გამოიყოფა -ნარ ალომორფი ისეთ მაგალითებში, როგორიცაა იმნარ („რატომ“), ეჯნარ („იმიტომ“), ამნარ („ამიტომ“) და სხვა.

ამრიგად, სვანურ ბრუნვათა ძირითადი ალომორფებია:

სახელობითში – ი და Ø

მიცემითში – ს

მოთხრობითში – დ და ამ

ნათესაობითში – იშ

მოქმედებითში – შუ

ვითარებითში – დ.

## სახელთა ბრუნების ნიმუშები

**თანხმოვანფუძიანი უმლაუტიანი**

**ბალსზემოური კილო**

მხ.რ.

მრ.რ.

სახ. ჴან („ხარი“) ჴან-არ

მიც. ჴან-ს ჴან-არ-ს

მოთხ. ჴან-დ ჴან-არ-დ

ნათ. ჴან-იშ ჴან-რ-ეშ

მოქ. ჴან-შუ ჴან-არ-შუ

ვით. ჴან-დ ჴან-არ-დ

### ბალსქვემოური კილო

	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	ჯან	ჯან-პრ
მიც.	ჯან-ს	ჯან-პრ-ს
მოთხ.	ჯან-დ	ჯან-პრ-დ
ნათ.	ჯან-ჟ-ემ    ჯან-იმ	ჯან-რ-ემ
მოქ.	ჯან-შჟ	ჯან-პრ-შჟ
ვით.	ჯან-დ	ჯან-პრ-დ

### ლაშხური კილო

სახ.	ჯან	ჯან-არ
მიც.	ჯან-ს	ჯან-არ-ს
მოთხ.	ჯან-დ	ჯან-არ-დ
ნათ.	ჯან-იმ	ჯან-რ-ემ
მოქ.	ჯან-შჟ	ჯან-არ-შჟ
ვით.	ჯან-დ	ჯან-არ-დ

### ლენტეხური კილო

სახ.	ჯან	ჯან-პრ
მიც.	ჯან-ს	ჯან-პრ-ს
მოთხ.	ჯან-დ	ჯან-პრ-დ
ნათ.	ჯან-იმ	ჯან-პრ-ემ
მოქ.	ჯან-შჟ	ჯან-პრ-შჟ
ვით.	ჯან-დ	ჯან-პრ-დ

### მეტმარცვლიანი

#### ბალსზემოური კილო

სახ.	პნგჟლეზ    პნგლოზ („ანგელოზი“)	პნგლოზ-პრ
მიც.	პნგჟლეზ-ს    პნგლოზ-ს	პნგლოზ-პრ-ს
მოთხ.	პნგჟლეზ-დ    პნგლოზ-დ	პნგლოზ-პრ-დ
ნათ.	პნგჟლეზ-იმ    პნგლოზ-იმ	პნგლოზ-პრ-ემ
მოქ.	პნგჟლეზ-შჟ    პნგლოზ-შჟ	პნგლოზ-პრ-შჟ
ვით.	პნგჟლეზ-დ    პნგლოზ-დ	პნგლოზ-პრ-დ



## ბალსქვემოური კილო

	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	წნგლებ	წნგლებ-წრ
მიც.	წნგლებ-ს	წნგლებ-წრ-ს
მოთხ.	წნგლებ-დ	წნგლებ-წრ-დ
ნათ.	წნგლებ-იშ	წნგლებ-წრ-ეშ
მოქ.	წნგლებ-შჷ	წნგლებ-წრ-შჷ
ვით.	წნგლებ-დ	წნგლებ-წრ-დ

## ლაშხური კილო

სახ.	ანგლოზ	ანგლოზ-არ
მიც.	ანლოზ-ს	ანგლოზ-არ-ს
მოთხ.	ანგლოზ-დ	ანგლოზ-არ-დ
ნათ.	ანგლოზ-იშ	ანგლოზ-არ-ეშ
მოქ.	ანგლოზ-შჷ	ანგლოზ-არ-შჷ
ვით.	ანგლოზ-დ	ანგლოზ-არ-დ

## ლენტეხური კილო

სახ.	წნგლოზ	წნგლოზ-წრ
მიც.	წნგლოზ-ს	წნგლოზ-წრ-ს
მოთხ.	წნგლოზ-დ	წნგლოზ-წრ-დ
ნათ.	წნგლოზ-იშ	წნგლოზ-წრ-ეშ
მოქ.	წნგლოზ-შჷ	წნგლოზ-წრ-შჷ
ვით.	წნგლოზ-დ	წნგლოზ-წრ-დ

როგორც ვხედავთ, დიალექტებს შორის განსხვავებული მხოლოდ ფონემატური ხასიათისაა (ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, უმლაუტი, რედუქცია), რაც ბრუნების ტიპის შეცვლას არ იწვევს. ამიტომ I ტიპის ბრუნების მაგალითებს ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ ბალსქემოური დიალექტიდან.

### თანხმოვანფუძიანი უუმლაუტო

მხ.რ.	მრ.რ.
სახ. გეზალ („შვილი“)	გეზლ-ნრ
მიც. გეზალ-ს	გეზლ-ნრ-ს
მოთხ. გეზალ-დ	გეზლ-ნრ-დ
ნათ. გეზლ-აშ	გეზლ-ნრ-ეშ
მოქ. გეზალ-შუ	გეზლ-ნრ-შუ
ვით. გეზალ-დ	გეზლ-ნრ-დ

### ფუძეში ა (←ე) ხმოვნიაანი

სახ. ნაბ („ნება“)	ფაყუ („ქუდი“)	ფაყუ-არ
მიც. ნაბ-ს	ფაყუს	ფაყუ-არ-ს
მოთხ. ნაბ-დ	ფაყუ-დ	ფაყუ-არ-დ
ნათ. ნაბ-აშ	ფაყუ-აშ	ფაყუ-არ-ეშ
მოქ. ნაბ-შუ	ფაყუ-შუ	ფაყუ-არ-შუ
ვით. ნაბ-დ	ფაყუ-დ	ფაყუ-არ-დ

### ა ხმოვანფუძიანი

სახ. დნა („გოგონა“)	დნალ
მიც. დნა-ს	დნალ-ს
მოთხ. დნა-დ	დნალ-დ
ნათ. დნაშ (← დნა-აშ)	„დნალ-ეშ    დნალ-რ-ეშ
მოქ. დნა-შუ	დნალ-შუ
ვით. დნა-დ	დნალ-დ

### ი ხმოვანფუძიანი

სახ. დი („დედა“)	დილ-არ
მიც. დი-ს	დილ-არ-ს
მოთხ. დი-დ    დი-ემ	დილ-არ-დ
ნათ. დი-აშ „დი-ეშ	დილ-არ-ეშ
მოქ. დი-შუ	დილ-არ-შუ
ვით. დი-დ	დილ-არ-დ

მხ.რ.

სახ. გუი („გული“)

მიც. გუი-ს

მოთხ. გუი-დ

ნათ. გუი-მ-იშ

მოქ. გუი-ჟშ

ვით. გუი-დ

მრ.რ.

გუი-წრ||გუ-ჟ-წრ

გუი-წრ-ს

გუი-წრ-დ

გუი-წრ-ეშ

გუი-წრ-შჟ

გუი-წრ-დ

**ო და უ ხმოვანფუძიანები**

სახ. აბანო

მიც. აბანო-ს

მოთხ. აბანო-დ

ნათ. აბანოშ (←აბანო-ჟშ)

მოქ. აბანო-ჟშ

ვით. აბანო-დ

აბანო-წლ

აბანო-წლ-ს

აბანო-წლ-დ

აბანო-წლ-ეშ

აბანო-წლ-შჟ

აბანო-წლ-დ

სახ. მუ („მამა“)

მიც. მუ-ს

მოთხ. მუ-ს

ნათ. მუ-წშ„ეშ

მოქ. მუ-ჟშჟ

ვით. მუ-დ

ლამუა

ლამუა-ს

ლამუა-დ

ლამუ-ეშ

ლამუა-ჟშ

ლამუა-დ

**ე ხმოვანფუძიანები**

ბზ.

სახ. მწრე („კაცი“)

მიც. მწრე-ს||მწრა

მოთხ. მწრე-დ||მწრა-დ|

|მწრეშ||მწრეშ-ნ-ეშ

ნათ. მწრეშ-იშ

მოქ. მწრე-ჟშ||მწრა-ჟშ

||მწრ-ოშ

ვით. მწრა-დ

ბქ. ლშხ. ლნტ.

მწრე მწრე მწრე

მწრა მწრე-ს მწრე-ს

მწრე-მ მწრე-დ მწრე-დ

მწრეშ-იშ მწრეშ-იშ მწრეშ-იშ

მწრა-ჟშ მწრეშ

მწრა-ჟშ მწრეშ მწრ-ოშ

მწრა-დ მწრე-დ მწრე-დ

## ე შიდახმოვნიანები

ბზ.	ბქ.	ქს
სახ. ჟელ („ძალლი“)	ჟელ	ჟელ
მიც. ჟელ-ს	ჟალ-ჟ	ჟელ-ს
მოთხ. ჟელ-დ  ჟალ-ჟ-ემ	ჟალ-ჟ-ემ	ჟელ-დ
ნათ. ჟელ-იშ  ჟალ-ჟ-მ-იშ	ჟალ-ჟ-ემ   ჟალ-ჟ-მ-იშ	ჟელ-იშ
მოქ. ჟელ-შჟ  ჟალ-ჟ-შჟ	ჟალ-ჟ-შჟ	ჟელ-შჟ
ვით. ჟელ-დ  ჟალ-ჟ-დ	ჟალ-ჟ-დ	ჟელ-დ

## პიროვნული სახელები

სახ. თამარ	ნიკო	მუშნი
მიც. თამარ-ს	ნიკო-ს	მუშნი-ს
მოთხ. თამარ-დ	ნიკო-დ	მუშნი-დ
ნათ. თამარ-იშ	ნიკუეშ (ბზ), ნიკოშ (ლშხ), ნიკო-იშ (ლნტ.)	მუშნი-შ
მოქ. თამარ-შჟ	ნიკო-შჟ	მუშნი-ჟშ
ვით. თამარ-დ	ნიკო-დ	მუშნი-დ

## ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი, როგორც ცნობილია, საგანს ახასიათებს რაიმე ნიშნის მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, ფერი, ასაკი, გარეგნობა, ხასიათი, გემო და სხვა. იმავდროულად ზედსართავმა სახელმა შეიძლება გვიჩვენოს მეტნაკლებობა იმ ნიშან-თვისებისა, რომლის მიხედვითაც ხდება ობიექტის დახასიათება. ამ მხრივ სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი სურათია. სახელდობრ, ქართულში, როგორც ვიცით, ზედსართავი სახელი სამგვარია: თეთრი – უთეთრესი – მოთეთრო, მწარე – უმწარესი – მომწარო, მცირე – უმცირესი – მომცრო და ა.შ.

პირველს, ძირითად ფორმას (თეთრი, მწარე, მცირე...) ეწოდება დადებითი ხარისხი, მეორეს (უთეთრესი, უმწარესი, უმცირესი...) – უფროობითი (შედარებითი), მესამეს (მოთეთრო, მომწარო, მომცრო...) – ოდნაობითი.

როგორც აკად. ა.შანიძე აღნიშნავს, „ქართულს არ მოეპოვება თანაბრობითი ხარისხის ფორმები (ეკვატიური ფორმები), როგორც ეს არის მეგრულში: მა-შხვ-ა „ისე მსხვილი, როგორც... გოლაში მაშხვა – მთის სიმსხო; კითიში მაგინძა – თითის სიგრძე“ [შანიძე, 1980, გვ. 141].

თანაბრობითი ხარისხის ფორმები სვანურსაც არ გააჩნია, მაგრამ, ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით, მას აქვს აღმატებითი ხარისხის ფორმები.

ამრიგად, ქართველური ენებიდან ერთს (ქართულს) მოეპოვება სამი ხარისხი: დადებითი, უფროობითი, თანაბრობითი; მეორეს (კოლხურს) – ოთხი: დადებითი, უფროობითი, თანაბრობითი და ოდნაობითი; მესამეს (სვანურს) – აგრეთვე ოთხი, მაგრამ სხვა შემადგენლობით: დადებითი, უფროობითი, აღმატებითი და ოდნაობითი.

ზედსართავი სახელი და მისი ხარისხის ფორმები ქართველურ ენებში სინქრონიულ დონეზე მეტ-ნაკლებად შესწავლილია სპეციალისტთა მიერ. თვალსაჩინო შედეგებია მიღებული ისტორიულ-შედარებითი ანალიზის გზითაც. ამ მხრივ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ა.შანიძის მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომი „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“ [შანიძე, 1981, გვ. 402-409].

ამ ნაშრომში ავტორის ყურადღების ცენტრში მოქცეულია უფროობითი ხარისხი, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი სამივე ქართველურ ენაში. ქართულში მისი მანარმოებელია უ-ეს კონფიქსი, რომლის ადრინდელი ვარიანტებია ხუ-ჴს (ხანმეტ ტექსტებში), ჰუ-ჴს||ჰუ-ეს (ჰამმეტ ტექსტებში), უ-ე („ვეფხისტყაოსანში“ და მომდევნო ხანის ძეგლებში). კოლხურში (მეგრულში) უ-ეს კონფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება უ-აშ. სვანურში იმავე ფუნქციას

ასრულებს ხო—ა, რომელიც კონფიქსის უფრო არქაულ სახეს წარმოგვიდგენს.

ა.შანიძის დამაჯერებელი მტკიცებით, ზემოხსენებული ქართველური კონფიქსები საერთო წარმომავლობისაა და რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება: თავკიდური ხ, რომელიც ძველ ქართულსა და თანამედროვე სვანურშია დაცული, წარმოშობით III ობიექტური პირის ნიშანია, იმ პირისა, რომელიც შედარების ობიექტს წარმოადგენს. როგორც ა.შანიძე შენიშნავს, ამ საკითხთან დაკავშირებით „პირის ნიშნობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ ისტორიულ ასპექტში, წარმოშობის თვალსაზრისით“.

ა.შანიძის ვარაუდით, ეს ობიექტური პირის ნიშანი უძველეს ხანაში (ხანმეტობის წინა პერიოდში) პირთა მიხედვით ცვალებადი უნდა ყოფილიყო: O<sub>1</sub>-მ, O<sub>2</sub>-გ და O<sub>3</sub>-ხ, რომლებიც ფუძეს საობიექტო ქცევის ნიშნით უკავშირდებოდნენ. მაშასადამე, ფორმები ასეთი იქნებოდა: მ-ი-მჯობჰსი, გ-ი-მჯობჰსი, ხ-უ-მჯობჰსი, მ-ი-დიდჰსი, გ-ი-დიდჰსი, ხ-უ-დიდჰსი და მისთ.

„შემდეგში მომხდარა ცვლილება, – განაგრძობს ავტორი, – პირველისა და მეორე პირის ფორმები ასეთი ბრუნვიანი სიტყვებისა დაკარგულა და შემოგვრჩენია მარტოოდენ მესამე პირის ფორმა (ხუდიდჰსი, ხუფროჰსი, ხუცჰსი, ხუმჯობჰსი და მისთ.) და ამით პირის გაგებაც სრულიად დაჰკარგვია ამ გადარჩენილ ფორმებსაც“ [შანიძე, 1981, გვ. 407].

ანალოგიისათვის მკვლევარს მოჰყავს სარწმუნო მაგალითები ძველი ქართულიდან, სადაც II პირის ზმნური ფორმა გინა („გსურს“) ქცეულა კავშირად („ან“), ხოლო III პ. ფორმა უნდა ხან ძველებურად პირის გაგებას ინარჩუნებს, ხან კი უპიროა (სოფელში უნდა წავიდე)<sup>1</sup>.

მეგრულ-ჭანურში უფროობითი ხარისხის მანარმოებლად

<sup>1</sup> შეიძლება აქვე მოვიხსენიოთ სვანური ხონნ, ხონი, ხონ („გინდ“, „თუნდაც“, „თითქოს“), რომელიც სვანურის ყველა კილოში გვხვდება ჩართული სიტყვის სახით. ის მიღებული ჩანს იმავე გინა, საერთო-ქართველური ზმნური ფუძიდან.

გვევლინება უ პრეფიქსი (-აშ სუფიქსთან ერთად), პირის ნიშნის კვალი კი აღარსად ჩანს.

რაც შეეხება სვანურს, მის შესახებ ა.შანიძის ნაშრომის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „სვანურში საქმის ვითარება დღესაც ისეთია, როგორც უძველეს ქართულში იყო: აქ მოგვეპოვება ხო თავსართი, რომელიც თავს იჩენს ხარისხის წარმოების დროს: **წერნი (წერანი)** „წითელი“, **ხო-წრანა** „უფრო წითელი“; **მეშხე** „შავი“, **ხო-მშხა** „უფრო შავი“; **ნეცინ** „წვრილი“, **ხო-ნცინა** „უფრო წვრილი“; **მაშრი (მაშარი)** „ფართო“, **ხო-მშარა** „უფრო ფართო“; **მახე** „ახალი“, **ხო-მხა** „უფრო ახალი“ და მისთ. ეს ხო - დღეს განუყოფელი მანარმოებელია და მის მიერ ნაწარმოები ხარისხი შედარებითია, რადგანაც მის გვერდით კიდევ სხვა ფორმაც მოიპოვება, რომელსაც აღმატებითი ჰქვია: მა-წრანე, მა-მშხე, მა-ნცინე, მა-მშარე და მისთ. ეს სვანური ხო'ც იმგვარადვე დაიშლება, როგორც ძვ. ქართ. ხუ, ე.ი. ხ-ო. იგივე ხ-ო გვხვდება სვანურში ზმნათა ფორმებში ირიბი მიმართების გამოხატვისას: ა-სყი („აკეთებს“) და ი-სყი („იკეთებს“) ფორმების გვერდით არსეობს ხ-ო-სყი („უკეთებს“, ძველი ქართულით: „ხ-უ-კეთებს“) [შანიძე, 1981, გვ. 408-409].

უ-ეს კონფიქსის ბოლო ნაწილის (სუფიქსის) შესახებ ავტორი ამ წერილში არაფერს ამბობს, მაგრამ აღნიშნულ კონფიქსს ის კვლავ შეეხო რამდენიმე წლის შემდეგ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, სადაც ნათქვამია, რომ უფროობითი ხარისხის სახელის ბოლოში ჭს სუფიქსი რთულია და ასე დაიშლება: ე-მს, სადაც ორი მანარმოებელია ერთად შერწყმული: „ამათგან ე პირველადი იყო და სრულიად საკმარისი, რომ პრეფიქსთან ერთად ხარისხის ფორმა მოეცა: ჰ-უ-მჯობ-ე“ [შანიძე, 1980, გვ. 143]. აქვე დასახელებულია ამ ტიპის მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“ (უ-ამ-ე, უ-არ-ე, უ-მართლ-ე, უ-ნათლ-ე), „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ („ქუთათელი უმართლ-ე“ = ქუთათელი უფრო მართალია), ზემო იმერეთის სოფ. ხრეითის მეტყველებიდან (უმადლე,

უხნე). ამას ემატება უ-ო კონფიქსით ნაწარმოები ფორმები წერილობითი წყაროებიდან (უ-ფრ-ო-მს-ი, უ-ტკბ-ო-ს-ი). ყოველივე ამის საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობს, რომ ხარისხის პირვანდელი სუფიქსია ე ან ო (\*ჰ-უ-მაღლ-ე, \*ჰ-უ-ტკბ-ო). „რაც შეეხება მს მანარმოებელს, ის არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (უკვეცელი ხმოვნის შემდეგ დასუსტებული: ის→მს). ასე რომ უფროობითი ხარისხის ფორმები არსებითად ნაგენეტივარი სახელებია. ამ დებულებას, სხვათა შორის, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ სვანურში მოიპოვება ე-ს შესატყვისი მანარმოებელი (ა: ხ-ო-შ-ა), მს-ისა კი - არა“ [შანიძე, 1981, გვ. 141].

შემდგომში შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისს ქართველურ ენებში სპეციალური გამოკვლევა უძღვნა გ.მაჭავარიანმა, რომელმაც გაიზიარა ა.შანიძის მოსაზრება შედარებითი (უფროობითი) ხარისხის მანარმოებლად ქართულში ე სუფიქსის მიჩნევის შესახებ და წყვეტილის მწკრივის ნიშანს დაუკავშირა იგი [მაჭავარიანი, 1958, გვ. 121-122]. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირება საეჭვოა, რადგან წყვეტილის მწკრივის ნიშანი ქართულსა და სვანურში ერთია (ე სუფიქსი), მაშინ როცა შედარებითი ხარისხის მანარმოებელი ქართულში არის ე, სვანურში კი - ა.

რა წარმოშობისაც არ უნდა იყოს ეს აფიქსები, ამჟამად ხო-ა სვანურში მთლიანად აღიქმება როგორც შედარებითი ხარისხის მანარმოებელი კონფიქსი. ის ერთნაირად გავრცელებულია ყველა დიალექტში. ხო-ა პრეფიქს-სუფიქსის დართვა იწვევს ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იმ კანონზომიერებათა შესაბამისად, რომლებიც დამახასიათებელია სვანურისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ზედსართავი სახელი შედარებითი ხარისხის ფორმით გაქვავებულია და დადებით ხარისხად არის ქცეული, მათი პირველადი (დადებითი ხარისხის) ფორმები კი უკვალოდ გამქრალია. ასეთებია: ხოჩა („კარგი“), ხოშა („დიდი“), ხოლა („ცუდი“),



ხოხურა („პატარა“), ხოდრა („მდარე“). ეს გაქვავებული ზედსართავები ერთნაირი ფორმით გვხვდება ყველა კილოში. ისინი აღმატებითი ხარისხის ფორმებსაც ერთნაირად აწარმოებენ მა-ენე (მა-ენე) პრეფიქს-სუფიქსით: მაჩენე, მაშენე, მაჭურენე, მადრენე (შეადარეთ სხვა ზედსართავთა აღმატებითი ხარისხის წარმოება მა-ე კონფიქსით: მა-წრან-ე „უნითლესი“, მა-მშხ-ე „უშავესი“, მა-კლათხ-ე „უმადლესი“ და ა.შ.). გამონაკლისის სახით ხოლა ხარისხის წარმოების ასეთ უნარს საერთოდ მოკლებულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მა-ე კონფიქსიანი აღმატებითი ხარისხის ფორმები მხოლოდ ბალსზემოურ დიალექტში გვხვდება, სხვებში კი არ არსებობს, და ამდენად, ხარისხის მიხედვით ოპოზიცია სამწევრიანია [ონიანი, 1998, გვ. 105].

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, აღმატებითი ხარისხის ფორმები მართლაც არ გვხვდება ლენტეხურში, ბალსქვემოურში კი მა-ე კონფიქსიანი ხარისხის ფორმები ისევე გავრცელებულია, როგორც ბალსზემოურში.

საერთოდ, როგორც ცნობილია, ზედსართავი სახელები ქართულშიც და სვანურშიც გამოირჩევიან თავისებურებებით ხარისხის წარმოების მხრივ. ყველა ზედსართავი ყველა ხარისხის ფორმას ვერ აწარმოებს ან არ აწარმოებს, რადგან არც არსებობს ამის საჭიროება. მაგრამ ამის გამო არ შეიძლება საეჭვო გახდეს რომელიმე ხარისხის არსებობა ენაში საერთოდ. ეს კიდევ უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას კატეგორიის მანარმოებელ ფორმანტთა გენეზისის შესახებ. რა წარმოშობისაც არ უნდა იყოს ესა თუ ის ფორმანტი, თუკი ის დაერთვის ზედსართავი სახელის დადებითი ხარისხის ფორმას და ცვლის მის მნიშვნელობას ნიშან-თვისების მეტობის ან ნაკლებობის თვალსაზრისით, ის ხარისხის მანარმოებელი ფორმანტია და არა სხვა რამ.

ამასთან დაკავშირებით გადავხედოთ ოდნაობითი ხარისხის ფორმებს სვანურში. არსებობს სპეციალური გამოკვლევა ამ ფორმათა ისტორიის შესახებ ქართველურ ენებში, სადაც ნათქვამია: „ე.წ. ოდნაობითი ხარისხის ფორმები დღეს სამსავე ქართველურ ენაში დასტურდება, თუმცა მეტ-ნაკლები გავრცელებით: ყველაზე ხშირად – ქართულში, შემდეგ – ზანურის მეგრულ დიალექტში და ბოლოს – სვანურში“ [ზურაბიშვილი, 1962, გვ. 641]. შემდეგ იქვე აღნიშნულია: „თვით ქართულშიც ოდნაობითი ხარისხის ფორმები ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე უფროობითისა; საერთოდ იგი ყველა ზედსართავისაგან არ იწარმოება. მისი წარმოქმნა ძირითადად ფერისა და სიდიდის აღმნიშვნელი ზედსართავებისაგან ხდება“.

მკვლევრის ვარაუდით, „ე.წ. ოდნაობითი ხარისხის სახელები წარმოშობით წითს ტიპის სტატიკურ ზმნათა ანმყოფრის მიმღეობებია, რომელთაც შემდეგ განვითარების ერთნაირი გზა უნდა გაეცლოთ სამსავე ქართველურ ენაში“ [იქვე, გვ. 646].

საინტერესო მოსაზრებაა, რომელიც ნაშრომში დამაჯერებლად არის არგუმენტირებული. მიუხედავად ამისა, მკვლევარი რატომღაც თავს იკავებს, რომ „ე.წ. უფროობითი ხარისხის ფორმები“ (როგორც ის უწოდებს) ქართველურ ენათა ზედსართავი სახელების სხვა ხარისხის ფორმებს გაუთანაბროს. ჩვენ ამ მხრივ სერიოზულ დაბრკოლებას ვერ ვხედავთ.

გავეცნოთ ზედსართავ სახელთა ოთხივე ხარისხის ფორმებს სხვადასხვა დიალექტში.

## ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება

	დადებითი	უფროობითი	ალმატივითი	ოდნაობითი
<b>თეთრი</b>	ბზ. თუეთუნე თეთუნე   თუეთუნე   ხოთთუნანა ბქ. თეთნე ლშხ. თუეთუნე ლნტ. თუეთუნე	ხოთთუნეა  ხოთთუნა ხოთთუნეა ხოთთუნეა	მათთუნე  მათთუნე - -	მეთთუნეა  მეთთუნა მეთთუნეა მეთთუნან   თუეთუნეიარა
<b>შავი</b>	ზს. მეშხე ლშხ. - ლნტ. მეშხე	ხომშხა - ხომშხეა	მამშხე - მამშხე	მეშხა მეშხანლა მეშხახუ
<b>წითელი</b>	ზს. წერნი ლშხ. - ლნტ. წერანი	ხონრანა - -	მანრანე მენრან -	მენრან   წერნალა წერნიალა მენრან   წერნიარა
<b>ყვითელი</b>	ზს. ყუითელ ლშხ. - ლნტ. -	ხოყუთილა - ხოყუთელა	მაცუთილე - -	მუყუთალ მუყუთალ მუყუთალ   ყუითელარა
<b>ჭრელი</b>	ზს. ჭრელ ლშხ. - ლნტ. -	ხოჭრელა - -	მაჭრელე   მეჭრელა მაჭრელა -	- - მეჭრელ   მეჭრალ   ჭრელარა
<b>კარგი</b>	ბზ. ხოჩა ბქ. - ლშხ. ხოჩილ ლნტ. -	ხოჩელ ხოჩელ მაჩნე ხოჩილ	მაჩნე მაჩნე ხოჩულ -	- - -
<b>დიდი</b>	ბზ. ხოშა ბქ. ხოშილ ლშხ. - ლნტ. -	ხოშელ - მაშნე ხოშილ	მამშნე - -	- -

სურათი უკვე ნათელია, მაგრამ მეტი სიცხადისათვის დამატებით კიდევ წარმოვადგენთ მცირე მასალას მხოლოდ ბალსზემოური დიალექტიდან:

	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნაობითი
თხელი:	დვთხელ	ხოდვთხელა	მადთხელე	მედთხელა
სქელი:	სგელ	ხონსგლა	მანსგლე	მენსგლა   სგელწარა
ხშირი:	ფიშირ	ხოფშირა	მაფშირე	მეფშირა
მაგარი:	ბგვი	ხოზგვა	მაზგვე	მეზგვა  ზგვიწარა
რბილი:	მენშგუე	ხომენშგუა	მამენშგუე	მემენშგუა
სავსე:	გუემი	ხოგუემილა	მაგუემილე	მეგუემილა
სველი:	მეჟირ	ხომეჟარა	მამეჟირე	მემეჟირა
მშრალი:	ფუჟუი	ხოფჟუა	მაფჟუე	მეფჟუა
მწარე:	მეხიმ	ხომეხემა	მამეხემე	მემეხემა
ტკბილი:	მუჟხუი	ხომჟხუა	მამჟხუე	მემჟხუა
მწიფე:	მეჰი	ხომჰა	მამჰე	მემჰა
მოხუცი:	მეჩი	ხომჩა	მამჩე	მემჩა
გოყი:	ლუსრყე	ხოლსრყა	მალსრყე	მელსრყა
ახალი:	მახე	ხომახა	მამხე	მემხა
ძველი:	ჯუინელ	ხოჯუენელა	მაჯუენელე	მეჯუენელა
მოკლე:	მეკუშდე	ხონკუშდა	მანკუშდე	მენკუშდა
გრძელი:	ჯრდი	ხოჯრუდა	მაჯრუდე	მემჯოდა
თბილი:	ტეზდი	ხოტზბიდა	მატზბიდე	მეტზბიდა
ცივი:	მეცხი	ხომცხა	მამცხე	მემცხა
გრილი:	ქუეირ	ხონქუერა	მანქუერე	მენქუერა
ცხელი:	ათუ	ხოითუა	მაითუე	მეითუა   ათუიწარა
მალალი:	კლთხი	ხოკლათხა	მაკლათხე	-
ფართო:	მაშრი	ხომშარა	მამშარე	მემშარა
მსხვილი:	მეგრე	ხონგრა	მანგრე	მენგრა
წერილი:	ნენუიდ	ხონნუიდა	მანნუიდე	მენნუიდა
წყნარი:	წყენარ	ხოწყენარა	მანწყენარე	მენწყენარა
სუფთა:	წყილიან   წყელან	ხოწყელიანა	მანწყელიანე	-

ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა, რომ თანამედროვე სვანურ ენაში წარმოდგენილია ზედსართავ სახელთა ოთხი ხარისხი: დადებითი, უფროობითი, აღმატებითი და ოდნაობითი. უფროობითი ხარისხის ფორმები წარმოდგენილია ყველა კილოში და ყველგან მისი ერთადერთი მანარმოებელია **ხო**— კონფიქსი. აღმატებითი ხარისხი წარმოდგენილია კილოთა უმეტესობაში და მისი მანარმოებელი ყველგან არის **მა**— კონფიქსი. ნაკლებად არის გავრცელებული ოდნაობითი ხარისხი, რომელიც შედარებით იშვიათად გვხვდება ქვემოსვანურ დიალექტებში და წარმოების მხრივაც მეტი ნაირფეროვნება ახასიათებს. მისი ძირითადი მანარმოებლებია **მგ**— კონფიქსი და **ჰრა**||**არა**||**ალა** სუფიქსი.

დაბოლოს – ორიოდ სიტყვა ზედსართავი სახელის ბრუნების შესახებ. ცალკე აღებული ზედსართავი გასუბსტანტივებულია და იბრუნვის ისეთივე ფუძის მქონე არსებითი სახელის მსგავსად. თვალსაჩინოებისათვის, ვაბრუნოთ ერთი თანხმოვანფუძიანი და ერთი ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი ცალკე და არსებით სახელთან (საზღვრულთან) ერთად.

სახ. ჯუინელ (ძველი)	ჯუინელ მურყუამ (ძველი კოშკი)
მიც. ჯუინელ-ს	ჯუინელ მურყუამ-ს
მოთხ. ჯუინელ-დ	ჯუინელ მურყუამ-დ
ნათ. ჯუინელ-იმ	ჯუინელ მურყუამ-იმ
მოქ. ჯუინელ-შუ	ჯუინელ მურყუამ-შუ
ვით. ჯუინალ-დ	ჯუინელ მურყუამ-დ

სახ. მახე (ახალი)	მახე ჩიჟე	მახე თელღრა
(ახალი სიძე)		(ახალი რძალი)
მიც. მახა-ს	მახე ჩიჟე-ს	მახე თელღრა-ს
მოთხ. მახა-დ	მახა ჩიჟე-დ	მახე თელღრა-დ
ნათ. მახემიმ	მახე ჩიჟე-მ-იმ	მახე თელღრემ
მოქ. მახოჟმ	მახე ჩიჟე-მ-იმ	მახე თელღრემ
ვით. მახა-დ	მახე ჩიჟედ	მახე თელღრა-დ

სახ. დოშდულ მახე	ბაპჷ ქორ	ნიკუტჷ ქორ
(მთვარე ახალი)	(მღვდლის სახლი)	(ნიკოს სახლი)
მიც. დოშდულ მახა	ბაპჷ ქორ-ს	ნიკუტჷ ქორ-ს
მოთხ. დოშდულ მახე-დ	ბაპჷ ქორ-დ	ნიკუტჷ ქორ-დ
ნათ. დოშდულ მახე-მიშ	ბაპჷ ქორ-ჰშ	ნიკუტჷ ქორ-ჰშ
მოქ. დოშდულ მახომ	ბაპჷ ქორ-შუ	ნიკუტჷ ქორ-შუ
ვით. დოშდულ მახა-დ	ბაპჷ ქორ-დ	ნიკუტჷ ქორ-დ

## რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი სვანურში ძირითადად ორგვარია: რაოდენობითი და რიგობითი. მათგან ერთეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები მარტივი აგებულებისაა. მარტივია პირველი ათეულისა და ასეულის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებიც. დანარჩენი რაოდენობითი რიცხვითი სახელები მიღებულია მარტივ რიცხვით სახელთა კომბინაციით (კომპოზიციით). გავეცნოთ მარტივ რიცხვით სახელებს და მათ დიალექტურ ვარიანტებს:

1. ეშხუ (უშგ. ეშხუი, ლხმ. ეშუი);
2. ~~ჟორი~~ | ~~ჟორუ~~ (ზს. ჟორუ, ლშხ. ჟერუ, ლნტ. ჟერბი | ერბი);
3. სემი;
4. ჟოშთხუ (ბქ., ლნტ. ჟოშთხუ);
5. ჟოხუიშდ (ბქ., ლშხ. ჟოხუშდ, ლნტ. ჟოხუიშტ);
6. უსგუა (ლნტ. უსკუა);
7. იშგუიდ (ლნტ. იშკუიდ);
8. არა;
9. ჩხარა;
10. ეშდ | ეშდ (ლნტ. ეშტ);
100. აშირ.

დიალექტური ვარიანტები მეტწილად ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლისა და უმლაუტის შედეგია. გარდა ამისა, თავისებური ჰარმონიული კომპლექსებით გამოირჩევა ლენტეხური

რიცხვითი სახელები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელი ფაქტია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ყველა მარტივი რიცხვითი სახელის ფუძე სავსებით შეესატყვისება სხვა ქართველურ ენათა შესაბამის ფორმებს. აქედან ჩანს, რომ ეს რიცხვითი სახელები ქართველურ ენათა ლექსიკის უძველეს ფენას ეკუთვნის.

ამ მხრივ თითქოს გამონაკლისია სვანური ეშხუ, რომელიც, ცხადია, ბგერითი შედგენილობით ქართულ ერთს და მეგრულ-ლაზურ ართს ვერ დაუკავშირდება, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართ. სხუა||სხვა, მეგრ. შხვა, ლაზ. ჩქვა ფუძეს [ერთელიშვილი, 1950, გვ. 211-219]. თავკიდური ე (ე-შხუ) შეიძლება დეიქტური ხმოვანი იყოს, რომელსაც ისევე ენაცვლება უ, როგორც ქართულში (ერთ-ურთი, ურთი-ერთი; შდრ. სვ. უ-შხუ-წრ – „ერთმანეთს“).

უეჭველია, რომ ორის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი სამივე ქართველურ ენაში საერთო ფუძიდან მოდის, მაგრამ ამ საერთო ფუძის აღდგენა რთულია. ქართ. ორს მეგრულში შეეფარდება ჟირი||ჟერი, ლაზურში – ჟურ, ჯურ. ამ ფონზე სვანურ დიალექტებში დაცული ვარიანტები ადრეულ საფეხურზე აღგვადგენინებენ ჟორ ფუძეს, საიდანაც უნდა იყოს მიღებული მეგრულ-ლაზური \*ჟორ → ჟურ → ჟირ||ჯურ [ჯავახიშვილი, 1937, 389-404; ჩიქობავა, 1938, გვ. 213].

სვანური გამოირჩევა როგორც „ორის“ აღმნიშვნელ დიალექტურ ფორმათა ნაირფეროვნებით, ისე ბრუნებისას და სიტყვანარმოებისას გამოვლენილი ვარიანტების სიმრავლითაც: აწრჷ („ორს“), მწრმე („მეორე“), ჟურ-ინ, ჟორ-ინ, აწრჷ-ინ, ჟერჷ-ინ, ირჷ-ინ, ირბ-ინ, ირბ-გნ („ორჯერ“), ჟერჷემდ, ერჷემდ, ერბემტ („ოცი“) და სხვ. როგორც ვხედავთ, ფუძისეული სონანტი რ ყველა ამ ვარიანტში ფიგურირებს, ხმოვნის მხრივ კი საკმაოდ დიდ მერყეობასთან გვაქვს საქმე. თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ამ რიცხვითი სახელის

პირველადი ფორმა ქართველურ ენებში არის **ჟორ**, მაშინ ის სვანურში უმლაუტის გზით მოგვცემდა **იჟერ-ს**, შემდეგ საფეხურზე კი მეტათეზისით – **ჟერჟ|ჟერუ** ფორმას [შარაძენიძე, 1961, გვ. 222]. არც ის არის გამორიცხული, რომ ბოლოკიდური **უ** (**ჟორუ/ჟერუ**) გარკვეული ფუნქციის ფორმანტი იყოს (შდრ. **ეშხუ**, **ჟოშთხჟ**. ასეა თუ ისე, ამ ჟ-საგან არის მიღებული ბ ლენტეხურში (**ერბი**) და მ რიგობით რიცხვით სახელში **მერმე** („მეორე“).

**ჟორი** ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ აქ დაცულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი**, რომელიც სვანურში ჩვეულებრივ მოკვეცილია. მაგალითები, როცა სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ იკარგება, სვანურში მეტად იშვიათია. **ჟორი-ს** გარდა ასეთივე ვითარებაა **სემი** რიცხვით სახელშიც.

**სემი-ში** სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით **ა** გაუმლაუტებულია და ბოლოს **ე-დ** არის ქცეული: სამი → სამი → სემი. მეგრულსა და ლაზურში **ა-ს** შესატყვისად **ო** უნდა გვექონოდა, მაგრამ მომდევნო ბაგისმიერი ბგერის გავლენით ის **უ-დ** არის ქცეული. აქ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ქართ. **ს** არც სვანურში და არც კოლხურში არ ქცეულა **შ-დ**.

**ჟოშთხჟ** ქართული **ოთხ-ის** კანონზომიერი ფონმატური შესატყვისია: თ→შდ, მაგრამ ყრუ ბგერათა შორის მოქცეულ **დ-ს** ასიმილაციით ისევ **თ** მოუცია [თოფური, 1979, გვ. 12]. იქმნება ილუზია, თითქოს **თ-ს** წინ **შ** უბრალოდ იყოს გაჩენილი.

რაც შეეხება ბგერის განვითარებას, ამ სიტყვის თავსა და ბოლოში გაჩენილია **ჟ**, რაც სიტყვის თავში **ო-ს** არსებობით შეიძლება აიხსნას (შდრ. ქართული დიალექტური ფორმები: ვორი, ვოთხი, ვოცი...), ბოლოში კი **ჟ-ს** შესაძლოა მორფოლოგიური ფუნქცია ჰქონდა (შდრ. ლაზური **ოთხო** – „ოთხი“).

იმ ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე,



რომლის მიხედვითაც ქართ. თ სვანურში შდ-ს იძლევა, ხუთ-ისაგან უნდა მიგველო ხუშდ, გაუმლაუტებით კი - ხჷიშდ. აქ, როგორც ჩანს, ჟომთხჷ-ის ანალოგიით ანლაუტში განვითარებულა ჟო და საბოლოოდ მივიღეთ ჟოხჷიშდ [თოფურია, 1979, გვ. 9]. ლაშხურში დაცულია უუმლაუტო ფორმა - ჟოხჷშდ.

ქართული ექუს-ის შესატყვისია სვანურში უსგჷა, მეგრ. ამშვ-ი, ლაზ. აშ-ი||ანშ-ი. ლაზურისა და მეგრულის მიხედვით აღდგენილია პირველადი ფორმა ექსჷი [ჩიქობავა, 1938, გვ. 216]. სვანურისათვის ამოსავლად ივარაუდება უქსჷ ფორმა, რომელიც თავისი თავკიდური უ ხმოვნით შესაძლოა ისევე განსხვავდებოდეს ექსჷ-ისაგან, როგორც ეშხუ და უშხუ (შდრ. სვ. უშხუდ „ერთად“, უშხჷარ „ერთმანეთს“) ანდა ქართული ერთ-ურთი||ურთი-ერთი. გამორიცხული არაა მეორე შესაძლებლობაც, რომ თავკიდური უ ხმოვნის გაჩენა ე-ს ნაცვლად სვანურში მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენის შედეგი იყოს [თ.გამყრელიძე, 2000, გვ. 30-31].

ნვარაუდები უქსჷ ფორმისაგან დღევანდელი სვანური უსგჷა-ს მისაღებად გათვალისწინებულია ცვლილებათა შემდეგი გზა: „ამოსავალი \*უქსჷ ფორმა სვანურში მოგვცემდა \*უქშჷ - ფორმას. -ქშ- კომპლექსში მომხდარი მეტათეზისის შედეგად მივიღეთ სვანურისათვის მეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის შქ→შგ კომპლექსი: \*უქშჷ-ა → \*უშგჷ-ა. -შგ- კომპლექსის გასისინების შედეგად მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით ჩამოყალიბდა სვანურში ისტორიულად დამონმებული უსგჷ-ა ფორმა“ [იქვე, გვ. 31].

ქართული შვიდ-ის შესატყვისად მეგრულში გვაქვს შქვით-ი, ჭანურში - შქვით-ი||შქით-ი, ხოლო სვანურში -ი-შგჷიდ. სვან. შგჷ (ზან. შქვ) კომპლექსს კანონზომიერად უნდა მოეცა სგჷ (ზან. სქვ), მაგრამ შიშინა კომპლექსი აქ არ შეცვლილა მოსალოდნელი სისინა კომპლექ-

სით, რათა ერთმანეთს არ დამსგავსებოდა „ექვსისა“ და „შვიდის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები. თავკიდური ი, რომელიც სვანურში ზედმეტია ქართულ და ზანურ ფორმებთან შედარებით, პროთეტული ხმოვანია [ყლენტი, 1949, გვ. 190]. სხვაგვარი ვარაუდით, იგი შეიძლება გარკვეული ფორმანტი იყოს, ისევე როგორც **ჟორ-ის ი** [ჩიქობავა, 1938, გვ. 217].

რვის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის თავდაპირველ ფორმად ქართველურ ენათა მონაცემების შედარების საფუძველზე შეიძლება აღდგენილი იქნეს არ<sup>ჟ</sup>ა. აქედან უმარცვლო უ-ს დაკარგვით მიღებულია სვანური არა, ზანურში ა:ო ხმოვანთა შესატყვისობის საფუძველზე უნდა მიგველო ორვო, რომელიც ჭანურში დაცულია ოვრო-ს ფორმით (მეტათეზისის შედეგად), მეგრულში კი თავკიდური ო დაკარგულია, ხოლო უ მახვილიანია და ცალკე მარცვალს ქმნის (რუო). პარალელურად მეგრულში გვხვდება კიდევ ბრუო-ც, სადაც ბ ფონეტიკური დანართია [ჩიქობავა, 1938, გვ. 217-218; გამყრელიძე, 1959, გვ. 52, 72; კლიმოვი, 1964, გვ. 44-45]. თავკიდური ა-||ო-, რომელიც ქართულსა და მეგრულში ალბათ დაიკარგა, რაღაც აფიქსი უნდა იყოს, რომლის ფუნქციაც ამჟამად გაურკვეველია.

**ჩხარა** წარმოადგენს ქართული ცხრა-ს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს (ც→ჩ), სადაც ჩ დაცულია დეზაფრიკატიზაციის გარეშე. ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში შენახულია პირველი მარცვლის ხმოვანი ჰ, რომელსაც კოლხურში ო შესატყვისება (**ჩხორო**||ჭან. ჩხოვრო) [ჩიქობავა, 1938, გვ. 218].

ქართულ ათ-ს თ:შდ შესატყვისობის საფუძველზე სვანურში უნდა მოეცა აშდ, უმლაუტის შედეგად – აშდ, მაგრამ უმლაუტის პროცესი ბოლომდე განვითარებულა და გვაქვს ეშდ (შდრ. სამი>სემი), უფრო ხშირად – ეშდ (ხმოვნის წინ იოტაციის შედეგად). ლენტეხურში შდ იცვლება

შტ კომპლექსით და გვაქვს **ჯეშტ**. ზანურში „ათის“ შესატყვისად უნდა გვექონოდა **ოთი** (ა>ო), მაგრამ ო ხმოვანი უდ ქცეულა, ამ უკანასკნელს კი **ჭი** კომპლექსი მოუცია და საბოლოოდ მივიღეთ ვითი [ჩიქობავა, 1938, გვ. 218; თოფურია, 1979, გვ. 135-136].

აშირ-ში ქართული ს-ს შესატყვისად წარმოდგენილია შ (სავსებით კანონზომიერად, ისევე როგორც კოლხურში: ოში). სვანური ფორმა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ბოლოკიდური ირ მარცვლით, რომელიც არც ქართულს და არც მეგრულ-ჭანურს არ მოეპოვება. საფიქრებელია, რომ იგი ფუძისეულია, მაგრამ ქართულსა და ზანურში ადრევე დაკარგულა. აღსანიშნავია ისიც, რომ აშირ-ში თავკიდური ა მეტწილად უუმლაუტოა, თუმცა მომდევნო მარცვალში ი ხმოვანი გვაქვს.

ზემოთ განხილული რიცხვითი სახელების გარდა, ქართველურ ენებში მარტივი აგებულებისაა აგრეთვე ქართული ოცი და მისი კოლხური შესატყვისი ეჩი, მაგრამ სვანურში ამ მხრივ სხვა ვითარებაა და „ოცის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი წარმოდგენილია ორი ათეულის სახით: **ჟერჭ-ემდ** – „ორ-ათი“ [თოფურია, 1979, გვ. 294-296].

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: სვანურში თვლის სისტემა ათობითია და ამ მხრივ იგი არსებითად განსხვავდება ქართულისა და მეგრულ-ჭანურისაგან. უფრო ზუსტად, ათობითი თვლის სისტემა დაცულია სვანურის ორ კილოში – ბალსზემოურსა და ლაშხურში, დანარჩენ ორში კი – ბალსქვემოურსა და ლენტეხურში – თვლის სისტემა ისეთივეა, როგორიც ქართულსა და კოლხურში [თოფურია, 1979, გვ. 292-296].

ათიდან ოცამდე რიცხვითი სახელები ორივე სისტემის მიხედვით ერთნაირია; მოვიყვანთ მხოლოდ ბალსზემოურ ფორმებს:

11. ემდეშხუ
12. ემდჟორი
13. ემდსემი, ემდსემი
14. ემდიჟრშთხუ
15. ემდჟობჟიმდ, ემდობჟიმდ
16. ემდუსგჟა, ემდუსგჟა
17. ემდიშგჟიდ, ემდიშგჟიდ
18. ემდარა, ემდარა
19. ემდჩხარა, ემდჩხარა
20. ერჟემდ, ერჟემდ

როგორც ვხედავთ, რთულ რიცხვით სახელებში პირველ ადგილზეა ათეულთა სახელები, შემდეგ მოსდევს ერთეულთა სახელები. მათი შეერთება ათიდან ოცამდე ხდება უკავშიროდ. ოცის ზემოთ რიცხვით სახელთა სანარმოვლად სამივე ქართველურ ენაში გამოიყენება კავშირი (ქართ. და, კოლხ. დო, სვ. ი). სახელდობრ, სვანურში გვაქვს ასეთი ფორმები (ბალსზემოურის მიხედვით):

21. ერჟემდიეშხუ
22. ერჟემდიორი
23. ერჟემდისემი და ა.შ.

30-დან იწყება არსებითი განსხვავება დიალექტებს შორის: ბალსზემოურსა და ლაშხურში თვლის სისტემა ათობითია, დანარჩენებში – ოცობითი. მათ შორის სხვაობა ასე გამოიყურება (ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის მიხედვით):

- |                 |                        |
|-----------------|------------------------|
| ათობითი:        | ოცობითი:               |
| 30. სემემდ      | ერჟემდიემდ             |
| 31. სემემდიეშხუ | ერჟემდიემდეშხუ         |
| 32. სემემდიორი  | ერჟემდიემდჟორი         |
| 33. სემემდისემი | ერჟემდიემდსემი და ა.შ. |

ასეულები უკავშიროდ არიან შეერთებული: ჟორამჟირ, სემამჟირ, ჟრშთხჟამჟირ და ა.შ.

ზემოთ განხილულ რიცხვით სახელთა გარდა, რომლებიც გარკვეულ რიცხვს აღნიშნავენ, ცხადია, სვანურს მოეპოვება გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელებიც: ხჷწჷ („ბევრი“), ფიშირ („მრავალი“), კოტროლ||კონროლ||კოჭროლ („ცოტა“), მაგრამ ისინი უფრო ზედსართავებია, ვიდრე რიცხვითი სახელები.

რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება მე-ე აფიქსებით, რომლებიც საერთოა ქართველური ენებისათვის, ოლონდ კოლხურში ე ხმოვნის ადგილი პრეფიქსშიაც და სუფიქსშიაც უჭირავს მის კანონზომიერ შესატყვისს ა-ს.

„პირველი“ გამონაკლისს შეადგენს და ზემოხსენებული აფიქსებით არ იწარმოება არცერთ ქართველურ ენაში. სვანურში მის აღსანიშნავად გვხვდება „მწწკჷთი, ლნტ. ხუნკჷთი, („ადრინდელი“), სგჷეშნაჷ („წინა“), ლმხ. კეცხაშ („მწვერვალისა“, „მონინავე“), ან ქართული პირველი.

ორიდან მოკიდებული, როგორც ვთქვით, რიგობით რიცხვით სახელებს მე პრეფიქსი და ე სუფიქსი აწარმოებს. ამ აფიქსთა დართვა იწვევს გარკვეულ ცვლილებებს ფუძეში. პრეფიქსის. ხმოვანი და ფუძის თავკიდური ხმოვანი ერწყმიან ერთმანეთს და ვლებულობთ გრძელ ხმოვანს (ბალსზემოურსა და ლაშხურში): \*მე-ერჷ-ე>მერმე („მეორე“). ასევეა: \*მე-ეშდ-ე>მეშდე („მეათე“). ლაშხურში გვაქვს მეიშდე (\*←მე-ამდ-ე), მაგრამ „მეათეს“ ზემოთ მაინც გრძელი ხმოვანი ჩნდება: მეშდეშხუ, მეშდეერუ, მეშდსემი და ა.შ. ბალსზემოურში ე „ორიდან“ „ათამდეც“ გრძელია: მესმე, მეშთხჷ, მეხჷშდე, მესგჷე, მეშგჷდე, მერე, მეჩხრე. პარალელურად აგრეთვე: მესმე, მეუშთხჷ, მეუხჷიშდე, მეუსგჷე, მეიშდე, მეირე, მეჩხრე, მეიშდე.

რიცხვითი სახელით განსაზღვრული საგნის სახელწოდება ხშირად მრავლობით რიცხვში დაისმის: **ჟორი მჷ-**

რწლ „ორი კაცი“ („ორი კაცები“), სემი ლაჟდილა „სამი და“ („დები“), სამ ლჟაშრე ლიდგაწრი „სამი ჯიხვის („ჯიხვის“) მოკვლა“, ჩსარა ლახუბა „ცხრა ძმა“ („ძმები“) და ა.შ. მაგრამ გვხვდება სახელის დასმა მხოლოდით რიცხვშიც: ათაწს ოქრ „ათასი ოქრო“, ეშდგარჟ მაროშჟ ლიმორეჟ „თორმეტი კაცით მედიატორობა“ და სხვა.

ბრუნების მხრივ რიცხვითი სახელი არ განსხვავდება არსებითი და ზედსართავი სახელისაგან, გარდა იმისა, რომ რიცხვით სახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები არ მოეპოვება.

არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას რიცხვითი სახელი მუდამ უცვლელად წარმოგვიდგება:

სახ. ეშხუ მარე

მოთხ. ეშხუ მარე-დ||ეშხუ მარა-დ

მიც. ეშხუ მარე-ს||ეშხუ მარა-ს

ნათ. ეშხუ მარემ-იშ

მოქ. ეშხუ მარა-ჟშ

ვით. ეშხუ მარე-დ||ეშხუ მარა-დ

ირიბ ბრუნებში შეიძლება ყველგან შეგვხვდეს მიცემითი ბრუნვის ფორმა (აშხუ): აშხუ მარედ, აშხუ მარეს, აშხუ მარემიშ და ა.შ.

ცალკე ბრუნებისას რიცხვითი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსფუძიანი არსებითი სახელი. გავეცნოთ მარტივი რიცხვითი სახელების ბრუნებას (ლაშხური კილოს მიხედვით):

სახ. ეშხუ

მიც. ეშხუ-ს

მოთხ. ეშხუ-დ||ეშხუ-მ-ემ

ნათ. ეშხუ-მ-იშ

მოქ. ეშხუ-ჟშ

ვით. ეშხუ-დ

სახ. ჟერუ

მიც. ჟერუ-ს

მოთხ. ჟერუ-დ

ნათ. ჟერუ-მ-იშ

მოქ. ჟერუ-ჟშ

ვით. ჟერუ-დ

სახ. სემი  
მიც. სემი-ს||სემ-ს  
მოთხ. სემი-დ||სემ-დ  
ნათ. სემ-იშ  
მოქ. სემი-ჟშ||სემ-ჟშ  
ვით. სემი-დ||სემ-დ

სახ. იშგჟიდ  
მიც. იშგჟიდ-ს  
მოთხ. იშგჟიდ-დ  
ნათ. იშგჟიდ-იშ  
მოქ. იშგჟიდ-ჟშ  
ვით. იშგჟიდ-დ

სახ. ჟრშთხჟ  
მოთხ. ჟრშთხჟ-დ  
მიც. ჟრშთხჟ-ს  
ნათ. ჟრშთხჟ-იშ  
მოქ. ჟრშთხ-ჟშ  
ვით. ჟრშთხჟ-დ

სახ. არა  
მიც. არა-ს  
მოთხ. არა-დ||არა-მ-დ  
ნათ. არა-მ-იშ  
მოქ. არა-ჟშ  
ვით. არა-დ||არა-მ-დ

სახ. ჟოხუშდ  
მიც. ჟოხუშდ-ს  
მოთხ. ჟოხუშდ-დ  
ნათ. ჟოხუშდ-იშ  
მოქ. ჟოხუშდ-შჟ  
ვით. ჟოხუშდ-დ

სახ. ჩხარა  
მოთხ. ჩხარა-დ||ჩხარა-მ-დ  
მიც. ჩხარა-ს  
ნათ. ჩხარა-მ-იშ  
მოქ. ჩხარა-ჟშ  
ვით. ჩხარა-დ||ჩხარა-მ-დ

სახ. უსგჟა  
მიც. უსგჟა-ს  
მოთხ. უსგჟა-დ||უსგჟა-მ-დ  
ნათ. უსგჟა-მ-იშ  
მოქ. უსგჟა-ჟშ  
ვით. უსგჟა-დ||უსგჟა-მ-დ

სახ. ეშდ  
მიც. ეშდ-ს  
მოთხ. ეშდ-დ  
ნათ. ეშდ-იშ  
მოქ. ეშდ-ჟშ  
ვით. ეშდ-დ

როგორც ვხედავთ, რიცხვით სახელთა ბრუნება სვანურში მისდევს ერთ ძირითად ტიპს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველური ტიპის ბრუნების სახელით არის ცნობილი. მაგრამ გზადაგზა თავს იჩენს

აგრეთვე მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტი **ემ**, რომელიც გამოვლინდება ხოლმე ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშანთა წინაც. **მ** ფორმანტიან მოთხრობითის ფუძეზე დაყრდნობილი ნათესაობითი განსაკუთრებით დამახასიათებელია ა ბოლოხმოვნიანი რიცხვითი სახელებისათვის (უსგუა, არა, ჩხარა), რომლებიც ნათესაობითში მხოლოდ ამ სახით წარმოდგებიან: **უსგუამში, არამში, ჩხარამში**. ნათესაობითი ბრუნვის **იმ** სუფიქსის წინ **მ** თავს იჩენს აგრეთვე რიგობით რიცხვით სახელთაგან ნაწარმოებ ფორმებში (წილობითებში): **მოუშთხუემი ნათი** („მეოთხედი ნაწილი“, „მეოთხედი“), **მრხუშდემი ნათი** („მეხუთედი“), **მოუსგუემი ნათი** („მეექვსედი“), **მეშგუიდემი ნათი** („მეშვიდედი“), **მეგრემი ნათი** („მერვედი“), **მეჩხრემი ნათი** („მეცხრედი“), **მეშდემი ნათი** („მეათედი“).

ზოგი რიცხვითი სახელი პარალელურად მეორე ტიპის ბრუნებასაც მისდევს. ასეთია, სახელდობრ, ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი რიცხვითი სახელები: **ემხუ, ღერუ, სემი**. ისინი უნიან მიცემითს იყენებენ ფუძედ მომდევნო ბრუნვათათვის. გავეცნოთ ამ ტიპის ბრუნების ნიმუშებსაც:

სახ. ემხუ	ღორი	სემი
მიც. აშხუ	ღარუ	სამ
მოთხ. აშხუ-ემ	ღარუ-ემ	სამ-ემ
ნათ. აშხუ-მ-იმ	ღარუ-იმ	სამ-იმ (←*სამ-მ-იმ)
მოქ. აშხუ-შ უ	ღარუ-შ	სამ-შუ
ვით. აშხუ-დ	ღარუ-დ	სამ-დ

ბრუნების ეს ტიპი განსაკუთრებით დამახასიათებელია ბალსქვემოურისათვის, მაგრამ ის უცხო არ არის ბალსზე-მოურისთვისაც, ქვემოსვანურში კი არ გვხვდება.



## ნაცვალსახელი

ქართულ ენაში შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი (შანიძე, 1980, გვ. 41-44). ანალოგიური შინაარსობრივი ჯგუფები შეიძლება გამოვყოთ სვანურ ენაშიც. გავეცნოთ მათ.

### პირის ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელებია: მი-“მე“, სი-“შენ“, ეჯი||ეჯა-“ის“, ნაჲ||ნა||ნაჲ-“ჩვენ“, სგაჲ||სგა||სგაჲ-“თქვენ“, ეჯიარ||ეჯაარ||ეჯაარ-“ისინი“.

ამათგან მესამე პირის ნაცვალსახელები საერთოა ჩვენებითთან.

პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ქართულში გვხვდება აგრეთვე თავი, რომელსაც უკუქცევითს უწოდებენ. მისი შესატყვისი თხვიმ ნაცვალსახელის ფუნქციით გვხვდება სვანურშიც, ოღონდ შედარებით იშვიათად: დემის ესერ ხაცრგლნე მიჩა თხუმ დაშდუჟარს (ბქ. გვ. 206) „თავს დათვებს არ დავაფლეთინებო“.

### კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მიშგუ||მიშგვი, ლნტ. მიშკვი, ლხმ. მიშგჷ-“ჩემი“, ისგუ||ისგვი, ლნტ. ისკვი||ისკუ, ლხმ. ისგჷ-“შენი“, ისგვე||ისგვე, ბქ. ისგე, ლნტ. ისკვე-“თქვენი“. ქართულისა და კოლხურისაგან განსხვავებით მრავლობითი რიცხვის პირველ პირში კუთვნილებით ნაცვალსახელებში სვანური არჩევს ორ ფორმას – ინკლუზიურსა და ექსკლუზიურს:

გუშგჷჷ-“ჩვენი“ („ჩემი+შენი ან თქვენი“), ნიშგჷჷ-“ჩვენი“ („ჩემი+მისი ან მათი“). ამ ნაცვალსახელთა დიალექ-

ქტური ვარიანტებია: ბქ. ნიშგჷე||ნიშგე, ლნტ. ნიშკჷე და ბქ. გჷიშგჷე||გჷიშგე, გუშგე, ლნტ. გუშკჷე.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა მეორე წყება სვანურში უშუალოდ ჩვენებით ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს წარმოადგენს: ამიშ||ამიშ||ამშა-"ამისი", ეჩა(←ეჯ-შა)||ეჩი-"იმისი", მიჩა(←მიჯშა)-"მისი", „თავისი“, აღაარეშ-"ამათი", ეჯაარეშ-"იმათი", მინე-"მათი", „თავიანთი“ (მარტიროსოვი, 1964, გვ. 123).

### ჩვენებითი ნაცვალსახელები

ჩვენებით ნაცვალსახელთა ძირითადი (ამოსავალი) ფორმებია ალა („ეს“) და ეჯი („ის“). მათ სხვადასხვა დიალექტში და ხშირად ერთი დიალექტის ფარგლებშიც მოეპოვებათ მრავალფეროვანი ვარიანტები: ალა||ალი||ალი||ალე||ალ||ა; ეჯა||ეჯი||აჯა||ეი||ეა||ეჯ||ე.

„თავკიდურ და ბოლოკიდურ ხმოვანთა ჰარმონია დაცულია მარტოოდენ ალა-ში, სხვა ფორმები, რომელთაც ამჟამად ბოლოკიდური ხმოვანი განსხვავებული აქვთ (ა-ლ-ი, ა-ლ-ე), მეორეულ ვითარებას გვიჩვენებენ“ (მარტიროსოვი, 1964, გვ. 144).

რაც შეეხება იმ ფორმებს, რომელთაც ბოლოკიდური ხმოვანი მოკვეცილი აქვთ (ალ, ეჯ), ან თანხმოვანიც დაჰკარგვიათ და მხოლოდ თავკიდურ ხმოვანს წარმოგვიდგენენ (ა, ე), ისინი გვხვდება მსაზღვრელად ხმარებისას, დამოუკიდებლად კი იხმარება ძირითადად ბოლოხმოვნიანი ვარიანტები.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ალა-ში გამოიყოფა ხმოვანი ელემენტი ა, რომელიც ჩვენებითი ნაწილაკია. იგი უკავშირდება შესაბამის ქართულ ხმოვანს, რომელიც ა-მ-ა-ნ (ა-გ-ი) ნაცვალსახელში გვაქვს. ლ ძირეული ელემენტია, რომელიც ორ ხმოვანს შორის ზოგჯერ დაკარგულია: ალი→აი, ალის→აის (მარაძენიძე, IX-X, გვ. 227).

ამ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეა ამა, რომელიც მთლიანად ემთხვევა შესაბამის ქართულ ნაცვალსახელურ ძირს (მაჭავარიანი, 1963, გვ. 93). აქაც ძირეულ ელემენტად გამოიყოფა თანხმოვანი, ხმოვანი კი დეიქტურ ნაწილაკს წარმოადგენს (მარტიროსოვი).

მეორე ჩვენებით ნაცვალსახელს ორი ძირითადი ფორმა მოეპოვება: ეჯი, ეჯა. ხმოვანთა ჰარმონია არც აქ არის დაცული. თავიკიდური ხმოვანი ე აქაც ჩვენებითი ნაწილაკია. თავისი ფუნქციით ის უდრის ქართული ხმოვანს (ი-ს, ი-ს-ი, ი-გ-ი), მასალობრივად კი იგივეა, რაც ე ქართულში (ე-ს-ე, ე-გ-ე). ძირეული თანხმოვანი ჯ ქართული გ-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია.

ეჯი ნაცვალსახელში და ასევე მისგან ნაწარმოებ ნაცვალსახელებში ჯ თანხმოვანი პალატალიზაციის შედეგად სუსტდება და ჯ-დ იქცევა ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურში (ყლენტი, 1949, გვ. 175). ზოგიერთ კილოკავში დასტურდება ჯ-ს მთლიანად დაკარგვის შემთხვევებიც.

როგორც ვიცით, ქართულში ჩვენებით ნაცვალსახელთა სამი რიგი გვაქვს (ეს, ეგ, ის), სვანურში კი – მხოლოდ ორი. ასევეა კოლხურშიც. უფრო ძველი ვითარება სწორედ კოლხურსა და სვანურში უნდა იყოს წარმოდგენილი.

ზემოხსენებული ორი ძირეული ნაცვალსახელისაგან ნაწარმოებია მთელი რიგი ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც პირველ პირთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით ასევე უპირისპირდებიან ერთმანეთს.

სახელდობრ, ქართულიდან შესული გვარ (გვარ-ი) სიტყვის დართვით წარმოქმნილია ამგჳარ||ამგჳარიშ-  
"ასეთი" და ეჯგჳარ||ეჯგჳარიშ-"ისეთი". „პირველ შემთხვევაში ამოსავალია ალა ჩვენებითი ნაცვალსახელის მეორე ფუძე ამ, რომელიც მთლიანად ემთხვევა სათანა-

დო ქართულ ფუძეს (შდრ. ქართ. ამ-გვარ-ი). მეორე შემთხვევაში კი გვარ უშუალოდ დაერთვის მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის შეკვეცილ ფორმას: ეჯ-გვარ (შდრ. ასევე ნანარმოები ქართ. ესე-გვარი, ესე-გუვარი, მეგრ. თე-გვარი, თი-გვარი). სიტყვის ბოლოს ზოგ კილოში რ ან ა-ში გადადის, ან სრულიად იკარგება ხოლმე: ამგჳწარ→ამგჳწა→ამგჳწ, ეჯგჳწარ→ეჯგჳწა→ეჯგჳწ (შდრ. ეგგვ←ეჯგჳწ) (მარტიროსოვი, 1964, გვ. 161).

როგორც ჩანს, ამგჳწა, ეჯგჳწა ფორმები მიღებულია რ-ს დაკარგვით ამგჳწარი, ეჯგჳწარი (ან ამგჳწარიშ, ეჯგჳწარიშ) ფორმებისაგან.

ნაცვალსახელთა ამ ფორმებს შეიძლება კიდევ დაერთოს ქართულიდან ნასესხები რიგ-ი და კალიბ||კალიმ (←ყალიბ-ი), რის შედეგადაც მიიღება ასეთი ფორმები: ამგჳწარიგ-“ამისტანა“, ეჯგჳწარიგ-“იმისტანა“, ეჯგჳწარიგ-“იმათანა“, ამკალიბ||ამკალი-“ამნაირი“, ეჯკალიბ||ეჯკალი-“იმნაირი“.

ქართულ ყალიბს მისდევს ნაცვალსახელები: ამნშ-თან-“ამისტანა“ და ერნშთან||ერნშთან-“იმისტანა“, სადაც მარტივ ჩვენებით ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს ერთვის თანდებული თან(←თანა). ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი ან მთლიანად ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ მოკვეცილია და გვაქვს შემდეგი ფორმები: ამითან||ამთან, ერითან||ერთან.

დასასრულ, ჩვენებით ნაცვალსახელთაგან საყურადღებოა ზომა-ოდენობაზე მიმთითებელი ნაცვალსახელები: ამშელდ-“ამდენი“, ეჯშელდ-“იმდენი“, ალამაგ||ალიმაგ||ალემაგ-“ამდენი“, ეჯიმაგ||ეჯამაგ||ეამაგ-“იმდენი“, ამზუმ||ამზუ||ამზგ-“ამდენი“, ეჯზუმ||ეამზუმ||აჯზუმ||აჯზგ-“იმდენი“.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ძირეულ ჩვენებით ნაცვალსახელებს ზემოთ ნარმოდგენილ ფორმებში დართული აქვს შელდ, მაგ და ზუმ. ამათგან პირველი „რაო-

დენობას“ ნიშნავს (შდრ ლიშელდე, ლიშგლდანი-“თვლა“), მან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია („ყველა“), ზუმ კი იგივეა, რაც ქართული ზომა. ამრიგად, ამშელდ, ეჯშელდ ზუსტად ქართული ყალიბის მიხედვითაა ნანარ-მოები: ამ-ოდენი, იმ-ოდენი. ალამაგ, ეჯამაგ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ეს ყველა“, „ის ყველა“, ამზუმ და ეჯზუმ-“ამ-ზომი“ და „იმ-ზომი“ (მარტიროსოვი, 1964, გვ. 162). ანალოგიურად ნანარმოები ფორმები გვხვდება კითხვით ნაცვალსახელებშიც, რომელთაც ქვემოთ გავეცნობით.

### კითხვითი ნაცვალსახელები

ძირეული კითხვითი ნაცვალსახელები სვანურში ორია: ძარ-“ვინ“ და მან-“რა“. მათ შორის ისეთივე ფუნქციური ურთიერთობაა, როგორიც ქართულში „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა შორის, ე.ი. ძარ კითხვა დაესმის ადამიანს, მან - ყველა დანარჩენს.

ზემოხსენებული კითხვითი ნაცვალსახელები უმლაუტიანია (გარდა ლაშხურისა). ცხუმარულ და ბეჩოურ კილოკავებში ძარ-ის ნაცვლად გვხვდება ლარ (ასევე ირიბ ბრუნვებში: ძარდ→ლარდ-“ვინ“, მან→ლან-“ვის“), სადაც ლ მ-საგან არის მიღებული.

ქართ. რა-ს შესატყვისი კითხვითი ნაცვალსახელი სვანურში არის მან-მ (რა-მ). მისი კანონზომიერი ვარიანტია ზანური მუ, რომელიც მო-სგანაა მიღებული.

კითხვითი ნაცვალსახელებია აგრეთვე: ხედა, ხანდა („რომელი“), ჟოშა („რამდენი“), მანზუმ||მანზუმ||მანზუ („რამდენი“), მანჯარ („როგორი“): ამათგან ბოლო ორი ზუსტად ისეთივე აგებულებისაა და ნაწილობრივ მასალაც იგივეა, რაც ქართულ შესაბამის კითხვით ნაცვალსახელებში: მან („რა“) + ზუმ (←ქართ. ზომა, შდრ. რა-ზომი), მან+ჯარ (←ქართ. გვარი, შდრ. როგორი←რა-გვარი).

## კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩვეულებრივ, ამ ჯგუფში შედის ორი ნაცვალსახელი. ქართულში ესენია: ვისი? რისი? (რისა?). ორივე ნაგენეტივარი სახელია, ნაწარმოები ვინ და რა კითხვითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან. „ზანურსა და სვანურში კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებს ქართულის მსგავსად ნაწარმოები საკუთარი ფორმა სახელობითში არ გააჩნიათ. აქ მი(ნ), მუ და აწრ, მაჟ კითხვით ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ამავე დროს გამოყენებულია კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით: ზან. მიში (ვისი), მუში (რისა), სვან. იმა (ვისი), იმმა||იმემ←იმემიმ (რისა)“ (მარტიროსოვი, 1964, გვ. 198).

## მიმართებითი ნაცვალსახელები

მიმართებითი ნაცვალსახელი ზოგ ენაში ფორმით მთლიანად ემთხვევა კითხვით ნაცვალსახელს, ზოგში კი მისგან იწარმოება ნაწილაკთა დართვით. ძველ ქართულში გვხვდება როგორც ერთი, ისე მეორე სახეობა. ნაწილაკად გამოყენებულია უფრო ხშირად ესე, ეგე, იგი, იშვიათად – ცა. ახალ ქართულში გაბატონებულია ეს უკანასკნელი წარმოება. სვანურში მიმართება გადმოიცემა კითხვითი ნაცვალსახელით ნაწილაკდაურთველადაც და ნაწილაკის დართვითაც. ნაწილაკის როლში გვევლინება უწა, რომელიც ქართული ცა ნაწილაკის ეკვივალენტია. იგი რთული შედგენილობისაა: გამოიყოფა უა და ა (←ი). ამ ნაწილაკის დართვით მიღებულია მიმართებითი ნაცვალსახელები: ჯერუწა-“ვინც“, მწაუწა-“რამდენიც“.

როგორც ვარაუდობენ, სვანურ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ქართული ენის გავლენა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ სვანურისთვის ჯერ კიდევ უფრო დამახასიათებელია უნაწილაკო წარმოება.

## ურთიერთობითი ნაცვალსახელი

ურთიერთობითი ნაცვალსახელი დიალექტებში გვხვდება შემდეგი ვარიანტების სახით: უმხჷარ, უმხჷარ, უმხჷარ), ლმხ. ემხჷარ, ლხმ. ემჷიმერმე. ქართულის მსგავსად, ურთიერთობითი ნაცვალსახელი სვანურში ნაწარმოებია უმხუ („ერთი“) რიცხვითი სახელისაგან, ოღონდ არა ფუძის გაორკეცების გზით, არამედ მრავლობითის მანარმოებელი არ სუფიქსის დართვით.

საინტერესოა, რომ რიცხვითი სახელის თავკიდური ხმოვანი მეტწილად უ-ს სახით არის წარმოდგენილი (მდრ. ქართ. ერთ-ერთი, ურთი-ერთი). ე ხმოვანი დაცულა ლაშხურში (ემხჷარ). ლახამულური ემჷიმერმე ნაწარმოებია ისევე, როგორც ქართული ერთი-მეორე.

## განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

ამ ჯგუფის ნაცვალსახელებით სვანური, ქართულთან და კოლხურთან შედარებით, ღარიბია. უკუქცევითობის გადმოსაცემად სვანურში სამივე პირის მიმართ იხმარება ჯა (ჯი, ჯეე), რომელიც მნიშვნელობით უდრის ქართულ „თვითონ“-ს. გენეტიურად იგი ჩვენებით ნაცვალსახელს ეჯა-ს უკავშირდება (მარტიროსოვი, 1964, გვ. 221).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე მინ („თვითონ“).

ფიქრობენ, რომ ეს ნაცვალსახელი შეიძლება დაიშალოს მა და გ ნაწილებად, რომელთაგანაც მა იგივე ფუძეა, რომელიც ჩვენებით და კითხვით საცვალსახელებში გვაქვს (ა-მ-ნ-ნემ←ა-მა-ნ-ნემ, მა||მნ-ე), გ კი შეიძლება დაუკავშირდეს ამე-გ („აქ“), იმე-გ („იქ“) ზმნისართებში წარმოდგენილ მასალას (მარტიროსოვი, 1964, 229-230).

ამეგ, იმეგ ზმნისართებში გ მართლაც გამოიყოფა, მაგრამ მას უკავშირებენ აგი („ადგილი“) სიტყვას: ამე-გ „ამ ადგილას“, ეჩე-გ „იმ ადგილას“, იმე-გ „რა ადგილას“ (ე.ი.

„სად“) (კაჭარავა, 1955, გვ. 5). ეს აზრი სადავო არ უნდა იყოს და მას სხვა ადგილას არ.მარტიროსოვიც იმონმებს. მაგრამ, თუ ასეა, ეს აზრი სიტყვისაგან მიღებული გ ვერ იქნება იგივე ოდენობა, რაც მან ნაცვალსახელის გ არის. ჩვენი აზრით, ეს გაცილებით უფრო ძველი ლექსიკური ერთეულია.

იშგენ, ლნტ. იშკენ უდრის ქართულ „სხვა“ ნაცვალსახელს, მაგრამ, ცხადია, მის უშუალო შესატყვისს არ წარმოადგენს. ამავე დანიშნულებით გვხვდება აგრეთვე მერმე||მერმე||მერვე, რომელიც წარმომოხებით რიგობითი რიცხვითი სახელია და „მეორეს“ ნიშნავს.

### განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

ქართულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები შედგენილობის მიხედვით ორი ტიპისაა: ძირეულია ზოგი და ერთი, რომელთაც განუსაზღვრელობის საწარმოებლად რაიმე საგანგებო ფორმანტი ან ნაწილაკი არ ერთვის, სხვები კი მიღებულია კითხვითი ნაცვალსახელებისაგან მე და ლცა ნაწილაკების დართვით. ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, კითხვითი ნაცვალსახელები რაიმე ნაწილაკის დაურთველად იხმარებოდა ზოგჯერ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც. ასეთი რამ დღესაც ახასიათებს სვანურს, სადაც აზრ („ვინ“) და მან („რა“) ნაცვალსახელები იხმარება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც: „ვინმე“, „რამე“. ასევეა ზს. ჟერე, ბზ. ჟერე, ლშხ. ერე – „ვილაცა“.

ქართული „ზოგისა“ და „ზოგიერთის“ მნიშვნელობით სვანურში გვაქვს ჟერ და ჟერხი, რომელთაც მოეპოვებათ დიალექტური ვარიანტები: ბზ, ლშხ ერ, ერხი, ლნტ ჟერეხი||ერეხი, ბეჩ. ლერხი. ამ ნაცვალსახელს მოეპოვება კნინობითის ფორმაც: ერხნლ. ფუძის გაორკეცვებით არის წარმოქმნილი ჟერხი-ჟერხი – „ზოგ-ზოგი“.



## უარყოფითი ნაცვალსახელები

უარყოფითი ნაცვალსახელები სვანურში ქართულის ანალოგიურად არის წარმოქმნილი, – ნაწარმოებია ვინ და რა კითხვით ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების დართვით. უარყოფა სვანურში ცალმაგია. გვაქვს შემდეგი უარყოფითი ნაცვალსახელები:

ღწრ (ბზ), ღწრ (ლშხ), ღარ (ლნტ) „არავინ“;

ღეშწარ||ღეშწარ||ღეშწარ (ბზ, ლნტ), ღეშერ (ლშხ.) „ვერავინ“;

წორ (ლშხ.) „წურავინ“;

ღესამა||ღესამამა||ღესამა. „არარა“, „არაფერი“;

ღეშსამა, ღეშმა (ზს), ღეშმაგჷეშ, ღეშმა (ქს) „ვერარა“, „ვერაფერი“;

წოსამა (ლშხ), წომაგჷეშ „წურარა“, „წურაფერი“.

ღწრ ნაცვალსახელი მიღებულია ღე („არ“) უარყოფითი ნაწილაკისა და ჯწრ („ვინ“) კითხვითი ნაცვალსახელის შეერთებით. უარყოფითი ნაწილაკი გვხვდება ღერ-ის სახითაც, სადაც იმავე კითხვითი ნაცვალსახელის ძირეულ რ-ს გამოყოფენ (შარაძენიძე, 1946, გვ. 312).

ღესამა შედგება ღესა („არა“) უარყოფითი ნაწილაკისა და მა („რა“) კითხვითი ნაცვალსახელისაგან. ბალსზემოურში ამავე მნიშვნელობით იხმარება მამგჷეშ||მამაგჷეშ, ბალსქვემოურში – მადმაგჷეშ||მამაგჷეშ, სადაც უარყოფით ნაწილაკს ერთვის გჷეშ („საქმე“). ამრიგად, მადმა (მამა)+გჷეშ ნიშნავს „არა+საქმე“, „არაფერი“.

ანალოგიურად დაიშლება ღეშწარ||ღეშწარ||ღეშერ, სადაც გამოიყოფა ღეშ („ვერ“) უარყოფითი ნაწილაკი და ჯწრ||ჯერ („ვინ“) კითხვითი ნაცვალსახელი.

ღეშსამა შედგება ღეშსა („ვერ“) ნაწილაკისა და მწ („რა“) კითხვითი ნაცვალსახელისაგან.

ასევე დაიშლება წორ-რ, წოსა-მა, წომა-გჷეშ (წომა-„წურა“+გჷეშ-„საქმე“).

რადგან რთული ნაწილაკების მეორე კომპონენტს

ისტორიულად ნაცვალსახელი წარმოადგენს, ალბათ ამიტომ, რომ ხშირად ეს ნაწილაკები დამოუკიდებლადაც გამოდიან ნაცვალსახელის როლში. მაგალითად, უარყოფითი ნაწილაკი მწმა ზოგჯერ ნიშნავს აგრეთვე „არაფერს“, ე.ი. ასრულებს უარყოფითი ნაცვალსახელის ფუნქციას. ასევეა რთული ნაწილაკები დეშმა („ვერა“, „ვერაფერი“), მოდმა („არა“, „არაფერი“), ნრმა („ნუ“, „ნურაფერი“) და სხვა (შარაძენიძე, 1946, გვ. 296-305).

### ნაცვალსახელთა ბრუნება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაცვალსახელებს არ მოეპოვებათ ბრუნების ერთიანი მორფოლოგიური ყალიბი და მათი ბრუნება ხშირად საკმაოდ განსხვავდება არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ბრუნებისაგან. ეს კარგად ჩანს სვანური ენის მაგალითზეც.

პირის ნაცვალსახელები სვანურში, ქართულისა და კოლხურის მსგავსად, უბრუნველია, სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითის ფორმები ერთნაირია: მი(მე), სი(შენ), ნაჲ(ჩვენ), სგაჲ(თქვენ). ნათესაობითისათვის საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, თანდებულთა დართვისას) გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე: მიშგჷი, ისგჷი. იბრუნვის მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც ჩვენებითს ემთხვევა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი ცალკე იშვიათად იხმარება, მეტწილად ის წარმოადგენილია მსაზღვრელად იმ საგნის სახელთან ერთად, რომლის კუთვნილებაზეც არის საუბარი. ასეთ შემთხვევაში, როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია, ის წინ უსწრებს საზღვრულს და უბრუნველია, იბრუნვის მხოლოდ საზღვრული. ქართულისა და ზანურისაგან განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ბრუნებისას ორ-ორ ფორმას გვიჩვენებენ.

ნებენ. ერთია სახელობითისა: მიშგუი, ისგუი, მეორე კი ყველა სხვა ბრუნვისათვის: მიშგუა, ისგუა. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად ამ ნაცვალსახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს. მის მაგიერ პარალელურად ზოგჯერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელობითის ფორმაც (მარტიროსოვი, 1964, გვ. 310).

ბრუნების ყველაზე ნორმალური სახე აქვთ ჩვენებით ნაცვალსახელებს. საერთოდ, სახელთა ბრუნება სვანურში მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება, ვიდრე ქართულსა და კოლხურში. გამოიყოფა ბრუნების რამდენიმე ტიპი, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს მრავალფეროვნება თავს იჩენს ნაცვალსახელთა ბრუნებაშიც. უფრო სწორად, ბრუნებისას ზოგიერთი თავისებური ტიპი სწორედ ნაცვალსახელებშია უკეთ შემონახული. საერთოდ, ბრუნების სხვადასხვა ტიპი ნაცვალსახელებში ხშირად ერთმანეთშია შერეული. მოვიყვანთ ყველაზე გავრცელებულ მაგალითებს.

ალა („ეს“)

სახ. ალა

მიც. ამი-ს (||ამა-ს), აშ-გნ

მოთხ. ამ-ნ-ჟმ

ნათ. ამ-ნშ, ამ-შა

მოქმ. ამ-ნ-ოშ

ვით. ამ-ნ-წრ

იგივე ნაცვალსახელი იბრუნვის კიდევ სხვანაირადაც, რომელიც შერეული ტიპის სახელით არის ცნობილი:

სახ. ალა

მიც. ალა-ს

მოთხ. ამ-ნ-ჟმ-დ

ნათ. ამ-ნშ, ამ-ნ-ჟმ-იშ

მოქმ. ამ-ნ-ოშ

ვით. ამ-ნ-წრ

ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების მხრივაც. ავიღოთ, მაგალითად, ეჯა|ეჯი („ის“). მისი ბრუნება ბალსზემოურში ასეთ სახეს ატარებს:

სახ. ეჯა

მიც. ეჯა-ს||ეჩა-ს

მოთხ. ეჯ-ნ-ნემ||ეჩ-ნ-ნემ

ნათ. ეჩა (←ეჯ-შა)

მოქ. ეჯ-ნ-ოშჷ||ეჩ-ნ-ოშჷ||ეჯ-ნ-ოჷშ||ეჩ-ნ-ოჷშ

ვით. ეჯ-ნ-არ

სხვა დიალექტებში გვაქვს ფონეტიკური ვარიანტები, არსებითად კი ბრუნება ასეთივე სახეს ატარებს.

## ზმნა

სვანური ზმნის სრული მიმოხილვის პირველი ცდა ეკუთვნის აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, რომლის ფუნდამენტური ნაშრომი „სვანური ენა. I. ზმნა“ პირველად გამოიცა 1931 წელს და დღემდე რჩება მიუწვდომელ მწვერვალად სვანური ენის კვლევის სფეროში. ავტორი აპირებდა ამ ნაშრომის ხელახლა გამოცემას, რომ მოულოდნელად ავად გახდა და ისე გარდაიცვალა, უკვე აწყობილი წიგნის ხელახლა გამოცემას ვერ მოესწრო. წიგნი გამოიცა ვ.თოფურიას „შრომების“ I ტომის სახით 1967 წელს. იმავე ხანებში გამოქვეყნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური კრებული „Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки“ (1967 წ.), სადაც წარმოდგენილია სვანური ენის საკმაოდ ვრცელი გრამატიკული მიმოხილვა, დანერილი ვ.თოფურიას მიერ. შემდგომში ეს მიმოხილვაც (ქართულ და რუსულ ენებზე) შევიდა ავტორის „შრომების“ II ტომში (2002 წ.). ჩვენი წინამდებარე მიმოხილვა ძირითადად ამ ნაშრომს ემყარება.

### უღლების სისტემისათვის სვანურში

წარმოების, ფუნქციებისა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით მწკრივები სვანურში ისევე დალაგდებიან სერიებად, როგორც ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. სვანური ზმნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ ნაშრომში ვ.თოფურია წერს:

„სვანურში დროთა სამი ჯგუფი გვაქვს: ანმყოსა, აორისტისა და ნამყოსრულისა.

I. პირველ (ანმყოს) ჯგუფში შედის ორი მთავარი დრო: ანმყო და მყოფადი, დანარჩენი: ნამყოუსრული, კონიუნქტივი I და სხვა უკანასკნელთაგან არის ნაწარმოები. I. ანმყოსეული დროებია: თვით ანმყო, ნამყოუსრული, კონიუნქტივი I, მყოფადუსრული, პირობითი და თურმეობი-

თი I და II, ხოლო 2. მყოფადისეულია: მყოფადსრული და პირობითი.

II. მეორე (აორისტის) ჯგუფს შეადგენს: თვით აორისტი და კონიუნქტივი II (ბრძანებითი კილო ფორმით იგივე აორისტია).

III. მესამე (ნამყოსრულის) ჯგუფისაა: ნამყოსრული, ნამყო წინარეწარსული და კონიუნქტივი III" (თოფურია, 1967, გვ. 71).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად საკმაოდ განსხვავებული ტერმინოლოგიაა დამკვიდრებული, ვიდრე წინათ, როცა ციტირებული ნაშრომი იწერებოდა. თუ ამ ტერმინოლოგიურ სხვაობას მოვხსნით, ნათლად დავინახავთ, რომ II და III სერიის მწკრივები ქართულსა და სვანურში სავსებით ერთი და იგივეა: II სერიაში („აორისტის ჯგუფში“) შედის წყვეტილი („აორისტი“) და II კავშირებითი („კონიუნქტივი II“), III სერიაში („ნამყოსრულის ჯგუფში“) შედის I თურმეობითი („ნამყოსრული“). II თურმეობითი („ნამყო წინარეწარსული“) და III კავშირებითი („კონიუნქტივი III“). ასეთი სრული დამთხვევა არა გვაქვს I სერიაში („ანმყოს ჯგუფში“). მართალია, სვანურშიაც, ისევე როგორც ქართულში, I სერია იყოფა ანმყოს წრედ („ანმყოსეული დროები“) და მყოფადის წრედ („მყოფადისეული დროები“), მაგრამ მწკრივთა რაოდენობა სვანურში მეტია, ვიდრე ქართულში, და ამავ დროს ისინი თანაბრად არაა განაწილებული ანმყოსა და მყოფადის წრეებს შორის: ვ.თოფურიას მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით, ანმყოს წრეში შვიდი მწკრივია, მყოფადის წრეში – მხოლოდ ორი, მაშინ როცა ქართულში თითოეულ წრეში სამ-სამი მწკრივი გვაქვს.

იმ შვიდი მწკრივიდან, რომლებიც ანმყოს წრეშია ჩამოთვლილი, ცალკე უნდა გამოიყოს თურმეობითები. ვ.თოფურიას მიერ თურმეობითი I-ისა და თურმეობითი II-ის სახელით აღნიშნულ ფორმებს ამჟამად შესაბამის-

ად უწოდებენ თურმეობით III-სა და თურმეობით IV-ს, რადგან თურმეობითი I დამკვიდრდა უწინდელი „ნამყო-სრულის“ მაგიერ, თურმეობითი II კი – „ნამყო წინარე-წარსულის“ მაგიერ. თურმეობითები, საერთოდ, უხილავი მოქმედების გამომხატველი მწკრივებია. თურმეობითი I და II უპირისპირდება II სერიის „ხილულ“ მწკრივებს, ხოლო თურმეობითი III და IV გამოხატავს I სერიის „ხილულ“ მწკრივთა საპირისპირო „უხილავ“ მწკრივებს, რომლებიც, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, IV ჯგუფის (ანუ IV სერიის) სახით უნდა გამოიყოს ქართველურ ენებში (როგავა, 1953, გვ. 17-32).

IV სერიის თურმეობითები ქართველურ ენათაგან ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მეგრულსა და ლაზურში; ქართულში გვხვდება მხოლოდ დასავლურ დიალექტებში (იმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში) და ინარმოება ნა-პრეფიქსიან მიმღეობაზე მეშველი ზმნის დართვით: მინავალა, ნაკეთება, ნაყურება... მინავალიყო, ნაკეთებიყო, ნაყურებიყო... ამგვარ ფორმათა შესატყვისია სვანურში ისეთი ფორმები, როგორიცაა, მაგალითად, ბალსზე-მოური: ხჷაგმინა „ვუშენებდი თურმე“, ხაგმინა „უშენებდი თურმე“, ხაგმინა „უშენებდა თურმე“ (ვ.თოფურიას მიხედვით – ესაა თურმეობითი I) და ლემგამუნლი „ნაშენება“ (ვ.თოფურიას მიხედვით – ესაა თურმეობითი II) (თოფურია, 1967, გვ. 130-136).

IV სერიის მწკრივები ქართველურ ენებში სუსტადაა განვითარებული და იშვიათად გვხვდება, ამიტომ ჩვენ მათ წინამდებარე წიგნში გვერდს ვუვლით.

ამრიგად, ვ.თოფურიას მიერ თურმეობითი I-ისა და თურმეობითი II-ის სახელით აღნიშნული ფორმები (ამჟამინდელი ტერმინოლოგიით – თურმეობითი III და თურმეობითი IV) პირველ სერიას არ ეკუთვნის და ცალკე უნდა გამოიყოს. მათი გამოცალკევების შემდეგ I სერიაში რჩება

შემდეგი მწკრივები: ანმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, მყოფადსრული და პირობითი.

პირობითი ვ.თოფურიას ორჯერ აქვს დასახელებული – ჯერ ანმყოსეულ, შემდეგ კი მყოფადისეულ დროებში, მაგრამ ზმნის დროთა წარმოების განხილვისას და უღლების პარადიგმებშიაც ეს მწკრივი მხოლოდ ერთხელ არის შეტანილი – მყოფადისეულ დროებში. ასევეა რეზიუმეში, რომელიც ნაშრომის მეორე გამოცემას ერთვის რუსულ ენაზე (თოფურია, 1967, გვ. 268). ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, პირობითის ორჯერ დასახელება ზემოთ მოტანილ ციტატში კორექტურული შეცდომააო, მაგრამ ასე არ უნდა იყოს. საქმე ის არის, რომ სვანურში პირობითი ორგვარად იწარმოება: მყოფადუსრულის ფუძისაგან და მყოფადსრულის ფუძისაგან. ასე რომ, აქ ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ფორმა, რომელთაგან ერთს შეიძლება ვუნოდოთ პირობითუსრული, მეორეს – პირობითსრული. მაგრამ ყველა ზმნა ორივეგვარ ფორმებს ვერ აწარმოებს, მათი ფუნქციებიც არ არის მკაფიოდ გამიჯნული და პირობითის მხოლოდ ერთ მწკრივად მიჩნევა ვ.თოფურიას მიერ ალბათ ამით აიხსნება.

ზემოსხენებული შენიშვნების გათვალისწინებისა და ტერმინოლოგიური ცვლილებების შემდეგ მწკრივთა სისტემა სვანურში ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ძირითადია სამი სერია. ამათგან I სერია ორ წრედ იყოფა.

I სერია: ანმყოს წრე – ანმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, პირობითუსრული; მყოფადის წრე – მყოფადსრული, პირობითსრული.

II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი.

III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი.

II და III სერიის მწკრივები, როგორც უკვე ითქვა, ქართულსა და სვანურში ერთმანეთს ემთხვევა. ძირითა-



დად ერთი და იგივე მწკრივები გვაქვს | სერიაშიც, ოლონდ აქ ანმეოს წრეში სვანურს მეტი აქვს მყოფადუსრული და პირობითუსრული, მყოფადის წრეში კი აკლია კავშირებითი.

ის ფაქტი, რომ ქართულსა და სვანურს შორის მწკრივთა შესატყვისობა დარღვეულია სწორედ მომავალი დროის გამომხატველ მწკრივებში, სავსებით კანონზომიერია. როგორც ვიცით, ეს მწკრივები შედარებით გვიან არიან წარმოქმნილნი და მოძმე ენებში დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდნენ.

მყოფადის წრის მწკრივთა წარმოქმნას ქართველურ ენებში საფუძვლად უდევს ერთი და იგივე გრამატიკული პროცესი – ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლა, მაგრამ ეს ცვლილება მოძმე ენებში ერთნაირი ტემპით არ განვითარებულა და, ბუნებრივია, სავსებით ერთნაირი შედეგებიც არ მოუცია. კერძოდ, ანმეო და მყოფადი სვანურში დღემდე მეტ ფუნქციურ სიახლოვეს ამჟღავნებენ, ვიდრე ქართულში.

ანმეოს ფორმათა გამოყენება მყოფადის გაგებით სვანურის ყველა კილოში ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს გარემოება სათანადოდ არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში. ვ.თოფურია წერს: „კონტექსტში ხშირად ვხედავთ ანმეოს მყოფადის მნიშვნელობით: ბზ. ჩუემშხუინდ, ადო ჩუესა ჴუედნი, ხჷიკედ ჯიჰრწ ტყენს ი უშხჷნრჷი ჟასყენე ჩი (შემინახეთ, თორემ თუ ჩამოვედი, ავიღებ (ვიღებ) მუხის ჯოხს და ერთმანეთზე წაგანვენთ („გაკეთებთ“) ყველას)... ფორმის თვალსაზრისით ორი უკანასკნელი ზმნა მყოფადსრულთან არც კი არის დაკავშირებული, მაგრამ გვესმის მყოფადად“ (თოფურია, 1967, გვ. 124).

იქვე მოყვანილია მაგალითები და განმარტებები ადრე დაბეჭდილი ტექსტებიდანაც: აჩას ხწხვდ ხოყი (=ბზ. ეჩას ხეხჷდ ხოყი) „მას ცოლად უყვანს“; ეჯ ქიპ სერ მომა მიგჷჷ „ის ძაფი ანი არ მიკავებს (მიძლებს)“. ამ ფრაზებს პირვე-

ლივე პუბლიკაციის დროს თან ახლდა განმარტება, რომ ხოყი და მიგჭე ფორმით ანმყო, შინაარსით კი მყოფადის გაგებას იძლევა: praes. в знач. fut (СМОМПК XVIII, 1894, გვ. 119).

ამრიგად, მყოფადის მნიშვნელობით ანმყოს ხმარების ფაქტი სვანურში კარგა ხანია შემჩნეულია. სათანადო მაგალითები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და მათი დამონმება აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია. ასევე მოიპოვება მაგალითები, როცა უწყვეტლის ფორმა გამოიყენება პირობითის გაგებით.

ამის შემდეგ გასაკვირი აღარაა, რომ კავშირებითის ერთი ფორმა გამოყენებულია როგორც ანმყოს კავშირებითის, ისე მყოფადის კავშირებითის ფუნქციით და სვანურს საჭიროდ აღარ მიუჩნევია ახალ ფორმათა წარმოქმნა მყოფადის კავშირებითის სახით. საფიქრებელია, რომ ეს ალბათ არც ქართულში იქნებოდა აუცილებელი, მაგრამ ქართულში მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ოპოზიციამ, რაც თავიდან ბოლომდე გასდევს ანმყოსა და მყოფადის წრეს.

ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ქართულს მეტწილად საშუალება აღარა აქვს განასხვაოს მომავალი დროის სრული და უსრული ასპექტი, სვანურს კი გამოუნახავს საამისო გზა და შეუმუშავებია მყოფადის ორი სახე – ორი მწკრივი: მყოფადუსრული და მყოფადსრული. ამათგან ქართულ მყოფადის მწკრივთან ფუნქციითაც და წარმოების მხრივაც უფრო ახლოს დგას მყოფადსრული, მყოფადუსრული კი, როგორც ვ.თოფურიას აქვს აღნიშნული, უდგება ქართულ იტირებს, იძახებს, ილაპარაკებს და სხვა მათ მსგავს ფორმებს, შინაარსით კი უდრის რუსულ „შედგენილ“ მყოფადს (Будущее несовершенное) (თოფურია, 1967, გვ. 112).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას უღლების მიხედვით ზმნათა დაჯგუფების თაობაზეც. თავის გამოკვლევებში „ქართული ზმნის საქცევი“ და „უმლაუტი სვანურში“

ა.შანიძემ ზმნები ქართულსა და სვანურში უღლების ტიპებად დააჯგუფა ვნებითი გვარის მიხედვით. ეს თვალსაზრისი გაიზიარა ვ.თოფურიამაც.

შემდგომში ა.შანიძემ ქართული ზმნის უღლებათა ჯგუფებად დაყოფის პრინციპი რამდენადმე შეცვალა და დააზუსტა, თუმცა ძირითადი ოთხი ტიპი ისევე დარჩა (შანიძე, 1980, გვ. 488-490). სვანურს ამ თვალსაზრისით აღარავინ შეხებია. ასე რომ, სვანურ ზმნათა უღლებაში გამოიყოფენ სამ ჯგუფს:

„პირველი ჯგუფისად მიიჩნევა ის გარდამავალი ზმნები, რომელთა ვნებითის ფორმები ი- და ე- პრეფიქსით იწარმოება... მეორე ჯგუფისად მიიღება ის გარდამავალი ზმნები, რომელთაც მედიო პასიური ფორმები გააჩნიათ და ამ უკანასკნელს და აქტივს ერთმანეთისაგან ფუძის დრეკადობით არჩევენ... მესამე ჯგუფისაა ყველა გარდაუვალი ზმნა, რა თქმა უნდა, ვნებითების გამორიცხვით. ესენია აბსოლუტურები და რელატიურ-გარდაუვალები, ე.ი. საშუალი ზმნები“ (თოფურია, 1967, გვ. 39-41).

თუ ა.შანიძის მიერ ქართულ ზმნათა საკლასიფიკაციოდ გამოყენებულ პრინციპს სვანურშიაც მოვიმარჯვებთ, მაშინ პირველი ჯგუფი ორად გაიყოფა და ცალკე ტიპად წარმოგვიდგება მოქმედებითი გვარის ზმნები, ცალკე – ინ-ენიანი ვნებითები, მეორე და მესამე ჯგუფის შედგენილობა კი უცვლელი დარჩება.

ამგვარად, სვანურში შეიძლება გამოიყოს უღლების ოთხი ტიპი:

I ტიპი – მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება (ფუძედრეკადთა გარდა);

II ტიპი – დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა უღლება;

III ტიპი – ფუძედრეკად ზმნათა უღლება;

IV ტიპი – საშუალი გვარის ზმნებისა და სტატიკური ვნებითების უღლება.

## სუბიექტური პირი და რიცხვი

სვანურ ენაში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, ზმნა პოლიპერსონალურია (მრავალპირიანია), ე.ი. ზმნის სისტემაში გამოხატულია არა მხოლოდ სუბიექტური პირი, არამედ ობიექტური პირებიც – პირდაპირი და ირიბი.

როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ნიშნები სვანურ ზმნაში წარმოდგენილია პრეფიქსების სახით, მათი მრავლობითი რიცხვის ნიშნები კი – სუფიქსების სახით. ანალოგიური სურათია სხვა ქართველურ ენებშიც, მაგრამ შეინიშნება ზოგი განსხვავებაც. სახელდობრ, მე-3 სუბიექტური პირის ნიშანი სვანურში უმეტესად დაკარგულია, თუმცა სადაც დაცულია, იგი პრეფიქსად არის წარმოდგენილი, მაშინ როცა ქართულსა და კოლხურში სუფიქსად გვევლინება. გარდა ამისა, მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელს (ნაჲ – „ჩვენ“) ზმნა შეეწყობა ორი სხვადასხვა ფორმით: ერთში მეორე პირიც იგულისხმება (ჩვენ – შენიანად, შენთან ერთად), მეორეში – არა (ჩვენ – უშენოდ). პირველს ეწოდება ინკლუზიური ფორმა, მეორეს – ექსკლუზიური. ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები მოეპოვება როგორც სუბიექტურ პირველ პირს, ისე ობიექტურსაც. მათ აღსანიშნავად იხმარება ლათინური ასოები: Si (სუბიექტური ინკლუზიური პირი), Se (სუბიექტური ექსკლუზიური პირი), Oi (ობიექტური ინკლუზიური პირი), Oe (ობიექტური ექსკლუზიური პირი). ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია თანამედროვე ქართველური ენებიდან ახასიათებს მხოლოდ სვანურს, სხვებს – არა. ვარაუდობენ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევის კვალი თითქოს შეინიშნება ძველ ქართულში ობიექტური ნყობისას.

ზმნის უღლების ნიმუშების გაცნობა ბუნებრივია დავინწყოთ მეშველი ზმნით, რომელიც დრონაკლია (ძირცვალე-

ბადია), სხვადასხვა მწკრივში იყენებს სამ სხვადასხვა ფუძეს: ი, ანტი (||ესტ, არ. ყველა მწკრივი მაინც არ მოეპოვება. მისი უღლების სურათი ასეთია:

**ანმყო**

1 ხუ-ი ვარ	Si ლ-ი-შდ	ვართ (შენთან ერთად)
	Se ხუ-ი-შდ	ვართ (უშენოდ)
2 ხ-ი ხარ	ხ-ი-შდ	ხართ
3 ლ-ი არის	ლ-ი-ხ	არიან

ხუ- პრეფიქსი  $S_1$  პირის უმთავრესი ნიშანია სვანურში. მრავლობით რიცხვში ის გვხვდება ექსკლუზიურ ფორმაში (მეშველ ზმნაში -შდ სუფიქსთან ერთად, ყველა სხვა შემთხვევაში - -დ სუფიქსთან ერთად). ინკლუზივი გადმოიცემა ლ- პრეფიქსით იმავე -შდ (-დ) სუფიქსთან ერთად.

$S_2$  პირის ნიშნად წარმოგვიდგება ხ- პრეფიქსი, რომელსაც ამ ფუნქციით მეტოქე არა ჰყავს. მრავლობითი რიცხვი აქაც აღინიშნება -შდ სუფიქსით (ყველა სხვა ზმნაში, გარდა მეშველი ზმნისა - -დ სუფიქსით).

მესამე პირის ფორმაში წარმოდგენილი ლ- პრეფიქსი, ვ.თოფურიას დამაჯერებელი მტკიცებით, სწორედ ამ  $S_3$  პირის ნიშანია და არა სხვა რამ. მრავლობითი რიცხვი ამ შემთხვევაში აღინიშნება -ხ სუფიქსით, რომელსაც ამ ფუნქციით მეტოქე აგრეთვე არ მოეპოვება.

ლ- პრეფიქსი  $S_3$  პირის ნიშნად სვანურში სულ ხუთიოდე ზმნაში გვხვდება, მაგრამ ყველა ისინი იმდენად აქტიური და ხშირად ხმარებული ზმნებია, რომ მიზანშეწონილია ამთავითვე გავეცნოთ მათ. ორი მათგანი ისევ მეშველი ზმნის ფორმებია, ოღონდ სხვა ფუძიდან ნაწარმოები (მოვიყვანთ მხოლოდ ბალსზემოურ ფორმებს):

## ნამყო

- |                |                                                                   |
|----------------|-------------------------------------------------------------------|
| 1 ხუ-ასუ ვიყავ | Si ლ-ასუ-დ ვიყავით (შენთან ერთად)<br>Se ხუ-ასუ-დ ვიყავით (უშენოდ) |
| 2 ხ-ასუ იყავ   | ხ-ასუ-დ იყავით                                                    |
| 3 ლ-ასუ იყო    | ლ-ასუ-ხ იყვნენ                                                    |

## კავშირებითი

- |               |                                                               |
|---------------|---------------------------------------------------------------|
| 1 ხუ-ესუ ვიყო | Si ლ-ესუ-დ ვიყოთ (შენთან ერთად)<br>Se ხუ-ესუ-დ ვიყოთ (უშენოდ) |
| 2 ხ-ესუ იყო   | ხ-ესუ-დ იყოთ                                                  |
| 3 ლ-ესუ იყოს  | ლ-ესუ-ხ იყვნენ                                                |

ამ ორ მწკრივს ფუძე საერთო აქვს: ა/ესუ. ა და ე ხმოვანთა მონაცვლეობა სვანურში ხშირია და ამჯერადაც იგივე სურათია. ამიტომ **ლასუ** და **ლესუ** ფორმები  $S_3$  პირის ნიშნად ლ-ს ხმარების ერთ შემთხვევად არის ხოლმე მიჩნეული.

დანარჩენი სამი ზმნა, რომელთაც  $S_3$  პირის ნიშნად ლ-პრეფიქსი აქვთ შემონახული, შემდეგია:

ლ-გგ (დგას) – ლ-გგ-ხ (დგანან);

ლა-ლ-ნემ (შეჭამა) – ლა-ლ-ნემ-ხ (შეჭამეს);

ლა-ლ-გმ (დაღია) – ლა-ლ-გმ-ხ (დალიეს).

ეს უკანასკნელი ზმნა ამ სახით (ლალგმ) მხოლოდ ლაშხურ დიალექტშია წარმოდგენილი, სხვა კილოებში ლ- პირის ნიშანი დაკარგულია (ბზ. ლაიმ, ბქ., ლნტ. ლა-ამ).

ამრიგად, ჩვენს წინაშეა სრული სურათი იმ ზმნებისა, რომელთაც  $S_3$  პირის ნიშნად როგორც მხოლოდობით რიცხვში, ისე მრავლობითში დაუცავთ ლ- პრეფიქსი. მიუხედავად ამ ზმნათა რიცხვის სიმცირისა, ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვნებით: მათ შორის არის ერთპირიანი ფორმებიც და ორპირიანიც, გარდაუვალიც და გარდამავალიც, ანმყოც და წყვეტილიც, თხრობითი კილოც და კავშირებითი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველად ლ- პრეფიქსი  $S_3$  პირის ნიშნად წარმოდგენილი ყოფილა სვანური ენის მთელ სისტემაში, მსგავსად

$S_1$  ხ<sub>ჟ</sub>- და  $S_2$  ხ- პრეფიქსებისა. რამ განაპირობა ლ-ს გად-  
არჩენა ამ ხუთიოდე ზმნაში, ძნელი სათქმელია.

სრულიად განცალკევებით დგას  $S_1$  და  $S_2$  სუბ. პირის მრავლობითობის ნიშანი -შიდ მეშველი ზმნის ანმყოფ მწკრივში: ლ-ი-შიდ (Si ვართ), ხ<sub>ჟ</sub>-ი-შიდ (Se ვართ), ხ-ი-შიდ (ხართ). მეშველი ზმნის სხვა მწკრივებში და ყველა სხვა ზმნაში I და II სუბ. პირის მრავლობითის ნიშანია -დ სუფიქსი (იშვიათად ის მეშველი ზმნის ანმყოფიც იჩენს თავს). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ Si, Se და  $S_2$  პირთა მრავლობითობის ნიშანი სვანურში მხოლოდ -დ სუფიქსია, რომელსაც ქართულსა და კოლხურში თ შეესატყვისება. ჩანს, სწორედ ასე ფიქრობდა ვ.თოფურია, რომელსაც მეშველი ზმნის უღლებისას შ და დ ცალ-ცალკე აქვს გამოყოფილი, მაგრამ -ში სუფიქსის დანიშნულების შესახებ იგი არაფერს ამბობს (თოფურია, 1967, გვ. 243). ა.ონიანის აზრით, ზემოხსენებულ ფორმებში -შიდ მთლიანი სუფიქსია, რომელიც ქართულ-კოლხურ -თ-ს შეესატყვისება (ონიანი, 1963, გვ. 206-211).

მეშველი ზმნის უღლების სრული სურათის წარმოსადგენად მოვიყვანოთ დანარჩენ მწკრივთა ფორმებიც.

### მყოფადსრული

ხ<sub>ჟ</sub>-ი-რ-ი|ა

(ვიქნები)

ხ-ი-რ-ი|ა

ი-რ-ი|ა

Si ლ-ი-რ-ი|ა-დ

Se ხ<sub>ჟ</sub>-ი-რ-ი|ა-დ

ხ-ი-რ-ი|ა-დ

ი-რ-ი|ა-ხ

### პირობითი

1 ხ<sub>ჟ</sub>-ი-რ-ილ-დ

(ვიქნებოდი)

2 ხ-ი-რ-ილ-დ

3 ი-რ-ილ-დ

Si ლ-ი-რ-ილ-დ

Se ხ<sub>ჟ</sub>-ი-რ-ილ-დ

ხ-ი-რ-ილ-დ

ი-რ-ილ-ხ

როგორც აღვნიშნეთ, მეშველ ზმნას სვანურში ყველა მწკრივი არ მოეპოვება. ამ ნაკლს ის ივსებს მნიშვნელობით ახლოს მდგომი და ბგერითი შედგენილობით კი სწორედ ქართულ-კოლხური მეშველი ზმნის შესატყვისი პრი ზმნით (შდრ. ქართ. არ-ს||არი-ს, ლაზ. რ-ე-ნ, მეგრ. რ-ე). გავეცნოთ ამ ზმნის უღლებასაც.

### ლირდე („ყოფნა“) ზმნის უღლება

#### ანჰყო

1 ხჷ-პრ-ი (ვარ, ვიმყოფები)	Si ლ-პრ-ი-დ Se ხჷ-პრ-ი-დ
2 ხ-პრ-ი	ხპრ-ი-დ
3 პრ-ი	პრ-ი-ხ

#### უნყვეტელი

1 ხჷ-არ-დჷს (ვიყავი, ვიმყოფებოდი)	Si ლ-არ-და-დ Se ხჷ-არ-და-დ
2 ხ-არ-დჷს	ხ-არ-და-დ
3 არ-და	არ-და-ხ

#### I კავშირებითი

1 ხჷ-არ-დჷდ (ვიყო, ვიმყოფებოდე)	Si ლ-არ-დჷდ-დ Se ხჷ-არ-დჷდ-დ
2 ხ-არ-დჷდ	ხ-არ-დჷდ-დ
3 არ-დჷდ-ს	არ-დჷდ-ხ

#### მყოფადსრული

1 ხჷ-ი-რდ-ი ა (ვიქნები)	Si ლ-ი-რდ-ი ა-დ Se ხჷ-ი-რდ-ი ა-დ
2 ხ-ი-რდ-ი ა	ხ-ი-რდ-ი ა-დ
3 ი-რდ-ი ა	ი-რდ-ი ა-ხ

ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, მეშველი ზმნა იხმარება ყოფნის, არსებობის მნიშვნელობითაც: – ვინ არის ის ქალი? – სად არის ის ქალი? ორივე ფრაზაში წარმოდგენილია ზმნა „არის“, რომელიც ერთ შემთხვევაში მეშველი ზმნაა, მეორეში – არა. სვანურად ეს



განსხვავება მკაფიოდ ჩანს ზმნათა სხვადასხვაობით: – აწ ლი ეჯ ზურალ? – იმე არი ეჯ ზურალ? ერთ შემთხვევაში ნახმარია მეშველი ზმნა ლი, მეორეში – არი („იმყოფება, არსებობს“). არც აწ არი და არც იმე ლი სვანურად არ ითქმის.

ქართულ მეშველ ზმნასა და სვანურ ლირდე („ყოფნა“) ზმნას შორის თვალსაჩინო განსხვავებაა იმ მხრივაც, რომ არის მეშველი ზმნა ერთპირიანია და რელატიური ფორმები არ გააჩნია (ისევე როგორც სვანურ მეშველ ზმნას), ლირდეს კი ერთპირიანი ფორმებიც მოეპოვება და ორპირიანიც. მათგან ერთის უღლებას ჩვენ უკვე გავეცანით (ხჭარი, ხარი, არი...), მეორეს კი აქვე გავეცნობით, მაგრამ ჯერ შევაჯამოთ ის, რაც აქამდე ითქვა სუბიექტური პირის ნიშნების შესახებ სვანურში. სუბიექტური პირის ნიშანთა სქემა ვ.თოფურიას მონოგრაფიაში (1967, გვ. 4) ასე წარმოგვიდგება:

### ტაბულა I

(სუბიექტური აფიქსები)

პირი მხ.რ. მრ.რ.

1 ხჭ- Si ლ- - -დ

Se ხჭ-- -დ

2 ხ- ხ- - -დ

3 ლ-, Ø ლ-, Ø - -ხ

ეს ტაბულა შედგენილია ხმოვნით დაწყებულ ფუძიანი ზმნების მიხედვით, რომელთაც მიეკუთვნება ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა სვანურში. მაგრამ პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი აფიქსების სურათი სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ თანხმოვნით დაწყებული ფუძიანი ზმნებიც, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია.

თანხმოვნით დაწყებულ ზმნათა უღლების ნიმუშები ასეთია:

პირი მხ.რ.	მრ.რ.
1 ლური (მოვალ, ნავალ)	Si ლგ-ლრი-დ Se ლგრი-დ
2 ლგრი	ლგრი-დ
3 ლგრი	ლგრი-ხ
1 დჷიგე (ვაქრობ)	Si ლგ-დგე-დ Se დჷიგე-დ
2 დიგე	დიგე-დ
3 დიგე	დიგე-ხ
1 ტჷიხე (ვაბრუნებ)	Si ლგტხე-დ Se ტჷიხე-დ
2 ტიხე	ტიხე-დ
3 ტიხე	ტიხე-ხ

თუ ამ ზმნათა უღლებას გულდასმით დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ აქ I სუბ. პირის ნიშნად ლ ზვავს და არა ხლ, ამასთანავე ეს ლ ინფიქსია და არა პრეფიქსი, – ის ზმნის ფუძისეული პირველი თანხმოვნის შემდეგ არის მოქცეული; II და III სუბ. პირებს არავითარი ნიშანი არ მოეპოვება და ამის გამო მათი ფორმები მხოლოდით რიცხვში ერთმანეთს ემთხვევა, მრავლობითში კი განსხვავებას ქმნის მრავლობითის სუფიქსი: II პირში – დ, III პირში – ხ (სუფიქსები იგივეა, რაც ხმოვნით დაწყებულ ფუძიან ზმნებში).

მრავლობითი რიცხვის I პირში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები აქაც ისევეა გარჩეული, როგორც ხმოვანფუძიანებში, სახელდობრ, ინკლუზიური პირის ნიშნად წარმოდგენილია პრეფიქსი ლ- (მრავლობითის -დ სუფიქსთან ერთად), ექსკლუზიური ფორმა კი ინფიქსად გვიჩვენებს იმავე ლ-ს, რომელიც მხოლოდით რიცხვშია, ოღონდ ერთვის მრავლობითობის სუფიქსი -დ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზემოთ წარმოდგენილი პირველი ტაბულა ასეთ სახეს იღებს (თოფურია, 1967, გვ.5):

**ტაბულა II**  
(სუბიექტური აფიქსები)  
მხ.რ.

პირი	A. ხმოვნით დაწყ.	ფუძე B თანხმოვნით დაწყ. ფუძე
1	ხჟ-	-ჟ-, *ჰჟ-
2	ხ-	∅-, *ჰ-
3	ლ-, ∅	∅-

მრ.რ.

1	Si ლ- - -დ	ლ-ღ- - -დ
	Se ხჟ- - -დ	-ჟ-, *ჰჟ- - -დ
2	ხ- - -დ	∅-, *ჰ- - -დ
3	ლ-, ∅- - -ხ	∅- - -ხ

შემდგომში ავტორმა სუბიექტური პირის ნიშანთა ტაბულაში დამატებით შეიტანა III სუბ. პირის (მხ.რ.) სუფიქსები (-ს, -ა, -ე), რომლებიც კავშირებითის მწკრივებში გვხვდება (თოფურია, 2002, გვ. 176).

**ობიექტური პირი და რიცხვი**

როგორც ზემოთ ვთქვით, ლირდე („ყოფნა“) ზმნას სვანურში მოეპოვება არამარტო აბსოლუტური (ერთპირიანი), არამედ რელატიური (ორპირიანი) ფორმებიც და შესწევს ძალი, იცვალოს როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ პირთა მიხედვით. მის უღლებას სუბიექტურ პირთა მიხედვით ჩვენ უკვე ვიცნობთ (ხჟარი, ხარი, არი...).

ახლა ვნახოთ, როგორია მისი ობიექტურ პირთა მიხედვით უღლების სურათი. წინასწარვე უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართულში ამ ფორმებს ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვებათ, ძველი ქართულიდან კი მათ ასე თუ ისე შეესაბამება მივის ზმნა.

**მირი („მივის“) ზმნის უღლება  
(ინვერსიული ნყობა)**

**ანმყო**

1 მ-ი-რი („მივის“=მყავს, მაქვს)	Si გჟ-ი-რი	მ-წრ	გჟ-წრ
	Se ნ-ი-რი	მაქვს)	ნ-წრ
2 ჯ-ი-რი	ჯ-ი-რი-ბ	ჯ-წრ	ჯ-წრ-ბ
3 ხ-ო-რი	ხ-ო-რი-ბ	ხ-წრ	ხ-წრ-ბ

**უნყვეტელი**

1 მ-ი-რდა (მყავდა, მქონდა)	Si გჟ-ი-რდა
	Se ნ-ი-რდა
2 ჯ-ი-რდა	ჯ-ი-რდა-ბ
3 ხ-ო-რდა	ხ-ო-რდა-ბ

**I კავშირებითი**

1 მ-ი-რდღედ-ს (მყავდეს, მქონდეს)	Si გჟ-ი-რდღედ-ს
	Se ნ-ი-რდღედ-ს
2 ჯ-ი-რდღედ-ს	ჯ-ი-რდღედ-ბ
3 ხ-ო-რდღედ-ს	ხ-ო-რდღედ-ბ

უღლების ამ ნიმუშების მიხედვით ობიექტური პირის ნიმუშების სქემა ასე გამოიყურება (თოფურია, 2002, გვ. 177):

**ტაბულა III**

(ობიექტური პირის ნიმუშები)

ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან

პირი	მხ.რ.	მრ.რ.
1	მ-	Si გჟ- Se ნ-
2	ჯ-	ჯ- - -ბ
3	-(*ჰ-)	∅ - -ბ

თანხმოვნით დაწყებულ ზმნებთან

1	მგ-	Si გჟ(←გჟ+გ) Se ნგ-
2	ჯგ-	ჯგ- - -ბ
3	-	- - -ბ

## ზმნისწინები

ზმნისწინს ანუ პრევერბს ქართველურ ენებში მრავალმხრივი დატვირთვა აქვს: ის აღნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების მიმართულებას (გეზსა და ორიენტაციას), ამავე დროს აძლევს ზმნას სრული ასპექტის გაგებას, ზოგ შემთხვევაში ანიჭებს მას ახალ შინაარსს და აწარმოებს ახალ ზმნას.

აგებულების მიხედვით ზმნისწინი ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია სულ რვა ზმნისწინი, რომელთაგანაც ოთხი ძირითადია და ოთხიც – თანდებულებთან საზიარო. ძირითადია: ან-, ად- |ა-, ეს- (ქვემოსვანური ას-) და ლა-; პრევერბ-თანდებულებია: ჟი, ჩუ, სგა (ლენტეხური სკა, ბალსქვემოური ისგა) და ქა. მათი შერწყმით (თანდებულ-პრევერბი+ძირითადი) მიიღება რთული ზმნისწინი (თოფურია, 2002, გვ. 179).

ან- აღნიშნავს მიმართულებას იქიდან აქეთ, | პირისაკენ. უდრის ქართ. მო- ზმნისწინს: ან-ლრი „მოდის“, ან-ჭომე „მორბის“, ან-ჯიდ „მოიტანა“...

ად-|ა- და ეს-|ას- აღნიშნავენ საპირისპირო მიმართულებას – აქედან იქით, ||| პირისაკენ. მათი შესატყვისია ქართ. მი-, ნა-, გა- ზმნისწინები: ეს-ლრი „მიდის“, ად-იე „ნაიღო“...

ლა- აგრეთვე აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით, უდრის ქართ. შე-, ნა-, მი- ზმნისწინებს: ლა-ლემ „შეჭამა“, ლა-ნშ „შესვა“, „დაღია“, ლა-ხუმ „მისცა“...

ძირითადი ზმნისწინები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზმნასთან, არასოდეს სცილდებიან მას, მაშინ როცა თანდებულებთან საზიარო ზმნისწინებს მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებთ, შეუძლიათ დაშორდნენ ზმნის ფუძეს და შუაში ჩაირთონ რაიმე სიტყვა ან ნაწილაკი (შდრ. ტმე-სი ძველ ქართულში).

ზმნისწინ-თანდებულთაგან ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებას აღნიშნავენ ჟი და ჩუ, სგა და ქა.

ჟი აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით. ზმნისწინის როლში მას შეესატყვისება ქართ. აღ-, თანდებულის როლში კი – ზე. ფონემატურად, ცხადია, ჟი ზმნისწინი უშუალო კავშირშია ქართ. ზე თანდებულთან, ზე-და||ზე-ნა ზმნისართებთან, ასევე მეგრულ-ლაზურ ჟინ, ჟინდო („ზევით“) ზმნისართებთან და სხვ. (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 220-222).

ასეთივე ფონემატური კავშირი ივარაუდება სვანურ ჩუ ზმნისწინ-თანდებულსა და ქართ. ქუე||ქე ზმნისართულ ფუძეს შორის (მაჭავარიანი, 1965, გვ. 62-63; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 492).

პრევერბები საკმაო ცვალებადობას განიცდიან ფონეტიკურ ნიადაგზე (თოფურია, 1967, გვ. 10-34). ეს ვრცელი საკითხია, რომელიც დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს და ჩვენ დაწვრილებით მის განხილვას ვერ გამოვუდგებით. აქ მხოლოდ ჩამოვთვლით პრევერბთა შერწყმით მიღებულ რთულ ზმნისწინებს:

ჟი ან- → ჟ'ან- = აღმო-, ამო-

ჟი აღ- → ჟ'ად, ჟია- → ჟ'ა = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, ნა-

ჩუ ან- → ჩუან = ჩამო-, დამო-

სგა ან- → სგან, სგან-, ლნტ. სკან- = შემო-

ქა ეს → ქეს-, ლნტ. ქა ას- → ქას = გა-, და-, ნა-

და სხვა (თოფურია, 2002, გვ. 180).

## ასპექტი

ასპექტის გამოხატვის მხრივ სვანურში დღეს ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ახალ ქართულში: ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისაა, უზმნისწინონი – უსრული ასპექტისა.

სვანური ზმნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ვ.თოფურია აღნიშნავდა: „პრევერბებს სვანურში ისეთივე ფუნქცია აქვთ მინიჭებული და იგივე ადგილი უჭირავთ, რაც მის მოძმე

ენებში. ადგილმდებარეობის მხრით ისინი ყოველთვის ზმნის თავში – პირის ნიშნებისა და მაქცევართა წინ – გვევლინებიან, ხოლო ფუნქციით მიმართულებისა და ასპექტის (სახის) გამომხატველნი არიან“ (თოფურია, 1967, გვ. 53).

იქვე ხაზგასმულია, რომ ზმნისწინთა პირველადი ფუნქცია არის მიმართულების ჩვენება, ასპექტის გამოხატუვა კი შედარებით გვიანდელი დანაკისრებია. ამის დასადასტურებლად დასახელებულია ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდაც სრულ ასპექტს გამოხატავენ. მეორე მხრივ, ვ.თოფურიას შენიშნული აქვს, რომ ზოგ ზმნაში პრევერბი ასპექტს სრულებით არ გამოხატავს და მხოლოდ მიმართულებას გვიჩვენებს. გენეტურადაც ზოგი ზმნისწინი მიმართულების აღმნიშვნელ სიტყვებთან არის დაკავშირებული (თოფურია, 1967, გვ. 54, 63-67).

უნდა ჰქონოდა თუ არა ასპექტი სვანურ ზმნას ძველად, სანამ ამ ფუნქციას ზმნისწინი იკისრებდა, ან როგორი უნდა ყოფილიყო მისი გამოხატვის სისტემა, ამის შესახებ ვ.თოფურიას არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ საერთო მსჯელობიდან და შენიშნულ თავისებურებათა ანალიზიდან ადვილად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ისტორიულად სვანურსაც იგივე გზა უნდა ჰქონდეს გავლილი ასპექტის გამოხატვის მხრივ, როგორიც ქართულს.

როგორც ვთქვით, ვ.თოფურიას აღნიშნული აქვს, რომ ზოგი ზმნა, მიუხედავად ზმნისწინის დართვისა, მაინც უსრულ ასპექტს გამოხატავს. ასეთია, სახელდობრ, საშუალი გვარის ზმნები (მოვიტანთ ბალსზემოური კილოს ფორმებს, სხვა კილოები მხოლოდ ფონეტიკურ სხვაობას გვიჩვენებენ): ღგრი მიდის, წავა, ან-ღრი მოდის, ეს-ღრი მიდის, ყ'ან-ღრი ამოდის, ყ'ეს-ღრი ადის, ჩუანღრი ჩამოდის, ჩუეს-ღრი ჩადის, სგან-ღრი შემოდის, სგეს-ღრი შედის, ქან-ღრი გამოდის, ქ'ეს-ღრი გადის; ხულუა აქვს: ა-ხლუა მოაქვს, ეს-ლუა მიაქვს, ყ'ა-ხლუა ამოაქვს, ყ'ეს-ლუა ააქვს, ჩუა-ხლუა ჩამოაქვს, ჩუეს-ლუა, ჩააქვს, სგა-

ხლტა შემოაქვს, სგეს-ღტა შეაქვს, ქა-ხლტა გამოაქვს, ქეს-ღტა გააქვს. სგურ ზის: ჟი ხასგურ აზის, სგა ხასგურ გვერდში უზის და ა.შ. (თოფურია, 1967, გვ. 53-54).

ასეთი მაგალითები, ჩანს, იმდროინდელი ვითარების ნაშთია, როცა ზმნისწინს მაპერფექტივებელი ძალა არ მოეპოვებოდა.

სრული ასპექტის გამოხატვა რომ თავიდანვე ზმნისწინებზე არ ყოფილა დამოკიდებული, ამას ადასტურებს ისეთ ზმნათა არსებობა, რომელთაც უზმნისწინობის მიუხედავად სრული ასპექტის გაგება აქვთ; მაგალითად: რაქუ თქვა, ხაქუ უთხრა, ჩუემინ ქნა, ყო, ანჰე დაჰპატიჟა, ითხე იპოვა, იგჰემინ ითხოვა, ხაგჰემინ სთხოვა, ხამნე აჭამა, ხაჯიდ დაარტყა, ხასგჰეჟ დაარტყა (ქვა, ჯოხი...), „შელიჭა“, ხატყუეფ თოფი ესროლა, ხასარჰინე აპატია, ხაბჰინე აცნობა, შეატყობინა, ხაყერ უყო, დამართა, ხოსგჰეჯ უბრძანა და სხვანი (თოფურია, 1967, გვ. 155-156).

ესენი არიან ქართული „თქვა“ ტიპის მსგავსი ზმნები, რომლებიც II სერიაში უზმნისწინოდაც სრული ასპექტის გაგებას იძლევიან. ამის მიზეზი ადვილი ასახსნელია, თუ ვივარაუდებთ, რომ ასპექტების გარჩევა ძველად, მსგავსად ქართულისა, სვანურშიც სერიებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული და II სერიის ფორმები სწორედ ნყვეტილ, დასრულებულ მოქმედებას გამოხატავდნენ.

ამჟამად სვანურში II სერიის ფორმა ყოველთვის პრევერბიანია, თუკი ზმნა საერთოდ არ გაურბის პრევერბის ხმარებას. ამრიგად, სვანურში არა გვაქვს სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება ერთი მწკრივის ფარგლებში, როგორც ქართულს ახასიათებს. როგორც ჩანს, II სერიის ფორმებმა შეინარჩუნეს სრული ასპექტის გაგება და ამიტომ, ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, პრევერბის დართვა II სერიაში აუცილებელი გახდა. მაგრამ ძველად რომ II სერიაში უპრევერბო ფორმებიც უნდა გვექონოდა, ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ზემოხსენებული „თქვა“



- ტიპის ზმნები, მეორე მხრივ კი ხალხურ ლექსებში შემონახული მაგალითები: ხონბავ უამბე (შდრ. პროზის: ოხრ-მბაჟ), ხოიანბავედ უამბეთ (შდრ. ოხრმბაჟედ), ჯიკვარე გადაგიგდო (შდრ. აჯკუჟარ) და სხვანი (იქვე, გვ. 156).

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სვანურში გარკვეული ტიპის ზმნათა უწყვეტლის ფორმაზე პრევერბის დართვით მიიღება წყვეტილი. მაგალითად: ხატკლაზბენ||ხატკლაზბენდა ენანებოდა - ათტკალბენ||ათტკალბენდა დაენანა, ხალტგნ უყვარდა - ლახლატგნ შეუყვარდა, ხასსგგნ სძულდა, - ლახსისგგნ შესძულდა, ხანხგნ სჭიროდა - ესნგხგნ დასჭიროდა, მამბჟგნ მიკვირდა - ამგმბაჟგნ გამიკვირდა და სხვ. (იქვე, გვ. 156-161).

ვ.თოფურის ამ მაგალითებთან დაკავშირებით მოჰყავს ქართული: უკვირდა - გაუკვირდა, სძულდა - შესძულდა, უყვარდა - შეუყვარდა და სხვანი, მაგრამ ქართულში ეს ფორმები სხვადასხვა წარმოშობისად მიაჩნია. ამ შეხედულებას იზიარებს გ.მაჭავარიანიც, რომლის აზრითაც წყვეტილის წარმოება უწყვეტლის ფუძეზე ზმნისწინის დართვით სპეციფიკურ, სვანურ სიახლეს წარმოადგენს, რომლის მსგავსი მოვლენა არ იცის არც ერთმა ქართველურმა ენამ (მაჭავარიანი, 1974, გვ. 124). სანინაალმდეგო თვალსაზრისზე დგას ფ.ერთელიშვილი, რომელსაც ვნებიტის დ და უწყვეტლის დ ქართულში საერთო წარმომავლობის სუფიქსად მიაჩნია და „უყვარდა - შეუყვარდა“ ტიპის ფორმებში წყვეტილს უწყვეტლისაგან მიღებულად თვლის (ერთელიშვილი, 1960, გვ. 77-91). ქართულსა და სვანურს შორის მსგავსება აქ შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასეა თუ ისე, წყვეტილის წარმოება უწყვეტლის ფუძისაგან მხოლოდ ზმნისწინის მეშვეობით სვანურში უდავო ფაქტია და მეტად საინტერესოა ასპექტის კატეგორიის ისტორიისათვის.

ასპექტის ისტორიისათვის საყურადღებოა აგრეთვე მყოფადის წრის მწკრივთა წარმოების პრინციპები და უღლების ზოგი თავისებურება. ზოგიერთი სხვაობის

მიუხედავად, ამ მხრივ სვანურში არსებითად ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ქართულში.

სვანური განასხვავებს ორი სახის მყოფადს: უსრულსა და სრულს. მათგან მყოფადუსრული უზმნისწინა და ინარმოება სუფიქსებით, რომლებიც წარმოშობით აწმყოს სუფიქსებს შეიძლება დაუკავშირდეს (მაჭავარიანი, 1974, გვ. 188). მყოფადსრული კი მიიღება აწმყოს ფუძეზე ზმნისწინების დართვით: ტიხე აბრუნებს – ა-ტიხე დააბრუნებს, დიგე აქრობს – ა-დგე გააქრობს, ჯიდე მოაქვს – ან-ჯდე მოიტანს, პირე აფრენს – ა-ჟი პირე – ა-ფრენს, პერნი „ფრინდება“ – ა-პრენი გაფრინდება, იმწარი მზადდება – ან-იმწარი მომზადდება, მოემზადდება, ხემწარი უმზადდება – ახმწარი მოუმზადდება და ა.შ.

მართალია, მყოფადსრულის წარმოებაში ზმნისწინებთან ერთად ხშირად სუფიქსებიც მონაწილეობენ, მაგრამ ეს არ არის არსებითი დაბრკოლება, რომ სვანურ მყოფადსრულში ქართული მყოფადის ანალოგია დავინახოთ.

უპრევერბო ზმნებს აწმყოსა და მყოფადში ზოგჯერ საზიარო ფორმები მოეპოვებათ: ხუიჩო ვშვრები, ვიზამ; ღერი (მი)დის, წავა; ხეცხპენი ერტყმის, მოერტყმის... ზოგჯერ კი აწმყო და მყოფადი გარჩეულია ფუძის მიხედვით: აწმყოში სხვა ფუძეა გამოყენებული, მყოფადში – სხვა. ასეთ შემთხვევაში, ქართულისა და მეგრულ-ლაზურის მსგავსად, მყოფადში იგივე ფუძეა გამოყენებული, რაც წყვეტილში, აწმყო კი სხვა ფუძეს მიმართავს. მაგალითად: ადეე ნაილო – ადი||ადინე ნაილებს, აი||ესლუა მიაქვს; რაჭუ||ლაჭუ თქვა – რაჭუნი||ლაჭუნი იტყვის, ყგლე ამბობს; ხაჭუ უთხრა – ხაჭუნი||ხაჭუნი იტყვის, ხაყლე ეუბნება; ლახშემ დაუძახა – ლახშემი დაუძახებს, ხატული უძახის; ხაჯიდ გაარტყა – ხაჯდე გაარტყამს, ხატყცი ურტყამს, სცემს და სხვ.

ყოველივე ეს მხარს უჭერს და ასაბუთებს იმ დებულებას, რომ სვანურს ასპექტის გამოხატვის მხრივ ისტორიულად იგივე გზა უნდა ჰქონდეს გავლილი, რაც სხვა

ქართველურ ენებს; ძველად სვანურში ასპექტი სერიების მიხედვით უნდა ყოფილიყო გარჩეული, ზმნისნინს მაპერ-ფექტივებელი ძალა გვიან შეუძენია.

### სერიები და მწკრივები

სვანური ზმნა, სპეციალისტთა აზრით, ტიპოლოგიურად არ განსხვავდება ქართულ-ზანურისაგან. მათი დაჯგუფება შესაძლებელია სხვადასხვა პრინციპით: პირთა მიხედვით გაირჩევა ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები, მორფოლოგიური აგებულებით – სუბიექტური ან ობიექტური წყობისა, სინტაქსურად – გარდამავალი და გარდაუვალი. გარდაუვალ ზმნათა ერთ-ერთ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად ითვლება დინამიკურობა-სტატიკურობა. იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნის ესა თუ ის ზმნა, განსხვავებულია მათი უღლებაც.

აკად. ვ.თოფურიას კლასიფიკაციით, სვანურში გამოიყოფა უღლების სამი ტიპი: „პირველ ჯგუფს შეადგენენ გარდამავალი ზმნები, რომლებიც ვნებითს აწარმოებენ ი- ან ე- თავსართით. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ფუძედრეკადი ზმნები, რომელთაც აბლაუტი ახასიათებთ: მოქმედებითისათვის-ი- (დიგე „აქრობს“) და ვნებითისათვის -ე- (დეგნი „ქრება“). მესამე ჯგუფს ქმნიან საშუალო ზმნები და აგრეთვე -ა სუფიქსიანი სტატიკური ფორმები (სგურ „ზის“, ხასგურ „აზის“, ხაჟხა „ჰქვია“ და სხვ.)“ (თოფურია, 2002, გვ. 179).

უღლების ამ ტიპების გაცნობისას ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ბალსზემოური კილოს მონაცემებით.

დრო-კილოთა ფორმები ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, სამ სერიად იყოფა. ასეთივე სურათია სვანურშიც. (არ ვეხებით IV სერიის გამოყოფის საკითხს, რომელიც ჯერჯერობით შეუსწავლელია).

I სერიაში ხუთი ძირითადი მწკრივია: ანმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული და მყოფადსრული. კავშირებითის მწკრივის გარდა ყველა ისინი კილოს მიხედვით თხრობითია.

**ანმყო** გამოხატავს ამჟამად მიმდინარე, დაუსრულებელ მოქმედებას. ანმყოს ფუძე ბოლოვდება -ე, -ი, -ა ან Ø სუფიქსით. უსუფიქსო (ნულსუფიქსიანი) ზმნებიც წარმოშობით -ი ან -ე სუფიქსიანია, რასაც მონმობს უმლაუტი ზმნის ბოლო მარცვალში: იღრაღლ←იღრაღე „მღერის“, ხოჟუღელ←ხოჟოღ-ი (ღმშხ.) და სხვა (თოფურია, 2002, გვ. 181).

იგივე -ი ან -ე სუფიქსი ლი- პრეფიქსთან ერთად აწარმოებს სანყისსაც: ლი-მწრ-ე („მომზადება“), ლი-წნი („ხენა“), ლი-გემ („აშენება“, „აგება“) და ა.შ.

როცა სანყისი ცნობილია, მისგან ანმყოს მოქმედებითი გვარის ფორმათა წარმოქმნა ადვილია: სანყისს ჩამოშორდება ლი- პრეფიქსი და სამაგიეროდ დაერთვის პირისა და ქცევის ან გვარის ნიშნები.

**ე სუფიქსიანი ზმნის უღლება**  
**მოქმედებითი გვარი**  
**საარვისო ქცევა**

1 ხჷ-ა-მწრ-ე (ვამზადებ)	Si ლ-ა-მწრ-ე-დ
2 ხ-ა-მწრ-ე	Se ხჷ-ა-მწრ-ე-დ
3 ა-მწრ-ე	ა-მწრ-ე-ხ

**სათავისო ქცევა**

1 ხჷ-ი-მწრ-ე (ვიმზადებ)	Si ლ-ი-მწრ-ე-დ
2 ხ-ი- მწრ-ე	Se ხჷ-ი-მწრ-ე-დ
3 ი-მწრ-ე	ი-მწრ-ე-ხ

### სასხვისო ქცევა

- |                           |                |
|---------------------------|----------------|
| 1 ხ-ო-მწრ-ე<br>(ვემზადებ) | Si ლ-ო-მწრ-ე-დ |
| 2 ხ-ო-მწრ-ე               | Se ხ-ო-მწრ-ე-დ |
| 3 ხ-ო-მწრ-ე               | ხ-ო-მწრ-ე-ბ    |

### ვნებიითი გვარი

#### ე პრეფიქსიანი (ორპირიანი)

- |                             |                 |
|-----------------------------|-----------------|
| 1 ხჷ-ე-მწრ-ი<br>(ვემზადები) | Si ლ-ე-მწრ-ი-დ  |
| 2 ხ-ე-მწრ-ი                 | Se ხჷ-ე-მწრ-ი-დ |
| 3 ხ-ე-მწრ-ი                 | ხ-ე-მწრ-ი-ბ     |

#### ი პრეფიქსიანი (ერთპირიანი)

- |                             |                 |
|-----------------------------|-----------------|
| 1 ხჷ-ი-მწრ-ი<br>(ემზადდები) | Si ლ-ი-მწრ-ი-დ  |
| 2 ხ-ი-მწრ-ი                 | Se ხჷ-ი-მწრ-ი-დ |
| 3 ი-მწრ-ი                   | ი-მწრ-ი-ბ       |

### საშუალი გვარი

- |                              |                  |
|------------------------------|------------------|
| 1 ხჷ-ე-მწრ-წლ<br>(ვემზადები) | Si ლ-ე-მწრ-წლ-დ  |
| 2 ხ-ე-მწრ-წლ                 | Se ხჷ-ე-მწრ-წლ-დ |
| 3 ხ-ე-მწრ-წლ                 | ხ-ე-მწრ-წლ-ბ     |

### ი სუფიქსიანი ზმნის უღლება

#### ი სუფიქსიანი ზმნის უღლება

### საარვისო ქცევა

- |                        |                |
|------------------------|----------------|
| 1 ხჷ-ა-წნ-ი<br>(ვხნავ) | Si ლ-ა-წნ-ი-დ  |
| 2 ხ-ა-წნ-ი             | Se ხჷ-ა-წნ-ი-დ |
| 3 ა-წნ-ი               | ხ-ა-წნ-ი-ბ     |

### სათავისო ქცევა

- |                        |               |
|------------------------|---------------|
| 1 ხჷი-წნ-ი<br>(ვიხნავ) | Si ლ-ი-წნ-ი-დ |
| 2 ხ-ი-წნ-ი             | Se ხჷი-წნ-ი-დ |
| 3 ი-წნ-ი               | ხ-ი-წნ-ი-ბ    |

## სასხვისო ქცევა

1 ხ-ო-ვნ-ი (ვუხნავ)	Si ლ-ო-ვნ-ი-დ
2 ხ-ო-ვნ-ი	Se ხ-ო-ვნ-ი-დ
3 ხ-ო-ვნ-ი	ხ-ო-ვნ-ი-ხ

ქვემოთ ჩვენ სხვადასხვა ქცევისა და გვარის ფორმებს ცალ-ცალკე აღარ განვიხილავთ, დავკმაყოფილდებით მხოლოდ თითო პარადიგმის წარმოდგენით.

**უნყვეტელი** დროის მიხედვით წარსულია, ასპექტის მიხედვით – უსრული, კილო – თხრობითი. იწარმოება ანმყოს ფუძისაგან ნაირფეროვანი სუფიქსებით, რომელთა დართვასაც თან ახლავს რთული ფონეტიკური პროცესები. შედარებით მარტივია უნყვეტლის წარმოება -ე სუფიქსიან ზმნებში, სადაც -ე-ს ენაცვლება -ა სუფიქსი.

## საარვისო ქცევა

1 ხჷ-ა-მწრ-ა-ს (ვამზადებდი)	Si ლ-ა-მწრ-ა-დ
2 ხ-ა-მწრ-ა-ს	Se ხჷ-ა-მწრ-ა-დ
3 ა-მწრ-ა	ხ-ა-მწრ-ა-დ
	ა-მწრ-ა-ხ

ანმყოში ი სუფიქსიანი ზმნები უნყვეტელს აწარმოებენ -და სუფიქსით, რასაც თან ახლავს -ი-ს მოკვეცა და სამაგიეროდ მის წინ რედუცირებული ფუძისეული ხმოვნის აღდგენა და გაუმლაუტება. სახელდობრ, აწნი („ხნავს“) ზმნის უღლების პარადიგმა უნყვეტელში ბალსზემოური კილოს მიხედვით ასე გამოიყურება:

1 ხჷ-ა-წან-და-ს (ვხნავდი)	Si ლ-ა-წან-და-დ
2 ხ-ა-წან-და-ს	Se ხჷ-ა-წან-და-დ
3 ა-წან-და	ხ-ა-წან-და-დ
	ა-წან-და-ხ

**კავშირებითი** დროის მიხედვით ახლანდელია ან მომავალი, კილო – კავშირებითი. იწარმოება უნყვეტლის ფუძ-

იდან დე სუფიქსით, რომელიც უწყვეტლისა და კავშირე-  
ითის მწკრივთა სუფიქსების შერწყმის გზით უნდა იყოს  
მიღებული. უღლება ასეთ სახეს ატარებს:

- |                               |                   |
|-------------------------------|-------------------|
| 1 ხჷ-ა-მწრ-წდ<br>(ვამზადებდი) | Si ლ-ა-მწრ-წდ-დ   |
| 2 ხ-ა-მწრ-წდ                  | Se ხჷ-ა-მწრ-წდ-დ  |
| 3 ა-მწრ-წდ-ს                  | ხ-ა-მწრ-წდ-დ      |
|                               | ა-მწრ-წდ-ხ        |
| 1 ხჷ-ა-წწწ-დწდ<br>(ვხწავდე)   | Si ლ-ა-წწწ-დწდ-დ  |
| 2 ხ-ა-წწწ-დწდ                 | Se ხჷ-ა-წწწ-დწდ-დ |
| 3 ა-წწწ-დწდ-ს                 | ხ-ა-წწწ-დწდ-დ     |
|                               | ა-წწწ-დწდ-ხ       |

**მყოფადუსრული** სვანურში გამოხატავს მომავალში  
შესასრულებელ მოქმედებას, რომელსაც ბოლო არ უჩანს,  
მყოფადში გრძელდება. ქართულად სვანურ მყოფადუს-  
რულს I კავშირებითისა და მეშველი ზმნის (იქნება) საშუ-  
ალებით თარგმნიან. რუსულში მას ზუსტად შეესატყვისება  
უსრული მყოფადი (будущее несовершенное).

მყოფადუსრული იწარმოება ანწყოს ფუძისაგან, რომელსაც  
ბოლოსართები (-ე, -ი) მოკვეცილი აქვს და სამაგიეროდ ერთ-  
ვის სუფიქსები: უწ-ი (→უწწ-ი, წ-ი), და იწ-ი (→იწწ-ი), ლამზურ  
ღიალექტში – გწ-ი (თოფურია, 1967, გვ. 112-114). ნიშნად  
ვაუღლოთ ისევ ლიწნი ზმნა საარვისო ქცევის ფორმით.

- |                                                   |                    |
|---------------------------------------------------|--------------------|
| 1 ხჷ-ა-წწწ-უწ-ი<br>(ვხწავ მომავალში, буду рахаты) | Si ლ-აწწწ-უწ-ი-დ   |
| 2 ხ-ა-წწწ-უწ-ი                                    | Se ხჷ-ა-წწწ-უწ-ი-დ |
| 3 ა-წწწ-უწ-ი                                      | ხ-ა-წწწ-უწ-ი-დ     |
|                                                   | ა-წწწ-უწ-ი-ხ       |

თუ ზმნა ანწყოში უსუფიქსოა, მყოფადუსრული მას  
ეწარმოება იმავე უწ-ი სუფიქსით, რომლის დართვა ფუძი-  
სეული ხმოვნის რედუქციას გამოიწვევს:

- |                 |              |          |
|-----------------|--------------|----------|
| ანწყო           | მყოფადუსრული |          |
| იკედ იღებს      | იკდ-უწ-ი     |          |
| ილდეღ მწყემსავს | ილდღ-უწ-ი    |          |
| იქუემ იცვამს    | იქუმ-უწ-ი    | და სხვა. |

**მყოფადსრული**, როგორც ვ.თოფურია აღნიშნავს, სვანურში წარმოქმნილია სამი სხვადასხვა გზით: 1. პრევერბი + ანმყოს ფუძე; 2. ანმყოს ფუძე + მყოფადსრულის მანარმოებელი სუფიქსი და 3. პრევერბი + ანმყოს ფუძე + სუფიქსი (თოფურია, 1967, გვ. 116). ეს სამივე სახე გვხვდება არამართო სხვადასხვა დიალექტში ან სხვადასხვა ტიპის ზმნებში, არამედ ზოგჯერ ერთი პირის მეტყველებაშიც კი. გრამატიკული შინაარსის მიხედვით მყოფადსრული მომავალი დროის და სრული ასპექტის გამომხატველი მწკრივია, კილო თხრობითია.

უღლების ნიმუშები:

- |              |                 |
|--------------|-----------------|
| 1 ო-ხჷ-მწრ-ი | Si ალ-მწრ-ი-დ   |
| (მოვამზადებ) | Se ო-ხჷ-მწრ-ი-დ |
| 2 ა-ხ-მწრ-ი  | ა-ხ-მწრ-ი-დ     |
| 3 ან-მწრ-ი   | ან-მწრ-ი-ხ      |

ვნებითი გვარი

- |               |                 |
|---------------|-----------------|
| 1 ა-ხჷ-მწრჷნ  | Si ა-ლ-მწრ-ჷნ-დ |
| (მოვემზადო)   | Se ა-ხჷმწრ-ჷნ-დ |
| 2 ა-ხ-მწრ-ჷნ  | ა-ხ-მწრ-ჷნ-დ    |
| 3 ან-მწრ-ჷნ-ს | ან-მწრ-ჷნ-ხ     |

III სერიაში შედის იგივე სამი მწკრივი, რომლებიც კარგად ცნობილია ქართული ენიდან: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი. ვ.თოფურიას მათ აღსანიშნავად გამოყენებული აქვს ტერმინები: შედეგობითი (რეზულტატიური) I და II და კონიუნქტივი III.

ისევე როგორც ქართულში, სვანურშიც III სერიის ზმნათა ფორმებისათვის დამახასიათებელია ინვერსია, პირის კლება, დატივური კონსტრუქცია. მსგავსად ქართულისა, სვანურშიც I თურმეობითში ზმნისთვის დამახასიათებელია სამი ელემენტი: დრო – წარსული, კილო – თხრობითი და აქტი – უნახავი. მეორე თურმეობითი განსხვავდება მისგან ერთი ელემენტით – თანამდევრობით. ის აღნიშნავს უნახავ მოქმედებას, რომელიც სხვა მოქმედებას წინ უს-



წრებდა. III კავშირებითის ელემენტებია: დრო – ნარსული და კილო – კავშირებითი.

**ულლების ნიმუშები  
მოქმედებითი გვარი**

**I თურმეობითი**

- |                             |                               |
|-----------------------------|-------------------------------|
| 1 მ-ი-მწრ-ა<br>(მიმზადებია) | Si გუ-ი-მწრ-ა<br>Se ნ-ი-მწრ-ა |
| 2 ჯ-ი-მწრ-ა                 | ჯ-ი-მწრ-ა-ბ                   |
| 3 ხ-ო-მწრ-ა                 | ხ-ო-მწრ-ა-ბ                   |

**II თურმეობითი**

- |                               |                                 |
|-------------------------------|---------------------------------|
| 1 მ-ი-მწრ-წნ<br>(მემზადებინა) | Si გუ-ი-მწრ-წნ<br>Se ნ-ი-მწრ-წნ |
| 2 ჯ-ი-მწრ-წნ                  | ჯ-ი-მწრ-წნ-ბ                    |
| 3 ხ-ო-მწრ-წნ                  | ხ-ო-მწრ-წნ-ბ                    |

**III კავშირებითი**

- |                                   |                                    |
|-----------------------------------|------------------------------------|
| 1 მ-ი-მწრ-წნ-ს<br>(მემზადებინო ა) | Si გუ-ი-მწ-წნ-ს<br>Se ნ-ი-მწრ-წნ-ს |
| 2 ჯ-ი-მწრ-წნ-ს                    | ჯ-ი-მწრ-წნ-ს                       |
| 3 ხ-ო-მწრ-წნ-ს                    | ხ-ო-მწრ-წნ-ს                       |

ზმნისწინის დართვით მიიღება სრულასპექტიანი ფორმები (მსგავს და ქართულისა), ოლონდ გასათვალისწინებელია ზმნი სწინის დართვასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები: ქცევის ნიშნის დაკარგვა, ზმნისწინის ხმოვნის კაუმლაუტება, ასიმილაცია. ამის შედეგად სრულასპექტიანი I თურმეობითი ბალსზემოურში ასეთ სახეს იღებს:

- |                               |                               |
|-------------------------------|-------------------------------|
| 1 ა-მ-მწრ-ა<br>(მომიმზადებია) | Si ა-გუ-მწრ-ა<br>Se ა-ნ-მწრ-ა |
| 2 ა-ჯ-მწრ-ა                   | ა-ჯ-მწრ-ა-ბ                   |
| 3 ო-ხ-მწრ-ა                   | ო-ხ-მწრ-ა-ბ                   |

იგივე ცვლილებები მოუვა ზმნისწინისა და ქცევის ნიშნებს სხვა მწკრივებშიც.

## ნასახელარი ზმნები

სვანურში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება მეორადი ზმნები, წარმოქმნილი სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისაგან, უმეტესად – სახელებისაგან, რის გამოც მათ „ნასახელარ ზმნებს“ უწოდებენ.

სახელს გაზმნავებისას თავში დაერთვის პირისა და ქცევის ნიშნები, ზოგ მწკრივში აგრეთვე ზმნისწინი, ბოლოში კი ემატება სხვადასხვა ზმნური სუფიქსი, რომლებიც პირველადი ზმნებისთვისაც ჩვეულებრივია. სპეციალური ფორმანტი ნასახელარი ზმნების საწარმოებლად, როგორცაა ქართულში დონი (ძველ ქართულში ასევე წარი), სვანურს არ მოეპოვება.

ზმნურ სუფიქსებად აწმყოში, როგორც ცნობილია, ყველაზე ხშირად გვაქვს -ი და -ე. იგივე სუფიქსები გვხვდება ნასახელარ ზმნებშიც. პირველადი ზმნების მსგავსად, ზოგჯერ ნასახელარი ზმნაც უსუფქსოა და მხოლოდ პრეფიქსებით განირჩევა სახელისაგან.

ზმნის საწყისი სვანურში იწარმოება აწმყოს ფუძისაგან პირისა და ქცევის ნიშანთა ჩამოცილებით და მათ ნაცვლად ლი- პრეფიქსის დართვით. სუფიქსის მხრივ აქ ისეთივე სურათია, როგორც აწმყოში. ამიტომ ზმნის შესახებ მსჯელობა სვანურში საწყისის მიხედვით ადვილია და ჩვენც მათ საწყისის ფორმით წარმოვადგენთ.

პრეფიქს-სუფიქსების დართვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენა, როგორცაა რედუქცია, უმლაუტი, ბგერათა გადასმა და სხვ.

ყველაზე ხშირად ნასახელარი ზმნები წარმოქმნილია არსებითი სახელებისაგან. საწყისში ლი- პრეფიქსთან ერთად, როგორც ვთქვით, მეტწილად გვაქვს -ი ან -ე სუფიქსი, ანდა ზმნა სულაც უსუფიქსოდ არის წარმოდგენილი. მაგალითად, ი სუფიქსიანებია:

**ლიბჩი** ქვის ზიდვა (ბაჩ ქვა), **ლიგუჭი** გოჭების ყოლა,

დაგოჭიანება (გუეჭ გოჭი), ლიდჯლი თხის მოშენება, თხის მწყემსვა (დაჯღლ თხა), ლიზგარი ულელტეხილზე გადასვლა (ზაგარ ულელტეხილი), ლიზგლგლგი ზარის რეკვა (ზგგლგ ზარი, ქართ. ზანზალაკი), ლითხუმი თაოსნობა, მეთაურობა (თხუმი თავი), ლიკადი (ბზ), ლიკჰადი (ბქ) ნაჯახით მუშაობა, ხუროობა (კნდა ნაჯახი), ლიკლი დაკეტვა (კგლ კლიტი), ლილწბი ტვირთის აკიდება, დატვირთვა (ლწბ ტვირთი), ლილდარი ტარის დაგება (ლადარ ტარი), ლილჩაქი ლეჩაქის (მანდილის) დახურვა (ლჩაქ ლეჩაქი, მანდილი), ლილცი წყლის მოტანა (ზიდვა, მომარაგება... ლიც წყალი), ლიმგემი ხეტყის დამზადება, (მეგამ ხე), ლიმგდრწი გამათრახება (მადრწ მათრახი), ლინარჰი განათება (ნარჰი შუქი, სინათლე), ლიჰრწყი (ბზ), ლიორწყი (ბქ) არყის ხდა (ჰარწყ არაყი), ლიხსნაჰი (ლშხ) დასიზმრება (ისნაჰ სიზმარი), ლიჟნალი ბატკნების მოვლა-მოშენება (ჟინალ ბატკანი), ლიჟლჟი დაუღღვა (უღჟა უღელი), ლიტტი ხელის ტაცება (ლშხ), ხელის გარტყმა (ტჟეტ ხელი), ლიქთალი დადეღღება, დამორჩილება, დაჯაბნება (ქათალ ქათამი), ლილჟნი დახბოიანება, ხბოს მოგება (ლუნ ხბო), ლიშდქი კბილების ჩასმა (შდიქ კბილი), ლიჩაჟი ცხენოსნობა, ჩაჟ ცხენი), ლიხჟნი საძირკველის ჩაყრა (ხუნ საძირკველი), ლიჟნი ხენა (ჯან ხარი), ლიჯმი დამარილება (ჯიმ მარილი) და სხვანი.

არსებითი სახელებისაგან ნანარმოებ ე სუფიქსიან ზმნათა ნიმუშებია:

ლიგურეჭე ქვის სროლა; ქვის ცვენა (გურეჭ წვრილი ქვა), ლიდაბე ყამირის გატეხა, მოყანება (დაბ ყანა), ლიზქე შეშად (ხედ) ქცევა, გაშეშება (ზექ შეშა), ლილჟთე დაღამება; ლამის თევა (ლჟთ ლამე), ლილუნთე დაზამთრება; გამოზამთრება (ლუნთ ზამთარი), ლიმა-რყუჟე მარყუჟის გაკთება (მარყუჟე მარყუჟი), ლიმოჭე მოკრუხება (მოჭ კრუხი), ლიმგნკე ჩვევად ქცევა, ზნედ გამოყოლა (მანკ ზნე), ლიჟხე დარქმევა (ჟახე სახელი),

ლირგნვე რანგის დამზადება (რანგ რანგი, თაფლიანი სასმელი), ლინსაჟე დასიზმრება (ისნაჟე სიზმარი), ლიტ-გტე დანაცრება (ტგტ ნაცარი), ლიფსჟედე დაპატრონება (ფუსდ ბატონი, პატრონი), ლიყარე ყავრის გამოხდა (ყარ ყავარი), ლიყუნბე დაგუნდავება (თოვლისა, ცომისა...) (ყუნბე გუნდა), ლიძლჟედე ზღუდის მოვლება, შემოზღუდ-ვა (ძლჟიდ ზღუდე), ლიჭმხე კალაპოტში ჩასმა (ჭმხ ფეხი) და სხვა.

საკმაოდ ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელებისაგან ანალოგიურადვე ნაწარმოები ზმნებიც:

ლიდჟმეყი გაბერნება (დომეყ ბერნი), ლილჯმამში გა-ლონიერება, ძალის მომატება (ლჯმამშ ლონიერი), ლიმ-შარი გაფართოება (მაშრი ფართო), ლითჟე გაცხელება ( ათჟი ცხელი), ლიკჭრლე (ლშხ) დაპატარავება (კეჭრლ პატარა), ლიმშხე გაშავება (მეშხე შავი), ლიმჩე დაბ-ერება (მეჩი მოხუცი), ლიმხე განახლება, გაახალგაზ-რდავება (მახე ახალი), ლინგჟმე დამძიმება; ნყენინება (ღვთისა) (გჟამი მძიმე), ლინკუშდე (ზს), ლინკჟემდე (ლშხ), ლინკჟემტე (ლნტ) შემოკლება (მეკჟემდე, ლნტ. მეკჟემტე მოკლე), ლინსგლე გასქელება (სგელ სქელი), ლინსკრდე ჩაღრმავება (ფსკერისა, ორმოსი) (სკრდი ღრმა) და სხვ.

ზოგჯერ ზმნური ფორმები ანალოგიურადვე იწარმოება სხვა მეტყველების ნაწილებისაგანაც, როგორცაა რიცხ-ვითი სახელი, მიმღეობა, ზმნისართი; მაგალითად:

სემი სამი - ლისმე (ბქ) გასამება; ეშხუ ერთი - ლიშხ-ჟე გაყრილი ოჯახების შეერთება; ჩუბე ქვემო - ლიჩუბე (ბქ), ლიჩუბე (ლშხ) ჩავერა, დამცირება, დაქვეითება; ჟიბე ზემო - ლიჟიბე წარჩინება, ამაღლება; სკა შიგ - ლისკარე (ბქ) შეზიარება (ჭამაში); მგდე „ისა...“ (მდრ. მეგრ. მუდა „რა და“) - ლიმგდენი „გაიმასქნება“.

ზმნათა ერთი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ანმყოში და ასევე სანყისშიც სრულიად უსუფიქსოდ არის წარმოდ-

გენილი, ასე რომ, სახელის ფუძისაგან პირიანი ფორმა განსხვავდება პირისა და ქცევის ნიშნებით, საწყისი კი - ლი პრეფიქსით; მაგალითად:

ბაპ მღვდელი - ლიბაპ მღვდლობა; დაჭ დევი - ლიდაჭ დევიობა, უჭკუობა; დაჩჷირ და (ძმისთვის) - ლიდჩჷრ დობა; ჯგმილ ძმა (დისთვის) - ლიჯგმილ ძმობა; უდილ და (დისთვის) - ლიუდილ დობა; ყაგ წამალი - ლიყაგ ტკივილის გადავლა, მორჩენა (უნამლოდ); ყახე სახელი - ლიყახ რქმევა; ყაჰ ზეავი - ლიყაჰ ჩამოზეავება; ფექ ფქვილი - ლიფექ ფქვილის ამოღება კიდობნიდან; ლუაჭარ ვაჭარი - ლილუაჭარ ვაჭრობა; წელ ვირი - ლინელ ვირობა; ხამ ღორი - ლიხამ ღორობა; ღოშე უკან - ლიღოშე ზურგს უკან კიცხვა, აუგად ხსენება; წასგ ქალარა - ლიწასგ (ბქ) გაჭალარაგება და სხვ.

ხშირად სუფიქსების მხრივ განსხვავება გვაქვს დიალექტებში: ერთი დიალექტის ი სუფიქსიან ფორმას მეორე დიალექტში (ან ზოგჯერ იმავე დიალექტშიც) ე სუფიქსიანი ან უსუფიქსო ფორმა ენაცვლება; მაგალითად:

კელთხი მაღალი - ლიკლათხი (ზს), ლიკელთხე (ლშხ) ამაღლება.

მეჰი მნიფე (ლშხ. მჰი) - ლიმჰე (ზს), ლიმჰე (ლშხ), ლიმჰი (უშგ.) დამნიფება.

ნეცინ წვრილი - ლინცინე (ბზ. ლშხ), ლინეცნე (ლნტ), ლინცინი (ბქ) დანწვრილება.

ზმნათა ერთ ჯგუფს ანმყოში და აქედან საწყისშიც -ჷ სუფიქსი მოეპოვება. ამგვარ ზმნათა რიცხვი შედარებით მცირეა, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ:

ლიხეხუჭაშუ ცოლქმრობა (ხეხუ-ჭაშ ცოლ-ქმარი); ლილუაჭარუ ვაჭრობა (ლუაჭარ ვაჭარი), ლიუაჭარუ ობლობა (უოაჭარ ღარიბი, ოხერტიალი, ობოლი); ლიმაჩუ, ლიმეჩუ სიბერე, მოხუცობა (მეჩი მოხუცი, ბებერი); ლიღრიბუ სიღარიბე (ღარიბ ღარიბი), ლიდიუ-ლიგზალუ (ბზ) დედაშვილობა (დი-გეზალ დედა-შვილი); (შდრ. ბქ. ლიდი-ლიგ-

**ზელ, ლშხ. ლიდილიგზელ); ლიჭდილჭ დობა (უდილ და); ლილხამჭ (ზს) ღორობა (ხამ - ღორი).**

იმ სიტყვათა ერთი ნაწილი, საიდანაც ნასახელარი ზმნებია ნაწარმოები, ქართულიდან ან ზანურიდან (ანდა მათი მეშვეობით) არის შესული სვანურში. ხშირად ეს სიტყვა სვანურში ცალკე არ გვხვდება (მას სვანური შესატყვისი აქვს), მაგრამ მისგან ნაწარმოები ზმნა კი ჩვეულებრივ იხმარება. მაგალითად:

**ლიგზბდილე** განვრთნა, განაფვა (შდრ. ქართ. გაზრდილი); **ლიზარჭლე** (ლშხ) მზარეულობა, კერძის განაწილება; **ლიზდამპრე** (ლშხ) გამოაშკარავება, გამჟღავნება, აღიარება (შდრ. ქართ. ზედაპირი); **ლისფაჭრე** (ბზ), **ლიზფაჭრე** (უშგ.) პურის ცომის დამჟავება, აფუება (შდრ. ქართ. საფუარი); **ლიზხალი** (ბქ) საქონლის გარეკვა შედახილით (შდრ. ძვ. ქართ. ზახილი), ლითბუნე ||**ლითაბუნე**||**ლითაბუნალ** (ლშხ) შეამხანაგება (შდრ. თაბუნი); **ლითაჭდებე** (ბზ), **ლითაჭდები** ||**ლითაჭდებე** (ლშხ), **ლითაჭდები** (ლნტ) თავმდებობა; **ლითაჭისუფლე** განთავისუფლება; **ლითთაჭეჭი** თოხლოდ შეწვა კვერცხისა (შდრ. ქართ. თოთო); **ლიკნე** (ბზ) **ლიკენე** (ლშხ) კონვა (შდრ. ქართ. კონა); **ლინგარალ** (ბქ) მოთქმა, ვიშვიში (შდრ. მეგრ. ნგარა); **ლინგარე** (ბქ) გაუბედურება, გამწარება; **ლისგნდროჭ** (ლშხ) სამდურავის თქმა; **ლისგნდროჭალ** (ლშხ) დამდურება (შდრ. ქართ. სამდურავი); **ლიტყარე**||**ლიტყარი** (ბქ), **ლიტყეჭრე** (ლშხ.) გაველურება, გატყიურება (შდრ. ქართ. ტყე, მეგრ. ტყა); **ლიფელკეჭრე** (ლშხ.) ტახის აქნა, „დაფელიკება“ (შდრ. ფელიკი); **ლიფერფულალ** (ლშხ.) ფერის შეცვლა შიშისა ან სირცხვილისაგან (შდრ. ფერ-ფური); **ლიფუზე** ოჯახის გაღონიერება, გამდიდრება (შდრ. ფუძე||**ფუზე**); **ლიქჭრითე** გასუქება, ჩათქვირება, ჩაქვირითება. **ლიყუჯუნე** (ლშხ) ნაქურდალის გადამალვა, „მიყურისძირება“ (შდრ. მეგრ. ყუჯი); **ლიწინგეჭი** (ბზ), **ლიწინგეჭე** (ლშხ),

ლიწინკუჩი (ბქ) ვასვრა, გაბინძურება; ბავშვის კუჭში ვასვლა (ბზ) (მდრ. ძვ. ქართ. მნიკული) და სხვანი.

ქართულიდან ნასესხებ ასეთ სიტყვებს ხშირად ერთვის -აჟ სუფიქსი (მაშინაც, როცა ქართულში სათანადო ფუძეს -ავ სუფიქსი არ ერთვის, ან იგი ზმნურ ფუძეს საერთოდ არ წარმოადგენს); მაგალითად:

ლიბაგაჟი (ბქ. ლშხ) ბოსელში ხის იატაკის (ბაგის) დაგე-  
ბა; ლიბელლაჟი (ლშხ) გამოხდილი ყავრის დანყობა, „დაბ-  
ელვლა“; ლიდალაჟი (ლშხ) მდრ. ბქ. ლიდლი ბზ. ლიდლწნი  
დადაღვა; ლიკუჟერაჟი (ლშხ) ცელის გამოპირვა პატარა  
ჩაქურით (კვერით); ლიპირწყლაჟი (ლშხ.) შენამუსება,  
გალანძღვა; ლისუსდაჟი (ბქ) დასუსტება.

ნასახელარ ზმნებში, ისევე როგორც პირველადს ზმ-  
ნებში, თავს იჩენს ხოლმე კაუზატივის -უნ სუფიქსი და  
მრავალგზისობის ალ||წლ (ამ სუფიქსთა პირველადი ფუნ-  
ქცია ნასახელარ ზმნებში ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს).

მაგალითად, ალ||წლ სუფიქსიანებია:

ლიბგლქოჟწლ (ბზ), ლიბალქოჟწლ (ლშხ), ლიბალქოჟწლ  
(ლნტ) კარტის (ბანქოს) თამაში; ლიბჟრწლ (ბზ), ლიბჟრწლ  
(ბქ) (ლიბჟრე||ლიბრჟე) დაბინდება, შელამება, დაბნელე-  
ბა; ლიგურგუნწლ (||ლიგურგუნე ბზ), ლიგურგუწინწლ  
(||ლიგურგუწინე ბქ), ლიგჟირგუწინწლ (ლშხ) ლიგჟირგუწინე  
(ლნტ) ცოლ-მრის შეუღლება, ჯვარის წერა, გვირგვინის  
დადგმა; ლიდარწლ ჭამა, პურობა; ლიდრაჯწლ დადარა-  
ჯება (მდრ. ლიდრაჯი); ლიჟდეჟრწლ (ბზ), ლიჟდეჟრწლ  
(უშგ), ლიჟდეჟრწლ (ლშხ), ლიჟდეჟრწლ (ლნტ) უდიერ-  
ობა, ნებივრობა, დიდგულობა, ყოყორობა; ლიჟზირწლ  
(ბზ), ლიჟზირწლ (ბქ), ლიჟზირწლ (ლშხ) ბჭობა, თათბირი  
(„ვეზირობა“) (მდრ. ლიჟზირე); ლიჟოხშმწლ ვახშობა;  
ლიჟღჟინწლი დაუღღვა, ხარების მუშაობა უღელში (მდრ.  
ლიჟღჟი, ლიჟღჟინე); ლიჟწარწლ (ბზ), ლიჟწარელ (ბქ)  
ობლობა (მდრ. ლიჟწარ); ლითაბჟუნწლ (ლშხ) შეამხანაგება  
(მდრ. ლითაბჟნე||ლითბჟნე); ლითჟჟრწლი დათვალიერე-

ბა (შდრ. ლითეურე); ლითოფაღ (ბქ) თოფის სროლა (შდრ. ლითოფ); ლითხუმაღ მიკერძობა თავის თავისადმი, თავკერძობა; ლიკენწლი თავთავის შეგროვება ნამკალში და შეკონვა (შდრ. ლშხ. ლიკენე, ბზ. ლიკენე); ლიკუმაღალი პირუტყვის გარეკვა საბალახოზე; ლიკვლმახალ თევზაობა (შდრ. ლიკვლმახი); ლიკვრზალ დამეგობრება, დამოყვრება (შდრ. ლიკვრძე||ლიკვრზე; კერძ-ისაგან); ლილგუერწლი (ლშხ) ფქვა (შდრ. ლილგუერი; ლეგუერი (ლშხ) ნისქვილი); ლილდეუალ სულელობა (შდრ. ლილდეუე||ლილდეუი); ლილწთალ შეღამება (ღამდება) (შდრ. ლილწთე დაღამება; ლამის თევა) და სხვ

ახლა ვნახოთ ის ფორმები, სადაც წარმოშობით კაუზატივის სუფიქსები უნდა იყოს წარმოდგენილი:

ლიდმარუნე დაპურება (ვისიმე), საქონლის გაყვანა საბალახოზე (შდრ. ლიდმარნე ჭმევა, დაპურება, საქმლის მიცემა; ლიდმარუნე ჭამა, პურობა); ლიუფუნე (ბზ), ლიუეფუნე (ბქ) გაოფლიანება; განსაცდელში ჩაგდება; აბაზანის მიღება (ან მიღებინება); და ა.შ.

კაუზატივის ნიშნად სვანურში ცნობილია აგრეთვე ინ სუფიქსი. ეს სუფიქსიც გვხვდება ნასახელარ ზმნათა მანარმოებლად; მაგალითად:

ლიუღუინე (||ლიუღუი||ლიუღუინწლი||ლიუღუნალი) დაუღლვა; ხარების მუშაობა უღელში; ლიკუღინე (ბქ) ლიკუღინე (ბზ) შალის მოთელვა; ლინგუემინე სიმძიმის მოსინჯვა (ხელში); დამძიმება; ლინგუერინე შერცხვენა, სირცხვილ-ნამუსში ჩაგდება; ლიუახუინე შესახელება, სახელდება, ღვთის სახელზე გაშვება (მოზვრის, ვაცის...); ლიტფინე კანის გადაკვრა (ხაჭაპურის, კუპატის...); ლიფერთხლინე გაფრთხილება; ლიხუჩინე (ლშხ.||ლიხუჩი, ბქ. ლიხუჩი) უმჯობესად მიჩნევა, მჯობინება; ლიჯუდინე (ლიჯუედინე, ლიჯოდუენე) გაგრძელება, გაჭიანურება.

სახელთა გასაზმნავებლად სვანურში გამოყენებულია აგრეთვე ფორმანტები ან, ენ, გნ, ურ, ირ, არ, ერ, გრ, ილ.



ამ ფორმანტთა პირველადი ფუნქცია სახელთა გაზმნავება არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ამ ფორმანტებს ჩვენ ვხვდებით არამარტო ნასახელარ ზმნებში, არამედ ძირეულ ზმნებშიც. ჩვენი აზრით, ყველა ისინი წარმოშობით თემის ნიშნებს უნდა წარმოადგენდნენ. ყურადღებას იქცევს ამ ფორმანტთა აგებულება, – წარწარა თანხმოვანი სხვადასხვა ხმოვანთან ერთად:

უნ, ინ, ან, ენ, გნ

ურ, ირ, არ, ერ, გრ

ილ, ალ, ელ.

მაგრამ რა წარმოშობისაც გნებავთ იყვნენ ეს ფორმანტები და როგორი აგებულებაც გნებავთ ჰქონდეთ მათ, ფაქტი ისაა, რომ აღნიშნული სუფიქსები ერთვის სახელთა ფუძეს გაზმნავების დროს. გავეცნოთ სათანადო მაგალითებს.

ან: ლიდრჟანი (ლშხ), ლიდრჟანი (ბქ) უარყოფა; ლიჟეფანი (ბქ), ლიჟეფანე (ლშხ) გაოფლიანება; ლიზისხანი||ლიზსხანი (ბქ), ლიზსხანე (ბზ, ლშხ), ლიზსხანი (ბზ), ლიზსხანი (ლშხ), ლიზსხანი (ლნტ) დასისხლიანება; ლითხჟმანი (ბზ) თავის დანებება; ლიკინჩხანი (ბქ), ლიკინჩხე (ბზ), ლიკინჩხე (ლშხ) კისრება (თავდებად დადგომა); ლიმტანი მატლების დასევა, დამატლიანება; ლიყახანი სახელის მოხვეჭა; ლიმცხანე||ლიმცხანი აცივება, გაცივება; ლივსგანე (ბზ, ლშხ), ლივსგ (ბქ) გაჭალარავება; ლიყუბანანლ (ბხ), ლიყუბელ (ბქ), ლიყუბუნანლ (ლშხ) გუნდაობა.

ენ: ლიბჟენი გაკიცხვა, დატუქსვა, გაჯორვა, მაგრად შეკურთხება; ლიყენი განკურნება, ტკივილის მორჩენა; ლიყხენი სახელის დარქმევა.

ურ: ლიჟოშთხურე (ლხმ) ოთხად გაყოფა; ლიმშხურე ძაძების ჩაცმევა; ლიმშხური ძაძების ჩაცმა; მრავალგზისი: ლიმშხურანლ; ლიტფურე გატყავება, მრ. გზისი: ლიფელურე (ლშხ) ტახის აქნა, „დაფელიკება“; ლიფყურე ნელის

(თეძობის) მონყვეტა, დაზიანება; **ლიფშურე**||**ლიფაშურე** გამოშიგენა, ფაშვის (ნანლავების) გამოყრევინება; **ლითჷურე** დათვალიერება; **ლიფყური** მექუდეობა; **ლილჷბური** (ბქ) მეფუტკრეობა; **ლიბტური** (ბქ) ფიცის (ხატის) გატეხვა; **ლივეფურაღ** გარჯა, დიდი ჯაფის განევა, ოფლის დენა შრომაში; **ლიჷელურაღ** გადაღლება, ძალღური ყოფა.

**ერ**||**არ**, **ერ**||**არ**:

**ლიდსჷარი** (ბზ), **ლიდსჷერი** (უშგ.), **ლიდსორე**||**ლიდსორი** (ლშხ) დათრვილვა; **ლილცჷრე** (ბზ); **ლილცჷარე** (უშგ) მორწყვა; **ლიმამფურე** (ლშხ) დამდულერა; **ლიმჷარე** (ლშხ), **ლიმჷარი** (ლნტ) მზის გამონათება; **ლისკარე** (ბქ) შეზიარება ვინმესი ჭამაში; **ლიტყარე** (ბქ) გაველურება, გატყიურება; **ლილხვარი** მთაზე ყოფნა საქონლის სამწყემსად; **ლიმსისგარი** შეძულება; **ლიფკანარი** ხის ჯამების კეთება, გამობარატება; **ლიფსჷდარი** გაბატონება, დაპატრონება; **ლიმზიგარ** (უშგ.), **ლიმზიგარჷ** (ბზ), **ლიმზიგარე**||**ლიმზიგარ** (ბქ), **ლიმზიგარ**||**ლიმზიგარე** (ლშხ) დასნეულება.

**ერ**: **ლილჷბირი** (ლშხ) გარეულ სკებზე ნადირობა, სკების მოხილვა; **ლიცგირე** (ლშხ) ღობის ეკლით შეკვრა.

**ორ**: **ლიცგორე**||**ლიცგორალი** (ბზ) ეკლის ამოძირკვა საყანე ადგილში;

**ილ**: **ლიგჷშილე** ავსება; **ლიჷოშთხჷლე** (ბქ) ოთხად გაყოფა.

განხილულ მასალაში ადვილი შესამჩნევია, რომ ხშირად ერთი და იგივე ნასახელარი ზმნა სხვადასხვა კილოში სხვადასხვაგვარად არის გაფორმებული, – სხვადასხვა სუფიქსს დაირთავს. ზოგჯერ პარალელური ფორმები ერთი კილოს ფარგლებშიც გვხვდება. ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე სახელისაგან სხვადასხვა სუფიქსების მეშვეობით იწარმოება სულ სხვადასხვა ზმნა. ცალკეული დეტალების განხილვას აქ აღარ შევუდგებით.

რაც შეეხება ნასახელარ ზმნათა უღლებას, როგორც აკად. ვ. თოფურიამ აღნიშნა, სვანურში „ნასახელარი ზმნები, როგორც გარდამავლები, ისე მისგან მიღებული ვნებითები, არაფრით არ განირჩევა ძირითადი ზმნებისაგან“. იგივე აზრი აქვს გამოთქმული აკად. ა. შანიძესაც: „სვანურის პირველი უღვლილება ქართულის პირველსა და მეორეს უდრის, სვანურის მეორე უღვლილება კი ქართულის მესამეს“ (შანიძე, 1981, გვ. 195).

ნასახელარ ზმნათა შორის ორიოდ იხეივს გვხვდება, რომელიც უღლების ტიპით მეორე უღლებას განეკუთვნება; სახელდობრ: ნიქჷ ანვეთებს (ლინქჷ დანვეთება; შდრ. ნიქჷ ნვეთი), კილი კივის (ლიკილი კივილი; შდრ. კილ ← ქართ. კივილი).

რაკი ნასახელარ ზმნათა უღლება სვანურში იხეივია, როგორც ძირეული ზმნებისა, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ, აქ ამ საკითხს დანვრილებით აღარ შევეხებით.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ:

ზმნები სვანურში, ისევე როგორც საზოგადოდ ყველა ენაში, ორგვარია: პირველადი ანუ ძირეული და მეორადი ანუ ნასახელარი.

ყველაზე ხშირად ზმნები იწარმოება არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან, შედარებით იშვიათად კი სხვა მეტყველების ნაწილებისაგანაც.

უმრავლეს შემთხვევაში სახელის გაზმნავება სვანურში ხდება პრეფიქს-სუფიქსების საშუალებით. პრეფიქსებად გვევლინება პირისა და ქცევის ნიშნები, სუფიქსებად კი ჩვეულებრივია ი ან ე სუფიქსი, რომლებიც გვხვდება როგორც ნასახელარ, ისე ძირეულ ზმნებში. ამ სუფიქსების წინ თავს იჩენს აგრეთვე სხვა აფიქსები, რომლებიც წარმოშობით სხვადასხვა დანიშნულებისაა (აღნიშნავს ობიექტის მრავლობითობას, მრავალგზისობას, შუალობით კონტაქტს და სხვ.).

ულლებისას ნასახელარი ზმნები მისდევენ პირველ ულლებას და ამ მხრივ არ განსხვავდებიან ძირეული (პირველადი) ზმნებისაგან.

გვხვდება რამდენიმე ნასახელარი ზმნა, რომელიც მეორე ულლებას განეკუთვნება.

### ინვერსიული ზმნები

ქართველურ ენათა ზმნურ სისტემაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ე.წ. „ინვერსიულ“ ზმნებს, რომლებიც მცირერიცხოვანია, მაგრამ გამოირჩევა მნიშვნელოვანი თავისებურებებით, როგორცაა პირის ნიშანთა ობიექტური ნყობა, დატივური კონსტრუქცია და მწკრივთა წარმოების შეზღუდული უნარი. ასეთებია:

მალატ (მიყვარს)	მაყა (მყავს)
მასისგ (მძულს)	მაქუ (მაცვია)
მასიამ (მსიამოვნებს)	მაზ (ფეხთ მაცვია)
მახიად (მიხარია)	მაგ (მახურია)
მაშა (მშურს)	მაკლი (მაკლია)
მაშყიდ (მახსოვს)	მაბ (მარტყია, მაბია)
მაბჟა (მგონია)	მაჩა (მეცინება)
მაჟმედა (შემიძლია)	მიხალ (ვიცი)
მანგხ (მჭირდება)	მიშგურ (მრცხვენია)
მათგმ (მჭირს)	მიცხა (მირჩვენია)
მაკუ (მინდა)	მიშური (მწყინს)
მაყლუნი (მეშინია)	მესმი (მესმის)
მაიდ (მშია)	მესგუი (მშვენის)
მაფგნ (მწყურია)	მულჟა (მაქვს)
მაზიგ (მტკივა)	და სხვა.

ამ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა თავისებური ფორმითა და გრამატიკული შინაარსით არის აღჭურვილი სამივე ქართველურ ენაში, თუმცა გამონაკლისის სახით შეინიშნება ამ სიმეტრიული ერთგვარობის დარღვევის შემთხვევებიც.

ამ მსრივ საყურადღებოა „ცოდნის“ აღმნიშვნელი ზმნის ფორმათა ინვერსიულობა სვანურსა და მეგრულ-ლაზურში, მაშინ როცა ქართულში იგივე ზმნა პირდაპირი ნყობისაა და ერგატიული კონსტრუქცია ახასიათებს (თანაც პირველ სერიაში!). გავეცნოთ ამ ზმნის უღლებას.

### ანმყო

1 მიხალ (ვიცი, მგონია)	Si გუიხალ Se ნიხალ
2 ჯიხალ	ჯიხალხ
3 ხოხალ	ხოხალხ

### უნყვეტელი

1 მიხალდა (ვიცოდი, მეგონა)	Si გუიხალდა Se ნიხალდა
2 ჯიხალდა	ჯიხალდახ
3 ხოხალდა	ხოხალდახ

### I კავშირებითი

1 მიხალდედს (ვიცოდე, მეგონოს)	Si გუიხალდედს Se ნიხალდედს
2 ჯიხალდედს	ჯიხალდედხ
3 ხოხალდედს	ხოხალდედხ

### მყოფადსრული

1 მეხლი (მეცოდინება, მეგონება)	Si გუეხლი Se ნეხლი
2 ჯეხლი	ჯეხლიხ
3 ხეხლი	ხეხლიხ

### I თურმეობითი

1 მახლენა (მცოდნია, მგონებია)	Si გუახლენა Se ნახლენა
2 ჯახლენა	ჯახლენახ
3 ხახლენა	ხახლენახ

ნარმოგიდგენტ ინვერსიულ ზმნათა უღლების კიდევ რამდენიმე ნიმუშს ანმყოს მწკრივში.

1 მალბტ (მიყვარს)	Si გუალბტ Se ნალბტ	მაკუ (მინდა)	Si გუაკუ Se ნაკუ
2 ჯალბტ	ჯალბტხ	ჯაკუ	ჯაკუხ
3 ხალბტ	ხალბტხ	ხაკუ	ხაკუხ

1 მაყა (მყავს)	Si გუაყა Se ნაყა	მულტა (მაქვს)	Si გულტა Se ნულტა
2 ჯაყა	ჯაყახ	ჯულტა	ჯულტახ
3 ხაყა	ხაყახ	ხულტა	ხულტახ

### თემის ნიშნების საკითხისათვის

ცნობილია, რომ ზმნის მწკრივები ქართულში მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა საფუძველზე სერიებად იყოფა. I და II სერიის ფორმათა (ე.წ. თემათა) შორის უმეტესწილად განსხვავებას ქმნის თემის ნიშანი, რომელიც მოეპოვება ზმნას I სერიის მწკრივებში და არ ჩანს II სერიის მწკრივებში, ე.ი. პირველი სერიის მწკრივები რთულთემიანია, მეორე სერიისა კი – მარტივთემიანი. სხვა ქართველურ ენათაგან კოლხურში (მეგრულსა და ლაზურში) ძირითადად ქართულის მსგავსი ვითარებაა, სვანურს კი ამ მხრივ მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებს.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სვანური ზმნის უღლების სისტემაში არა გვაქვს ისეთი მკვეთრი დაპირისპირება I და II სერიის ფორმებს შორის თემის ნიშნების მიხედვით, როგორც დამახასიათებელია ქართული ზმნისათვის. ამავე დროს სვანურ ზმნას წყვეტილში ორი თემა აქვს: ერთი – I და II პირისათვის მხ. რიცხვში, მეორე – III პირისათვის მხ. რიცხვში და ყველა პირისათვის მრ. რიცხვში, ასე რომ, თემით (ფუძით) ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა და ხუთი ფორმა, რის გამოც მათ ა.შანიძე შემოკლებით „ორთა თემას“ („ორთა ფუძეს“) და „ხუთთა თემას“ („ხუთთა ფუძეს“) უწოდებს. „ეს ორ-თემიანობა ნამყოში დამახასიათებელი მოვლე-

ნაა სვანურისათვის, რითაც იგი არსებითად განსხვავდება ქართულისაგან, რომელმაც ასეთი რამ არ იცის" (ა.შანიძე, 1981, გვ. 354-355).

I და II სერიის ფორმათა გამიჯვნასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ სვანურისათვის უცხოა მათი დაპირისპირება ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულში. ფუძისეული ე და ი ხმოვნების მონაცვლეობა, რაც I და II სერიის ფორმათა ოპოზიციის საფუძველს წარმოადგენს ქართულში (ფუძედრეკად ზმნებში), სვანურში გამოყენებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა გასამიჯნავად.

ყოველივე ამის გამო თემის ნიშნების გამოყოფას სვანურში სირთულეები ახლავს. ამჯერად ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ იმ თემის ნიშნებზე, რომლებიც სვანურში ქართულიდან არის შესული.

ქართულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემის ნიშანია -ავ, რომელიც გვხვდება როგორც პირველადს, ისე ნასახელარ ზმნეში. მათ გვერდით მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე -ამ თემისნიშნისანი ზმნები, რომლებსაც უღლების მხრივ ისეთივე თავისებურებანი ახასიათებთ, როგორიც -ავ თემისნიშნისანი ზმნებს.

-ამ თემის ნიშანი სვანურისათვის უცხოა, -ავ (-აჟ) კი საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგრამ სვანურში მას თემის ნიშნად ვერ მივიჩნევთ, რადგან მისი ხმარების არე არ იზღუდება ზმნის ერთი რომელიმე სერიით, ე.ი. ის არ წარმოადგენს რომელიმე სერიის ფუძის (თემის) მარკერს. ამ ზმნათა დიდი ნაწილი სვანურში ქართულიდან არის შესული, მაგრამ ზმნური ფორმა ნასესხებია თემის ნიშნიანად და ის მთლიანად ფუძედ არის მიჩნეული. სურათი რომ ნათელი იყოს, მოვიყვანოთ ერთი ასეთი ზმნის უღლების ნიმუში. ავიღოთ ზმნა **ლიხტაჟი** („ხატვა“) და ვნახოთ, როგორ იუღლება ის ძირითად მწკრივებში ბალსზემოური კილოს მიხედვით (საარვისო ქცევა):

# I სერია ანმყო

მხ.რ.

მრ.რ.

- |                         |                             |
|-------------------------|-----------------------------|
| 1. ხუბატაჟი<br>(ვხატავ) | Si ლახტაჟიდ<br>Se ხუბატაჟიდ |
| 2. ხახტაჟი              | ხახტაჟიდ                    |
| 3. ახტაჟი               | ახტაჟიხ                     |

## უნყვეტელი

- |                             |                               |
|-----------------------------|-------------------------------|
| 1. ხუბატაჟდჰს<br>(ვხატავდი) | Si ლახტაჟდად<br>Se ხუბატაჟდად |
| 2. ხახტაჟდჰს                | ხახტაჟდად                     |
| 3. ახტაჟდა                  | ახტაჟდახ                      |

## I კავშირებითი

- |                             |                                 |
|-----------------------------|---------------------------------|
| 1. ხუბატაჟდჟდ<br>(ვხატავდე) | Si ლახტაჟდჟდდ<br>Se ხუბატაჟდჟდდ |
| 2. ხახტაჟდჟდ                | ხახტაჟდჟდდ                      |
| 3. ახტაჟდჟდს                | ახტაჟდჟდხ                       |

## მყოფადუსრული

- |                                    |                               |
|------------------------------------|-------------------------------|
| 1. ხუბატაჟნი<br>(ვხატავ მომავალში) | Si ლახტაჟნიდ<br>Se ხუბატაჟნიდ |
| 2. ხახტაჟნი                        | ხახტაჟნიდ                     |
| 3. ახტაჟნი                         | ახტაჟნიხ                      |

## მყოფადსრული

- |                           |                              |
|---------------------------|------------------------------|
| 1. ოთხატაჟი<br>(დავხატავ) | Si აღხატაჟიდ<br>Se ოთხატაჟიდ |
| 2. ათხატაჟი               | ათხატაჟიდ                    |
| 3. ადხატაჟი               | ადხატაჟიხ                    |



### პირობითუსრული

- |                             |                                  |
|-----------------------------|----------------------------------|
| 1. ხუბატუნროლ<br>(ვბატავდი) | Si ლატატუნროლდ<br>Se ხუბატუნროლდ |
| 2. ხატატუნროლ               | ხატატუნროლდ                      |
| 3. ატატუნროლ                | ატატუნროლბ                       |

### პირობითსრული

- |                             |                              |
|-----------------------------|------------------------------|
| 1. ოტბატუნს<br>(დავბატავდი) | Si ალბატუნსდ<br>Se ოტბატუნსდ |
| 2. ატბატუნს                 | ატბატუნსდ                    |
| 3. ადბატუნს                 | ადბატუნსბ                    |

## II სერია წყვეტილი

მბ.რ.

მრ.რ.

- |                         |                              |
|-------------------------|------------------------------|
| 1. ოტბატუნ<br>(დავბატე) | Si ალბატუნედ<br>Se ოტბატუნედ |
| 2. ატბატუნ              | ატბატუნედ                    |
| 3. ადბატუნ              | ადბატუნებ                    |

## II კავშირებითი

- |                          |                              |
|--------------------------|------------------------------|
| 1. ოტბატუნა<br>(დავბატო) | Si ალბატუნად<br>Se ოტბატუნად |
| 2. ატბატუნა              | ატბატუნად                    |
| 3. ადბატუნას             | ადბატუნაბ                    |

### III სერია I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
1. მიხტაჟა (მიხატია/მიხატავს)	Si გუიხტაჟა Se ნიხტაჟა
2. ჯიხტაჟა	ჯიხტაჟახ
3. ხოხტაჟა	ხოხტაჟახ

### II თურმეობითი

1. მიხტაჟან (მეხატა)	Si გუიხტაჟან Se ნიხტაჟან
2. ჯიხტაჟან	ჯიხტაჟანხ
3. ხოხტაჟან	ხოხტაჟანხ

### III კავშირებითი

1. მიხტაჟენს (მეხატოს)	Si გუიხტაჟენს Se ნიხტაჟენს
2. ჯიხტაჟენს	ჯიხტაჟენხ
3. ხოხტაჟენს	ხოხტაჟენხ

როგორც ვხედავთ, სვანურის სამსავე სერიაში და ყველა მნკრივში სრულად (უმლაუტით ან უუმლაუტოდ) ან რედუცირებული სახით წარმოდგენილია -აჟ (-აჟ, -ჟ) სუფიქსი, რომელიც ქართული -ავ თემის ნიშნის შესატყვისია, მაგრამ ის სვანურში, ცხადია, თემის ნიშნად არ აღიქმება და ზმნის ფუძისაგან მხოლოდ ქართულთან შეპირისპირებით გამოიყოფა. ამ მხრივ ყველა დიალექტში ერთნაირი სურათია (ამიტომაც საილუსტრაციო მასალის მოყვანა სხვა დიალექტებიდან საჭირო არ არის).

-აჟ სვანურში თემის ნიშნად რომ ვერ ჩაითვლება, ამას მოწმობს მომდევნო ი სუფიქსიც, რომელსაც აკისრია სწორედ თემის ნიშნის ფუნქცია სვანურში (მისი გავლენის შედეგია -აჟ სუფიქსისეული ხმოვნის უმლაუტი).

ზმნები, რომელთაც -აჲ სუფიქსი ყველა მწკრივში გაჰყვებათ, სვანურში რამდენიმე ათეულს შეადგენს. დავასახელებთ ზოგ მათგანს ანმყოფს III პირის ფორმით: აბდაჲთი („ბედავს“), აგგრშაჲთი („გეშავს, წერთნის“), ასგნჯაჲთი („სინჯავს“), აქერგაჲთი („ქარგავს“), აღუპაჲთი („ლუპავს“). ანლაჲთი („ნალავს, ამჟავებს“), ახერხაჲთი („ხერხავს“), ახზაჲთი („ხაზავს“), ახგრჯაჲთი („ხარჯავს“) და სხვანი.

ამ ტიპს მისდევს და ასევე იუღვლის ზოგი ისეთი ზმნაც, რომელიც ქართულში არა -ავ, არამედ -ებ თემის ნიშანს დაირთავს: აგთაჲთი („ათავებს“), აკლაჲთი („ლენავს, აკალოებს“), აკუტრაჲთი („აკოტრებს“), არგაჲთი („არიგებს, ანანილებს“), აფჭაჲთი („აფუჭებს“), არაჲთი („აჩერებს“), აშტრაჲთი („აშტერებს“), აშშაჲთი („აშეშებს“), აშნაჲთი („აშენებს“), ანხაჲთი („ანუხებს“) და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი იყო მოქმედებითი გვარის ზმნები საარვისო ქცევის ფორმით. რა თქმა უნდა, აჲ ფორმანტიც ხმარების არე მარტო ამ ტიპის ზმნებით არ იფარგლება და სხვა გვარისა თუ ქცევის ფორმებსაც მოიცავს, რის საილუსტრაციოდაც შეიძლება დავასახელოთ ასეთი მაგალითები: იქრთამაჲთი („იქრთამავს“), იშხამაჲთი („იშხამავს“), ინნაჲთი („ინუნებს“), იჯრაჲთი („იჯერებს“), ხოფჭაჲთი („უფუჭებს“), ხონხაჲთი („უნუხებს“), იკენჭაჲთი („ბრაზობს, გულისობს“), იქრაჲთი („ქრება, იკარგება“), ხექრაჲთი („უქრება, ავიწყდება“), ხაჯრაჲთა („სჯერა“), ხანგრძილაჲთა („აფენია, აყრია“) და სხვ.

-აჲ თემის ნიშანსა და -ი სუფიქსს შორის ზოგ ზმნაში ჩართულია -წლ სუფიქსი: ახზაჲწლი („ხაზავს“, შდრ. ახზაჲთი), აშრაჲწლი („იხსნილებს“, შდრ. აშრაჲთი), აქერგაჲწლი („ქარგავს“, შდრ. აქერგაჲთი), ინხაჲწლი („წუხს“) და სხვ. სვანურში წლ სუფიქსის დანიშნულებაა მოქმედების ხანგრძლივობის ან მრავალგზისობის გამოხატვა და ამ ფუნქციას ასრულებს მოცემულ შემთხვევაშიც.

რამდენიმე ზმნაში აწ მართლაც ფუძის კუთვნილებაა და სუფიქსად მისი გამოყოფისათვის არც სვანურში ჩანს სათანადო საფუძველი და არც სხვა ქართველურ ენებში. მაგალითად, აღნაწი („აორსულებს“) ნასახელარი ზმნაა, ნანარმოები სვანური ღანაწ („ორსული“) ფუძისაგან; ასევე ბზ. ხნსნაწ, ლშხ. ხნსნაწი||ხეისნაწი („ესიზმრება“), ნანარმოები ისნაწ („სიზმარი“) ფუძისაგან. შესაძლოა ამგვარივე ნარმომავლობისა იყოს აგტაწი („ბუგავს, ფერფლად აქცევს“), აშრაწი („ახსნილებს“).

აქვე შეიძლება დავასახელოთ ბალსქვემოურში დადასტურებული ზმნა ხოგგრცამი („წყევლის, ხატს გადასცემს ტყუილი ფიცისათვის“), სადაც თითქოს ამ თემის ნიშნთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ აქ ან მიღებულია ემ-ისაგან: გარდაცემა→გარცამ (უკანა მიმართულების უმლაუტი). ეს ემ (→ან) თემის ნიშანიც სვანურში ამ ზმნაში ფუძესთან არის შეხორცებული.

ბალსქვემოურში ამ ზმნის ძირითადი ფორმებია: ხოგგრცამი, ოთგგრცამე, ოთგგრცამისგ; ლაშხურში: ხოგგრცემი, ოხგგრცემე, ოხგგრცემნე. როგორც მოსალოდნელი იყო, ლაშხურში გაუმლაუტება არ ხდება, თემის ნიშნისაგან მომდინარე ემ უცვლელად არის დაცული.

ემ ბოლოსართად უნდა გამოიყოს და შეიძლება თემის ნიშნად იქნეს მიჩნეული ლისგემ („ნაქცევა“) ზმნაში, რომლის ანმყოსა და წყვეტილის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან ემ სუფიქსის ქონება-უქონლობით: ხასგემ („იქცევა“) – ლახსგე („ნაიქცა“), ხოსგემ („ემხობა“) – ოხსგე („დაემხო“).

მსგავსადვე თემის ნიშნად გამოიყოფა ეწ სუფიქსი ლიჩქუეწი („დაჩოქება“) ზმნაში: ხოჩქუეწი („უჩოქებს, ევედრება“) – ესჩოქუე („დაუჩოქა, შეევედრა“); შდრ. ლილჭრეწი („მოლორება, მოტყუება“), სადაც ეწ სუფიქსი ფუ-

ქესთან შეხორცებულია: იღურეუი („იტყუებს“), – ადლო-რუე („მოიტყუა“).

ქართულიდან თემის ნიშნიანად ნასესხებ ზმნურ ფუძეებში გამოიყოფა აგრეთვე ებ თემის ნიშანი, მაგრამ ასეთი ფუძეები სვანურში მეტწილად გასუბსტანტივებულია, მოკვეცილი აქვს სანყისის მანარმოებელი -ა სუფიქსი, რომლის გავლენითაც უძალაუტდება თემის ნიშნისეული ხმოვანი (ებ-ა→აბ). ამ ცვლილებათა შედეგია ასეთი ფორმები: დიდაბ (←დიდება), მატკლაბ (←დაკლება=„სინანული“), ანლლაბ („ამალლება“). ზოგი მათგანი იუღლება კიდევ. ხადკლებ („ნანობს“) – ათტკაპლბენ („ინანა, დაენანა“) – ათტკაპლბი („დაენანება“). როგორც ვხედავთ, ებ(→ბ) თემის ნიშანი სვანურში ფუძესთან არის შეხორცებული და მეორე სერიაშიც გაჰყვება მას. ამიტომ მისი თემის ნიშნად კვალიფიკაცია შეუძლებელია.

ცალკე განხილვას მოითხოვს ზმნათა მცირერიცხოვანი ჯგუფები, სადაც თემის ნიშნებად გამოიყოფა -ერ, -ესგ|ნესგ|-ესკ, -ეს|-ნეს, -ისგ, -ემგ|-ნემგ|-ემკ|-ემ, -ელ|ნლ, -ენ, -ინ სუფიქსები (ა.შანიძე, ვ.თოფურია). ამჯერად ჩვენ მათ არ შევეხებით.

### **პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში**

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა სვანურ ზმნაში გამოხატულია იმის მიუხედავად, თუ რომელ ბრუნვაში დგას ობიექტი, – სახელობითსა თუ მიცემითში, ანდა რომელ სერიაშია ზმნა, – პირველში, მეორესა თუ მესამეში.

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ობიექტის მრავლობითობა მხოლოდ მაშინ აისახებოდა ზმნაში, როცა ობიექტი სახელობით ბრუნვაში იდგა, ამას კი ადგილი ჰქონდა გარდამავალ ზმნებთან მეორე და მესამე სერიაში.

ამრიგად, ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვით სვანური, ერთი მხრივ, ძველი ქართულის ვითარებას მოგვაგონებს, მაგრამ, მეორე მხრივ, საგრძნობლად განსხვავდება მისგან. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, მეორეულია, ინოვაციაა სვანურში, სადაც ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის პროცესი ბოლომდე იქნა მიყვანილი და ყველა სერიაზე გავრცელდა, ქართულში კი მოშლის გზაზე დადგა და ახალ ქართულში მთლიანად გაქრა კიდევ.

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად სვანურის ბალსემოურ კილოში გამოიყენება სუფიქსები: ჰლ, იჰლ (ჟჰლ), გრ (გლ), ჟრ (ჟლ), ირ. სხვა კილოეში ამ სუფიქსებს მოეპოვება სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ვარიანტები, მაგრამ ფორმანტები ძირითადად ერთი და იგივეა (ბალსქვემოურში ხმოვნები გრძელი არაა, ლაშხურში ჰლ სუფიქსი უუმლაუტოა, ლენტეხურში კი ამ სუფიქსს ან მის ვარიანტს საერთოდ არ ვხვდებით ობიექტის მრავლობითობის ნიშნად). ზემოხსენებული ფორმანტები ორ ძირითად სახეზე დაიყვანება: ჰლ ( ჰლ, იჰლ, ჟჰლ) და გრ (გლ, ჟრ, ჟლ, ირ). მათ შორის როლები ძირითადად ასეა განაწილებული: „გრ ჩვეულებრივ ფუძედრეკად ზმნებში იხმარება, ჰლ და იჰლ სუფიქსები – არაფუძედრეკადებში. იჰლ უფრო იშვიათია, ვიდრე ჰლ“ (შარაძენიძე, 1954, გვ. 194).

ორიოდე საილუსტრაციო მაგალითი ტექსტებიდან:

ყვრგმ-შავხანდ **ჟ'ანგრძალე** წინწლარ (ბზ. 193, 5) „ყვირიმ-შავხანმა დაიჭირა წინწლები“.

უშგვლარდ ჩაჟარ **ჟ'ანგრძალეხ** (ბზ. 53, 25) „უშგულელებმა ცხენები დაიჭირეს“.

ანალოგიურად გამოხატავენ ობიექტის მრავლობითობას ზმნები: ჟ'ანგრძალე „გაზარდა“ (შდრ. ჟ'ანგრდე), აღწალე „გარეკა“ (შდრ. აღდე „გადენა, წაიყვანა“), აღჭებდალე „დაამწყვდია“ (შდრ. აღჭებდე), ჟ'ანიყალე „ამოიყვანა“ (ჟ'ანიყე), ქ'რთდალე „მიხურა“ (ქ'რთდე), ანტვარალე „აანთო“ (ანტვა-

რე), ჩვადკარნლე „გაალო“ (ჩვადკარე), ჩვადღნრნლე „დაა-  
პურა, საჭმელი აჭამა“ (ჩვადღნრე) და ა.შ.

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი შეიძლება გადაჰყვეს ზმნას ვნებითში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ ქართულში. ამრიგად, ასეთ შემთხვევაში ვნებითის სუბიექტური პირის მრავლობითობა ორმაგად არის გამოხატული:

ანგრდნლანხ „გაიზარდნენ“;

იყლურნლხ „იყრებიან, სცილდებიან ერთმანეთს“;

ჩვადრიგვანლანხ „შერიგდნენ“;

ადჭებდნლანხ „დაემწყვდნენ“;

ანტვარნლანხ „აინთენ“;

ჩვადშყვედილანხ „დაირეცხნენ“ და ა.შ.

ძველი ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა სანყისშიც აღინიშნება. მანარ-  
მოებელი აქაც იგივე სუფიქსებია, რაც ზმნის პირიან ფორ-  
მებში. ობიექტის მრავლობითობის ნიშანი ერთვის სანყისს  
სუფიქსის წინ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ი სუფიქსი  
უცვლელად რჩება, ე სუფიქსსაც ი ენაცვლება და ნულსუ-  
ფიქსიანი სანყისიც ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის  
შემთხვევაში იმავე ი სუფიქსს დაირთავს. სანიმუშოდ მოვი-  
ყვანთ რამდენიმე მაგალითს სხვადასხვასუფიქსიანი სანყისი-  
სა ობიექტის მხოლობითში და მრავლობითში დასმისას:

ლირმი – ლირმწლი „დაჭერა“

ლირდი – ლირდწლი „გაზრდა“

ლიდი – ლიდწლი „დადება, დახურვა“

ლიმყუდი – ლიმყუდიწლი „დარეცხვა“

ლიმხბი – ლიმხბიწლი „შეკერვა“

ლიტურე – ლიტვრწლი „ანთება“

ლიკრე – ლიკრწლი „გაღება“

ლიყუნე – ლიყუნწლი „დანვენა“

ლისგვრე – ლისგვრწლი „დასმა, დაჯენა“

ლიწყე – ლინყწლი „გამოცხოვა“ და ა.შ.

## სახელზმნა

სახელზმნა ეწოდება ზმნისგან ნაწარმოებ სახელს, ბრუნვიან სიტყვას, რომელიც წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც სახელი: ის შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, მაგრამ აზავე დროს შენარჩუნებული ჰქონდეს ზმნის ზოგიერთი ნიშანიც. სახელზმნა, როგორც ცნობილია, ორგვარია: საწყისი და მიმღეობა.

საწყისი ანუ მასდარი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს. სვანურში ასეთი სახელი ნაწარმოებია ზმნის ფორმისაგან ლი- პრეფიქსით, რომელიც დაერთვის მეტწილად ანმყოს უპირისპიშნო და უქცევისსიშნო ფუძეს:

ა-მარე ამზადებს: ლი-მარე მზადება

ი-თრე სვამს: ლი-თრე სმა

ი-ზბი ჭამს: ლი-ზბი ჭამა

ა-წნი ხნავს: ლი-წნი ხვნა

ი-ლრალ მღერის: ლი-ლრალ მღერა

გ-გემ აშენებს: ლი-გემ შენება და ა.შ.

ზოგჯერ საწყისი ასე თუ ისე შორდება ანმყოს ფუძეს და განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. ასეა, სახელდობრ, ფუძედრეკად ზმნებში:

ჯედნი (ლნტ. ჯედენი) მოდის: ლი-ჯედ (მოსვლა)

დეგნი (დეგენი) ქრება: ლი-დეგ (გა)ქრობა

ტეხნი (ტეხენი) ბრუნდება: ლი-ტეხ დაბრუნება და ა.შ.

ზმნის ფუძიდან იწარმოება აგრეთვე აბსტრაქტული (განყენებული) სახელი, რომელიც უმეტესად ნაწარმოებია მა- ან ლი- პრეფიქსით:

მალატ (მიყვარს): მა-ლატ (სიყვარული), ლი-ლატჷ (ყვარება)

მიხალ (ვიცი): მა-ხალ (ცოდნა), ლი-ხალჷ (ცოდნა)... ასევეა ნაწარმოები განყენებული სახელები: მა-ყალ (შიში), მა-ზიგ (ჭირი, სენი), მა-მჭირ (სიზარმაცე), მა-გიდ (ძილი) და სხვა (თოფურია, 1967, 212).



**მიმღეობა** ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ზედსართავ სახელად არის გამოყენებული. მიმღეობებს დროის ან გვარის მიხედვით აჯგუფებენ და სამ ჯგუფს გამოყოფენ. ასეა ვ.თოფურიას მონოგრაფიაშიც და სვანური ენის მიმოხილვებში, რომელთა გამოცემის შემდეგ ამ საკითხს ვრცლად აღარავინ შეჰხებია. რაც შეეხება ბრუნებას, ამ მხრივ მიმღეობა არაფრით განსხვავდება ზედსართავი სახელებისაგან და იბრუნვის ისევე, როგორც მსგავსფუძიანი ზედსართავი (და არსებითი) სახელები.

**ანმცოს მიმღეობა.** ანმცოს მიმღეობა, ანუ აქტიური, მოქმედებითი გვარის მიმღეობა ემყარება ანმცოს უმაქცევრო ფუძეს და იწარმოება მ პრეფიქსით, რომელსაც თან ახლავს რომელიმე ხმოვანი (ი-ს გარდა): მგ-, მუ-, მე-, მო-, მა-.

ძირითადი პრეფიქსია მგ (ფუძისეულ ჟ-სთან ასიმილაციით მუ): მგ-გემ (მშენებელი), მგ-დგე (მქრობელი), მუ-თჷრი (←მგ-თჷრი – „მასწავლებელი“).

მე პრეფიქსი გვხვდება II ჯგუფის ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებთან, ასევე -აღ||-აღ, იღლ სუფიქსიანებთან: მე-ზეღაღ (მოსიარულე), მე-თხჷიარ (მონადირე), მე-რღე (მყოფი), მე-რბიღლ||მგრბიელ (მცხობელი).

მო- (ზოგან პარალელურად მე-) გვხვდება გარდაუვალ ზმნათა მიმღეობებში: მომარგ||მემარგ (ვარგისი), მოლატ||მელატ (მოყვარული)...

მა- პრეფიქსი ერთვის ფუძედრეკად ზმნათა ვნებითისაგან ნანარმოებ მიმღეობებს, რასაც თან ახლავს აბლაუტი, ეს კი იმის ნიშანია, რომ მა- პრეფიქსთან ერთად -ა სუფიქსიც უნდა ყოფილიყო, რომლის მოკვეცასაც გამოუწვევია უკანა მიმართულების უმლაუტი: მახად („მოსავალი“; შდრ. ლმხ. მაჯედ, ლნტ. მაჯედ „მომსვლელი“).

**მყოფადის მიმღეობა** ვნებითია. იგი მასდარის ლო- თავსართს იცილებს და მის ნაცვლად დაირთავს ლე-უ თავ-

სართ-ბოლოსართს ან მარტო ლე- თავსართს: ლე-მარ-ე (მოსამზადებელი), ლე-ჯდ-ე (მოსატანი), ლეშხი (სანვავი), ლე-გემ (ასაგები), ლე-ზუებ (საჭმელი), ლე-ლატ (საყვარელი)...

ამის პარალელურად გვაქვს ლა-ა პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: „ლე- პრეფიქსიანი ზედსართავი სახელია, ლა- პრეფიქსიანი – არსებითი სახელი. პირველი დანიშნულებას გამოხატავს, მეორე – სამოქმედო ადგილს ან მოქმედების იარაღს, ან ნივთს: ლეთრე „დასალევი“ (წყალი) – ლათრა „დასალევი ადგილი ან წყლის სასმელი“, „ჭურჭელი“ (თოფურია, 2002, გვ. 197).

ნამყოს მიმღობა აგრეთვე ვნებითია. იგი ნაწარმოებია ლგ-ე, მგ-ე, ნა-ა კონფიქსებით უმეტესწილად წყვეტილის, ზოგჯერ კი ანმყოს ფუძისაგანაც: ლგ-მარ-ე (მომზადებელი), ლგ-თი-ე („მომკილი“), ქა ლუ-გუეჰ („დაფქული“), ლგ-შხ||ლგ-შხ-ე („დამწვარი“).

ფუძედრეკად ზმნათა ვნებითის მიმღობა იწარმოება მე- – ე კონფიქსით: მე-ჯდ-ე („მოსული“), მე-დგ-ე („გამქრალი“).

უკუთქმითი (უარყოფითი) მიმღობაც ვნებითია. იწარმოება უმთავრესად უ-ა კონფიქსით ანმყოს ფუძისაგან: უ-მარ-ა (მოუმზადებელი), უმჩა-უდგარა („უბერებელ-უკვდავი“), უტახუ („დაუბრუნებელი“) და სხვა.

# სვანური ენის პრაქტიკული კურსი შეადგინა ლელა ნიჟარაძემ

## ა) სასაუბრო ტექსტები და სავარჯიშოები

### 1. ლოც ი ლიმზერი

- დიდაბ სი, ლერბეთ გუშგუჟე, დიდაბ სი!
- დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!
- დიდაბუ ხარ ხოშამ ლერბათუ!
- დიდება (დიდებამც აქვს) დიდ ღმერთს!
- ფუსნაბუჟანდ, სი ლანეშდ!
- მამაზეციერო, შენ შეგვენიე!
- დიდაბ მუს ი გეზალს ი წყელიან ქუინს სერ ჩიგარ ჰა-  
ღურდ ი ჰაღურდიშდ. ამენ!
- დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ან და  
მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

სიტყვათა ახსნა:

ლოც - ლოცვა.

ლიმზერი - დალოცვა. ლემზერეული - დალოცვილიმც  
არის (დაილოცოს).

დიდაბ - დიდება.

ღერბეთ (//ღერმეთ) - ღმერთი. ხოშა ღერბეთ - დიდი  
ღმერთი, მამა ღმერთი.

მუ - მამა. მიცემით ბრუნვაში: მუს.

გეზალ - ძე; შვილი. მიც. ბრ.: გეზალს.

ქუინ - სული. მიც. ბრ.: ქუინს, მრავლობით რიცხვში:  
ქუნარ.

წყელიან (//წყელან) - სუფთა, წმინდა. წყელიან ქუინ -  
სულიწმინდა.

ფუსნა//ფუსდ - უფალი, ბატონი.

ანგულებ - ანგელოზი.

ჯგურაგ - წმინდა გიორგი.

სი - შენ.

სერ – ახლა, ამჟამად, ან.

ჩიგარ – მუდამ, ყოველთვის.

ჰანდურდ ი ჰანდურდიშდ – უკუნითი უკუნისამდე, მარადის.

ი – და (კავშირი).

ამენ//ჰამენ! – ამინ!

ლიშედ – შველა, შენეუნა. ლამშედა – შემნევი; ლაგუშედა – შეგვნევი.

### ზ მ ნ ი ს უ ლ ლ ე ბ ა

არსებობა (“არის”)

ანწყო

მი ხუი სტუდენტ  
მე ვარ სტუდენტი

ნაღ ლიშდ სტუდენტარ  
ჩვენ ვართ (მე და შენ//თქვენ)  
სტუდენტები

ნაღ ხუიშდ სტუდენტარ  
ჩვენ ვართ (მე და ის//ისინი)  
სტუდენტები

სი ხი მიშგუ ჯგმილ  
შენ ხარ ჩემი ძმა  
ეჯა ლი მუშუან  
ის არის სვანი

სგაღ ხიშდ მიშგუ ლაჯმილა  
თქვენ ხართ ჩემი ძმები  
ეჯარ ლის შუანარ  
ისინი არიან სვანები

### ნყვეტილი

მხ. რ.

მი ხუასუ მაჰურენე  
გეზალ  
მე ვიყავი უმცროსი  
შვილი

მრ. რ.

ნაღ ხუასუდ აფხნეგარ  
ჩვენ (მე და ის//ისინი) ვიყავით  
ამხანაგები

ნაღ ლასუდ აფხნეგარ  
ჩვენ (მე და შენ//თქვენ)  
ვიყავით ამხანაგები

სი ხასუ ხოშილ გაბურ  
შენ იყავი უფრო  
გამბედავი

სგაღ ხასუდ ლაცლა  
თქვენ იყავით ტოლები

ეჯა ლასუ მაყლუჟარ  
ის იყო მშობარა

ეჯარ ლასუხ ლაჟდილა  
ისინი იყვნენ დები

ღმზგრუჲ ლი გუშგუჲე ქუეყანა ი ხალხ! – დაილოცოს ჩვენი ქვეყანა და ხალხი!

ღმზგრუჲ ლი ალ ჟოჯახ! – დაილოცოს (დალოცვილიმც არის) ეს ოჯახი!

ჯგგრჯგუ ლახშედა ალ ჟოჯახს! – წმინდა გიორგი შეენოს ამ ოჯახს!

ხოშა ღერბეთუ ლაჯშედახ! – დიდი ღმერთი შეგენიოთ!

## სვანური ზღაპრის ფინალი

ლათ ეჩე ხჷარდას,  
ლადი ამე ხჷარი,  
ეჩე ხოჩა ლირდე მადდა,  
ამეა ხოჩამდ ხჷარი.

გუშინ იქ ვიყავი,  
დღეს აქა ვარ,  
იქაც კარგი ყოფა მქონდა,  
აქაც კარგად ვარ.

სიტყვების ახსნა:

ღირდე – ყოფნა, არსებობა.

ლათ – გუშინ.

ლადი – დღეს.

მგხარ – ხვალ.

ეჩე(ჩუ) – იქ.

ამე(ჩუ) – აქ.

იმე(ჩუ) – სად.

ხოჩა – კარგი; ხოჩამდ (//ეზარდ) – კარგად.

ხოლა – ცუდი; ხოლამდ (//ლეგდ) – ცუდად, ავად.

## ზმნის უღლება

ყოფნა ("იმყოფება")

ანმყო

მხ. რ.

მი ათხე ლექციაჟი ხჷპრი  
მე ახლა ლექციაზე ვარ  
(ვიმყოფები)

სი ათხე მუშგჷრიდ ხარი  
შენ ახლა სტუმრად ხარ  
(იმყოფები)

მიშგუ დარჷირ კინოს პრი  
ჩემი და კინოშია

მრ. რ.

ნაჲ მჷგ პშხუდ ხჷპრიდ  
ჩვენ (მე და ის//ისინი) ყველა  
ერთად ვიმყოფებით

ნაჲ მჷგ პშხუდ ლარიდ  
ჩვენ (მე და შენ//თქვენ)  
ყველა ერთად ვიმყოფებით  
სგაჲ ათხე იმე ხარიდ?  
თქვენ ახლა სად ხართ?

ეჯიჲრ იმლა მამ პრის  
ამეჩუ?  
ისინი რატომ არ იმყოფებიან  
აქ?

## უნყვეტელი

მხ. რ.

მი ლუნთჷრი შჷანს ხჷ-  
არდჷს  
მე შარშან სვანეთში ვი-  
ყავი

სი ერქა ბაკურიანს ხარდჷს  
შენ მაშინ ბაკურიანში იყა-  
ვი

ეჯა შომა არდა შჷანს?  
ის როდის იყო სვანეთში?

მრ. რ.

ნაჲ ერქა მამ ხჷარდად პგის  
ჩვენ (მე და ის//ისინი) არ  
ვიყავით შინ

ნაჲ ერქა მამ ლარდად პგის  
ჩვენ (მე და შენ//თქვენ)  
ვიყავით შინ

სგაჲ ერქა იმე ხარდად?  
თქვენ მაშინ სად იყავით?

ლჷთ ნაბოზს იმე არდახ  
ისგუ აფხნეგარ?  
გუშინ სალამოს სად  
იყვენენ შენი ამხანაგები?

## მყოფადი

მხ. რ.  
მი ხუნრა/ი მიჩა ხეხუ  
მე ვიქნები მისი ცოლი

მრ. რ.  
ნაჲ ხუნრა/იდ ეზარ აფხ-  
ნეგარ  
ჩვენ (მე და ის//ისინი) კარ-  
გი ამხანაგები ვიქნებით.  
ნაჲ ლირა/იდ ეზარ აფხ-  
ნეგარ  
ჩვენ (მე და შენ//  
თქვენ) კარგი ამხანაგები  
ვიქნებით.

სი ხირა/ი მიშგუ აფხნეგ  
შენ იქნები ჩემი ამხანაგი

შომა ხირა/იდ სგაჲ შუნს?  
როდის იქნებით თქვენ სვა-  
ნეთში?

ეჯა ხოჩა ქაშ ირა/ი  
ის კარგი ქმარი იქნება.

ჯარუ ზაუნლო ეჯაჲ სტუ-  
დენტარ ირა/იხ  
ორი წლის შემდეგ ისინი  
სტუდენტები იქნებიან.

## პირობითი

მხ. რ.  
მი ხუნროლდ ხოჩა მეთხ-  
ჟიარ  
მე ვიქნებოდი კარგი მონა-  
დირე.

მრ. რ.  
ნაჲ ლიროლდ ბეგი ალპინ-  
ისტარ  
ჩვენ (მე და შენ//თქვენ)  
კარგი ალპინისტები ვიქნე-  
ბოდით.  
ნაჲ ხუნროლდ ბეგი ალპინ-  
ისტარ  
ჩვენ (მე და ის//ისინი)  
კარგი ალპინისტები ვიქნე-  
ბოდით.

სო ხნროლ ხოჩა მეღრალ  
შენ იქნებოდი კარგი მომ-  
ღერალი.

ეჯა იროლ ხოჩა მეზუბელ  
ის იქნებოდა კარგი მეზო-  
ბელი

სგა ხნროლდ ხოჩა ხეხუ-  
ჭაშ

თქვენ იქნებოდით კარგი  
ცოლქ-ქმარი

ეჯაზ მუ-გეზალ იროლს  
ისინი მამა-შვილი იქნე-  
ბოდნენ.

## “მამაო ჩვენო”

ლ უ შ ნ უ დ ( ს ვ ა ნ უ რ ა დ )

მუ გუშგუე, ხედა ხარი დეცარჟი, წყილიან ლესეს ყახე  
ისგუი. ანჯეს ლიფუსდ ისგუი ი ლესეს ნაბ ისგუი ჰემა დეც-  
არჟი, ეჯჟი ქუეყანაჟი; დიარ ნიშგუე ლასსად ქა ლანო ნა  
ლადი, ი სგა ლანსარჟინ ნა გადნარ ნიშგუე, იმჟაჟი ნა  
ხჟასარჟინედ ნიშგუე მოგდანას ი ნომა ანსერი ლაკუშალ-  
ნათე, მადეი ანიცხ ხოლამხანქა.

## 2. პიროვნება

- მი მაჟხა თამარ.
- მე მქვია თამარი.
- მი ჟემღჩხარა ლგზა ხუი.
- მე ცხრამრტი ნლის ვარ.
- ხუიზგე შუნანს - უშგულს, შუნანაშ ი თელდ ეჟროპშ  
მაშუნე კგლთხი სოფელს.
- ვცხოვრობ სვანეთში, ჟშგულში, სვანეთის და მთელი  
ევროპის ყვალაზე მაღალ სოფელში.
- მი ხუი უნივერსიტეტი სტუდენტ.
- მე ვარ უნივერსიტეტის სტუდენტი.
- მიშგუ დი ექიმ ლი, მუ - ინჟინერ.
- დედაჩემი ექიმია, მამა - ინჟინერი.
- მი მაჟხა ერეკლე.



- მე მქვია ერეკლე.
- მი ერუემდუსგუა ლგზან ხუი.
- მე ოცდაექვსი წლის ვარ.
- მი არქიტექტორ ხუი ი ხუამშანე აშხუ/ეშხუ ფირმას-  
გა.
- მე არქიტექტორი ვარ და ვმუშაობ ერთ ფირმაში.
- მიშგუ დი მასწავლებელ ლი, მუ ალპინისტ ლი, ტურბაზას  
ამშანე.
- დედაჩემი მასწავლებელია, მამა ალპინისტია, ტურბაზაში  
მუშაობს.

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

ჩასვით შესაბამისი პირის ნაცვალსახელები:

1. . . . . ხუი სტუდენტ.
2. . . . . აწრ ხიშდ?
3. . . . . ექიმ ლი.
4. . . . . აწრ ლიხ?
5. . . . . იმე იზგე?
6. . . . . იმე ხამშანე?
7. . . . . იმე ითური?
8. . . . . მან ჯაუხა?
9. . . . . სტუდენტარ ლიხ.

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

ჩასვით ვარ ზმნა შესაბამისი ფორმით:

1. მი . . . . . ერუემდ ლგზან.
2. ეჯა აწრ . . . . . ?
3. სი აწრ . . . . . ?
4. ნან სტუდენტარ . . . . .
5. ეჯაწრ რუსალ . . . . .
6. სი მამ . . . . . ექიმ.
7. ეჯა ინჟინერ . . . . .
8. მი მტუშუნან . . . . .

### 3. ჩვენება (ჩვენებითი ნაცვალსახელები)

- ალა მიშგუ ჯგმილ ლი, ეჯა მიშგუ უდილ ლი.
- ეს ჩემი ძმაა, ის ჩემი დაა.
- ალ დინა აზრ ლი?
- ეს გოგონა ვინ არის?
- ალა მიშგუ აფხნეგ ლი.
- ეს ჩემი ამხანაგია.
- ალ ბარგ იშა ლი?
- ეს ბარგი ვისია?
- ალა ალ ზურნლაშ ლი.
- ეს ამ ქალისაა.
- ალ ჩაფლარ იმე იჰუდი?
- ეს ფეხსაცმელი სად იყიდება?
- ალა ამერუ, ფედრას მახე მალაზია ლი ი ერე ოხუიყდ.
- ეს აქ, ახლოს ახალი მალაზიაა და იქ ვიყიდე.
- ამე იშა ფაყუ ხორიკ?
- აქ ვისი ქუდი ჰკიდია?
- ეჯ ფაყუ ნიშგუე მუშგურნშ ლი.
- ის ქუდი ჩვენი სტუმრისაა.
- ეჯ სტუდენტ მანგურდ ითური?
- ის სტუდენტი როგორ სწავლობს?
- ეჯნემდ სემი ტესტ ხოჩნემდ ადლრე.
- იმან სამი ტესტი კარგად დანერა.
- ამნემდ ანჯიდმა მიშგუტი ლაზრ?
- ამან მოიტანა ჩემი წიგნი?
- ამნემდ რუეულარ ანჯიდ.
- ამან რვეულები მოიტანა.
- ალ ჩაუუმ ჯაკუა ლიზი?
- ამ ცხენით გინდა წასვლა?
- ამნოუმუ ხეკუეს ოჩე.
- ამით უნდა წავიდე.
- ერნ გეზალი ანლრია?
- იმისი შვილიც მოდის?
- ადუ, ეჯაი ანლრი.
- კი, ისიც მოდის.

- ამი აფხნეგს მჷი ხაუხა?
- ამის ამხანაგს რა ჰქვია?
- ამი აფხნეგს გჷაშაყან ხაუხა.
- ამის ამხანაგს გვაშაყანი ჰქვია.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ნიმუში: ალ დინა ჯარ ლი? – ეს გოგონა ვინ არის? –  
ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დინას ("გოგონას")  
მაგივრად ჩასვით სხვა სიტყვები:

სინაქ – ქალიშვილი.

მახელჷაჷ – ახალგაზრდა კაცი.

მარე – კაცი.

ლჷაჷმარე – ვაჟკაცი.

მეჩი მარე – მოხუცი კაცი.

1. ეჯ . . . . . მიშგუი მეზუბელ ლი.
2. ალ . . . . . ისგუი ნათი ლია?
3. ალ . . . . . მიშგუი გიგჷ გეზალ ლი.
4. ეჯ . . . . . მიშგუი ხოშა ბაბა ლი.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეადგინეთ წინადადებები, ნიმუში: ალა მიშგუ აფხნეგ  
ლი. – ეს ჩემი ამხანაგია; აფხნეგის ("ამხანაგის") მაგივრად  
ჩასვით ქვემოთ მოყვანილი სიტყვები:

გეზალ – შვილი.

დი – დედა.

მუხუბე – ძმა (ძმისთვის).

ჯგმილ – ძმა (დისთვის).

ჩიჷე – სიძე.

ჭამ – ქმარი.

დაჩჷირ – და (ძმისთვის).

უდილ – და (დისთვის).

#### 4. კუთვნილება

- ალ ლაზარ ისგუ ლია?
- ეს წიგნი შენია?
- დესა, ალა მიშგუა (//მიშგუ) აფხნეგდ ლამდიანე.
- არა, ეს ჩემმა ამხანაგმა მათხოვა.
- ალ თუეფ იშა ლი?
- ეს თოფი ვისია?
- ალა მიშგუა ბუბშე ლი.
- ეს ბიძაჩემისაა.
- ალ სათ ისგუა ჯგემლშე ლია?
- ეს საათი შენი ძმისაა?
- ადუ, ალა მიშგუა ჯგემლშე ლი.
- კი, ეს ჩემი ძმისაა.
- ალ დინა ისგუ აფხნეგ ლია?
- ეს გოგო შენი ამხანაგია?
- ალ დინა მიშგუ აფხნეგ ლი.
- ეს გოგო ჩემი ამხანაგია.
- მან ხაუხა?
- რა ჰქვია?
- ქეთეჟან ხაუხა, გჟარდ იოსელიან ლი.
- ქეთეჟანი ჰქვია, გვარად იოსელიანია.
- მუშჟან ლია?
- სვანია?
- დესა, მუშჟან მამ ლი, იოსელიანარ ხჟან ლიხ, მარე მან შჟანარ მამ ლიხ. ხოშა ლალად ეჯარ ათხე ჟერხი თბილისს იზგეხ, ჟერხი ქუთაშ ი წყალტუბოს.
- არა, სვანი არაა. იოსელიანები ბევრნი არიან, მაგრამ ყველა სვანი არაა, უმეტესად ისინი ახლა ზოგი თბილისში ცხოვრებს, ზოგი ქუთაისსა და წყალტუბოში.
- იოსელიანარხან მი მასმა მწერალ ოტია იოსელიან, რეჟისორალ ლილი ი ოთარ იოსელიანარ.
- იოსელიანებისაგან მე გამიგონია მწერალი ოტია იოსელიანი, რეჟისორები ლილი და ოთარ იოსელიანები.
- ალარ ლგთერ ი ჟახირიან მარალ ლიხ, მარე ალარ შჟანარ მამ ლიხ, იმრჟთალ ლიხ.

- ესენი ცნობილი და სახელოვანი ადამიანები არიან, მაგრამ სვანები არ არიან, ესენი იმერლები არიან.
- ნანა იოსელიან ჯასმაისა?
- ნანა იოსელიანი გსმენია (გაგიგონია)?
- ადუ, ეჯა მეჭდრიგალი ლი, ჩემპიონ.
- დიახ, ის მოჭადრაკეა, ჩემპიონი.
- ეჯა მუშუან ლი.
- ის სვანია.

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

დაუკავშირეთ ერთმანეთს პირისა და კუთვნილების ნაცვალსახელები

ეჯა	მიშგუტი
ნანა	ისგუტი
მი	ეჯდარეშ
სი	მიჩა
სგანა	გუშგუტი
ეჯდარ	ისგუტი

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

დაუკავშირეთ ერთმანეთს კითხვა და პასუხი

- |                              |                           |
|------------------------------|---------------------------|
| 1. ალა იშა ლანარ ლი?         | მი კლასს ხუამშანე         |
| 2. იმე ხიზგე?                | ალა მიშგუ ლანარ ლი.       |
| 3. იმე ხამშანე?              | მი შუანს ხუიზგე           |
| 4. ალ ფაყუ ისგუა ჯგმლან ლია? | მიშგუტი უდილ კლასს ითური  |
| 5. იმე ითური ისგუტი უდილ?    | ალ ფაყუ მიშგუ აფხნეგიმ ლი |
| 6. ეჯა დარ ლი?               | მი ლიპარტელიან ხუტი       |
| 7. მანი გუარეშ ხი?           | ეჯა მიშგუ ბუბა ლი         |

## 5. მისალმება

- ხოჩა ლადელ!
- გამარჯობა!
- ხოჩაჲუ ჯარ!
- გაგიმარჯოს!
- მაგჲარდ (//იმჲი) ხარი?
- როგორ ხარ?
- იჲასუ ხარი, სი მაგჲარდ ხარი?
- გმადლობთ, შენ როგორ ხარ?
- მნ ხოჩამდ ხჲარი.
- მეც კარგად ვარ.
- ისგჲუ ჯგმილ ერ არდა ლეგდ, ათხე მაგჲარდ არი?
- შენი ძმა რომ ავად იყო, ახლა როგორ არის?
- იჲასუ ხარი, ათხე მწმ ხოჭირ.
- გმადლობთ, ახლა არა უშავს.
- სგაჲ მაგჲარდ ხარიდ?
- თქვენ როგორ ხართ?
- ნწ მწმ ნიჭირ.
- ჩვენც არა გვიშავს.
- ისგუ აფხნეგ სტუდენტარ მაგჲარდ არის?
- შენი ამხანაგი სტუდენტები როგორ არიან?
- ეჯარ მეჲარ ხოჩამდ არის.
- ისინი ძალიან კარგად არიან.
- პირჲელ (//მწნკჲი) ლექციაჲი იმლა დო ხარდას?
- პირველ ლექციაზე რატომ არ იყავი?
- ჩუწმგჲიანწწ, შუკჲ ლწსჲ ჩუ ლგკილ.
- დამაგვიანდა, გზა იყო ჩაკეტილი.

### მისალმება, დამშვიდობება.

ხოჩა ლადელ! – გამარჯობა!

ხოჩა ძინარ! – დილა მშვიდობისა!

ხოჩა ნწბოზ! – სალამო მშვიდობისა!

ხოჩამდუ ხარი! – კარგად იყავი!  
ხოჩა ლეთუ ჯარ! – ღამე მშვიდობისა!

- ხოჩა ძინარ! მაგჟარდ ხარი?
- დილამშვიდობისა, როგორ ხარ?
- ხოჩა ძინარ, ხოჩამდ.
- დილა მშვიდობისა, კარგად.
- სი მაგჟარდ ხარი?
- შენ როგორ ხარ?
- მიჩ ხოჩამდ.
- მეც კარგად.

- გიგა თამარ, ხოჩამდუ ხარი!
- დეიდა თამარ, კარგად იყავი!
- ხოჩა ლეთუ ჯარ!
- ღამე მშვიდობისა!

ლიზგე (ცხოვრება) ზმნა

- სი იმე ხიზგე?
- შენ სად ცხოვრობ?
- მი ხჷიზგე ჟიბე შჷანს, მულახს.
- მე ვცხოვრობ ზემო სვანეთში, მულახში.
- ისგუ აფხნეგ იმე იზგე?
- შენი ამხანაგი სად ცხოვრობს?
- მიშგუ აფხნეგ გორს იზგე.
- ჩემი ამხანაგი გორში ცხოვრობს.
- ისგუ უდილ იმე ლი ლუნჷრლე?
- შენი და სად არის გათხოვილი?
- მიშგუ უდილ ზანს ლი ლუნჷრლე.
- ჩემი და სამეგრელოშია გათხოვილი.
- ისგუ გიგა იმე იზგე?
- მამიდაშენი სად ცხოვრობს?
- ეჯა ქუთაშ, საფიჩხიაჟი იზგე.
- ის ქუთაისში, საფიჩხიაზე ცხოვრობს.

## 6. მისალმება და გაცნობა.

- ხოჩა ლადელუ ჯარ!
- გამარჯობა!
- ხოჩა ძინარუ (//ჰამუ) ჯარ!
- დილა მშვიდობისა!
- ხოჩა ნაბოზუ ჯარ!
- სალამო მშვიდობისა!
- ხოჩაჲ ჯარ! – გაგიმარჯოს!
- დეშ აჯგორ, ამეურა მამ ხეკუეს ხესე!
- ვერ გიცანი, აქაური არ უნდა იყო!
- მი ამეურა მამ ხუი, ჩუბე მუშუან ხუი ი მესტიას პირუელდ ხუარი.

- მე აქაური არ ვარ, ქვემო სვანი ვარ და მესტიაში პირველად ვარ.

- მამ გუარიშ ხი?
- რა გვარი ხარ?
- ონიან ხუი, ლიზა მაყხა.
- ონიანი ვარ, ლიზა მქვია.
- მახად ისტუ ლითერ, ონიანარ შუანს უახროიან გუარ ლი.
- მიხარია შენი გაცნობა, ონიანები სვანეთში 'ახელოვანი გვარია.

- სი მამ გუარიშ ხი?
- შენ რა გვარი ხარ?
- მი ნიყარაძე ხუი, ლელა ნიყარაძე, მუშუგუილ, მარე ათხე თბილისს ხუიზგე.

- მე ლელა ნიყარაძე ვარ, უშგულელი, მაგრამ ახლა თბილისში ვცხოვრობ.

- ნიყარაძეი უახროიან გუარ ლი ი ხუამ იზგე შუანს ი იშგნაგი.

- ნიყარაძეც სახელოვანი გვარია და ბევრი ცხოვრობს სვანეთში და სხვაგანაც.

- სი ჯითრამსა ხედუალე მუშუან ნიყარაძე?
- შენ იცნობ რომელიმე სვან ნიყარაძეს?
- პირადად მამ მითრა, მარე მასმა, შუანს ჩინ ხასმა ბესარიონ ნიყარაძე უახე.



- პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მსმენია, სვანეთში ყველას სმენია ბესარიონ ნიჟარაძის სახელი.

- ბესარიონ მიშგუი ხოშა ბაბა მუხტბე ლასუ ი მუჟარ ლქად ხუი ამნოჟმ. ეჯნემდ გაცხად ხუაი ანსყე შუანრე ლირდე-ლიზგე ი ლუშნუ ნინი ლათურად, ხუაი ჟუინელ შიჟმ ნაჟრალარ ეგჟმხუნე.

- ბესარიონი ჩემი ბაბუის ძმა იყო და მე ძალიან ვამაყობ ამით. მან მართლაც ბევრი გააკეთა სვანეთის ყოფაცხოვრების და სვანური ენის შესასწავლად, ბევრი ძველი ხელნაწერი შემოგვინახა.

- ამკალი ჟახირიან ხოშემი ლირდე ჩიმიშდ ლესამე ლი. მი მახად ისგუი ლითერ.

- ასეთი სახელოვანი წინაპრის ყოლა ყველსათვის სასიამოვნოა, მეც მიხარია შენი გაცნობა.

- მი ლამსაძენ.

- მეც მესიამონა.

- ალო, ხოჩამდე ხარი!

- აბა, კარგად იყავი!

- სი ხოჩამდე ხარი!

- შენც კარგად იყავი!

- ხოჩა გზაურობუ ჯარ!

- კარგი მგზავრობა გქონდეს!

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეადგინეთ მცირე ტექსტი სვანურად ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით:

- თამარ, გაიცანი, ეს ჩემი სკოლის ამხნაგია, გიორგი ფილფანი.

- გიორგი, გაიცანი ჩემი მეუღლე თამარი, ეს ჩემი შვილია, ოთარი.

- მე ვიცნობ გურამ ფილფანს, თქვენი ნათესავია?

- დიახ, ჩემი ნათესავია.

- როგორ არის?

- ძალიან კარგად.

- სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

მან გუაროშ ხი? - რა გვარი ხარ?

- მან გუაროშ ხი?

- რა გვარი ხარ?

- ში ხუი მარგიან.

- მე ვარ მარგიანი.

- ისგუი (//ისგუ) ხეხუ მან გუაროშ ლი?

- შენი ცოლი რა გვარია?

- მიშგუი (//მიშგუ) ხეხუ ჯაფარიძე ლი, მარე მუშუან მან ლი, მგ-  
რაჭუ ლი.

- ჩემი ცოლი ჯაფარიძეა, მაგრამ სვანი არ არის, რაჭ-  
ველია.

- ისგუემგე მან გუარი ხალხ იზგეხ?

- თქვენთან რა გვარის ხალხი ცხოვრობს?

- ნიშგუემგე ხუნა ხონა გუარი ხალხ იზგეხ.

- ჩვენთან ბევრი კარგი გვარის ხალხი ცხოვრობს.

ლიხუიე - შეხვედრა

- ხონა ლადელ!

- გამარჯობა!

- ხონაჟ ჯარ!

- გაგიმარჯოს!

- მაგუარდ ხარი? ხუნა ხან ლი, მან მინუნა.

- როგორ ხარ? დიდი ხანია არ მინახიხარ.

- ჟომეხ, ალა მიშგუ სოფელხან ლი - იფარხან, სოზარ  
პირუელ.

- ვამეხ, ეს ჩემი სოფლიდანაა - იფარიდან, სოზარ  
პირველი.

- მი მითრა გეგი პირუელ, ისგუ ნთი ლია?

- მე ვიცნობ გეგი პირველს, შენი ნათესავია?

- ადუ, მიშგუ ნთი ლი.

- კი, ჩემი ნათესავია.

- ქა ერ ხენდენი, ლიკჰუნლ ხუნა მიშგუახან.

- როცა ნახავ, ჩემგან მოკითხვა გადაეცი (უთხარი).

- ხონამელუ ხარი!

- კარგად იყავი.
- ხოჩამდ.

ლითერ: მითრა - ხუთრა - გაცნობა:  
ვიცნობ, მიცნობს

- მი ალ მარე ჩუ მითრა.
- მე ამ კაცს ვიცნობ.
- სი ჯითრამა გირშელ?
- შენ იცნობ გირშელს?
- დესა, დესა მითრა.
- არა, არ ვიცნობ.
- ჯიხამა, ერე გუშგუე მულარს უშხუარ ხოთრახ?
- იცი, რომ ჩვენი მამები ერთმანეთს იცნობენ?
- ადუ.
- დიახ.
- ძღღ ხან ლი, ერე ვახტანგს ელისაბედ ხოთრადა?
- დიდი ხანია, რომ ვახტანგი ელისაბედს იცნობს?
- ეუში-ეუში ძღღ ხან მამ ლი, მარე ეშხუდ ხოჩამდ პრის.
- მაინც და მაინც დიდი ხანი არაა, მაგრამ ერთად კარგად არიან.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

თარგმნეთ სვანურიდან ქართულად

- ალ დინა აჩრ ლი, მეტარ მაკუ(ჩ) ამნ ლითერ.
- ალა მიშგუი აფხნეგ ლი.
- ლუნუნლე ლია?
- დესა, უნუნლა ლი.
- მეტარ ხოჩა თტალაშ დინა ლი, მასამ.
- ჯითორონდეს, ალას ხაჟხა რუსუდან.
- რუსუდან, ალა ნოფე გუარლიან ლი, თელდ შუანისგა ჟახირიან მარე.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეარჩიეთ და თარგმნეთ ზმნის შესაბამისი ფორმა

1. გივი მი მამ (არ მეცნობა, არ ვიცნობ).

2. ლწთ ეშხუი დწნა (გავიცანი), მეუარ ხოჩა თუალშ ლასუ.
3. ალ დწნა ლუნთური (იყო) შუანს.
4. მეუარ მაკუ ისგუი უდლს (გაცნობა).
5. მი (ვიცნობ, მეცნობა) ისგუ ბუბუგეზალ ილიკო.
6. სი (იცნობ) მიშგუ დის.
7. ისგუ აფხნეგ (იცნობს) მიშგუ დის.

7. ლი – არის, ლასუ – იყო, ირა – იქნება;  
 დუსა(// მამ)ლასუ – არ ყოფილა

- დედე, იმე ხარდს?
- დედა, სად იყავი?
- მალაზიას ხუარდს.
- მალაზიაში ვიყავი.
- ალ ლგლგრტამი მალაზიას ვხიყდ?
- ეს ბოსტნეულიც მალაზიაში იყიდე?
- დუსა, ეჩანლო ბაზარს ხუარდს.
- არა, მერე ბაზარში ვიყავი.
- სი ლექციაჟი ხარდსმა?
- შენ ლექციაზე იყავი?
- ხუარდს.
- ვიყავი.
- ისგუ აფხნეგ ნანა არდამა ლექციალჟი?
- შენი ამხანაგი ნანა იყო ლექციებზე?
- ნანა სოფელს ლგმარდ ი ჩუალმგცხანელი.
- ნანა სოფელში ყოფილა და გაცივებულა.
- ალ ნაგზას დრუ მამ ირდი.
- ამ კვირას ალბათ არ იქნება.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი

თარგმნეთ სვანურიდან ქართულად:

1. იმე ხარი? – კინოს ხუარდს, ათხე ქორს ხუარი.
2. ლწთ იმე ხარდს? – ლწთ სოფელს ხუარდს.
3. ლწთ ბადრი არდამა კლასს? – ვდუ, არდა.

4. **მარ** ლასტუხ ეჯამარ? – ეჯამარ მიშგუ აფხნეგარ ლასტუხ.
5. დოშდიშ ქორს ხირდიმა? – **ნდუ**, ქორს ხუირდი.
6. მებარ უნივერსიტეტს ხუირდი ი ერატუ ამიჯ ალ ლამარ.
7. შომა ირდი ქორს გიერგ? – უოხუიშდ სნათუი ირდი.
8. იორი სნათუი სამსახურს ხუირდი, ქა ეხზალაშ მიშ-  
გუშთე.

9. ათხე ლუგუიანე ლი.
10. ბაზი ნან მამ ხუირდიდ ქორს.
11. ბაზარს ხარდასა? – დესა, იშგნაგ ხუარდას.
12. შუანს შომა ხარდას? – იორი ზან ლი, დესა მირდა.
13. მანუმ ხან ლი, თეატრს მამ ჯირდა? – ძღელ ხან მამ

ლი.

14. სგან ჯირდახმა მიშგუა მახე ქორს? – დესა ნირდა.
15. მიშლადეღ ქორს ხუირდი, ჳედნიმა? – **ნდუ**,  
მეხიადარი.

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ჩასვით წინადადებაში შემდეგი ზმნები: ხუი (ვარ), ხი (ხარ), ლი (არის), არი (არის); ხუარდას (ვიყავი), ხარდას (იყავი), არდახ (იყვენენ); ხუირდი (ვიქნები), ხირდი (იქნები), ირდი (იქნება).

1. ლნთ აფხნეგმეყ (ამხანაგთან), აფხნეგცახან (ამხ-  
ანაგთან ერთად) . . . . .
2. მაღაზიას . . . . . ი თანშ ოხუიყდ (ვიყიდე).
3. ლადი აგის . . . . .
4. მიშგუ ლაჟდილა ლნთ თეატრს . . . . .
5. მი სტუდენტ . . . . .
6. სი უომა ლგზან . . . . . ?
7. შომა . . . . . შუანს
8. იმე . . . . . ისგუ დედე?

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

უპასუხეთ კითხვებს:

1. იმე ხარდას ამზატ?
2. ათხე იმე ხარი?
3. იმე ხირდი დოშდიშ?

4. აწრ ლი ისგუ აფხნეგ?
5. ინსტიტუტს ხარდასმა?
6. დეარ პრიმა ქორს?
7. იმე პრი ისგუ უდილ?

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

თარგმნეთ ქართულიდან სვანურად შემდეგი დიალოგი:

- ეს ვისი სურათია?
- ეს ჩემი ამხანაგის სურათია.
- შენი ამხანაგი სტუდენტია?
- დიახ, ჩემი ამხანაგი სტუდენტია.
- რა ჰქვია შენს ამხანაგს?
- ჩემს ამხანაგს გიორგი ჰქვია.
- რა გვარია?
- კარგი გვარი აქვს - პირველი.
- ახლა სადაა შენი ამხანაგი?
- თბილისშია.
- წელს მოდიხარ სვანეთში?
- კი, ჩემს ამხანაგთან, გიორგისთან ერთად მოვდივარ, ის ალპინისტია.
- კარგად იყავი!
- კარგად.

### ჟ ო შ ა ლ გ ზ ა მ ხ ი - რ ა მ დ ე ნ ი წ ლ ი ს ხ ა რ ?

- სი ჟოშა ლგზამ ხი?
- შენ რამდენი წლის ხარ?
- მი ჟერჟემდ ლგზამ ხჟი.
- ისგუ დარჟირ ჟოშა ლგზამ ლი?
- შენი და რამდენი წლისა არის?
- ეჯა მარჟ თჟეუნლო ჟეშდიშგჟიდიშ ირი.
- ის ორი თვის შემდეგ ჩვიდმეტის იქნება.
- ისგუ დი ი მუ ჟოშა ლგზამ ლიხ?
- შენი დედა და მამა რამდენი წლისანი არიან?
- მუ მიშგუ დიემდ ჟოხჟიშდ ზაჟშჟუ ხოშა ლი.
- მამა დედაზე ხუთი წლით უფროსია.

- მი ი მიშგუ გიგა გეზალ ლაცლა ხუიშდ.
- მე და ჩემი დეიდაშვილი ტოლები ვართ.
- მი ი მიშგუ მუხუბუ ნატყუბარ ხუიშდ.
- მე და ჩემი ძმა ტყუპები ვართ.

კითხვითი სიტყვები:

ძარ? - ვინ?

მამ? - რა?

იმე? - სად?

შომა? - როდის?

ჟომა? - რამდენი?

ხედა? - რომელი?

იმაკალიბ? (/მაკალიბ?) - როგორი?

სავარჯიშო

თარგმნეთ სვანურიდან ქართულად შემდეგი წინადადე-  
ბები:

1. - ძარ ლი ჯუმბერ კახიან?  
- ეჯა ბგვი ალპინისტ ლი, მუშუნ.
2. - ალა მამ ლი?  
- ალა ჩაფრასტ ლი.
3. - მაკალიბ ძარ ირა მგხარ?  
- მგხარ მუფხე ირა.
4. - იმა ლი ალ თუეთნე მანქანა?  
- ალა მიშგუ ბუბაშ ლი.
5. - იმმა მაცალ ჯარ სი მარე?  
- მაცალუნი, ხოლა შუკუ ლი.

სიტყვების ახსნა:

ძარ - ამინდი.

მგხარ - ხვალ.

თუეთნე - თეთრი.

მაცალ - შიში.

მუფხე - მოწმენდილი ცა.

ბგვი - მაგარი.

## სავარჯიშო

უპასუხეთ კითხვებს:

1. ალ სურათი ხედა ლი ისგუი ბუბა? . . . . .
2. ეჯ მარე ისგუი მეზუბელ ლია? . . . . .
3. მიშგუ ლარ სი ჯულუაა? . . . . .
4. ჟომა სნთუი გუებნი ლექცია? . . . . .
5. გუშგუე აფხნეგარ იმე არის? . . . . .
6. ალ ზურნლ მარ ლი? . . . . .
7. ჟომა მარე ათნიჰ ისგუა ლახადლუი? . . . . .
8. ძინარს ჟომა სნთუი ხიგნალ? . . . . .

სიტყვების ახსნა:

ლიბნე – დანყება (ანბინან – დაინყო).

ლინჰი – დაპატიუება.

ლახადლ – ლხინი (დღეობა).

ძინარ – დილა.

ლიგნე // ლიგნალ – ადგომა.

## სავარჯიშო

პასუხების მიხედვით შეადგინეთ კითხვები:

1. . . . . იუასუ ხარი, ხოჩამდ.
2. . . . . მეუარ ხოჩა ლი.
3. . . . . ეჯა შუანს არდა.
4. . . . . საფტინს აღჩედდ.
5. . . . . მიშგუი მეზუბელ ლი.

## 8. დრო

მამ ლადელ ლი – რა დღეა?

– მამ ლადელ ლი ლადი?

– რა დღეა დღეს?

– ლადი მიშლადელ ლი, ეშდარა მარტი.

– დღეს კვირაა, თვრამეტი მარტი.

– თახშ ხედა შელდ ლი?



- სამშაბათს რა რიცხვია?
- თახშ ერჷემდ მარტ ლი.
- სამშაბათს ოცი მარტია.
- მგზარეჩხან აღჩედდ კინოთე.
- ზეგ ნავიდეთ კინოში.
- მი ლათ ხჷარდას კინოს.
- მე გუშინ ვიყავი კინოში.

**შომა? - როდის?**

- ისგუ დი შომა ჳედნი მესტიწხან?
- დედაშენი როდის ჩამოდის მესტიიდან.
- საფტინ ლადელ ჳედნი.
- შაბათს ( შაბათ დღეს) ჩამოვა.
- ნა შომა აღჩედდ შჷანთე?
- ჩვენ როდის ნავიდეთ სვანეთში?
- ზაჷლადელ აღჩედდ.
- ზაფხულში ნავიდეთ.
- ქორს შომა ხირდი, სგა ერ აჯზალწლა?
- სახლში როდის იქნები, რომ შემოვიარო?
- ლადი ქორს ხჷირდი, მარე მწდ მიჷიბ, სემინარ მარ ლემარე; მგზარ ჳილლი.
- დღეს სახლში ვიქნები, მაგრამ არ მცალია, სემინარი მაქვს მოსამზადებელი, ხვალ გელოდები.

**საათი (რომელი საათია?)**

- ათხე მაჲ დრეჷ ლი?
- ახლა რა დროა?
- ჷომა (ხედა) სათ ლი?
- რომელი საათია?
- ჷოხჷიმდ სათ ლი, ხომა ტკიცდ, ჷოხჷიმდს ხოკლი სემი წუთ.
- ხუთი საათია, უფრო ზუსტად, ხუთს აკლია სამი წუთი.
- იშჷიდში ხგნსგაჷი ონჷედენი ისგჷათე.

- შვიდის ნახევარზე მოვალ შენთან.
- სემიშ ეშდ ნუთ ლი.
- სამის ათი ნუთია.
- მიშგუ სათ ხოჩამდ ამშაჟე.
- ჩემი საათი კარგად მუშაობს.
- მიშგუ სათ უოხუიშდ ნუთუშ სგუებდ არი.
- ჩემი საათი ხუთი ნუთით წინაა.
- მიშგუ სათ უეშგდ არი.
- ჩემი საათი უკანაა.
- მიშგუ სათ ჩუალჩერუელი.
- ჩემი საათი გაჩერებულა.

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

თარგმნეთ და ჩასვით სწორი ფორმით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები.

1. .... თეატრთე ესლური (შაბათი შვიდი საათი).
2. ....ლეშუმინედ შუანთე ლური (გაზაფხული).
3. ....ქორს ხუირდი (დღეს საღამოს).
4. ....ტელევიზორისა ხოჩა კინო ლი (ცხრა საათი).
5. ....ლექციაჟი ხუარდჳს (დილა ათი საათი).

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

უპასუხეთ კითხვებს:

1. შომა ლი ისგუ ლათუა ლადელ (დაბადების დღე)?  
.....
2. იმე ხი ლგთნე (დაბადებული)? .....
3. ლითურის შომა ხაზგერე (ამთავრებ)? .....
4. ხედა ზაჳსა ლი ლგთნე ისგუი უდილ? .....
5. იმე არდა ისგუი აფხნეგ ლუნთური? .....

*ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო*

ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვებიდან მართებულ ფორმა:

1. .... ქორს მამ ხუირდი (ლათ/მგხარ).
2. ....ლექციანთე მამ ოდე (ლათაზხუნკუი/მგხარ).
3. ....იმ ხაშდბა (მგხარეჩხან/ლათ).

4. . . . . ნაბოზს იმე ხარდას (მეხარ/ლათ).
5. . . . . მიშგუთეთ ალე ი აშხუდ აღჩედდ (მეხარ/ლათ).
6. . . . . მიშგუ უდილ კინოს არდა (მეხარეჩხან/ლათ).

სიტყვების ახსნა:

- ლიშდაბ – კეთება.
- ნაბოზ – სალამო.
- მეხარეჩხან – გუშინნინ.
- აშხუდ – ერთად.

### დაბადება

- ხედა ზაჲსა ხი ლეთნე?
- რომელ წელს ხარ დაბადებული?
- მი ხუი ლეთნე ათას ჩხარაშირ არწმღჩხარა (1989) ზაჲსა.
- მე ვარ დაბადებული ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა (1989) წელს.
- ისგუ ჯგმილ შომა ლი ლეთნე?
- შენი ძმა როდისაა დაბადებული?
- ეჯა ათას ჩხარაშირ არწმღჩხარა (1987) ზაჲსა.
- ის ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდ წელს.
- ისგუ მუ ი დი ხედა ზაჲსა?
- მამაშენი და დედაშენი რომელ წელს (როდის არიან დაბადებულები?)
- მიშგუ მუ ათას ჩხარაშირ უსგუჲშდს (1960), დი ათას ჩხარაშირ უსგუჲშდსემის (1963).
- მამა ათას ცხრაას სამოც წელს (1960), დედა ათას ცხრაას სამოცდასამს (1963).

### 9. ქონა- ყოლა

- სი დრ-მუ ჯაყამა?
- შენ დედ-მამა გყავს?
- ადუ, დი ი მუ ერქგდა მყა.
- კი, დედა და მამა ორივე მყავს.
- სი ჯაყამა წაშ?

- შენ ქმარი გყავს?
- მი ჩიქე მამ ხუი ლუნჟილე.
- მე ჯერ არ ვარ გათხოვილი.
- ისგუა ჟდილს ხაყამა ჭამ?
- შენს დას ქმარი ჰყავს?
- მიმგუ უდილ უნჟილა ლი, მარე ლექშერი ჩუ ხაყა ი ხემარაღლს ქჟერნილიმდ.
- ჩემი და გაუთხოვარია, მაგრამ საქმრო ჰყავს და ემზადებიან ქორნილისათვის.
- ისგუა ჯგმილს ხაყაჲსა ხეხუ?
- შენს ძმას ცოლი ჰყავს?
- ლდუ, ეჯას ჩუ ხაყა ხეხუ.
- კი, მას ჰყავს ცოლი.

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

თარგმნეთ ქართულიდან სვანურად:

1. მე მყავს საქმრო.
2. შენ გყავს საცოლე.
3. მას ჰყავს ქალიშვილი.
4. ჩვენ გვყავს ბევრი მეგობარი.
5. თქვენ გყავთ კარგი ძეზობლები.
6. ჩვენს მეზობლებს კარგი შვილები ჰყავთ.

მ ა ლ ჟ ა ნ - ქ ო ნ ე ბ ა , ლ ი ლ ჟ ე ნ ე - ქ ო ნ ა .

- კალამ ჯულჟამა?
- კალამი გაქვს?
- ლდუ, მულჟა.
- კი, მაქვს.
- გიორგის ლუშნუ ლექსიკონ ხულჟუნსა?
- გიორგის სვანური ლექსიკონი აქვს?
- დესა, მამ ხულჟა.
- არა, არ აქვს.
- ლადი ჟოშა გაკჟეთილ გულჟა (//გჟარ)?
- დდეს რამდენი გაკვეთილი გვაქვს?
- ლადი ნამ ჟოხჟიმდ ლექცია გჟარ.

- დღეს ჩვენ ხუთი ლექცია გვაქვს.
- გუშინვე კურსელწარს მახე ლწარწლ ხულწახ.
- ჩვენს კურსელებს ახალი ნიგნები აქვთ.

**ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო**

თითოეული წინადადებისათვის შეარჩიეთ მალწწწწ - ქონება, ლილწწწწწ - ქონა ზმნის სწწწწწ ფორმა: მულწწწ (მაქვს), ჯულწწწ (გაქვს), ხულწწწ (აქვს), ნულწწწ // გულწწწ (გვაქვს), ჯულწწწახ (გაქვთ), ხულწწწახ (აქვთ) ფორმებიდან.

1. მწმ ჳწწწწწწ, დრეწწ მწმ . . . . .
2. მიშგუ მეზწწწწწლს ხომა ქორ . . . . .
3. სგწწ მამგწწწწრ ჳწწწწწ . . . . .
4. სი ხორწა ლერეწწწწ . . . . .
5. ეჯწწწწწრს ხორწა დამწწწწ . . . . .
6. ნწწ მეწწწწწრ ხორწა ჳწწწწწ . . . . .

**ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო**

თარგმნეთ ქართულიდან სვანურად:

1. თქვენ კომპიუტერი გაქვთ?
2. რამდენი სული ხართ თქვენ ოჯახში?
3. რამდენი ოთახი აქვს თქვენს ბინას?
4. როდის იყიდე ახალი ტანსაცმელი?
5. საუზმედ რა გვაქვს ამ დღით?

**ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო**

ჩასვით მაცა ("მყავს") ზმნა შესაფერისი პირის ფორმით:

1. სი ქორს ყელ . . . . .
2. ნწწ მახე ლექტორ . . . . .
3. ჟომა გეზალ . . . . . ?
4. ეჯწწწწწრს ჟომა სტუდენტ . . . . . აუდიტორიასგა?
5. სი ლექწწწწწერი . . . . . ?
6. ეჯწწწწწრს ჟომა ფირწწ . . . . . ?
7. მი ხწწწწწწწ ნწთი . . . . .
8. თამარს დწრ . . . . . ქორს?

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ჩასვით მირი ("მყავს") ზმნა სწორი ფორმით

1. ლწთ მუშგურნი . . . . . ეჯლა დეშ ოლტურ.
2. სი ციცუტ დამ . . . . . ათხე მამ . . . . . ?
3. ამუნლო ზურაბს ხეხუ . . . ი ლაზგად იშგნაგთე ლერი.
4. აღ ზურაღლს ჭაშ დემჩიქ . . . . .
5. მიშგუა ჯგმილს ხოჩა აფხნეგ . . . . . ეჯიარ ხომურ-

ჯუთიხ.

6. ნინო ი გიორგი ეშხუ ზაღ ლი ხეხუ-ჭაშ ლიხ, მარე გეზალ ჩიქე მამ . . . . .

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა :

- ნათი – ნათესავი.
- მუშგური – სტუმარი.
- ჟელ – ძალლი.
- ლეჭშგრი – საქმრო.
- ფირუ – ძროხა.
- ციცუ – კატა.
- იშგნაგ – სხვაგან.
- ლიზგე – ცხოვრება.
- დემჩიქ – არასდროს.
- ლიმურჯუთი – დახმარება.
- მარე – მაგრამ.
- გეზალ – შვილი.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო :

მაყა (მყავს), მულუა (მაქვს)

დაალაგეთ რომელთან იხმარება ქონა და რომელთან ყოლა ზმნა.

- ჟელ . . . . .
- მანქანა . . . . .
- კომპიუტერ . . . . .
- ტელეფონორ . . . . .
- გიგა . . . . .
- ჟაგარ . . . . .
- ფირუ . . . . .

ლაზრ . . . . .  
ხოშა დედე . . . . .  
ჩაჟუ . . . . .  
ჯან . . . . .

სიტყვების ახსნა:

ჯან – ხარი.  
ჩაჟუ – ცხენი.  
ლაზრ – ნიგნი.  
ხოშა დედე – დიდედა.  
ჟაგარ – ნამალი.  
გიგა – დეიდა, მამიდა, ბიცოლა

## 10. მახალ – ცოდნა, მიხალ – ვიცი.

- ციოყს ხოხალმა ლურსუ ნინ?
- ციოყმა იცის რუსული ენა?
- ჯდუ, ციოყს ეზარდ ხოხალ ლურსუ ნინ.
- კი, ციოყმა კარგად იცის რუსული ენა.
- ნინოს ხედა ნინ ხოხალ ლურსუნქა?
- ნინომ რომელი ენა იცის რუსულის გარდა?
- ეჯას გერმანულნი ხოჩამდ ხოხალ.
- იმან გერმანულიც კარგად იცის.
- სი ჯიხამა ინგლისურ?
- შენ იცი ინგლისური?
- ინგლისურ მი ხოჩამდ მამ მიხალ, ათხე ხუითუერი.
- ინგლისური მე კარგად არ ვიცი, ახლა ვსწავლობ.
- ლუშნუ ნინ ჯიხამა?
- სვანური ენა იცი?
- ლუშნუ სურუ გარჯ ნინ ლი, მარე ეში ხუაპირე ლი-თუერის.
- სვანური ძალიან ძნელი ენაა, მგრამ მაინც ვაპირებ სწავლას.
- მახე ამბაჟუ ჯიხამა?
- ახალი ამბავი იცი?

- მამა ამბავს?
- რა ამბავი?
- მუშინი დინა ოთცხუაპახ მელხარს.
- მუშინის ქალიშვილი მოუტაციათ მულახელებს.
- უი, ალა მამა მქეა?!
- უი, ეს რა მითხარი?!

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო :

მიხალ (ვიცი), ჯიხალ (იცი), ხოხალ (იცის)

“ვიცი” ზმნასთან სწორად დასვით სახელები

1. . . . . ხოჩამდ ხოხალ ლუშნუ ნინ.
2. . . . . მამ ხოხალდაა, მი ერ ისგუამეც ხუ-არდას?
3. . . . . ხოხალმა შომა ლი მიშგუა უდლა ქუერნილ?
4. . . . . სემი თუეისა ხოჩამდ ხეხლი ლურსუ.
5. . . . . ჯიხალმა, ბაზი კინოთე ერ ელდრიდ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

უპასუხეთ კითხვებს:

1. სი ხედა ნინ ჯიხალ?
2. ისგუა აფხნეგს ხედა ნინ ხოხალ?
3. ეჯას ხოხალმა ლუშნუ ნინ?
4. სი ინგლისურ ჯიხალ ჰა გერმანულ?
5. ისგუა დის ლუზნუ ხოხალმა?

## 11. ლითური – სწავლა

- იმე ხითური?
- სად სწავლობ?
- მი ხუითური უნიუერსიტეტისა ჰუმანიტარულ ფაკულტეტში.
- მე ვსწავლობ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე.
- ისგუ დაჩური ხედა კლასისა არი?
- შენი და რომელ კლასშია?



- ეჯა მეუხუიშდე კლასს არი.
- ის მეხუთე კლასშია.
- სი შომა ხაზგერე ლითურის?
- შენ როდის ამთავრებ სწავლას?
- მი ზაუდ ხუაზგერე, მარე ერანლო მაგისტრატურაშო მაკუ ლიბრანე, კონკურსისა ემნოშ ოდრი.
- მე მომავალ წელს ვამთავრებ, მაგრამ მერე მაგისტრატურაში მინდა ჩაბარება, თუ კონკურსში გავედი.

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

თარგმნეთ ფრჩხილებში მოცემული ზმნები სვანურად.

1. ისგუ უდილ ხედა კლასს (ამთავრებს)?
2. ნაჲ სტუდენტარ ხუიშდ, უნიუერსიტეტს ზაუდ (ვამთავრებთ).
3. სი ხედა ფაკულტეტყი (სწავლობ)?
4. ისგუ ნათი დინა იმე (სწავლობს)?
5. ისგუ ჯგმილ უნიუერსიტეტისა ერ (სწავლობდა), ათხე იმე ამშანე?
6. სი ლითურის შომა (ამთავრებ)?
7. მი ზაუდ (ვამთავრებ) მაგისტრატურას.

**12. ლიქუ // ლიქუნსგ // ლიყლე - თქმა**  
**ლიტული - დაძახება, ხატული // ხაყლე - ეუბნება,**  
**ლიგერგალი - ლაპარაკი.**

- აჲს ხეგერგაღდას?
- ვის ელაპარაკებოდი?
- მიშგუ ნათის ნიშგუე აფხნეგომ ლინუილალი გუეშს ხუ-აყლას.
- ჩემს ნათესავს ჩვენი ამხანაგის გათხოვების ამბავს ვუყვებოდი.
- იმ ხუქუნი მასნაულებელს, იმლა დო ხარდას კლასს?
- რას ეტყვი მასწავლებელს, რატომ არ იყავი სკოლაში?
- ხუქუნი, ერე ლეგდ ხუარდას.
- ვეტყვი, რომ ავად ვიყავი.

- დალი იმ ხნექუნნი, ერ მამ არდა?
- დალი რას ეტყვის, რომ არ იყო?
- ეჯა ხნექუნნი, ერე სოფელს ლოქ არდა.
- ის ეტყვის, რომ სოფელში იყო.
- მამ ხნექა ისგუ დის?
- რა უთხარი დედაშენს?
- მი ტვიც ხუექა მიშგუ დის.
- მე სიმართლე ვუთხარი დედაჩემს.
- ხნექუმეა ისგუა ბუბზ გეზალდ მიჩა მუს, იმჟი ლასჟ

გუქუმ?

- უთხრა შენმა ბიძაშვილმა თავის მამას, როგორ იყო საქმე?

- დესა ხოქუა ჩიქე.
- არ უთქვამს ჯერ.
- იმლა მამ ხოქუა?
- რატომ არ უთქვამს?
- ხოშგურ ი ეჯლა.
- რცხვენია და იმიტომ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

თარგმნეთ და გაეცით პასუხი შეკითხვებზე

1. იმ ხაყლე (/ხატული) ისგუა (/ისგუ) დის?
2. იმ ხნექუნნი მგხარ მასნაჟლებელს?
3. მამ ხნექა ლათ ისგუა აფხნეგს?
4. მამ მრმ ჯიქუა ისგუა ლელატდ?
5. ბაზი იმ ხნექუნნი ისგუა მუს?

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ჩასვით წინადადებაში შესაბამის ადგილას "თქმა" ზმნის შემდეგი ფორმები: **ხუაყლე** (ვეუბნები), **ხაყლე** (ეუბნები), **ხუაქუა** (ვუთხრა), **ხუექუნნი** (ვეტყვი), **ხუექა** (ვუთხარი), **დესა მიქუა** (არ მითქვამს).

1. დედეს ტვიც დემ . . . . .
2. მგხარ ხეკუეს . . . . . მიშგუა მუს, ერჟ შუანთე ესლჟრი.
3. მამ . . . . . ისგუა ბუბზ გეზალს?

4. მი ფიქრამინ . . . . . ერე გუნ მალატი.
5. მეტარ მაკუ . . . . . მზგ მიჩა ქორშალს.
6. მიშგუ დიემდ დესა . . . . . ლეგდ ერ ხუარი.

*სიტყვების ახსნა:*

ტვიც – სიმართლე.

ესლური – მივდივარ.

ქა ხეკუეს ხუაქუა – უნდა ვუთხრა.

ფიქრამინ – ხშირად.

ქორშალ – ოჯახის წევრები.

ლეგდ ლირდე – ავად ყოფნა, ავადმყოფობა.

### 13. ლიზი-ლიჩედ – სვლა და მიმართულება.

- ამზაჟ იმთე ესლრი?
- წელს სად მიდიხარ?
- შუანთე ესლური.
- სვანეთში მივდივარ.
- ლიგურკეჟი ხირდიმა ერე?
- კვირიკობაზე იქნები იქ?
- იმჟი მრმა, ერანლო ემხუი ნაგზაისგა უშგულს ლიუსხუ-  
არი ლი ი ერაჟი მაკუ ლიზი.
- როგორ არა, მერე ერთ კვირაში უშგულში ლიუსხ-  
ვარი არის და იქაც მინდა წასვლა.
- სი მამ ესლრია ლიგურკეთე?
- შენ არ მიდიხარ კვირიკობაზე?
- მი მამა, დემ ესლური, ხომა დედემთე ესლური  
სოფელთე.
- მე არა, ვერ მივდივარ, ბებიასთან მივდივარ სოფელში.

*ოდერ – ნავედი.*

- სი ადერმა ლათ გურამიშთე?
- შენ გუშინ გურამთან ნახვედი?
- ოდერ, მარე ქორს მამ ემხუილ.
- ნავედი, მაგრამ სახლში არ დამხვდა.

ოდრი - ნავალ.

- მგზარ ღვრიმა უნიჭერსიტეტთე?
- ხვალ ნახვალ უნივერსიტეტში?
- მგზარ ეში-ეში ოდრი.
- ხვალ უსათუოდ ნავალ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ჩასვით წინადადებაში შესაბამის ადგილას მოცემული ზმ-  
ნები: **ესლური** (მივდივარ), **ანჯად** (მოვიდა), **ღვრი** (მიდის), **ადრი**  
(ნავა), **ოდრი** (ნავალ), **ესლრი** (მიდის), **ესლრიხ** (მიდიან), **ესლ-  
რიდ** (მიდიხართ), **ანჯდენიხ** (მოვლენ), **ამეკედელი** (მოსულა).

1. მი ამზაუ შუანთე . . . . .
2. ლათ უნიჭერსიტეტთე დეშ . . . . .
3. მგზარ სგაჲ . . . . . ლექციათე?
4. ლადი მიშგუა გიგაგეზალ კინოთე . . . . . ერანლო  
მიშგუანთე . . . . .
5. იმთე . . . . . ბაზი?

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეადგინეთ წინადადებები ქვემოთ მოცემული სიტყვე-  
ბის გამოყენებით:

1. **ესლური** (მივდივარ) . . . . .
2. **ონლური** (მოვდივარ) . . . . .
3. **ანჯად** (მოვიდა) . . . . .
4. **აჩადხ** (ნავიდნენ) . . . . .
5. **ადრიხ** (ნავლენ) . . . . .
6. **ანლრი** (მოდის) . . . . .
7. **დეს'** **ამეჩედ** (არ ნასულა) . . . . .
8. **მამ აჩად** (არ ნავიდა) . . . . .
9. **ჯედნი** (მოვა) . . . . .

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

უპასუხეთ კითხვებს:

1. სი იმთე ესლრი მიშლადელ? . . . . .
2. ძარ ანჯად ლათ ისგუანთე? . . . . .
3. იმთე ესლრი მგზარეჩხან? . . . . .

4. **აწრ ანღრი ისგუტაცახან?** . . . . .
5. **იმაუ აჩანდ ისგუ აფხნეგ?** . . . . .
6. **იმთე ჯაკუ ლიზი ამზაუ?** . . . . .

**ლიზი - სელა.**

- **მი ისგუთე ლიჯედ მაკუ ლადი, ქორს ხირდიმა?**
- **მე შენთან მოსვლა მინდა დღეს, სახლში იქნები?**
- **აღუ, ქორს ხტირდი.**
- **კი, სახლში ვიქნები.**
- **ლათ მიშგუ პევი მეყანდ მუშგურიდ ი ეჯლა დეშ ოლჟე.**
- **გუშინ ჩემი ნათლია მყავდა სტუმრად და იმიტომ ვერ**

მოვედი.

- **ლადი ნაბოზს ეში-ეში ონჯუდენი.**
- **დღეს სალამოს აუცილებლად მოვალ.**
- **იმთე ესლრი მგხარ ნაბოზს?**
- **სად მიდიხარ ხვალ სალამოს?**
- **მგხარ კინოთე მიპირა ლიზი, სი ჯაკუმა ლიჯედ?**
- **ხვალ კინოში ვაპირებ წასვლას, შენ გინდა კინოში წა-**

მოსვლა?

- **მაკუ, აშხუდ (//უშხუდ) აღჩედდ.**
- **მინდა, ერთად ნავიდეთ.**
- **მიშლადელ გამოფენათე ლგრიმა?**
- **კვირას გამოფენაზე ნახვალ?**
- **მამ მიხალ.**
- **არ ვიცი.**
- **ლათ იმთე ადე? ჯეთხელდას.**
- **გუშინ სად ნახვედი? გეძებდი.**
- **მიშგუა აფხნეგმეყ ხტარდას, დი ხაყა ლეგდ.**
- **ჩემს ამხანაგთან ვიყავი, დედა ჰყავს ავად.**

**საეარჯიშო**

ჩასვით წინადადებაში შესაბამის ადგილას მოცემული ზმნები: **ესლრიდ** (მიდიხართ), **ანჯანდ** (მოვიდა), **ადრი** (ნახვალ), **ოდრი** (წავალ), **ანჯდენი** (მოვა), **ამჯედელი** (მოსულა), **ესლტური** (მივედივარ), **ესლრი** (მიდიხარ, მიდის), **ანჯდენის** (მოვლენ), **აჩანდ** (წავიდა), **ოდე** (წავედი).

1. მი მიშგუა გიგაშთე . . . . .
2. ლათ კინოთე დეშ . . . . .
3. მგხარ სი . . . . . ლექციინთე?
4. იმთე . . . . . სი ი ისგუი ჯგმილ.
5. ლადი დეშ . . . . . თეატრთე.
6. ისგუ დი . . . . . ქორთე.
7. მიშგუ მუ ლადი დოსგ . . . . . აგითე.

#### 14. უარყოფა:

**დარ** – არავინ, **დარმოშ** – ვერავინ, **ნორ** – ნურავინ.

– ჯიხამა, ლათ ლექციიაჟი დარ ერ არდა?

– იცი, გუშინ ლექციაზე რომ არავინ იყო?

– მამ მიხალ, მი დარ მინჟა გუშგუე აფხნეგარ.

– არ ვიცი, მე არავინ მინახავს ჩვენი ამხანაგები.

– მი მგხარი დანმოშს ხუნდენი, სოფელთე ხუამურჯი ლიზის.

– მე ხვალაც ვერავის ვნახავ, სოფელში ვაპირებ წასვლას.

– მეურ ჯეგორალ მიშგუი ლიზი ნოს ხეჟა.

– ძალიან გთხოვ, ჩემი წასვლა არავის უთხრა.

#### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეარჩიეთ და ჩასვით წინადადებაში შესაბამისი სწორი ფორმები: **დარ** (არავინ) // **ნორ** (ნურავინ), **დემნარ(დ)** (არაფრად, არარად), **დესმაგუეშ** // **დეშმაგუეშ** (ვერაფერი), **მადმაგუეშ** // **მამგუეშ** (არაფერი), **დემე** (არსად), **დეშიქ** (არასოდეს).

1. მი შტანს . . . . . მიჩდა.

2. ლათ ისგუამგე ხუარდას, ქორს . . . . . არდა.

3. მაღაზინთე ოდე, . . . . . ხულტანს.

4. მამ ჯაქუე ლათ ისგუა ნიბაშინდ? . . . . .

5. ჟოთახისგა . . . . . არდა.

6. ხუეთხელდად, მარე . . . . . ოხთხედ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეარჩიეთ და ჩასვით წიადადებაში შესაბამისი სწორი ფორმები: **დესა // დემა** (არა, არ), **დეშ** (ვერ), **ნომ** (ნუ).

1. ათლირმა ტესტარ? . . . . . ოთლირ.
2. იმლა . . . . . ათლირ? . . . . . ოთლირ.
3. ჟომშინ ჯექა, . . . . . ხიშდრწლ?
4. მი . . . . . ხუაგერგალი მიშგუა ნწთის.

იმე არდა ლწთ ბუბა ბულათ? (უპასუხეთ: არ ვიცო),

იმე არი ლწდი ისგუ მუშუწწწ აფხნეგ? (უპასუხეთ: ხვალ მეცოდინება).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ქვემოთ მოყვანილი ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

- ხოხალ (იცის),
- ითური (სწავლობს),
- წწრი (წერს),
- ადლირე (დანერა),
- ლწქუე (თქვა),
- დესა ხოთურა (არ უსწავლია),
- დეშ ადლირე (ვერ დანერა),
- მწმ ხოხალ (არ იცის),
- მწმ ზწქუა (არ უთქვამს).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

შეადგინეთ დიალოგი მოცემული პასუხების მიხედვით:

- . . . . .
- დესა, ლწწრ დეშ ოთლირ.
- . . . . .
- მწმ ხოხალ მახე ამბაუ.
- . . . . .
- დეშ ოხუითურ.
- . . . . .
- ჩიქე მწმ ხოქუა.
- . . . . .
- დესა არდა.

## 15. უნდა – ვალდებულება

– მგზარ ჯუინელ ქართულისგა ტესტარ ნარ ი ხეკუეს ოხტ-  
თორა.

– ხვალ ძველ ქართულში ტესტები გვაქვს და უნდა ვის-  
ნავლო.

– ლეგდ ხუარდას ი ათხე ეშხუ ნაგზი ხეკუეს ხუილუაგრგლდე.

– ავად ვიყავი და ახლა ერთი კვირა უნდა ვიმკურნალო.

– ჰემა ჯაკუ, ერე ლუშნუ ხოჩამდ ჯიხალდეს, ხუამს ხეკუეს  
გარგაღდე.

– თუ გინდა რომ სვანური კარგად იცოდე, ბევრს უნდა  
ლაპარაკობდე.

– მეტარ მაკუ, ლუშნუ ხოჩამდ ერ ოხტთორა.

– ძალიან მინდა, რომ სვანური კარგად ვისნავლო.

– ლადი იმეჟი ხეკუეს ლაგუგარგლას ლუშნუ ნინი მასნავ-  
ლებელდ?

– დღეს რაზე უნდა გველაპარაკოს სვანური ენის მასნავ-  
ლებელი?

– ლადი ხეკუეს ლაგუგარგლას ლუშნუ ნინი დიალექტ-  
არჟი.

– დღეს უნდა გველაპარაკოს სვანური ენის დიალექტე-  
ბზე.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ჩასვით სახელი სწორი ბრუნვის ფორმით:

1. . . . . ხოჩამდ ხეკუეს ლადთორას (ირინე).

